

თინა შიოშვილი • შავგური ფოლკლორი





BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES
CENTRE FOR KARTVELIAN STUDIES

TINA SHIOSHVILI

HISTORICAL
SOUTH GEORGIAN
FOLKLORE

I

SHAVSHIAN
FOLKLORE

Jnt.-Stc. Co. „PUBLISHING HOUSE AJARA“
BATUMI — 2016



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კუმანიძის რეცენიარებათა ფაკულტეტი
ქართვლოლოგიის ცენტრი

თინა შიოშვილი

ისტორიული
სამხრეთ საქართველოს
გეპირსიდევიერება

I

შავშური
ფოლოლორი

ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“
ბათუმი – 2016

მონოგრაფიაში შესწავლილია ისტორიული სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი კუთხის – შავშეთის ზეპირსიტყვიერი შემოქმედება.

საუკუნეთა განმავლობაში ერთიან ქართულ სივრცეს მოწყვეტილი შავშეთის ფოლკლორული შემოქმედების შესწავლა ცხადყოფს, რომ მათ ისტორიულ მესხიერებას უხვად კვებავს ტრადიციული ქართული წეს-ჩვეულებები და მათთან დაკავშირებული ხალხური სიტყვიერება, რაც მათი იდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა.

მონოგრაფია, რომელიც პირველი ცდაა შავშეთი ფოლკლორის აკადემიური გამოცემისა და მისი მეცნიერული შესწავლისა, სათანადო სამსახურს გაუწევს ფოლკლორისტებს, ეთნოლოგებს, ენათმეცნიერებს, ისტორიკოსებს და ყველას, ვისაც აინტერესებს და აღელვებს ისტორიული სამხრეთი საქართველო, დედასამშობლოსაგან ჟამთა სიავის გამო წაგვრილი თვალწარმტაცი ქართული კუთხე.

რედაქტორი პროფესორი **მამია ფალავა**

რეცენზენტები: პროფესორი **ელგუზა მაპარაძე**,
პროფესორი **მალხაზ ჩოხარაძე**

UDC (უაკ) 821.353.1-91+398.5 (=353.1)
შ-678

ISBN 978-9941-460-23-4

© თინა შიოშვილი – 2016

© ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“ – 2016

წინათქმა

ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ, XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან, ოსმალეთის იმპერიამ საქართველოს წაპყვარა მისი ერთ-ერთი უმძველესი და უდიდესი ნაწილი — აკვანი ქართული სახელმწიფოებრიობისა — მესხეთი და მისი პროვინციები: ტაო, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, ერუშეთი, ჯავახეთი, სამცხე, შავშეთი, ჩირდილი, ბასიანი, სპერი, აჭარა და ლაზეთი.

„გურჯისტანის ვილაიეთად“, იგივე „ახალციხის საფაშოდ“, წოდებული ისტორიული ქართული ტერიტორიები, სამწუხაროდ, საერთოქართული სოციალურ-კულტურული სპექტრიდან ხელოვნურად ამოგდებული, ფაქტობრივად XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე ქართველ მეცნიერთათვის თვალშეუდგამი აღმოჩნდა; საგულდაგულოდ დაგმანული სამღვრის მიღმა დარჩენილი ჩვენებურებისა და ძირძველ ქართულ ტერიტორიებზე ჩვენი წინაპრების ნაღვაწი ძეგლების თაობაზე ცნობილი იყო მარტოოდენ გამოჩენილი თურქი მოგზაურისა და მკვლევრის — ევლია ჩელების მიერ XVII საუკუნის პირველ ნახევარში ამ რეგიონში მოგზაურობის შემდეგ დაწერილი ნაშრომი „მოგზაურობის წიგნი“ (ჩელები, 1971). მართალია, ისტორიული მესხეთის შესახებ ინფორმაციას ვხვდებით ვახუშტი ბაგრატიონთანაც, მაგრამ მას პირადად არ უმოგზაურია სამხრეთ საქართველოში და მისეული ცნობები ემყარება სხვადასხვა ინფორმატორთა გადაუმოწმებელ ცნობებს (ვახუშტი, 1973: 658-680).

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიაში გასაბატონებლად რუსეთის იმპერიამ დაიწყო ბრძოლა ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ, რაც XIX ს-ის 70-იანი წლების ბოლომდე (1877-1878) გაგრძელდა.

დაუცხრომელი ინტერესი და სურვილი ძირძველი ქართული სულიერი თუ მატერიალური ყოფის გასაცნობად ჯერ კიდევ თმის ბოლო ეტაპის რუსთა გამარჯვებით დაგვირგვინებამდე გამოიხატა ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში, რომელთა მიზანიც „ოსმალოს საქართველოს“ დაბრუნება და მონატრებულ ჩვენებურებთან შეხვედრა იყო. სწორედ ამ დროს, 1874 წლის მაის-ივნის-ივლისში, მოეწყო ჩვიდმეტკაციანი ექსპედიცია (ხელმძღვანელი გრიგოლ გურიელი) ბემო აჭარაში, შავშეთში, არტანუჯში, ლივანსა და ჭანეთში ექსპედიციის წევრი იყო გიორგი ყაზბეგი („საისტ. მოამბე“, 2000-2001: 59-60).

სან-სტეფანოს დროებითი ბავისა და ბერლინის კონგრესის შედეგების თანახმად, რუსეთმა შეიერთა ისტორიული ქართული ტერიტორიის ნაწილი: შავშეთი, კლარჯეთი, აჭარა, არტაანი და ოლთისი. 1878-1921 წლებში, ვიდრე ეს ძირძველი ქართული პროვინციები ჯერ რუსეთის, შემდეგ კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა, ქართულ კუთხეებში იმოგზაურეს და აღწერეს: დიმიტრი ბაქრაძემ, გიორგი ყაზბეგმა, ბაქარია ჭიჭინაძემ, ექვთიმე თაყაიშვილმა და ნიკო მარმა; „დროების“, „ივერიისა“ და სხვა ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა სერგეი მესხის, ლევან მჭედლიშვილის, ალექსანდრე ნათაძის, დავით წერეთლის, ივანე გვარამაძის („ვინმე მესხი“), ივანე ჯაიანის, ალექსანდრე ყიფშიძის („ფრონელი“), ვასილ კოპტონაშვილის, სერგი გორგაძის, ვლადიმერ გოგიაშვილის, სოლომონ ასლანიშვილი-ბაგრაელის და სხვათა საინტერესო პუბლიკაციები, რომლებითაც მთელი საქართველო ეცნობოდა ახალშემოერთებული ისტორიული მესხეთის მიწაზე მცხოვრებ ჩვენებურთა ყოფა-ცხოვრებასა და სულიერი თუ მატერიალური კულტურის ძეგლებს. მართალია, პუბლიკაციებში ამა თუ იმ პრობლემაზე მსჯელობისას მოხსენიებულია ჩვენებურთა გეპირსიტყვიერების ზოგიერთი ნიმუში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ნიკო მარის მეტს, რომელმაც შავშეთსა და კლარჯეთში 1904 წლის ზაფხულში იმოგზაურა, სპეციალური ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობა არავის უწარმოებია; თუმცა, ჯერ კიდევ 1875 წელს

რაფიელ ერისთავი, გრიგოლ გურიელის მიერ მიწოდებულ მასალაზე დაყრდნობით დაწერილ სტატიაში „ცნობანი ოსმალის საქართველოზე“, ქართულ საზოგადოებას მოუწოდებდა: „ძველებურის სიმღერების, ლექსების, ისტორიის მასალების და სხვა ამგვარების შემკრებლებს ურჩევთ, გაისეინონ ოსმალის საქართველოში: იმათი შრომა უნაყოფო არ დარჩება“ (ერისთავი, 1875: 1-2).

როგორც პროფ. მალხაზ ჩოხარაძე აღნიშნავს, „ამ მოგზაურობებმა არათუ ძვირფასი ცნობებით შეავსო ქართველთა ცოდნა რეგიონის შესახებ. არამედ უფრო გააღრმავა ინტერესი“ (ჩოხარაძე, 2001: 25).

ნიკო მარმა — შავშური ბეპირსიტყვიერების პირველმა ჩამწერმა — სულზე მიუსწრო ამ კუთხის ფოლკლორულ შემოქმედებას; მან მისთვის ჩვეული დიალექტოლოგიური სიბუსტიტ ჩაიწერა მრავალი ნიმუში, რომელთა დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, ჩვენს დრომდე ჩვენებურებს ვეღარ შემოუნახავთ.

ნ. მარის მიერ ისტორიული შავშეთის სოფლებში დაფიქსირებულია საგმირო-საისტორიო, საწესჩვეულებო, საყოფაცხოვრებო და სატრფიალო ლექს-სიმღერები; თქმულება-გადმოცემები, იგავები, ფირალის ეპოსის ნიმუშები და სხვა, რომლებზეც თვალის ერთი გადავლევაც საკმარისია დასკვნისათვის, რომ ეს უმდიდრესი მასალა საერთოქართული ფოლკლორის ორგანული ნაწილია, ძირძველი ქართული ტრადიციების გამთხატვლებაა, ჩვენებურთა სულიერი და მატერიალური კულტურის ისტორიის წარმოჩენაა.

1921 წლის შემდეგ, რაც, რუსულ-თურქული გარიგების შედეგად, ისტორიული ქართული პროვინციები ისევ თურქთა ხელში აღმოჩნდა, დიდხანს ფარულ ოცნებად იყო გადაქცეული ჩვენებურებთან შეხვედრა და იქ მიმდინარე სოციალურ-კულტურული ვითარებისათვის თვალის გადავლება.

ნიკო მარის შემდეგ პროფ. შუშანა ფუტკარაძე იყო პირველი ქართველი მეცნიერი, რომელმაც სარფის კარის გახსნისთანავე, 1989-1993 წლებში, იმოგზაურა თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მოქცეული ისტორიული საქართველოსა და ქართველი მუჰაჯირებით დასახლებულ რეგიონებში და უხვად დააფიქსირა ჩვენებურთა,

და მათ შორის შავშთა, ფოლკლორი. ამ სამვილიშვილო საქმეში განუზომელი წვლილი შეიტანა, აგრეთვე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ 2005, 2007 და 2009 წლებში უშუალოდ შავშეთის სოფლებში, ხოლო 2013, 2014 და 2015 წლებში თურქეთის რესპუბლიკის შიდა რეგიონებში შავშეთიდან მიგრირებულ მოსახლეობაში მოწყობილმა სამეცნიერო ექსპედიციებმა.

1875 წელს გაზეთ „დროებაში“ (№76) მისი რედაქტორი სერგეი მესხი წერდა: „აჭარა, შავშეთი, ლაზისტანი ერთ დროს საქართველოს ნაწილები ყოფილან. დღეს, სხვადასხვა ისტორიულ გარემოებათა წყალობით, ოსმალის პროვინციებად შექმნილან. საუკუნეებს გაუვლია, რაც ეს ქვეყნები ოსმალის დაუპყრია, რაც ოსმალთა ცდილობს, რომ იქაური ქართველები გაეთათრებინა, მაგრამ დახეთ ქართველი ტომის სიმტკიცეს — რჯულის მეტი იმით არა შეუცვლიათ რა და ისიც მხოლოდ ძალდატანებითა და სხვადასხვა ოსმალური ოინებით შეაცვლევიანეს. სამშობლო ენა, ხალხის ხასიათი, ჩვეულებანი, თითქმის ცრუმორწმუნეობაც და ცხოვრება ისევ ძველი, ქართველური აქვთ“.

ამის დასტურია წინამდებარე წიგნი, რომელიც ეფუძნება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ სხვადასხვა დროს ისტორიულ შავშეთში (თურქეთის რესპუბლიკა) მოწყობილი კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციებისა და ჩვენ მიერ 1989 წელს თურქეთის რესპუბლიკაში ინდივიდუალურად მოპოვებულ ფოლკლორულ მასალას, რომელიც, მეცნიერულ გამოკვლევასა და სათანადო კომენტარებთან ერთად, დაიბეჭდა 2011 და 2014 წლებში შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ კომპლექსურ მონოგრაფიაში „შავშეთი“ (შიომვილი, 211: 143-218, 472-568). ნაშრომში გამოყენებულია, აგრეთვე, პროფ. შ. ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართულის“ (1993) და ო. ფუტკარაძის „ჩვენებურების სიმღერის“ (1991) ფოლკლორული მასალა.

ნაწილი ჰიბრული
ბეჭდვები

შრომის ლექს-სიმღერები

შრომის ამა თუ იმ სახეობასთან დაკავშირებული და, ამავე დროს, მშრომელის ფსიქოლოგიის გამომხატველი ლექსები და სიმღერები, იგივე შრომის პოეზია, მსოფლიოს ყველა ხალხის ფოლკლორული შემოქმედების ყველაზე ადრეული ხანიდან მომდინარეა. შრომა, როგორც ფიზიკური (ამდენად დამღლელ-დამქანცავიც) აქტი, სახალისოდ და სასურველად მარტოოდენ მისი პრაქტიკულ-პრაგმატული ხასიათის გამო ვერ გახდებოდა; ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა რიტმულობამ, შრომის ლექსის ტონ-რიტმმა, რომელიც, ერთის მხრივ, რიტმულ მოძრაობას აწესრიგებს, ხელს უწყობს ამ მოძრაობის (კონკრეტული შრომის სახეობის) ჩვევად ჩამოყალიბებას და, მეორეს მხრივ, ფიზიკურ მოქმედებას, მელოდიასა და სიტყვას ერთმანეთთან აკავშირებს, რისი უნიკალური დაგვირგვინებაც არის ჩვენს დრომდე მოღწეული სხადასხვა სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ხალხური ლექს-სიმღერები.

საქართველოში, მისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, მეურნეობის მრავალმხრივი დარგები განვითარდა; ამათგან, ბუნებრივია, შექმნა შრომის ლექს-სიმღერათა მრავალფეროვნება, რომელშიც გადმოცემულია ჩვენი ხალხის სოციალური ყოფა, სულიერი განწყობილება, განცდები; ეროვნული ფოლკლორული შემოქმედების ეს უბანი არა მარტო შრომის პროცესს გვიხატავს, არამედ მათში, როგორც უტყუარ სარკეში, ირეკლება საზოგადოების შეხედულებანი და მისწრაფებანი; ამდენად, შრომის ლექსი მშრომელი ადამიანის ერთგული თანამგზავრი, მეგობარი და, ამავე დროს, მისი გულწრფელი მატყანეც არის. ასე იყო ჩვენში ძველთაგან. ამიტომაც არის, რომ საქართველოს

ყველა კუთხე მდიდარია მრავალდარგობრივი შრომის ლექს-სიმღერებითა და მათთან დაკავშირებული შრომითი ტრადიციებით, რაც „საუკუნეთა განმავლობაში ქართულ ზეპირსიტყვიერებაში უხვად დაუნჯებულ იდეურ-ესთეტიკურსა და ზნეობრივ ტრადიციებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია“ (შიოშვილი, 2002: 290).

საქართველოში მეურნეობის ყოველ დარგს თავისი უნიკალური შრომის ლექს-სიმღერები ჰქონდა, რომლებშიც აისახა შრომის პროცესი, მისი სპეციფიკური რიტმი, „გეორგიანელთა“ გუნება-განწყობილება, სამუშაო იარაღებისა და მუშა საქონლისადმი დამოკიდებულება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტრადიციულად შრომის პროცესში იმღერებოდა არა მარტო უშუალოდ შრომის თემატიკასთან დაკავშირებული ლექსები, არამედ სხვა ჟანრის ლექს-სიმღერებიც (მითოსური, საგმირო-პატრიოტული, სატრფიალო, სოციალური და ა.შ.), რომლებიც ახალისებდნენ შრომის პროცესს და გარკვეული სააგიტაციო ფუნქციაც ეკისრებოდათ.

შავშეთში, როგორც საქართველოს ძირძველ და, ამავე დროს, ხელსაყრელ გეოგრაფიულ სივრცეში მყოფ კუთხეშიც, ბუნებრივია, ძველთაგანვე იქნებოდა შრომის სხვადასხვა სახეობებთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები, თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენს დრომდე ყველას არ მოუღწევია; ერთის მხრივ თურქულმა ენობრივმა გარემომ და, მეორეს მხრივ, ტექნიკურმა პროგრესმა (რაც ზოგადქართული შრომის ლექს-სიმღერების გარკვეულ სახეობათა მივიწყების მიზეზიც გახდა) სრულიად ბუნებრივად განაპირობა ამ კუთხის ქართველთა მეხსიერებაში მამაპაპური ლექსებისა და მელოდიების უმეტესობის მინავლება. მიუხედავად ამისა, ჩვენებურებს შორის ბოლო დრომდე შემორჩენილი შრომის ლექს-სიმღერები ნათელი დასტურია იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ამ ძირძველ კუთხეში, სადაც სულმნათმა გრიგოლ ხანძთელმა და მისმა მოწაფეებმა ააღორძინეს მურვან ყრუსაგან მინასთან გასწორებული ქართული მეურნეობა და შრომითი ტრადიციები, შრომის ამა თუ იმ სახეობებში ჯერ კიდევ ისმის ქართული სიტყვა და ტრადიციული მელოდია.

იმერხევის ულამაზეს, მთაგორიან სოფელ ხევწრულში (ჩალ-ლიანი) 2009 წელს ტიპური სახალხო მთქმელის, 45 წლის ქალბატონის – ნიგარ ორალისაგან ჩავინერეთ ლექს-სიმღერა, რომელშიც ნახსენებია ყანის თოხნა („ფაჭვა“):

მე ყანა'ნა მეფაჭა
სახნინედან ყანაში;
რა იქს, ხვალაც წამოყევ
ნალაზნევში ჩომაში!

(შიოშვილი, 2011: 472)

ყანის თოხნა ერთ-ერთი გავრცელებული მოსაქმეობა იყო და არის საქართველოს ყველა კუთხეში. შრომის ამ სახეობაში ჩვენში უმეტესად კოლექტიური დახმარება, ანუ „ნადის“ მოწვევა იცოდნენ, რომლის დროსაც სრულდებოდა გუნდური სიმღერა „ნადური“, რომელსაც ხშირად უწოდებდნენ „თოხნურს“ ანუ „ყანურს“; იგი ძირითადად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთვის არის დამახასიათებელი (ოქროშიძე, 1963: 69-70) და, ბუნებრივია, ისტორიულად შავშეთის სოფლების ზეპირსიტიყვიერებაშიც თავისი კუთვნილი ადგილი ექნებოდა. ჩვენ მიერ ხევწრულში ჩანერილი ტექსტი, რომელიც მთქმელმა სიმღერით შეასრულა, ნადურად ვერ ჩაითვლება, თუმცა, ტრადიციულად ყანის თოხნაში (და სხვა სახის მოსაქმეობაშიც) შავშელებმა, ბუნებრივია, იცოდნენ კოლექტიური ურთიერთდახმარება „ნადი“ და, ალბათ, ნადში შესასრულებელი ლექს-სიმღერებითაც არ იქნებოდნენ ღარიბნი. ამაზე მიუთითებს ბოლო დრომდე შავშეთის სოფლებში შემორჩენილი შრომაში დახმარების ჩვეულება, ანუ ნადი, რომელსაც „დაშველებასაც“ ეძახიან („ნადს დაშველებას ეძახიან“. – მთქმელი ეუბ ალთუნი (დათუნაშვილი), მცხოვრები სოფელ უსტამისში) და „ირლათის“ სახელითაც მოიხსენიებენ („ირლათი“ ნადია, შრომაში დახმარება. „ირლათი ყავსო“, იტყვიან, ვინცხა წაასხამს“. – მთქმელი ალი ილდიზი, 24 წლის, მცხოვრები სოფ. ბაზგირეთში).

შავშეთში იციან ქალების ნადი, ანუ „ირლათი“. სოფელ მანატ-ბის მკვიდრის, 66 წლის ალადინ ალთუნელის ცნობით, „ქალები დღისით არ მეიცლიან. ღამით ირლათები იქნებოდა. იქ კაცები არ მივლენ. მეიყრებიან, ერთი ქალისას გააკეთებენ, მეორე ღამეს მეორისას...“. საუბარი ეხება ქალების ხელსაქმეს, ანუ საფეიქრო ნადს. სამწუხაროდ, საფეიქრო ნადური ლექს-სიმღერები ვერ დავაფიქსირეთ. იმერხევის სოფელ ბაზგირეთში 38 წლის უალრესად აქტიური მელექსე ქალბატონისაგან – გულსარე დუზგუნი-საგან 2005 წლის 24 ივლისს ჩავინერეთ თიბვის ლექს-სიმღერა:

ე რა ჰალი ჭალები
დასათიბი'ნა დაგჩეს!
მეჰმური ხომ არა ხარ,
რაში თვალი'ნა დამჩეს!

(შიოშვილი, 2011: 472)

ლექს-სიმღერაში გამოთქმულია ნუხილი იმის გამო, რომ შესაძლებელია, მთიბავს ბევრი ჭალა დარჩეს მოსათიბი; ამავდროს იგრძნობა გარკვეული პროტესტიც, რაც მძიმე შრომისაგან თავმოებურებული მთიბელის მიმართ არის გამოთქმული (მოჯამაგირე ხომ არა ხარო) და გამოტანილია სრულიად რეალისტური დასკვნა, რომ ამგვარ ვითარებაზე ქალს თვალები არ დარჩება. არსებითად იდენტური განწყობილებაა გადმოცემული აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ერთ სამკალ ლექს-სიმღერაშიც:

– აზამბურელი მომკალი
ქალმა შენ მოჰკალ იამა!
– არცა მე მოვკალ, არც შენა,
მინდორმა მოკლა ტიალმა!

(ხორნაული, 1949: 168)

შავშეთში, როგორც მაღალმთიანსა და მესაქონლეობით მდიდარ რეგიონში, შედარებით კარგად შემონახულა წველის ლექს-

სიმღერები, რომელთა ავტორ-შემსრულებლები, საქართველოს სხვა რეგიონების მსაგავსად, ქალები არიან. ერთ-ერთი მთქმელის – ბაზგირეთელი ალი ილდიზის – ცნობით, „ძროხას დუყუყავებენ, ჩამოყაროსო; ზოგ ნარცხ დუუდვენ, ისე მონველვენ“ (შოშვილი, 2011: 505).

სოფელ ჩიხისხევის (დანიქლი) ერთ-ერთ მშვენიერ უბანში – კოკბერეთში 2009 წლის 4 აგვისტოს ჩავინერე წველის ლექს-სიმღერის საინტერესო ვარიანტი, რომლითაც იშვიათი მოსაფერებელი სიტყვებით არის შემკული მენველი ძროხა, რომელიც ტრადიციულად დედად მოიხსენიება, რაც საქართველოს ყველა კუთხისათვის ნიშანდობლივია:

დედოვ, დედოვ, ჩამოყარე!
ზიზილაჲ მოვწველოთ, დედო!
სად ხარ, დედო,
ლამაზო დედო,
გერმელო დედო,
დედოჯან, დედო!

(შოშვილი, 2011: 472)

დედის ტოლფასი სიტყვით („ნენე“) მოიხსენიება ფური სოფელ ზოისში 45 წლის ქალბატონის – აიშე ილმაზისაგან (მოლოდლი) 2005 წლის 25 ივლისს ჩანერილ წველის მოკლე ლექს-სიმღერაშიც, თუმცა ტექსტის ქართულენოვანი სტრუქტურა ოდნავ შებღალულია თურქული სიტყვებით:

ალთუნ ყიზავ, ნენოჯან,
ჩამოყარე, ნენოჯან,
ჩამოყარე!

(შოშვილი, 2011: 472)

ამ ლექს-სიმღერითაც, ტრადიციის თანახმად, პატრონი საალერსო სიტყვით („ალთუნ ყიზა“ – ოქრო გოგონა) მიმართავს მენველ ძროხას. ამგვარ ვითარებას მთქმელი ასე განმარტავს:

„– ძროხას ასე ეტყვი წველის დროს, დუუყვავებ, კარგა მოინ-
ველის“ (შიოშვილი, 2011: 505).

სოფელ ზენაგრაში 2009 წლის 6 აგვისტოს 50 წლის სალიე
გუნემისაგან ჩანერილ წველის ლექს-სიმღერაში ფურისადმი
მიმართვისას გამოყენებულია როგორც ქართული („ნენოჯან“),
ისე თურქული სიტყვები („ანოჯან“):

ჩამოყარე, ნენოჯან,
ჩამოყარე, სურმელოჯან!
ჩამოყარე, ანოჯან!

(შიოშვილი, 2011: 272)

სოფელ მაჩხატეთში 2009 წლის 8 აგვისტოს 76 წლის ჰუნქერ
ქაისაგან ჩანერილ წველის ლექს-სიმღერაში კი ქართულენო-
ვანი მიმართვის ფორმა დაკარგულია და დედის აღმნიშვნელი
თურქული სიტყვით („ანა“) ეფერებიან მეწველ ძროხას:

ნაზლიჯან, ნაზლიჯან,
ჩამოყარე, ანამჯან!
ანამჯან, ჩამოყარე!

(შიოშვილი, 2011: 272)

ამ ლექს-სიმღერის არსი მთქმელმა შემდეგნაირად განმარტა:
„– ასე ვეტყოდით და ჩამოყრიდა. ხბოსთვინაც შეინახავდა, ბი-
თამ არ მოგვცემდა“ (შიოშვილი, 2011: 505).

მეწველი ძროხისადმი მოფერება-დაყვავება, მისი „მიკუტკუ-
ტება“ განსაკუთრებით იციან აჭარაში, ახალციხეში, აღმოსავ-
ლეთ საქართველოს მთაში და, საერთოდ, ყველგან, სადაც მე-
საქონლეობას მისდევენ. ფურის მონველისას სამღერი ტექსტი-
სათვის უცვლელია სიტყვა „დედა“ და მისი ვარიაციები („დედო“,
„დიდა“, „დიდო“, „დედოჯან“, „ნენე“, „ნენავ“ და ა. შ.); ჩვენე-
ბურებთან კი ამ სიტყვას ზოგჯერ თურქული „ანა“ ენაცვლე-
ბა, რაც მოსალოდნელი იყო, თუმცა წველის ლექს-სიმღერათა

საერთო პათოსი უცვლელია: ფურს უნდა მიეფერო, დაუყვავო, მიუაღერსო, თორემ, როგორც ერთ ფშაველ ქალბატონს უთქვამს, „თუ არ მეეფერა კაცი ძროხას, არ მოიწველის, რძეს გადამალავს. ზოგი ისეთი ძროხაა, რო გუუჯავრდე, ეგრე გახმება, თითქოს აღარც ამაილებს რძესა“ (ქართ. ხალხ. პ., ტ. X, 1983: 592). ახალციხელი (სოფ. მუსხი) ქალბატონის რჩევით კი „ფურს რო არ უმდერო, ისე არ მოიწველის! თუ მოეფერები, იწველება, თუ გაუჯავრდები, არ მოიწველება“ (ქართ. ხალხ. პ., ტ. X, 1983: 595).

ანალოგიურ ლექს-სიმღერებს, ჩვენი ხალხის რწმენით, პროფილაქტიკური მაგიური დანიშნულება ჰქონდა. საყურადღებოა, რომ ახალციხელ მებოსლე ქალებს შორის პოპულარულ წველის ლექს-სიმღერებს „ფურის დაყვავებისას“ უწოდებენ (ქართ. ხალხ. პ., 1983: 593).

ფურისადმი ამგვარი დამოკიდებულება ცნობილია მსოფლიოს ყველა უძველესი ხალხისათვის. ცნობილი გერმანელი მეცნიერი კარლ ბიუხერი თავის ნაშრომში „შრომა და რიტმი“ მიუთითებდა დაღმანის კრებულზე, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქალთა სიმღერებს, მათ შორის – ფურის წველის ლექს-სიმღერებს (Бюхер, 1923: 288).

ასეთივე თბილ დამოკიდებულებას იჩენენ მეწველი ძროხისადმი აჭარელი ქალბატონებიც. მკვლევარ ვახტანგ შამილაძის შენიშვნით, „...წველის პროცესში მემთევრი მოფერებითა და ალერსით უნდა მოპყრობოდა პირუტყვს... ზემო აჭარის თითქმის ყველა ხეობაში მემთევრი და მეახორე ქალი ძროხის წველის დროს სპეციალურ სიმღერას ასრულებდა“. ამგვარი მოპყრობა კი „...ძროხაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა, ძროხა მორჩილი და თვინიერი ხდებოდა და რძესაც სიამოვნებით იძლეოდა“ (შამილაძე, 1964: 249).

შავშელთა შორის ბოლო დრომდე შემორჩენილი წველის ლექს-სიმღერებისა და მათი შესრულების ტრადიციის ფესვები საერთოქართული არქაული გენეზისისა და ჩვენებურების იდენტობის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია.

პატრიოტული ლირიკა

ქართველი ხალხის ტვირთმძიმე ისტორიის მანძილზე, უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლასა თუ შინაური შუღლისას, ეროვნული თვითმყოფადობისა და საერთოქართული ცნობიერების, ერთიანი ეროვნული ფსიქოლოგიის შენარჩუნებაში, საგმირო-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებასა და მის ტრადიციად ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის პატრიოტული ხასიათის ხალხურ ლექს-სიმღერებს, რომლებშიც გადმოცემულია ქართველთა თავგანწირვა მამულისადმი და მისი მსახურების ზნეობრივი კოდექსი (შიოშვილი, 2004: 3-7).

მრავალსაუკუნოვანი ხალხური პოეზიის პატრიოტული ნაკადით მდიდარია საქართველოს ყველა კუთხე. ბუნებრივია, პატრიოტული ლირიკის არაერთი დახვეწილი ნიმუში შეიქმნებოდა ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, კერძოდ – ისტორიულ შავშეთში, რომლის წიაღშიც აღზრდილა მრავალი სასახელო მამულიშვილი, რომელთა საგმირო საქმეებსაც აუცილებლად შეასხამდნენ ხოტბა-დიდებას სახალხო მეღეჭესენი. სამწუხაროდ, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, აქაურთა მეხსიერებას არ შემორჩენია ამა თუ იმ კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებთან თუ პიროვნებებთან დაკავშირებული პატრიოტული ლექს-სიმღერები და არც გმირობა-ვაჟკაცობისა და მამულიშვილობის განზოგადოებულ შეხედულებათა ამსახველი პატრიოტული ლირიკის ნიმუშები. ეს საფასებით გასაგებიც არის, რადგან მათთვის საუკუნეთა განმავლობაში გაუცხოვდა ერთიანი ქართული სივრცე და მუსულმანურ სამყაროში ჩარჩენილთათვის ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალებიც გაუფერულდა; ახსოვდათ, რომ გურჯები იყვნენ, მაგრამ ნებსით თუ უნებლიეთ საერთოქართული ეროვნული ტრა-

დიციებისაგან გარკვეულად ჩამოცილებამ და სამშობლოსადმი მსახურების შეგნებული ნებელობის არქონამ მათ პატრიოტულ სულისკვეთებას გარკვეული დაღი დააჩნია. მიუხედავად ამგვარი პერიპეტეებისა, შავშელთა პატრიოტულმა სულისკვეთებამ მაინც ჰპოვა გამოსავალი მშობლიური კუთხისადმი, სოფლები-სადმი თუ ცალკეული სანახებისადმი გამოხატულ გრძნობებსა თუ წინაპრებისაგან შეთხზულ ლეგენდებში ჩარჩენილი „გადაკარგული“ დიდი ისტორიულ სამშობლოს მონატრებაში.

სოფელ უსტამისში მცხოვრები 12 წლის იუსუფ გუნერისაგან 2009 წლის აგვისტოში ჩვენ მიერ ჩანერილ პატრიოტულ ლექსში „...თეთრო მამალო“ გამოთქმულია ღრმა სევდა იმის გამო, რომ „გადაკარგულა“ მშობლიური სოფელი, სადაც სახლის კარებზე ჰქონდათ ამოტვიფრული „ნიშანი“, რომელიც, ჩვენი აზრით, მათი ქართველობისა და, ამდენად, შესაძლებელია მართლმადიდებლობის, ნიშანიც იყო; თუმცა, თანამედროვენი ვეღარ აკონკრეტებენ, რა და რისი ნიშანი იყო. ჩემს მთქმელს ეს ლექსი, რომელიც მან სიმღერით შეასრულა, დედისაგან უსწავლია; მის დედასაც – თავისი წინაპრისაგან და ასე თაობიდან თაობაზე გადმოსულა მონატრება „თეთრი მამლის“ ყვილისა, რომლის ალეგორიაშიც ერთიან, დიდ სამშობლოზე ფიქრი, ოცნება და სევდაა გამოხატული:

თეთრო მამალო,
რატომ არ ყვირი?
ლამაზი ქალო,
რატომ არ ტირი?
ჩვენ სახლი კარზე
იყო ნიშანი,
გადაკარგულა ჩვენი სოფელი!..
ბუკრი უკნედან
იყო შეშები,
მოკდნენ ბერები,
დარჩნენ ახლები.

(შოშვილი, 2011: 472)

შავშელთა ამ უაღრესად ორიგინალურ პატრიოტულ ლექს-სიმღერაში გამოთქმულია გაკვირვებაც, რომ თანამედროვე გურჯი ქალები მათი წინაპრების დარად აღარ ტირიან, რადგან „დრო ყველაფრის მკურნალია“ და ისინიც შეგუებულნი არიან რეალურ ვითარებას; სწორედ ამიტომაც აღარ ყივის მათი დამცხრალი სული – „თეთრი მამალი“ და თავადაც აღარ იცრემლებიან, თუმცა ახსოვთ, რომ მათი სახლების კარზე „იყო ნიშანი“, ხოლო ამ ნიშნით აღბეჭდილი წინაპრები მარადისობის მკვიდრნი გამხდარან; თუმცა, „დარჩენ ახლები“, რაც ლექსის სევდიან განწყობილებას ოპტიმისტურად ასრულებს.

ლექსი „...თეთრო მამალო...“ მრავალ ვარიანტად არის გავრცელებული შავშურ ზეპირსიტყვიერებაში. სოფელ ბაზგირეთში პროფ. რამაზ ხალვაშის მიერ 2005 წლის ივლისში ერენ თორუნისაგან (გამეშიძე) ჩანერილ ერთ-ერთ ვარიანტში კიდევ უფრო გამძაფრებულია ღელის გაღმა დარჩენილი მშობლიური სახლებისა და წინაპართა მონატრება:

ღელე გაღმაა
ჩვენი სახლები,
მოკდენ ზველები,
დარჩენ ახლები.
ლამაზო ქალო,
რატომ არ ტირი?
თეთრო მამალო,
რატომ არ ყივი?

(შიოშვილი, 2011: 472)

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საანალიზო ლექსის ერთ-ერთი საინტერესო ვარიანტი პროფ. შუშანა ფუტკარაძემ 1989 წელს დააფიქსირა ინეგოლში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის:

თეთრო მამალო,
რატომ არ ყივი?

ლამაზო ქალო,
რატომ არ ტირი?
შენი ჭირიმე,
შენ გენაცვალე,
შენი თვალ-ნარბი
მე შემიცუალე!
ლელე გაღმაში
ჩუენი სახლები,
მოკდენ ბერები,
დარჩენ ახლები.
შენი ჭირიმე,
შენ გენაცვალე,
შენი თვალ-ნარბი
მე შემიცუალე...

(ფუტკარაძე, 1993: 53-54)

მთქმელს აღუნიშნავს, რომ ეს სიმღერა „ძუელების ნათქვა-
მია“. ახლა ძნელია იმის დადგენა, ჩვენებურთა წინაპრების ეს
ამონაკენესი, რომელმაც ჩვენს დრომდე მოიტანა ქართველთა
პატრიოტული სულისკვეთება, მუჰაჯირთა ნოსტალგიამ შექმნა
თუ – ისტორიულ ქართულ მიწაზე მცხოვრებ შავშელთა გულის-
ტკივილმა მტერთაგან დაწიანებული ერთიანი სამშობლოს გამო;
იქნება, ეს ნუხილიანი სტრიქონები მამა-პაპათა მიწებიდან აყ-
რილმა, რუსთა გამგებლობას თურქეთის შიდა რეგიონებში გაქ-
ცეულმა შავშებმა შექმნეს!.. ანდა, იქნებ შემდგომ ეტაპზე, ეკონ-
ომიური სიდუხჭირის გამო, მშობლიური მიწა-წყლიდან აყრილმა
შავშელებმა ამოიკენესეს!.. ვინ იცის... ის კი ნამდვილად ცხადია,
რომ ლექსი გამსჭვალულია ღრმა მამულიშვილური სულისკვე-
თებითა და ისტორიული ბედუკუღმართობით გამოწვეული მო-
უნელებელი ნუხილით.

სარფის კარის გახსნამ და „დიდ“ საქართველოსთან ურთიერ-
თობამ ჩვენებურები ახალი რეალობის წინაშე დააყენა, თუმცა,
მათ მანამდეც კარგად ჰქონდათ გააზრებული, „ვისი გორისა-

ნიც“ იყვნენ. 2005 წლის ივლისში უსტამისელმა ეუბ ალთუნმა პროფ. რამაზ ხალვაშს უთხრა:

„– მე ვებნეოდი ამხანაგებს, ეს ემეფ, ჴელი, გაჭართ, სისხლი დაწერავს ქართულათ“.

ჩვენთან ურთიერთობის შემდეგ კი შავშელებს გაუჩნდათ სურვილი, განაახლონ, გაიხსენონ, „გურჯიჯა“ სიმღერები, რომლებიც დროთა ვითარებაში თანდათან დავიწყებას მისცემია.

სოფელ მაჩხატეთში მცხოვრები 76 წლის ჰუნქერ ქაიასაგან 2009 წლის აგვისტოში ჩვენ მიერ ჩანერილ ლექს-სიმღერაში ნათქვამია:

გალმა სერში – ქათმები,
მიმოდევან ზერები;
ახლათ’და დევიწყით
გურჯიჯა სიმღერები!

(შოშვილი, 2011: 472)

ამ ლექსის იდენტური ვარიანტი ჯერ კიდევ 1993 წელს დააფიქსირა პროფ. შუშანა ფუტკარაძემ სოფ. ხობლევში ბაჰალი ჯენიგლისაგან (ოზიშილი). პარალელიზმის ხერხზე აკებული სხვა ვარიანტით, რომელიც 2005 წლის ივლისში სოფელ ბაზგირეთში ჩავიწერე 36 წლის სევეგიე თემურისაგან (სვარიზაშვილი), ხაზგასმით არის მინიშნებული, რომ ახლა დადგა დრო, როცა გურჯებმა გურჯული სიმღერები უნდა იმღერონ:

რა მაღალი ყოფილა
ატიანის სერები!
ახლა ჩვენ’ნა ვიმღეროთ
გურჯიჯა სიმღერები!

(შოშვილი, 2011: 506)

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უფრო ადრე, 1989 წელს, ოფიციალურ დელეგაციაში ვიმყოფებოდი თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ რიზეში, სადაც 20 წლის ბაზგირეთელი ჭაბუკის – ქემალ ქამეშიძისაგან, რომელიც იმხანად სწავლობდა რიზეს შავი

ზღვის ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, ჩავინერე ამ
ლექს-სიმღერის ვარიანტი:

რა მაღალი ყოფილა
ათიანის სერები!
ახლა მე'ნა ვიმღერო
ქართველი სიმღერები!

ქემალმა სიამაყით გვითხრა, რომ ეს სიმღერა მის მშობლიურ
სოფელ ბაზგირეთში ყველამ იცოდა, რაც წლების შემდეგ ექსპე-
დიციების დროს დადასტურდა.

ჩვენებურთა უდიდესი სურვილი საქართველოში ჩამოსვლი-
სა და ქართველებთან ურთიერთობისა მშვენივრად გამოთქვა 70
წლის ბაზგირეთელმა ქალბატონმა სარე ბულბულმა (თეთრა-
ძე); 2005 წლის 24 ივლისს სოფელ ბაზგირეთში ასულ ექსპედი-
ციის წევრებს მან ასე მოგვიღებდა:

საკუპრიაზე – ხარებო,
ქვაკიბეში – ღარებო.
ჩვენ თქვენთან გამოსლა გვინდა,
არა გვაქ კი ფარებო.

(შოშვილი, 2011: 472)

იმერხევის ულამაზესი სოფელი ბაზგირეთი (ბაძგირეთი) აქა-
ურთა კანონიერი სიამაყის ობიექტია. ბაზგირეთელები უზომოდ
არიან შეყვარებულნი თავიანთ სოფელზე და, დღეისათვის თურ-
ქეთის სხვადასხვა ქალაქებში გაფანტულნი, ყოველ ზაფხულს
ადიან მშობლიური კერის მოსანახულებლად და საპატრონოდ,
თუმცა, ბევრი ოჯახი მუდმივად იქ ბინადრობს. ბაზგირეთის სა-
ნახები მათთვის ყველაზე დიდი რელიქვიაა და მის შემოგარენში
სიარული კი – უდიდესი ამქვეყნიური ჯილდო:

- სადევრი?
- ბაზგირელი!
- მოდი, ჩამართვი ჴელი!

სიცოცხლეში ვიაროთ
ჯანჯირი – ბაზგირეთი!

(ხალვაში, 2007: 311; შიოშვილი, 2011: 472)

მშობლიური სოფლის პატრიოტ ბაზგირეთლებს ორი დღი-
თაც კი არ შეუძლიათ, მოშორდნენ თავიანთ სოფელს:

დაბა და დევეითი,
ზემოდან – ზაქიეთი;
ორი დღე აღარა ვარ,
მომსურდა ბაზგირეთი!

ეს ლექს-სიმღერა 2009 წლის აგვისტოში ჩაგვანერინა 24
წლის ალი ილდიზმა, რომელიც ცხოვრობს ქალაქ იზმითში; იგი
წარმოშობით ბაზგირეთელია და ყოველ ზაფხულს სტუმრობს
საყვარელ სოფელს. აღსანიშნავია, რომ ბაზგირეთის მონატრე-
ბის მოტივის შემცველი ეს ლექს-სიმღერა ფართოდ არის გავ-
რცელებული არა მარტო ბაზგირეთლებს შორის; მისი ვარიან-
ტები 2005 და 2009 წლებში დავაფიქსირეთ სოფელ ჯვარიჭევ-
ში (მთქმელი 80 წლის ზულფეთ გუნემი), სოფელ ხევწრულში
(მთქმელი 45 წლის ნიგარ ორალი) და სოფელ უსტამისში (მთქმე-
ლი 64 წლის შაჰზენე ბილგინი).

როგორც ცნობილია, 1975 წელს შავშეთის სოფლებიდან (ბაზ-
გირეთი, ხევწრული, ჩიხორი, ბრილაგარა, უსტამისი, ზაქიეთი,
სვირევანი, ფარნუქელი), ეკონომიკური პირობების გასაუმჯობე-
სებლად, ბურსას რეგიონში გადასახლდა მოსახლეობის დიდი ნა-
წილი. მიგრირებულ იმერხეველებში, ბუნებრივია, კიდევ უფრო
გამძაფრებულია ბაზგირეთის სიყვარული. 2014 წელს 15 ივლისს
ბურსას რეგიონის სოფელ ბულაზში 50 წლის ქალბატონის – ესმა
ავჯისაგან და 2014 წლის 7 ივლისს ქალაქ ინეგოლში მცხოვრები
„გარმონჯის“ – აჰმედ ჩეთინისაგან (ცხვარიძე) ჩავინერე ბაზგი-
რეთის ციკლის ამ მშვენიერ ლექს-სიმღერათა ვარიანტები.

როგორც ჩანს, ამ ლექს-სიმღერის გავრცელების ფართო
არეალმა და მასიურობამ (მას სახალხო მომღერლები, ეგრეთწო-

დებული „გარმონჯები“, ასრულებენ მარიობის დღესასწაულებზე, ანუ ეგრეთწოდებულ ფესტივალებზე) განაპირობა, რომ იგივე სიტყვიერი ფაქტურით გაფორმებული პატრიოტული ლექს-სიმღერა ხალხმა თავიანთ სოფლებზეც შექმნა. სოფელ აგარას ერთ-ერთ უბანში – ვარდიძეში, ანუ ვარდიეთში, მცხოვრები 40 წლის სონერ მოსიძისაგან 2009 წლის 8 აგვისტოს ჩავინერეთ შემდეგი ვარიანტი:

დაბა და დევიეთი,
ზემოდამ – ზაქიეთი;
ორი დღე აღარა ვარ,
მომსურდა ვარდიეთი!

(შიოშვილი, 2011: 472)

მშობლიური მიწის ყოველი მტკაველი ძვირფასია შავშელი გუჯუებისათვის. სოფელ ხევწრულის (ჩალლიანი) მკვიდრმა ქალბატონმა – ნიჭიერმა სახალხო მთქმელმა ნიგარ ორალმა გულისტკივილით მოგვითხრო სოფლის ერთ-ერთ საყანე ადგილში – ბელტიეთში გაჩენილი ხანძრის შესახებ და იქვე ლექსადაც დაამღერა:

აველ ნაციხვარაზე,
გამოჩნდა ჩაქვიეთი.
ე რავაა გული მეწვის,
დანვილა ბელტიეთი!

(შიოშვილი, 2011: 472)

ჩვენებურთა იმედიანი განწყობილება, რომ გურჯული სიმღერები, რომლებიც წინაპრებისაგან დაუსწავლიათ, საყოველთაოდ არის გავრცელებული და მომავალი თაობაც არ დაივინყებს, ისმის სოფელ ბაზგირეთში 18 წლის იუსუფ ჩელიქისაგან (ცხვარიძე) 2005 წლის 24 ივლისს პროფ. რამაზ ხალვაშის მიერ ჩანერილ ლექს-სიმღერაში:

მალლა სერში ჩიტები,
დაყარონ'ნა შვილები.

ამ სიმღერას იტყვიან
 ჩვენი ბიზაშვილები!
 (შიოშვილი, 2011: 472)

პატრიოტული ხასიათის ლექს-სიმღერები შავშური ზეპირ-სიტყვიერების ორგანული ნაწილია. მართალია, ჩვენებურთა მეხსიერებას ვერ შემორჩა ტრადიციული პატრიოტული თემატიკის ამსახველი ნიმუშები, მაგრამ მამულის სიყვარული, მშობლიური გარემოსადმი განსაკუთრებული სათუთი დამოკიდებულება შავშური ფოლკლორის ერთ-ერთი უმთავრესი სამშვენიისა და, ბუნებრივია, აქაურთა იდენტობის უპირველესი ნიშანიც არის.



დაბა შავშათი, 2005 წ.
 პროფესორები მერი ცინცაძე და თინა შიოშვილი
 სტუმრად ალიე გოჩიენთთან (შუბლაძე)

სატრფიალო პოეზია

ყველა ხალხის, და მათ შორის ქართველთა, ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ერთ-ერთი წამყვანი დარგია სატრფიალო ლირიკა, რომელიც მრავალთა მიერ განცდილისა და გულისნადების გამოვლინებაა და მშვენივრად გამოხატავს ხალხის თვალსაზრისს საზოგადოებრივ მოვლენებზე, ადამიანთა გრძნობებზე, ცხოვრების იდეალებზე. შავშურ ზეპირსიტყვიერებაშიც, ბუნებრივია, სატრფიალო პოეზია ერთ-ერთი გამორჩეულია. ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის სახეობათაგან აქაურ ქართველებში უმთავრესად ვხვდებით შაირის ფორმის ქების, ელეგიისა და ნატვრის ლექს-სიმღერებს, რომლებშიც გადმოცემულია ჩვენებურთა თვალსაზრისი სიყვარულის ობიექტზე და ხოტბა-დიდება გამოთქმული სასურველი ადამიანის მიმართ; შექებულია სატრფოს გარეგნული და სულიერი სილამაზე; წარმოჩენილია მიჯნურთა სურვილები და ოცნებები.

საერთოქართული სატრფიალო პოეზიის დარად, შავშური სატრფიალო ლექს-სიმღერების უმთავრესი ადრესატია ქალი. ტრადიციულად ქართული სატრფიალო ლექსი ქალის გარეგნულ სიმშვენიერეს გადმოსცემს არა აღწერით, არამედ ერთი რომელიმე შტრიხით ქმნის განწყობას. ეს შტრიხი ხშირად სატრფოს ხილვაა: „ერთი შენი შემოხედვა ათას სევდას დაჰკარგავსო“ (ვირსალაძე, 1968: 269), – მღერის ქართლელი შეყვარებული. შავშური სატრფიალო ლირიკა ამ თვალსაზრისითაც ერთიანი ქართული ფოლკლორული სივრცის განუყოფელი ნაწილია. სატრფოს დანახვა შავში შეყვარებული ვაჟისათვის სამოთხის ხილვის ტოლფასია:

ატიანის სერებზე
ვერაჟინ ვერ ახტება.

მე რომ შენ დიგინახავ,
საჯენნეთო გახდება!

(შიოშვილი, 2011: 482)

ამგვარად გადმოსცა გულისსწორის დანახვით გამონვეული სიხარული ტიპურმა სახალხო მთქმელმა – 29 წლის ბაზგირეთელმა ჭაბუკმა თანერ (თანო) იშექმა (ჩაინერა თ. შიოშვილმა 2009 წელს სოფ. ბაზგირეთში).

იგივე აზრი და, ამავე დროს, სასურველ სამოსელში სატრფოს ხილვის სურვილია გამოთქმული სოფელ ხევწრულში ჩაწერილ ლექსში (მთქმელი გამზე თანრივერდი. ჩაინერა თ. შიოშვილმა 2005 წელს):

ჩოხა გეივადე, ჩოხა,
ფელეგი მოგიხდება.
შენი ერთი დანახვა
ჯენნეთი გემიხდება!

(შიოშვილი, 2011: 522)

ან კიდევ:

ეგ ლამაზი ჯაქეთი
ერა ფენა გიხდება!
ერთი შენი დანახვა
ჯენნეთი გიმიხდება!

(მთქ. სედათ სერგინი. ჩაინერა რ. ხალვაშ-
მა 2005 წელს სოფ. უსტამისში. დაბ.: ში-
ოშვილი, 2011: 523)

შავში შეყვარებულისათვის დაუვინყარია სატრფოს პირველი ნახვით გამონვეული აღფრთოვანება:

ჩვენ ჯანჯირის შუაზე
პანა ცეცხლი ავანთე.

ჯანჯირში რომ ჩამოხველ,
ჩამოხველ, მომანათე!

(მთქ. ქემალ ქამეშიძე, მცხ. სოფ. ბაზგირ-
ეთში. ჩაინერა თ. შიოშვილმა 1989 წელს ქ.
რიზეში)

სატრფოს ხილვით გამოწვეული სიხარული იმდენად დიდი ბე-
დნიერებაა, რომ შეყვარებულ ვაჟს სჯერა, რომ აღარ დაბერდება:

საყევარას ფერდები,
საკუპრიას გვერდები.
მე რომ შენ დეგინახავ,
ჰეი აღარ დავბერდები!

(მთქ. თანერ (თანო) იშეკი (მჭედლიძე). ჩა-
ინერა თ. შიოშვილმა 2009 წელს სოფ. ბაზ-
გირეთში. დაბ.: შიოშვილი, 2011: 485)

სასურველის სიზმარში ხილვა შავშურ სატრფიალო ლირიკა-
ში დადებით ემოციებთან არის დაკავშირებული:

ციყელიზირ კლდი ძირში
მივჯექე ერთ ნაძვი ძირში.
ჩემი ხარი დევნახე
გუშინდელ გერმელ ძილში.

(მთქ. ენსარ ქელიჩი (ხაჯიენთი). ჩაინერა
რ. ხალვაშმა 2005 წელს სოფ. დაბაში. დაბ.:
შიოშვილი, 2011: 487)

ამაღლებულ ადგილას, კლდის ძირში, სიზმრის ნახვა უნდა
უკავშირდებოდეს ეგრეთწოდებულ ზიარეთს, სადაც მორწმუნე-
ები მიდიოდნენ და ლოცულობდნენ, რათა განკურნებულიყვნენ,
მისცემოდათ შვილი და შესრულებოდათ სათხოვარი, რასაც, ბუ-
ნებრივია, შეყვარებულებიც მიმართავდნენ.

ზიარეთი, ანუ სალოცავი, წმინდა ადგილია, სადაც მორწმუნე დაიძინებს და სიზმარში სასურველ რჩევებს მიიღებს. ზიარეთში სიარულის და იქ დაძინების ჩვეულებას იცნობს მესხეთისა (ბერიძე, 2011: 134) და აჭარის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სინამდვილეც. 1972 წელს მკვლევარ ზურაბ თანდილაყას მიერ ხულოს რაიონის სოფელ სკვანაში 73 წლის მემედ ჯაიანისაგან ჩანერილი ლეგენდის – „ლაზი ხოჯები“ (ნბიფა, №70: 186-190) – თანახმად, ზიარეთი შეიძლება იყოს წმინდანის საფლავიც. ზიარეთობის ტრადიციას ვრცლად განიხილავს მკვლევარი მალხაზ ჩოხარაძე ნაშრომში „ხანძთა და ათორმეტ სავანეთა მხარის ძველი სალოცავები“ (ჩოხარაძე, 2015: 113-122) და, სათანდო მასალაზე დაყრდნობით, მიუთითებს, რომ „ზიარეთში წასვლის ტრადიცია 21-ე საუკუნეშიც შემორჩა, თუმცა – საგრძნობლად გაღარიბებული და გაფერმკრთალებულია, მოიშალა სანთლების დანთება, გაქრობის პირასაა მსხვერპლის შეწირვის წესი და სხვა“ (ჩოხარაძე, 2015: 119).

ზიარეთის შესახებ მასალა თავის დროზე მოიპოვა ნიკო მარმა იმერხევის სოფელ თეთრაქედში, რომელიც, იმდროინდელ მცხოვრებთა თქმით, ახალი დასახლება იყო და სოფელ გიგიეთიდან გადმოსულ ათიოდე კომლს მოიცავდა (მარი, 1911: 78, 80). თეთრაქედელები, მარის თქმით, ყველანი მუსულმანები იყვნენ; მათ მოუყოლიათ ზიარეთში სიარულის ტრადიციის შესახებ:

„– ზიარეთში წავალთ, მუმს გავაკეთებთ, გავადნობთ, ძაფს ჩავყოფთ და ამევიღებთ, წავიღებთ. ზიარეთათ ფორტას წავალთ და მერის[ს], აჭარას“.

როგორც იმ დროისათვის მარის 65 წლის ინფორმატორისაგან ვგებულობთ, იმერხევიდან ზიარეთში მოდიოდნენ აჭარაში, კერძოდ – მერისის ხეობაში.

ფორთაში „ზიარეთად წასვლის“ თაობაზე და მთელ რიტუალზე საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მარისეული ჩანაწერი: „ფორტის ზემოთ არი ჩვენი ზიარეთი, ერთ საათ გოუნწევს. ზიარეთზე მარტოდ მოშენებული სახლი არი ქვიდან, ყულაჲ; მოშენებული, ყულანდელი, მაშინდელი.“

ზიარეთში დაწვებიან, სიზმარში ნახვენ. ეტყვის სიზმარში, ეს დაკალიო, და ფული არუქეო, შინ დაკალიო, და აქ დაკალიო. რაცხასაც რომ ეტყვის, დაკლავს. ყოჩ (მამალი ცხვარი), ცხვარ ეტყვის, ჯარ, ზროხას ეტყვის. ქათამი გაგვიგონია, სხვ ჩიტი არ გაგვიგონია“.

მარისეული ცნობის თანახმად, ზიარეთში დადიან ქალებიც და კაცებიც. „კარი არა აქ, შევა შიგ კაცი და ქალი, პერანგს ჩაიცვამს მარტო. ოქრო, ვერცხლი არ იქნება, მარტო პერანგი და ნიფხავი“.

ზიარეთში მლოცველი ანთებს სამ, ხუთ, შვიდ ან ცხრა სანთელს და დაწვება, რათა ნახოს სიზმარი იმის შესახებ, რაც აწეხებს. თუ არაფერი ესიზმრა, არ ეშველება, ხოლო „თუ ნახა, თვალს დააბანიებს სიზმარში (მოუტანს რაცხას, ისე ეჩვენება), ასვამს და ეტყვის ყურბანიო...“

როგორც ნიკო მარის მთხრობელი მიუთითებს, მათი „ზიარეთად წასვლა“ ხდება ქრისტიანულ ეკლესიაში (მარი, 1911: 79). ქრისტიანულ სალოცავებში ღამისთევით წასვლა ჩვეულებრივი მოვლენაა საქართველოს ყველა კუთხეში, რაც იმერხევშიც შემონახულა.

სოფ. ბაზგირეთის მახლობლად მდებარე ზიარეთის შესახებ ცნობას ვხვდებით ერთ-ერთ ბაზგირულ სატრფიალო ლექსშიც:

ჯანჯირის ბანრებიდან
გეიარ, გახვალ ზიარეთ;
სულ აღარ მავინყდება,
ჩვენ რომ ერთად ვიარეთ.

(მთქ. თანერ (თანო) იშეკი (მჭედლიძე). ჩაინერა თ. შიოშვილმა 2009 წელს. დაბ.: შიოშვილი, 2011: 484)

ბაზგირეთის ზიარეთზე საინტერესო მასალა მოიპოვა ბსუ დოქტორანტმა – იმერხველმა მემედ-ალი ქესქინმა 2012 წელს: „ბაზგირეთის პლატოს წინ ზიარეთი მდებარეობს... აქ მრავალი

სართულია. ნებისმიერ ავადმყოფ ადამიანს დაანვენენ. რწმენა არის, რომ ავადმყოფი ადამიანი თუ დაიძინებს და ძილში სიზმარს ხედავს, მაშინ გაკეთდება“ (მთქმელი ადილ თორუნი, მცხ. სოფ. გამეშეთში. მასალა დაცულია ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ფოლკლორულ არქივში).

სოფელ იფხრეულის ზიარეთის შესახებ ამავე სოფელში მცხოვრები დურსუნ ავჯისაგან 2012 წელს მეჭმედ-ალი ქესქინის მიერ ჩანერილი ცნობის მიხედვით, იფხრეულის ზიარეთში მრავალი საფლავია, მაგრამ მარტო ერთ საფლავს თვლიან წმინდად. ამ წმინდა საფლავში აწვენენ ავადმყოფს და სჯერათ, რომ თუ ძილში სიზმარს ნახავს, განიკურნება („გაკეთდება“). „ეს სასაფლაო რომელ საუკუნეში გაკეთებული არის ან მკვდრები ვინები არიან, არავინ იცის“ (მასალა დაცულია ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ფოლკლორულ არქივში).

აღსანიშნავია, რომ ზიარეთში ნასვლის ჩვეულება დასტურდება დღეს თურქეთის გამგებლობაში მოქცეულ მაჭახლელთა შორისაც. 1989 წელს ქ. რიზეში 32 წლის სულეიმან ოზჯანისაგან (სელიმოღლი), რომელიც დაბადებული და გაზრდილია მაჭახელში, სოფელ ზედვაკეში, ჩავიწერე ლეგენდა „ზიარეთის გული“. ამ ლეგენდის თანახმად, ზიარეთის ტბის ჭალებში „ინსანი დაწვებოდა. რაცხა თავზე უნდა გადახდეს, თელ ელაპარაკებოდა წვერიანი დედე. ეს დედე კარგი ინსანია. ის სიზმარში ელაპარაკება. მერე ადგება ინსანი, ვინმეს ვერ დეინახავ“ (ნბიფა, საქმე № 284:103-104).

შავშური სატრფიალო ლირიკის თანახმად, შეყვარებულის ყოველი გამოხედვა უდიდესი შვება და სიხარულია:

თაზე მივდოდი, თაზე,
ევიარე ჭალებში;

რა ლამაზათ მიყურეფ,
გენაცვალე თვალეში!

(მთქ. თანერ (თანო) იშეკი (მჭედლიძე). ჩა-
ინერა თ. შიოშვილმა 2009 წელს სოფ. ბაზ-
გირეთში. დაბ.: შიოშვილი, 2011: 486)

შავში ვაჟისათვის მუდამ სანატრელია კარგ ხასიათზე მყოფი
გულისსწორის ხილვა. სოფელ ბაზგირეთში აიჰან სეჩერისაგან
ჩვენ მიერ 2005 წელს ჩანერილი ლექსის თანახმად, შეუბრალებ-
ბელი სატრფო დღე და ღამე ატირებს შეყვარებულ ვაჟკაცს:

გადი ყანი დარეზე,
გადი-გამოფ, მიყურე.
ე რა ზალუმი იყავ,
დღისით-ღამით მატირე!

(შიოშვილი, 2011: 482)

ამიტომაც ნატრობს ვაჟი შეყვარებულის ღიმილის ხილვას და
პირდება, რომ სათუთად შეინახავს უბეში:

საფექროში დგომები –
შენი თეთრი კბილები!..
გეიცინე, დეგინახო,
უბეში შეგინახო!

(მთქ. მესუთ ქოჯა. ჩაინერა თ. შიოშვილმა
2009 წელს სოფ. აგარაში. დაბ.: შიოშვილი,
2011: 482)

განაწყენებული, გაბუტული სატრფო არ არის შავშური სატ-
რფიალო ლირიკის სასურველი ადრესატი. ჩვენ მიერ 2009 წელს
სოფელ უსტამისში შაჰზენე ბილგინისაგან ჩანერილ ლექსში
„გაბუკულ“ მიჯნურს ასე მიმართავენ:

ჩარში ფრინავს კუკული,
რაზე ხარ გაბუკული?

გეიცინე, დეგინახო,
უბეში შეგინახო!

(შიოშვილი, 2011: 482)

ანდა:

გეცინო, დიგინახო,
უბეში შიგინახო.
მემეპარე კარიდან,
აჯაფ, სა დიგინახო!

(მთქ. ბინალი თათუიშვილი. ჩაინერა მ.
ცინცაძემ 2005 წელს სოფ. უსტამისში.
დაბ.: შიოშვილი, 2011: 482)

ლექსის ზოგიერთ ვარიანტში შეყვარებული ვაჟი ქალს მარანში შენახვას პირდება:

გოგლი, გოგლი, გოგოჯან!
გეიცინე, დიგინახო
მარანში შიგინახო!

(მთქ. ფუნარ ალთუნი, ჩაინერა თ. შიოშვილი
2009 წელს სოფ. უსტამისში. დაბ.:
შიოშვილი, 2011: 482)

მარანს ჩვენებურები ბელელს უძახიან. ბელელში შენახვა კი ამ შემთხვევაში ნოყიერად, ფუფუნებით ცხოვრებაზე უნდა მიანიშნებდეს.

სატრფოს ხილვა შავშელი შეყვარებულისათვის ტანჯვაც არის და გულის დანვაც, თუკი მოწონება და სიყვარული ცალმხრივია. 2005 წელს სოფ. იფხრეულში ჩვენ მიერ ჩაწერილი ერთი სატრფიალო შაირი გვაცნობს ცალმხრივი სიყვარულით დატანჯული მიჯნურის განცდებს:

ტაფაზე დავდე ძალი,
ერა ფენა დემენვა!

სერი რომ გედეარე,
ერა გული დემენვა!
(შიოშვილი, 2011: 483)

ზოგჯერ სატრფოს უიმედო ხილვა უძილო ღამეებსაც ინვევს:

მერეთა, მაჭახელი,
გოგო, რა გაქ სახელი?
გუშინ რო დეგინახე,
ვერ ვიძინე წუხელი.

(მთქ. ნიგალ ორალი, ჩაინწერა თ. შიოშვილ-
მა 2009 წელს სოფ. ხევწრულში. დაბ.: ში-
ოშვილი, 2011: 482)

შავშური სატრფიალო ლირიკის თანახმად, ჟრუანტელებისა და
გულის კანკალის გარეშე შეუძლებელია სატრფოს ხილვა:

გაღმა სერში ქათამი
დამჟდარა და კაკანობს;
მე შენ რომ დიგინახავ,
გულში გამაკანკალებს.

(მთქ. შაჰზენე ბილგინი. ჩაინწერა თ. შიოშ-
ვილმა 2009 წელს სოფ. უსტამისში. დაბ.:
შიოშვილი, 2011: 482)

ანდა:

გაღმა სერში თიკანი
გამოღმა მოკაკანებს;
ერთი შენ დიგინახავ,
გულში გამაკანკალებს.

(მთქ. სურმელ ილდიზი. ჩაინწერა თ. შიოშ-
ვილმა 2005 წელს სოფ. იფხრეულში. დაბ.:
შიოშვილი, 2011: 482)

სატრფოს გახსენებაც კი ცეცხლის აღს უნთებს შავშ ვაჟკაცს და ცრემლსაც ჰვგრის. პროფ. მერი ცინცაძის მიერ 2005 წელს სოფ. ზაქიეთში 62 წლის შააზიე ათეექინისაგან ჩანერილი სატრფიალო სტრიქონები შავშური ხალხური პოეზიის ერთ-ერთი შედეგია, რომელშიც მშვენივრად არის დახატული სატრფოს გახსენებასთან დაკავშირებული უალრესად სათუთი განცდები:

შენ რომ მომაგონდები,
გევხრუკვი და გეველანძვი!
მივალ ნეკრი საკაფვაჲ,
დავკაფო'ნა ცხემლები...
შენ რომ მომაგონდები,
მომდინდება ცრემლები...

(ფალავა, ცინცაძე, 2011: 394)

ამ მშვენიერ სატრფიალო ლექსში შემონახულია წარმართობისდროინდელი ხის კულტის ამსახველი რიტუალი „ცხემლის ჭრა“, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენში აღარ იციან და არც შავში შეყვარებული იხსენიებს ძველქართული მაგიურ-რელიგიური გაგებით; ეს ოდენ ისტორიული მეხსიერებაა, ამ ეტაპზე გაუაზრებელი, მაგრამ – ძირძველი ქართული. ცხემლის, ანუ რცხილის, ტოტებს ჩვენი წინაპრები მაგიურ-პროფილაქტიკური დანიშნულებით იყენებდნენ. როგორც მკვლევარი ჯემალ ნოლაიდელი მიუთითებდა გასული საუკუნის 60-იან წლებში ცხემლის ჭრა აჭარაში და გურიაში ჯერ კიდევ იყო შემონახული: „ოჯახის უფროსი მამაკაცი ურმით მიდის ტყეში, შეარჩევს ხშირტოტებიან ცხემლას, მოჭრის, ტოტებს შეაჭრის, ტანს მორებად დაჭრის, დაანყობს ურემზე და მოიტანს სახლში. ამ მორებს ანანილებს შემდეგნაირად: შეშისათვის, ცეცხლზე მისანყობად, დააპობს რამდენიმე მორს და ერთმანეთზე გარდიგარდმო დაანყობს; რამდენიმე მორს დაანყობს კარიასთან (საქათმესთან), რათა ქათმებმა გადაიარონ მათზე; რამდენიმე ტოტს დაანყობენ ახორის წინ, რომ ზედ საქონელმა გადაიაროს; რამდენიმე ტოტს

დაალაგებენ კიბის წინ, სადაც ოჯახის წევრები გაივლიან და ტოტებზე გადაივლიან. ახალი წლის დილით, დიასახლისი რომ ადგება და ცეცხლს დაანთებს, პირველად ცხემლის შემას შეუწყობს ცეცხლს“ (ნოლაიდელი, 1971: 121-122).

აჭარის სატრფიალო პოეზიაში თითქმის იდენტური სტრიქონებით არის გამოხატული შეყვარებულის აფორიაქება:

გაღმა ქათამი გავდენე,
გამოღმა გამოკაკანებს;
ბიჭოვ, შენი სიყვარულით
მაციეფს და მაკანკალებს.

(ნბიფა, №14: 147)

ზოგჯერ კი ვაჟისეული განცდა ზღვის ღელვას ემსგავსება. ამის დასტურია 2014 წელს შუშანა ბერიძის მიერ ქედის რაიონის სოფელ ცხმორისში მირზა ქობულაძისაგან ჩაწერილი ზემოგანხილული სატრფიალო შაირის ვარიანტი:

გაღმა ქათამი გავდენე,
გამოღმა გამოკაკანებს;
ლამაზ გოგოს რომ დევნახავ,
ზღვასავით გამაკანკალებს.

არცთუ იშვიათად აჭარის ზეპირსიტყვიერებაში იმავე სიტყვიერი ქსოვილით ქალის გრძნობებია გამოხატული:

გაღმა ქათამი გავდენე,
გამოღმა გამოკაკანებს;
– ბიჭოვ, შენი სიყვარულით
მაცხელებს და მაკანკალებს!

(მთქმელი სულიკო ბოლქვაძე, მცხ. ქ. ქობულეთში. ჩაიწერა ხატია მემარნემ 2014 წელს)

გამუდმებით შეყვარებულისაკენ გაურბის თვალი შავშელ მიჯნურს, რაც სათანადოდ აისახა სატრფიალო ლექს-სიმღერებში.

2009 წელს ჩვენ მიერ სოფელ აგარაში 18 წლის მესუთ ქოჯასაგან ჩაწერილი სატრფიალო შაირის თანახმად, გამიჯნურებულ ვაჟს თვალი სატრფოსაკენ „ექცევა“:

თაზე მიმყავს ორი ხბო,
იქით-აქეთ მექცევა;
მე რომ შენ დეგინახავ,
თვალი შენკენ მექცევა.

(შიოშვილი, 2011: 485)

ლექსის სხვა ვარიანტის თანახმად, შეყვარებულის ხილვისას გული გარბის:

თაზე მიმყავს ორი ხბო,
იქით-აქეთ მექცევა;
რომ ქი შენ დიგინახავ,
მე გული გემექცევა.

(მთქ. ბედრი დუზჯანი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წელს. დაბ.: შიოშვილი, 2011: 528-529)

შავშური სატრფიალო ლირიკის მიხედვით, შეყვარებულისათვის თუნდაც ერთჯერ თვალის შევლებაც კი საკმარისია, რომ ხსოვნაში სამუდამოდ დარჩეს მისი ხატება:

გალმა სერში ნაზვი დგას,
ნაზვი შიგან წყალი დგას;
ჩემ კარზე რომ გეფარე,
ჰალა თვალებში დგას.

(მთქ. არზუ ავჯი. ჩაიწერა რ. ხალვაშმა 2005 წელს სოფ. იფხრეულში. დაბ.: შიოშვილი, 2011: 487)

სატრფოს ხილვის თემატიკის შავშურ ლექს-სიმღერებში ზოგჯერ ეროტიკაც გამოერევა:

ღელე-ღელე მივდოდი,
ღელე – ბალახიანი;
ერთი გოგო დევნახე
ზუზუტალახიანი.

(მთქ. სევგგიე თემური (სვარიზაშვილი). ჩა-
ინერა თ. შიოშვილმა 2005 წელს სოფ. ბაზ-
გირეთში. დაბ.: შიოშვილი, 2011: 485)

ანდა:

გავიდე'ნა ტყიაში,
მევიტანო ზეხმელი;
ერთი გოგო დევნახე
ტანსუქანი, პირხმელი.

(მთქ. თანო (თანერ) იშეკი (მჭედლიძე). ჩა-
ინერა თ. შიოშვილმა 2009 წელს სოფ. ბაზ-
გირეთში. დაბ.: შიოშვილი, 2011: 485)

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ შავშური სატრფიალო პოეზი-
ისათვის დამახასიათებელია გარკვეული სითამამე სიყვარულ-
ის გამხელაში; ამ თვალსაზრისით აქაურთა დამოკიდებულება
ტრფობის ობიექტისადმი სიახლოვეს ავლენს ფშაურ სატრფი-
ალო ლირიკასთან. შავში ჭაბუკი არ ერიდება, სატრფოს მიუმღე-
როს:

ფეხზე ჩევიცვი ფოთინი,
ოდნავ ნამოდებული;
ამეზლამ დევიზინოთ
ჯელი ჩამოდებული.

(მთქ. სონერ მოსიძე. ჩაინერა თ. შიოშვილ-
მა 2009 წელს სოფ. ვარდიეთში. დაბ.: ში-
ოშვილი, 2011: 486)

ანდა:

ჩაფულები დიმიცდა,
ოთუზ სექიზ ნუბარა;
ამე ზლამ შენთან მუალ,
არ'და მიყო დუბარა!..

(მთქ. აჰმეთ იალიჯი. ჩაინერა რ.ხალვაშმა
2005 წელს სოფ. იფხრეულში. დაბ.: შიომ-
ვილი, 2011: 487)

ან კიდევ:

ჭიჭლიყ ემოფ, მეველუდ ემოფ.
შავ ტყეშია გელი ბუდე,
მოდ, ქალო, ჩემეხუტე!

(მთქ. ეუბ სეჩინი. ჩაინერა რ. ხლვაშმა
2005 წელს სოფ. ბაზგირეთში. დაბ.: შიომ-
ვილი, 2011: 487)

ერთგვარ აღსარებასავით ჟღერს შავში მიჯნურის სიტყვები:

წისქვილ პური დავაყარე,
სარეკელაფ უხდებოდა;
მე რომ იმ ლამაზზე არ მეკოცნა,
მერაყისგან მოკტებოდა.

(ფალავა, ცინცაძე, 2011: 458-459)

ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკისათვის ყველაზე ნიშანდობლივია სატრფოს, უმთავრესად ქალის, სილამაზის შექება. ამ მხრივაც არ ღალატობს საერთოქართულ ტრადიციას შავშური სატრფიალო ლირიკა. 2005 წელს იმერხევის ულამაზეს სოფელ ზიოსში ჩვენ მიერ აიშე ილმაზისაგან (მოლოლლი) ჩაწერილი ლექსის თანახმად, სატრფო ამქვეყნად ყველაზე ლამაზია::

ნაფუნევის ზედედან
ატიანი დუზია;

ი ჩემი საყვარელი
ბითევზე ლამაზია!
(შიოშვილი, 2011: 484)

ანდა:

ბაზგირეთის უკნედან
საზგირელი დუზია;
ერთი გოგო დევნახე,
ბითევზე ლამაზია!
(მთქ. თანერ (თანო) იშეკი (მჭედლიძე). ჩა-
ინერა თ. შიოშვილმა 2009 წელს სოფ. ბაზ-
გირეთში. დაბ.: შიოშვილი, 2011: 484)

ტანკენარობასთან ერთად, შავშური სატრფიალო ლირიკის
ადრესატი შემკული უნდა იყოს მშვენიერი თმითაც:

წვიმა წვიმს და ნამი არა,
სულ კაბაში გამიარა.
ღელე-ღელე გავიარე,
ღელე ბალახიანი.
ერთი გოგო დევნახე
წელი წმინდა, თმიანი.
(ფუტკარაძე, 1991: 13)

იფხრეულელი სატრფოც ლამაზია და თმიანი:

გაღმა ჯარი გავდენე
დაბალი და ქიანი;
ერთი გოგო შევყვარე
ლამაზი და თმიანი.
(მთქ. აჰმეთ იაზიჯი (სუმაში); ჩაინერა რ.
ხალვაშმა 2005 წელს სოფ. იფხრეულში.
დაბ.: შიოშვილი, 2011: 487)

აღსანიშნავია, რომ შავშელთა სატრფიალო ლირიკაში სატრფოს სამოსელ-სამკაულთა ქება მისი გარეგნული ქების ტოლფასია. 2005 წელს სოფ. ბაზგირეთში ქემალ ჩალიშქანისაგან (ჯივანოლლი) ჩვენ მიერ ჩანერილი ლექსის თანახმად, შეყვარებული ვაჟი მოხიბლულია სატრფოს თეთრი კაბით:

დილაჲ გამუელ კარზე,
მიხვიდოდი თი გზაზე;
რა ფენა გიხდებოდა
თეთრი ელბისე ტანზე!
(შიოშვილი, 2011: 484)

ანდა:

ტაფა მოიტანეთ, ტაფა,
მოადულო'ნა ფაფა;
რა ლამაზათ გიხდება
შენ თავზე თეთრი კაბა!
(მთქ. თანერ (თანო) იშექი (მჭედლიძე). ჩაინერა თ. შიოშვილმა 2009 წელს სოფ. ბაზგირეთში. დაბ.: შიოშვილი, 2011: 484)

ან კიდევ:

ზივიანი ლერეგი
რა ლამაზათ გიხდება!
ერთი შენი დანახვა
ჯენნეთი გიმიხდება!
(მთქ. ნინო დურმუში (მოსიაშვილი). ჩაინერა რ. ხალვაშმა 2005 წელს სოფ. უსტამისში. დაბ.: შიოშვილი, 2011: 523)

სატრფოს სილამაზის შედარება ციურ მნათობებთან – მზესთან და მთვარესთან – ქართული ხალხური სატრფიალო პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მხატვრული თავისებურებაა; ეს ტრადი-

ციული სახე ზოგჯერ მხატვრული შედარებით არის წარმოდგენილი, ზოგჯერ კი ხალხური აზროვნების არქაულ სახეებს უკავშირდება (ვირსალაძე, 1968: 273-276). შავშურ სატრფიალო ლირიკაში საყვარელი ქალის სახე ერთდროულად არის შედარებული მზესთანაც და მთვარესთანაც. 2009 წელს სოფ. ბაზგირეთში თანერ იშექისაგან ჩანერილი ერთი სატრფიალო ლექსის თანახმად, სატრფო მზისაგან გაბრწყინებულ მთვარედ არის დასახული:

...ი ჩემი საყვარელი
ბზეამოსულ თვარეს გავს!
(შიოშვილი, 2011: 486)

შავში მიჯნური თავისი სიყვარულის ერთგულია:

გაღმა სერში თეთრი ქვა,
დავყევ ხელი, არ ამყვა;
ეს ჩემი სიყვარული
საცხა ნეველ, იქ წამყვა.
(მთქმ. ქემალ ქამეშიძე. ჩაინერა თ. შიოშვილი 1989 წელს ქ. რიზში)

შავშურ სატრფიალო ლირიკაში, ზოგადქართულის მსგავსად, სრულიად ბუნებრივად გამოსჭვივის შეყვარებულის მუდმივი თანმდევი სევდიანი განწყობა:

ჯანჯირის ახალ გზაში
სამი თანედ ვირაჟი;
ინგუარ დერდში ჩამაგდე,
ვერა ვნახე ილაჯი.
(ხალვაში, 2007: 313; შიოშვილი, 2011: 486)

სიყვარულის სევდა-წუხილის გამომხატველ სახასიათო ლექს-სიმღერას „...გაღმა სერში თეთრი ქვა...“ მღერიან შავშეთის თითქმის ყველა ქართულ სოფელში:

გალმა სერში თეთრი ქვა,
დავყევ ჴელი, არ ამყვა;
ე ბათაჯალი სევდა,
საცხა წვევლ, იქ წამყვა!

(მთქ. ჯაფერ თორუნი (გამეშიძე). ჩაინერა
რ. ხალვაშმა 2005 წელს სოფ. ბაზგირეთ-
ში. დაბ.: შიოშვილი, 2011: 483)

ანდა:

იგერ, გალმა, თეთრი ქვა,
ჩამოველ აქ, ჩამომყვა;
შენმა სევდამ, სიყვარულმა,
სადაც წვევლ, იქ წამყვა.

(ფუტკარაძე, 1991: 12).

ან კიდევ:

ფენჯერეზე ორი ქუა,
ჴელი დავჴკარ, არ ამყუა;
ე გამოვსილი სევდა,
საცხა წვევლ, წამომყუა.

(ფუტკარაძე, 1993: 220).

ტრადიციული, პარალელიზმის ხერხზე აგებული ეს ლექს-
სიმღერა ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს თით-
ქმის ყველა კუთხეში; მისი იმერული ვარიანტი ამგვარია:

მინდორშია თეთრი ქვაო,
დავკარ ხელი, თან ამყვაო;
გოგო, შენი სიყვარული
სადაც წაველ, თან წამყვაო.

(ქრესტ., 1970: 387).

შავშელმა მიჯნურმა სასიყვარულო სევდას ერთგვარი „წამა-
ლიც“ მოუძებნა. 2009 წელს სოფელ უსტამისში შაჴზენე ბილგი-

ნისაგან ჩვენ მიერ ჩანერილი სატრფიალო ლექს-სიმღერის თანახმად, სიყვარულში ჩამწვარი მიჯნური ამბობს:

ეჭლოჯან, ეჭლოჯან,
ორ ზიგარას ნუუკიდე,
ერთი შენ სვი, ერთი – მე;
ორთავე დაწვილი ვართ,
ერთი შენ თქვი, ერთი – მე.
(შიოშვილი, 2011: 482)

ლექსის სხვა ვარიანტი კი ქადაგებს, რომ „აშილები“ გრძნობებს არ უნდა მალავდნენ:

ორ სიგარას ნუუკიდე,
ერთი შენ სვი, ერთი – მე;
ორთავე აშული ვართ,
ერთი შენ თქვი, ერთი – მე.
(მთქ. გულსარე დუზგუნი (ჯივანაშვილი).
ჩაინერა თ. შიოშვილმა 2005 წელს სოფ. ბაზ-
გირეთში. დაბ.: შიოშვილი, 2011: 519-520)

შავშელ შეყვარებულს სატრფოს გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია. სოფელ აგარაში ჰალიმ სეჩქინისგან 2009 წელს ჩვენ მიერ ჩანერილ ლექსში უზომოდ შეყვარებული სატრფო ასე ამხელს თავის გრძნობებს:

ხეზე აველ უჯელო,
ვერ ჩამუელ უფეხო;
რატომ დიდი შემეყვარდი,
ვერ დავდგები უშენოთ!
(შიოშვილი, 2011: 483)

ანდა:

ჩვენ ჯანჯირის აღმართში
სამ საათზე ვერ ევალ;
დავწვები შავ მინაში,
მე შენიდან ვერ გევალ!

(მთქ. ფატმა მეიდან (ყარამემედოლი).
ჩაინერა თ. შიოშვილმა 2005 წელს სოფ.
ბაზგირეთში. დაბ.: შიოშვილი, 2011: 483)

შეყვარებულის ნათქვამი ყოველი სიტყვა სამუდამოდ გულის
ფიცარზე აქვს აღბეჭდილი შავშ მიწნურს:

ჩვენ ჯანჯირის შუაში
ცივი წყალი ამოდის;
დარ, შენი ნათქვამები
გულიდან არ ამოდის.

(მთქ. გულსარე დუზგუნი (ჯივანაშვილი).
ჩაინერა თ. შიოშვილმა 2005 წელს სოფ.
ბაზგირეთში. დაბ.: შიოშვილი, 2011: 483)

შავშურ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ არის გავრცელებუ-
ლი საქართველოს ყველა კუთხეში პოპულარული სატრფიალო
ლექს-სიმღერა – „...წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა...“ – ვარიანტე-
ბი, რომლებიც ფაქტობრივად იდენტური სიტყვიერი ქსოვილით
არიან გაფორმებულნი:

ღელეს მიაქ ნაფოტი,
კატრის ჩამონათალი.
შედეგ, ღელევ, მითხარი
დარის შემონათვალი!

(ხალვაში, 2007: 313; შიოშვილი, 2011: 520)

ანდა:

ნარდანინა, ნინაანა,
ნარდანინა, ნინაანა,

ნარდანიანა, ნინაძე,
ნარდანიანა, ნინაძე.
ლეღეს მოაქ ნაფოტი,
ალღის ჩამონათალი.
შედეგ, ლეღევ, მითხარი
დარის შემონათვალი!
ნარდანიანა, ნინაძე,
ნარდანიანა, ნინაძე,
ნარდანიანა, ნინაძე,
ნარდანიანა, ნინაძე.

(ფუტკარაძე, 1991: 29)

ამ ლექს-სიმღერის დიალოგური ფორმის მესხური ვარიანტი ამგვარია:

წყალსა მოჰქონდა ნაფოტი
ალღის ხის ჩამონათალი.
– დადექ, წყალო, და მიაბე
მოყვარის შემონათვალი!
– შენი მოყვარე ტანწვრილი
შუა გზას ვნახე დაჭრილი,
დავჯექ და ბევრი ვიტირე,
ზედ მივაყარე ქვანწვრილი.

(ქართ. ხალხ. პ., ტ. VI, 1978:149)

საინტერესოა, რომ ლექსის ზოგიერთ აჭარულ ვარიანტში ნა-
ფოტი აღმასის ჩამონათალია:

წყალსა ნაფოტი მოქონდა
აღმასის ჩამონათალი...

(აჭ. ხალხ. პ., I, 1969:112)

ზოგი ვარიანტით კი ქოროხს კვიპარისის ნაფოტი მოაქვს:

ჭოროხ ნაფოტი მიაქ
სელვის ჩამონათალი;
შედექ, წყალო, მითხარი,
აარის შემონათვალი!

(ნბიფა, №150:75).

ლექსი დიალოგური ხასიათისაა ქართლურ, კახურ და იმერულ ვარიანტებშიც (ქართ. ხალხ. პ., ტ. VI, 1978: 381-384); თუმცა, აჭარული ვარიანტები ოთხსტრიქონიანია და თითქმის შავშურის იდენტურია. ჩვენებურების მეხსიერებას, სამწუხაროდ, მხოლოდ ლექსის პირველი ნაწილი შემოუნახავს. ამ ლექს-სიმღერის კომენტარებისას ცნობილმა ფოლკლორისტმა ვახტანგ კოტეტიშვილმა თავის დროზე აღნიშნა, რომ აქ ნახსენები ნაფოტი არქაული მსოფლმხედველობის ნაშთია და სცილდება ქართული ფოლკლორის საზღვრებს. იგი ვარაუდობდა, რომ ლექსი რომელიღაც ვრცელი თქმულების ფრაგმენტია და „ის მთელია საძიებელი, რომლის „ნაფოტსაც“ ეს ლექსი წარმოადგენს“ (კოტეტიშვილი, 1961: 345-346). სამწუხაროდ, ლექსის შავშური ვარიანტები კიდევ უფრო ფრაგმენტულია და ვერაფრით გვეხმარება მთელის პოვნაში; მიუხედავად ამისა, თავად ის ფაქტი, რომ შავშელმა ჩვენებურებმა ეს მშვენიერი ნიმუში ეროვნული ზეპირსიტყვიერებისა დღემდე შემოინახეს, ბუნებრივია, სასიამოვნო რეალობაა.

შავშურ ფოლკლორში ძალზე გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში პოპულარული ლექს-სიმღერა „... მინდორში, ბალახ-ბულახში“, რომლითაც მიჯნური ვაჟი ფარულ პაემანს სთავაზობს სატრფოს. საქართველოში დაფიქსირებული ვარიანტებისაგან განსხვავებით („მინდორში, ბალახ-ბულახში ამოსულიყო იაო“), შავშური ლექს-სიმღერის თანახმად, მინდორში ეკალია ამოსული, რაც სიმბოლურად შეყვარებულთა შორის არსებულ პრობლემათა მოგვარებაზე უნდა მიანიშნებდეს, რადგანაც ეკალი შავი მაგიის გამაუვნებელმყოფელი, ავი

თვალისაგან დამცავი სიმბოლოა. აღსანიშნავია, რომ ძველ ეგვიპტეში აკაცის ეკალი ადამიანთა მფარველი ქალღმერთის – ნეიტის ატრიბუტად აღიქმებოდა, ხოლო ეკლის გვირგვინი, რომელიც ჯარისკაცებმა, დაცინვის ნიშნად, თავს დაადგეს იესო ქრისტეს, ვითარცა „იუდეველთა მეფეს“, ბიბლიის მკვლევართა უმეტესობის აზრით, კვრინჩხის ბუჩქისა იყო და „ძევის გვირგვინად“ მოიხსენიება; მაგრამ ბიბლიის ქართულ თარგმანში დაინერგა გამოთქმა „ეკლის გვირგვინი“. ამდენად, ეკალმა ორგვარი სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა: ერთის მხრივ განასახიერებს მაცხოვრის მონამეობრივ გზას, საზოგადოდ კი – წამებასა და განსაცდელს, და, მეორე მხრივ, იმავდროულად, სიმბოლური ინვერსიით – ამ განსაცდელის უვნებელყოფასა და მისგან თავდაცვას (სიმბ. ენციკლ., 2006: 64).

საანალიზო შავშური ლექს-სიმღერის მეორე ნაწილში გამოცემულია სურვილი ერთად „კაკლის ტეხვის“ ან „ქათმის შეჭმისა“, რასაც, ჩვენი აზრით, ნაყოფიერების სიმბოლური დანიშნულება უნდა ჰქონდეს. უძველეს ხალხებში, და მათ შორის ქართველებშიც, ახალდაქორწინებულებს თავზე კაკალს გადააყრიდნენ, რაც მათი შვილიერების (ნაყოფიერების) აუცილებელი გარანტი იყო (Бидерманн, 1996: 190). არქაული რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ქათამი თუ ქათმის კვერცხი, აგრეთვე, ნაყოფიერების სიმბოლოა (Бидерманн, 1996: 140).

შავში სახალხო მთქმელიც სატრფოს პირდება, რომ, თუკი კარებს ღიად დატოვებს, ერთად მოაგვარებენ პრობლემას – „დატეხავენ კაკალს“:

მინდორში, ბალახ-ბულახში
ამოსულიყო ეკალი;
ამეზლამ შენთან მოვდივარ,
ერთათ'და ვტეხოთ კაკალი.

(მთქ. სონერ მოსიძე. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წელს სოფ. ვარდიეთში. დაბ.: შიოშვილი, 2011: 483)

ანდა:

ამოსულ ბალახ-ბულახში
ამოსულიყო ეკალი;
ამეზლამ შენთან მოვდივარ,
ერთად და ვჭამოთ ქათამი.

(მთქ. შაჰინ ვარდიძე. ჩაინერა თ. შიომ-
ვილმა 2009 წელს სოფ. ვარდიეთში. დაბ.:
შიომვილი, 2011: 483)

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თურქულ-ქართული სახელმწიფოებრივი ურთიერთობის დათბობამ და ჩვენებურებთან მეზობლურ-ნათესაური თუ კულტურული ურთიერთობების განახლება პოზიტიური როლი შეასრულა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სფეროში. გარდა იმისა, რომ ჩვენ შევძელით, კარგად გავცნობოდით საუკუნეთა განმავლობაში ერთიანი ქართული კულტურული-ისტორიული სივრციდან მონყვეტილ ჩვენებურთა ყოფიერებასა თუ სულიერებას და დაგვენახა, რომ მათი ფოლკლორული შემოქმედების სათავე საერთოქართული წიაღის ნაწილია, მათაც მიეცათ საშუალება, ჩვენგან გაეგონათ მონყურებული ქართული სიტყვა და შეესწავლათ რაღაც ახალი; ამის ნათელი დასტურია სოფელ აგარის ერთ-ერთ უბანში – ვარდიძეში (იგივე ვარდიეთში) ჩანერილი ზემოთ განხილული ლექს-სიმღერისა ვარიანტი:

მინდორში, ბალახ-ბულახში
ამოსულიყო იაო;
ამეზლამ შენთან მოვდივარ,
კარი დატოვე ღიაო.

(შიომვილი, 2011: 483)

მთქმელმა, 40 წლის სონერ მოსიძემ, ღიმილით გვაუწყა:

„– ეს სიმღერა ნერგიზამ გვასწავლა“ (თანაც აგვიხსნა, რომ ნერგიზა (ნარგიზა) ქუთაისელი ქალბატონის სახელია, რომელიც აგარაში ერთ-ერთ ოჯახს სტუმრობდა).

შეყვარებულთან მალული პაემნის სურვილის შემცველი ლექს-სიმღერა დავაფიქსირეთ სოფელ ბაზგირეთშიც 2009 წელს თანერ იშექის თქმით:

ატინის უკნედან
გაყოლაა მალრები;
ამეზლამ თქვენთან მუალ,
არ დუყუყარო კარები!

(შიოშვილი, 2011: 483)

ფარული პაემნების გარდა, შავშური სატრფიალო ლირიკის თანახმად, შეყვარებულებს გარკვეული საიდუმლო „სიმბოლოებიც“ გააჩნიათ:

გაღმა ფერდში ვაჩაგი,
არ ხარ ფენა ქორეგი;
სახში რომ არ იქნები,
კარში დადევ ლაჩაგი.

(მთქ. მესუთ ქოჯა. ჩაინერა თ. შიოშვილმა
2009 წელს სოფ. აგარაში. დაბ.: შიოშვილი,
2011: 482)

ლექსის სხვა ვარიანტში ვაჟი სთხოვს „თვალჭირულ“ გოგოს, ლერაქის გამოფენით მიანიშნოს მასთან ერთად გაპარვის („გაქცევის“) სურვილზე:

გაღმა სერში ვაჩაგი,
არ ხარ ფენა ქორეგი.
გამოქცევენა თუ გინდა,
გამომინთე ლაჩაქი.

(ფუტკარაძე, 1993: 226)

შეყვარებული შავში ვაჟი ქალისაგან მანდილის ჩუქებასაც ითხოვს:

თაზე მივალ, კორდებზე
ფეხები'ნა დივხოცო;
ერთი მენდილი მომე,
ცრემლები'ნა მევხოცო!

(მთქმ. ქემალ ქამეშიძე, მცხ. სოფ. ბაზგი-
რეთში. ჩაინერა თ. შიოშვილმა 1989 წელს
ქ. რიზეში)

მანდილის ხსენება შავშურ სატრფიალო ლირიკაში შემთხვევითი როდია; ამ რეგიონში გავრცელებული ტრადიციის თანახმად, გოგონები, ხორუმის („ხელგაშლილად“) ცეკვას რომ დაამთავრებენ, თავიანთ რჩეულებს მიართმევენ მანდილებს, რომლებითაც სრულდება ეს ცეკვა. ამდენად, მანდილის მოთხოვნა შეყვარებულ ვაჟის მიერ გოგონასაგან თანხმობის მოთხოვნას ნიშნავს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საცოლედ დაგულვებულ გოგოს, ლაზური წეს-ჩვეულების თანახმად, ვაჟი ხშირად მანდილს „წაართმევს“, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალიშვილი მისი „ხემენთხიმერი“, ანუ ხელნაკარებულია.

შავშური სატრფიალო ლირიკის თანახმად, შეყვარებული ძალზე ეჭვიანია, არ მოსწონს, თუკი მისი რჩეული სხვისკენ გაიხედავს. ჩვენ მიერ სოფელ უბეში 57 წლის სუმმან გუმიშისაგან (იბიშ-ოლლი) 2005 წელს ჩანერილ ვრცელ ლექს-სიმღერაში ნათქვამია:

ღელეს იქით ჯვალაია,
ეჰლოჯან, ეჰლოჯან!
ის ვერ ემიტანია,
ის ვერ ემიტანია.
შენ რო სხვას უყურები,
ეჰლოჯან, ეჰლოჯან,
ის ვერ გემიტანია,
ის ვერ გემიტანია,
ეჰლოჯან, ეჰლოჯან!..

(შიოშვილი, 2005: 8; ფალავა, 2008: 82; შიოშვილი, 2011: 482)

სხვისკენ გამხედვარე შეყვარებულის დაწყევლასაც არ ერიდებიან შავშები:

სახლი'ნა გავაკეთო,
ეჭლოჯან, ეჭლოჯან!
გავთალო'ნა დოკანი,
გავთალო'ნა დოკანი.
არ გეგეზარდა, დედავ,
ეჭლოჯან, ეჭლოჯან!
დეგენვა'ნა აკვანი.
ეჭლოჯან, ეჭლოჯან!

(შიოშვილი, 2005: 8; ფაღავა, 2008: 82; შიოშვილი, 2011: 482)

თუმცა, იქვე აღიარებენ, რომ შეყვარებულისთანა მთელს სამყაროში არ მოიძებნება:

ზემოდან ჩამოიარე,
ეჭლოჯან, ეჭლოჯან!
ვერ ვიპუე შენთანა,
ეჭლოჯან, ეჭლოჯან!
ე დუნა მევია რე,
ე დუნა მევია რე,
ვერ ვიპუე შენთანა,
ეჭლოჯან, ეჭლოჯან!

(შიოშვილი, 2005: 8; ფაღავა, 2008: 82; შიოშვილი, 2011: 482)

ვერც აგარელი მელექსე ეგუება, როცა მისი რჩეული სხვას შეხედავს და ტირილის ხასიათზე დგება:

გაღმა ფერდში თიკნები,
ვეხლები და ვიქნები;

შენ რომ სხვას უყურები,
ვიტირეფ და ვიქნები.

(მთქმელი მესუთ ქოჯა. ჩაინერა თ. შიოშ-
ვილმა 2009 წელს სოფ. აგარაში. დაბ.: ში-
ოშვილი, 2011: 482)

სხვა ვარიანტით, განზილებული შეყვარებული სატრფოზე
სიმღერებს სჯერდება და გულსაც ამით იოხებს:

გალმა ფერდში თიქნები,
მე გამოლმით ვიქნები;
შენ თუ მე მომატყვილეფ,
გიმღერეფ და ვიქნები.

(ფუტკარაძე, 1993: 288; შიოშვილი, 2011:
517)

შავში სატრფო არ მალავს, რომ გულისსნორის გარეშე თეთ-
რად ატენებს ღამეებს, რომ მიჯნურთან სიშორე მოსვენებას უკ-
არგავს:

ნაფუზარში სიმინდი
კონნალ-კონნალ კიღია;
უშენ ღამეებში
სულ ვერ დემიზინია.

(მთქ. მესუთ ქოჯა. ჩაინერა თ. შიოშვილმა
2009 წელს სოფ. აგარაში. დაბ.: შიოშვილი,
2011: 484)

შავშური სატრფიალო ლირიკის თანახმად, შეყვარებულნი მა-
ლულად ინვიან და იტანჯებიან; მათი ტანჯვის მონამე კი მხო-
ლოდ ღმერთია:

სოჭი ძირში გევიარე,
ლამაზავდა თლათ ნინვი.

ის ანჯახ ღმერთმა იცის,
მე რომენ შენთვინ ვინვი.

(მთქ. ემინე აქგუმუში. ჩაინერა თ. შიოშ-
ვილმა 2005 წელს სოფ. იფხრეულში. დაბ.:
შიოშვილი, 2011: 485)

ამიტომაც ძნელია, გარეგნული ფაქტორებით შეფასდეს ის
გრძნობები, რომელსაც განიცდის მიჯნური. რ. ხალვაშის მიერ
2005 წელს სოფელ ივეთში სელიმ დემირისაგან ჩანერილი სატ-
რფიალო ლექსით შეყვარებული ამხელს, თუ როგორ იტანჯება:

ერთი ლექსი ჩამოვწეროთ
ამდენ ხალხის ზეგნიდანა.
დანვილი ვარ შიგნიდანა,
არ მეტყობა გარედანა.

(შიოშვილი, 2011: 486)

ანდა:

ახლა მუალ ბარიდან,
რას მიყურებ კარიდან!
დანვილი ვარ გულიდან,
არ მეტყობა გარედან.

(მთქ. შაჰზენე ბილგინი. ჩაინერა თ. შიოშ-
ვილმა 2009 წელს სოფ. უსტამისში. დაბ.:
შიოშვილი, 2011: 485)

გულდაკოდელი შავშელი შეყვარებული ასე მოთქვამს:

სახახვიას ფერდები
ნისლებით დახვევლია;
ჩემი ძარალი გული
ბანდებით შეხვევლია.

(მთქ. ალი ილდიზი. ჩაინერა თ. შიოშვილ-
მა 2009 წელს სოფ. ბაზგირეთში. დაბ.: ში-
ოშვილი, 2011: 485)

უიმედოდ შეყვარებული მოკრძალებული შავში მიჯნური ზოგჯერ მზად არის, სხვებიც ჩაახედოს სიყვარულით დამწვარ გულში. რ. ხალვაშის მიერ 2005 წელს სოფ. დაბაში ჩანერილი სატრფიალო ლექსის თანახმად, შეყვარებული მოუწოდებს მიჯნურს, გულში ჩახედოს:

გალმა ფერდში ნაზვია,
რა ფენა აწვილია!
მოჟ, ჩემ გულში ჩამხედეთ,
რა ფენა დანვილია!

(შიოშვილი, 2011: 487)

ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკა ხაზგასმით მიანიშნებს, რომ ტრფობის ობიექტმა ლამაზი ცეკვა-სიმღერა უნდა იცოდეს, მოხდენილად უნდა გაიარ-გამოიაროს:

გავლა-გამოვლა გიხდება,
ლერნამი წელის ჭირიმე!
სიმღერას რომ დეიძახებ,
ყარყარა ყელის ჭირიმე!

(ვირსალაძე, 1968: 271)

შავში ვაჟი კი ასე მიმართავს „თვალჭირულს“, მენყვილე გოგონასთან ერთად კეკლუცად რომ ცეკვავს შავშეთში შემორჩენილ ტრადიციულ ქართულ ცეკვას – „ხელგაშლილას“, რომელიც მანდილებით სრულდება, ხოლო ცეკვის დამთავრების შემდეგ გოგონები მანდილებს თავიანთ რჩეულებს „გააკრავენ“:

ხელგაშლილაჲ გაშლილა,
სამა არ დაგიშლია;
გოგო, რავაჲ გიხდება
სამა და ხელგაშლილაჲ!

(მთქ. მესუთ ქოჯა. ჩაინერა თ. შიოშვილმა
2009 წელს სოფ. აგარაში. დაბ.: შიოშვილი,
2011: 486)

შეყვარებული შავში ვაჟკაცი სიმღერით აგებინებს „თვალ-ჭირულს“ გულის ხვაშიადს, თუმცა ზოგჯერ ამოდ დაშვრება ხოლმე; ბაზგირეთში 2009 წელს თანერ იშექისაგან ჩანერილ სატრფიალო შაირში წარმოჩენილია მიჯნურის იმედგაცრუება:

სახტომელას უკნედან
გაყოლაა კატრები;
ერა ჰალი ვიმღერე,
არ არიან ბაჭლები!

(შიოშვილი, 2011: 485)

ქალმა, შავშური (და საერთოქართული) სატრფიალო პოეზიის თანახმად, ხელსაქმეც უნდა იცოდეს. ზოგადქართული სატრფიალო ლირიკის მსგავსად, შავში შეყვარებული ვაჟი ოცნებობს სატრფოს ნახელავზე; ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ნატვრის ტიპის სატრფიალო ლექს-სიმღერებში იგი თავის რჩეულს სთხოვს, მისნაირი წინდები მოუქსოვოს:

გალმა სერში გელები,
მიმოდევან ზერები;
რას იქს, მეც მიმიქსუე,
ერთი გვქონდეს ჭრელები!

(მთქ. ილიას ალთუნი. ჩაიწერა თ. შიოშვილი 2009 წელს სოფ. კოკბერეთში. დაბ.: შიოშვილი, 2011: 485)

ასეთივე სათხოვარი აქვს მიჯნურთან სოფ. აგარაში 2009 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერის მთქმელსაც:

ვაკეთ უკან დელები,
რა ლამაზი დელეგი!
გოგოვ, მეც მომიქსუე,
ერთი გვქონდეს ჭრელები!

(შიოშვილი, 2011: 485)

აღსანიშნავია, რომ იგივეს ემუდარება სატროფოს აჭარელი ვა-
ჟიც:

გოგოვ, შენი წელი წმინდა,
მომიქსოვე ჭრელი წინდა!
შენი ძმაი ყაფნათ მინდა,
შენი თავი ცოლათ მინდა!

(აჭ. ხალხ. პ., I, 1969: 118)

იმავეს სთხოვს გულისსწორს ქართლელი შეყვარებულიც:

ატენის ხეობაზედა
წყალი ჩამოდის წმინდაო;
ნეტავი, ქალო, ჩამაცო
შენი ნაქსოვნი წინდაო!

(ქართ. ხალხ. პ., ტ. VI, 1978:71).

შავშური სატროფიალო პოეზიის თანახმად, შეყვარებული მუ-
დმივად ზრუნავს გულისსწორზე, ცდილობს, უყურადღებოდ არ
დარჩეს; 2009 წელს სოფ. ბაზგირეთში თანერ იშექისაგან ჩანე-
რილი სატროფიალო შაირის თანახმად, შეყვარებული გემრიელ
ქადას უნახავს თავის რჩეულს:

თაზე მივდოდი, თაზე,
ბუხრუკან დეგინახე.
ერთი ქადა შევჭამე,
ერთი შენ შიგინახე.

(შიოშვილი, 2011: 486)

ვერც მარტო დატოვებს გულისსწორს შავში ჭაბუკი:

ყვავმან კვერცხი ჩამააგდო,
ჰამან ბუკზე მამაგდო.
შენითანაჲ ლამაზი
აქ რავაჲ' ნა გაგაგდო?!

(მთქ. ნიზო დურმუში. ჩაინერა რ. ხალვაშ-
მა 2005 წელს სოფ. უსტამისში. დაბ.: ში-
ოშვილი, 2011: 487)

იმერხევის მთაგორიანი რელიეფიც „აფიქრებს“ შეყვარებულ ვაჟს, ეშინია, მის რჩეულს რაიმე საფრთხე არ შეხვდეს. 2009 წელს ბაზგირეთელი ჭაბუკის – თანერ იშექისაგან ჩვენ მიერ ჩაწერილი სატრფიალო შაირის თანახმად, გამიჯნურებული ვაჟი აფრთხილებს „თვალნაჭერ“ გოგონას, არ გაიაროს სახახვიას და საკუპრიას „ნისლებით დახვეულ“ ფერდობებზე:

სახახვიას ფერდები,
საკუპრიას გვერდები;
არ გეიარო, გოგოჯან,
გეიარ, დიმიგორდები!

(შიოშვილი, 2011: 484)

ზოგჯერ შეყვარებულზე ზრუნვა იუმორისტულ ელფერსაც ატარებს:

ზემოთ-ზემოთ ნუ მიხვალ,
ქომოთ ჩამოარდები!
მემრე შენ, შეყვარულო,
ხელში ჩიმივარდები!

(მთქ. სურმელ ილდიზი. ჩაინერა თ. შიოშვილი
ვილმა 2005 წელს სოფ. იფხრეულში. დაბ.:
შიოშვილი, 2011: 484)

შეყვარებულებს ბევრი მტერი ჰყავთ; ამიტომაც აფრთხილებს შავში მიჯნური „თვალჭირულს“, არ აჰყვეს სხვათა ლაპარაკს, რასაც მათი დაშორება შეუძლია:

ზემოთ-ზემოთ ნუ ახვალ,
ჩატეხილში გედეარ!
არ აჰყვე დუშმანი სიტყვას,
შენაც ჩემიდან გეარ!

(მთქ. ემინე აქგუმუში. ჩაინერა თ. შიოშვილი
ვილმა 2005 წელს სოფ. იფხრეულში. დაბ.:
შიოშვილი, 2011: 484)

ამ ლექს-სიმღერის ერთ-ერთ ვარიანტში, რომელიც პარალელიზმის ხერხზეა აგებული, შეყვარებული არიგებს გულისსწორს, რომ, როგორც „რუსიეში“ (რუსეთში) გადასვლაა არასასურველი, ასევე მტრის სიტყვას აყოლაც სახიფათოა, შეყვარებულთა დაშორებას უწყობს ხელს:

ჩატეხილში ნუ ახვალ,
რუსიეში გედეჲარ!
არ აჰყვე დუშმნის სიტყვას,
მემრე ჩემიდან გეჲარ!

(ხალვაში, 2007: 310; შიოშვილი, 2011: 484)

ლექსი საინტერესოა, აგრეთვე, რუსეთისადმი ჩვენებურების ტრადიციული უარყოფითი დამოკიდებულების გამოვლენის თვალსაზრისითაც.

შავში შეყვარებულებისათვის სატრფოს გვერდით ყოფნა უდიდესი ბედნიერებაა, ერთმანეთისაგან შორს ყოფნა კი – მიუღებელი და შეურიგებელი. სოფელ ბაზგირეთში 2009 წელს თანერ იშექისაგან ჩანერილი სატრფიალო შაირის თანახმად, გაღმა-გამოღმა დარჩენილ მიჯნურთა ხვედრი ძალზე მძიმეა:

ინანმინდას ცხვარი ძოვს,
იმან რაჲ'ნა მეინველოს?
შენ – გაღმით, მე – გამოღმით,
გულმა რავაჲ მეისვენოს?

(შიოშვილი, 2011: 486)

ამ ლექსის ერთ-ერთი აჭარული ვარიანტი, რომელიც 2006 წელს გ. ზოიძემ ჩაინერა სოფ. ჯოჭოში აიშე ავაქიძისგან (დაცულია ბსუ ქართველოლოგიის ცენტრის ფოლკლორულ არქივში), ამგვარად უღერს:

მთაში ძროხა გავდენე,
იმან რა'და მოინველოს?

მე – მთაში, შენ – ქალაქში,
რა გულმა და მოისვენოს?

მცირე ხნითაც რომ უწევდეს გულისსწორთან განშორება,
შავში მიჯნური ამშვიდებს მის მომლოდინეს:

ართვინის ახალ გზაში
მე დეჰილ ტახსით მუალ;
არ იტირო, ლამაზო,
წავალ და ისევ მუალ!
ავაყუდე მესარი,
ჩემი სიტყვა ეს არი!

(მთქ. გუნერ ილმაზი. ჩაინერა თინა შიოშ-
ვილმა 2005 წელს სოფ. დაბაში. დაბ.: ში-
ოშვილი, 2011: 486)

შავშური სატრფიალო პოეზიის ლირიკულ გმირს სჯერა, რომ
შეყვარებულთა დაშორება უფლის რისხვას იწვევს. სოფ. ბაზგი-
რეთში 2009 წელს თანერ იშექისაგან ჩაწერილ სატრფიალო შა-
ირშიც ეს აზრია გატარებული. აღსანიშნავია, რომ მასში უზენა-
ესი ღვთაების ტოლფას ტერმინად იხმარება არქაული ქართული
სიტყვა „ბატონი“:

ტანტრაბაზე ხელ ვიბან,
გადავარდა საპონი;
მე და შენ გაგვარჩიან,
გადარევლა ბატონი.

(შიოშვილი, 2011: 485)

შავშური სატრფიალო პოეზიის თანახმად, შეყვარებულებს
კარგად უნდა ესმოდეთ ერთმანეთისა, „ერთი ჭკუისანი“ უნდა
იყვნენ; სხვანაირად მათი „შეფერება“ შეუძლებელია; ბაზგირე-
თელი ქალბატონის – ფატმა მეიდანისგან 2005 წელს ჩაწერილი
სატრფიალო შაირის სანუხარიც ეს არის:

სახახვიას ფერდები,
საკუპრიას გვერდები...
ჩვენ რომ ერთ ხუიზე არ ვართ,
ჩვენ რა სოფ შევფერდებით?
(შიოშვილი, 2011: 486)

არც ვერშემდგარი მიჯნურობის ნუხილია უცხო შავშური
სატრფიალო ლირიკისათვის. შეყვარებული ვაჟი ასე აყვედრის
ნუნია ქალიშვილს:

ჭალა მოვთიბე, ჭალა,
ვერ დავლიე ნაპირი;
შენ მე არ მომიწონე,
დამჯდარხარ და რას ტირი?!
(მთქ. სოფ. ბაზგირეთში მცხ. ქემალ ქამე-
შიძე. ჩაინერა თ. შიოშვილმა 1989 წელს ქ.
რიზეში)

სატრფოსთან გატარებული ყოველი ნუთი ძვირფასია შავში
შეყვარებულისათვის:

ჯანჯირიდან – ღანბეგი
გეიარ, გახვალ ზიარეთ;
ჰიჩ არ დამავინყდება,
ჩვენ რომ ერთათ ვიარეთ.
(მთქ. გულსარე დუზგუნი. ჩაინერა თ. ში-
ოშვილმა 2005 წელს სოფ. ბაზგირეთში.
დაბ.: 2011: 484)

გულისსნორის მიერ განვლილი გზაც დაუვიწყარია შავში
მიჯნურისათვის:

აკვანასი ფერდები,
კარეთისა გვერდები...

შენ გავლილ ალაგებზე
გევიარ, მომაგონდები.

(მთქ. გამზე თანრივერდი. ჩაინერა თ. ში-
ოშვილმა 2005 წელს სოფ. ხევწრულში.
დაბ.: შიოშვილი, 2011: 486)

ამიტომაც მოუწოდებს სატრფოს, ერთად იარონ მშობლიურ
სანახებში:

გაველ გურთუკლი სერზე,
დავჟდე'ნა წითელ ქვაზე;
მოდ, გოგოვ, ვიაროთ
ჯანჯირში კლავი კლავზე!

(მთქ. თანერ (თანო) იშეკი (მჭედლიძე). ჩა-
ინერა თ. შიოშვილმა 2009 წელს სოფ. ბაზ-
გირეთში. დაბ.: 2011: 482)

შავშური სატრფიალო ლირიკისათვის უცხო როდია შეყვა-
რებულთა შორის უთანხმოების წარმოჩენა. მკვლევარ ვარდო
ჩოხარაძის მიერ 2007 წელს სოფელ იფხრეველში აიშა დურსუნ-
ბეგისაგან ჩანერილი ლექს-სიმღერის თანახმად, განაწყენებულ
ქალიშვილს სატრფოს წერილები გადაუყრია:

მე რო ხალი მოვქსოე,
ნახიშები ჩავყარე;
ი შენი მექთეფები
თლათ კარში გადავყარე!

შავშელი შეყვარებული გამოუსწორებელი ოპტიმისტია; მას
სჯერა, რომ „თვალჭირული“ მართლაც მისთვის არის გაჩენილი,
მისთვის იზრდება და კდემამოსილებით აღვსილ გოგონას ასე
უმღერის:

ნარდანინა, წინაჲნა,
ნარდანინა, წინაჲნა,

ნარდანი, ნინა, ნინა,
ნარდანი, ნინა, ნინა.
ეგერ, გაღმა, ტრედები,
გოგოვ, რას მერიდები?
მაგრე რო ლამაზი ხარ,
შენაც ჩემთვის იზრდები.
ნარდანი, ნინა, ნინა,
ნარდანი, ნინა, ნინა,
ნარდანი, ნინა, ნინა,
ნარდანი, ნინა, ნინა!..

(ფუტკარაძე, 1991: 30; შიოშვილი, 2011:
483)

შავშური სატრფიალო ლირიკა, ისევე, როგორც საქართველო-ს ამ უძველეს რეგიონში დღემდე შემორჩენილი ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრები, გამოხატავს ქართველი კაცის ოდინდელ შეხედულებებს სიყვარულზე, ტრფობის ობიექტზე, მიჯნურთა გულისთქმაზე, სატრფოსადმი მოკრძალებასა და მისდამი სწრაფვაზე, ქალის გარეგნულსა და სულიერ სილამაზეზე და საზოგადოდ – ადამიანურ ურთიერთობათა ზნეობრივ ღირებულებებზე.

მიუხედავად ერთიანი ქართული სოციალურ-კულტურული სივრციდან საუკუნეთა განმავლობაში შორს ყოფნისა, შავშელთა სატრფიალო ლექს-სიმღერები ქართული ფოლკლორული შემოქმედების ორგანული ნაწილია, რომელმაც, ერთის მხრივ, შემოინახა ტრადიციული მოტივები და სახეები და, ამავე დროს, მშვენივრად გამოხატა ამ რეგიონში მცხოვრებ ქართველთა გაცდები და მსოფლმხედველობა.

საქორწილო ლექს-სიმღერები

ქორწილი მსოფლიოს ყველა ხალხის, და მათ შორის ქართველთა, ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, რასაც თან ახლავს მრავალმხრივ საინტერესო რიტუალი, რომელშიც წარმოჩენილია ერის ისტორიული ყოფიერება, სოცო-კულტურული განვითარების დონე და მომავლისადმი დამოკიდებულება; ეს ყოველივე კი, ბუნებრივია, ხალხის იერსახის, მისი იდენტურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა. ამდენად, საქორწილო რიტუალი, მთელი მისი წეს-ჩვეულებებითა და მათთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერებით, ერის კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრების სარკეა, რომელშიც ნათლად ირეკლება ყველა ეპოქისა და სოციალური ფენისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და ტრადიციები, რაც საქორწილო რიტუალსა და მასთან დაკავშირებულ ზეპირსიტყვიერებას უდიდეს ისტორიულ ღირებულებას ანიჭებს.

ქართული საქორწილო წეს-ჩვეულებები და ზეპირსიტყვიერება საკმაოდ არის შესწავლილი ეთნოგრაფებისა და ფოლკლორისტების მიერ (ნ. ხიზანიშვილი, ბ. ნიჟარაძე, თ. სახოკია, რ. ხარაძე, ვ. ითონიშვილი, ს. მაკალათია, ქს. სიხარულიძე, მ. ჩიქოვანი, ჯ. ნოლაიდელი, ალ. მსხალაძე, ზ. თანდილავა, მ. ბექაია და სხვები); თუმცა, როგორც თავის დროზე პროფესორი ქსენია სიხარულიძე მიუთითებდა, „მეტად რთული და ლამაზი საქორწილო ცერემონიალის მთლიანად ახსნა ძნელია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ხერხდება ცალკეული წესის თავდაპირველი სოციალური ფუნქციის დადგენა და ამ წესთან დაკავშირებული პოეტური ტექსტის მხატვრული პროცესის გათვალისწინება“ (სიხარულიძე, 1960: 225). ამ პრობლემის მეცნიერულ გადაწყვეტაში, ბუნებრივია, უდიდ-

ესი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ყველა კუთხის მასალათა გაანალიზებასა და ურთიერთშეჯერებას; სწორედაც ამ გზით ხორციელდება საქორწილო ჩვეულებებისა თუ ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრების შესწავლა ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან (თეიმურაზი, 1939: 16-74) დღემდე, მაგრამ, სამწუხაროდ, საერთოქართული კულტურული სპექტრის მიღმა დიდხანს რჩებოდა დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი ისტორიული საქართველოს კუთხეების, და მათ შორის შავშეთის, მცხოვრებთა მიერ შემონახული ძირძველი საქორწილო ტრადიციები და მათთან დაკავშირებული ფოლკლორი. ამ თვალსაზრისით მცირეოდენი მასალა მოიპოვა ნიკო მარმა. 1904 წლის ზაფხულში მან იმერხევეში ჩაიწერა ერთი მაყრული ლექს-სიმღერა. მარის შემდგომ ისტორიულ საქართველოში იმოგზაურეს გიორგი ყაზბეგმა, ექვთიმე თაყაიშვილმა და ზაქარია ჭიჭინაძემ, თუმცა ზეპირსიტყვიერების ნიმუშები არ დაუფიქსირებიათ. ამ მხრივ თითქმის საუკუნოვანი სიცარიელე ამოავსო პროფესორმა შუმანა ფუტკარაძემ, რომელმაც 1989-1993 წლებში მოიარა ისტორიული ქართული ტერიტორიები და წიგნით „ჩვენებურების ქართული“ მრავალმხრივ საინტერესო ფოლკლორული და დიალექტოლოგიური მასალა შესძინა ქართულ მეცნიერებას; მან უხვად ჩაიწერა ჩვენებურთა საქორწილო რიტუალები (ფუტკარაძე, 1993: 93, 178, 208, 248, 256, 316, 321, 3335), თუმცა, როგორც მთქმელები მიანიშნებდნენ, საქორწილო ლექს-სიმღერათა ქართული ტექსტები აღარ ახსოვდათ, მაგრამ ტრადიციაზე კი მიუთითებდნენ: „ზუელათ დოდოფლის სიმღერას იტყოდენ“ (ფუტკარაძე, 1993: 256); „ძუელათ დუგუნზე, დოდოფლი მოყუანიხან, იტყოდენ ბევრ რამიებსა“ (ფუტკარაძე, 1993: 316). ბაზგირეთელი მერიემ ალთუნელი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ძველებური ქართული საქორწილო სიმღერები დაავიწყდათ („ქართულად აღარ იციან მღერა, მღერიან თურქზე“); თუმცა, იქვე ხაზგასმით მიუთითებს, რომ „თურქებმა ეს სიმღერა (საქორწილო – თ.შ.) არ იციან, გურჯების სიმღერაა თურქზე გადატანილი“ (ფუტკარაძე, 1993: 248).

შავშურ საქორწილო სიმღერასა და საქორწილო წესზე საუბრობს ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ნაშრომში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ რომელიც 1878 წელს გამოქვეყნდა პეტერბურგში საიმპერატორო აკადემიის მიერ: „შემომესმა ქართული საქორწილო სიმღერები. გამოირკვა, რომ ზენდიდის ბეგს შეურთავს შავშეთის ბეგის ქალიშვილი და მას შავშეთიდან სიმღერებით კავალკადა მოაცილებდა. აქაური ქორწილის წესი გვაგონებს ქართულ წეს-ჩვეულებას. მაგალითად, წინასწარი მოლაპარაკება მეფე-დედოფლის მშობლებს შორის, მზითვის პირობა, თვით მზითვეი და მასთან თანმხლები ცერემონიები: სახელის მირქმა, როგორც საქმროს, ისე საპატარძლოსადმი ქორწილის პირველ დღეს, მეფე-დედოფალი, საქმროსა და საპატარძლოს თანმხლები პირები – მაცრები, სიმღერები, რომელიც ამ დროს სრულდება, მათი სიტყვა და შეძახილი – მაცრული; თვით ქორწილი სამ დღეს, – ყველაფერი ეს წმინდა ქართული ხასიათისაა და არა მარტო აჭარაში, არამედ საერთოდ ქართული მუსულმანური მოსახლეობის ყველა კუთხეშია შემონახული“ (დუმბაძე, 1950: 50).

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2005 და 2009 წლებში ისტორიულ შავშეთში მოწყობილი კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციების დროს დაფიქსირდა უაღრესად ღირებული მასალა ჩვენებურთა სულიერი კულტურის ყველა სფეროში და მათ შორის – ზეპირსიტყვიერებაში. აღმოჩნდა, რომ შავშელთა ერთმა ნაწილმა ბოლო დრომდე შემოინახა წინაპართა წეს-ჩვეულებები და ფოლკლორული ნააზრევი, რომელთა შორის საქორწილო რიტუალებსა და ზეპირსიტყვიერებას ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ისტორიულ შავშეთში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, საქორწილო წესები რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. მართალია, საქართველოს ამ უძველესი კუთხის მცხოვრებთ, საუკუნეთა განმავლობაში თურქულ გარემოცვაში

ყოფნის გამო, ძირძველი საქორწილო ტრადიციების ყველა მხარე და, შესაბამისად მათი ამსახველი ზეპირსიტყვიერება, ველარ შემოუნახავთ, მაგრამ წეს-ჩვეულებებისა და ზეპირსიტყვიერების ის ნაწილი, რაც ჯერ კიდევ შემორჩა აქაურთა მეხსიერებასა და ყოფას, დასტურია ამ ტრადიციის საერთოქართული სივრცისადმი სისხლხორცეულობისა.

დღეისათვის შავშეთში შემორჩენილია საქორწილო წეს-ჩვეულებათა შემდეგი ეტაპები: 1. საპატარძლოს დაკვლევა-შერჩევა, ანუ გარიგება, 2. ნიშნობა, 3. საქორწილო სამზადისი, 4. პატარძლის წამოყვანა საქმროს სახლში, 5. ქორწილი და მასთან დაკავშირებული მაგიური რიტუალები (დედოფლის თავზე ტკბილეულისა და ხურდა ფულის გადაყრა, საჩუქრების დარიგება, ჭიქის გატეხვა დედოფლის მიერ, კერიასთან ზიარება, დედოფლის დასაჩუქრება, პირბადის ახდა, ქალწულობასთან გამოთხოვება და „განწმენდა“ და ა.შ.), 6. მაყრული ლექს-სიმღერები, 7. პატარძლის დამოძღვრა. ყოველ ეტაპს თან ახლავს შესაბამისი ლექს-სიმღერები, რომლებიც ამ კუთხის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრების ერთგვარი ზეპირპოეტური ისტორიაც არის. მათი მეცნიერული შესწავლა კი ცხადყოფს, რომ ისინი, ერთის მხრივ, არქაულ ქართულ წეს-ჩვეულებათა გამოძახილია და, ამავდროს, თანადროულობასაც ეხმიანება.

საცოლის დაკვლევა-შერჩევის ლექს-სიმღერები

საცოლის დაკვლევა-შერჩევა, ანუ გარიგება, თითქმის თავდაპირველი ხიბლით შემოუნახავს შავშურ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სინამდვილეს. საცოლედ შერჩეულს იქაურები „ნათქვამს“, „თვალჭირულს“ ეძახიან, დაქორწინებას კი, ისევე როგორც აჭარა-გურიაში, – „დასახლებას“.

საპატარძლოს შერჩევა-დაკვლევის თემატიკის მრავალი პოეტური ნიმუში ჩავინერეთ იმერხევის ულამაზეს სოფლებში, სა-

დაც საქორწილო გოგო-ბიჭების მიერ ერთმანეთის დაკვლევა ლაღი და ხიბლიანი გარემოს შესაფერისია. ამ არქაული ქართული ჩვეულების ამსახველ ლექს-სიმღერებში ხაზგასმულია ქორწილის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა – ქალ-ვაჟის მიერ ერთმანეთის მონონება და შეთანხმება:

საათი მევბი კლავზე,
აველ საზგირელაზე;
იქიდან გადმოგხედე,
გამოგარჩიე კარზე.

(შიოშვილი, 2009: 202; შიოშვილი, 2011:
487)

ანდა:

თაზე მივდოდი, თაზე,
ხელში ჩანთა მიჭირავს;
ათი წელიწადია,
შენზე თვალი მიჭირავს.

(მთქმ. თანერ (თანო) იშეკი (მჭედლიძე).
ჩაინერა თ. შიოშვილმა 2009 წელს სოფ.
ბაზგირეთში. დაბ.: შიოშვილი, 2011: 488)

შავშელ მუჰაჯირებსაც არ დავინწყებიათ საცოლის გამოსარჩევად გულის გადაშლის შემცველი ალალი სტრიქონები და ბოლო დრომდე მღერიან. ქ. ინეგოლში მცხოვრები „გარმონჯისაგან“ – 55 წლის აჰმედ ჩეთინისაგან (ცხვარიძე) – 2014 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერა შავშური ვარიანტის უბრალო მახსოვრობა როდია; მასში ჩანს იქაური კაცის სიყვარული მშობლიური კუთხისადმი, რაც ერთ-ერთი კოლორიტული შავშური ტოპონიმის – „ურისაკლავის“ ხსენებითაც გამოიხატა:

საათი მევბი კლავზე,
აველ ურის საკლავზე;

იქიდან გადმოგხედე,
გამოგარჩიე კარზე.

შეყვარებულ ვაჟს სჯერა, რომ „თვალჭრული“ ღმერთს მის-
თვის გაუჩინია და გულმხურვალედ უმღერის:

კატარ შეხედე, კატარ
ნაზარდი მუუცემია;
შენ სოფ ლამაზი გოგო
ღმერთ ჩემთინ გუუჩინია!

(ხალვაში, 2007: 313; შიოშვილი, 2011: 488)

უფლისეულ ნებას შავშელი მელექსენი წმინდა წიგნითაც „ამ-
აგრებენ“. 2005 წელს სოფ. ხევწრულში ქალბატონ ელჰინა თუ-
რანისაგან ჩანერილ ლექს-სიმღერაში სატრფოს უმჟღავნებენ
„საიდუმლოს“, რომ მკითხავ მითხეტას ჩაახედეს „წიგნში“ და
გაიგეს, რომ ის მისი ბედია:

აველ კოთელა სერზე,
გადავხედე მერე თას;
შენ ჩემი ნესიბი ხარ,
ჩავახედე მითხეტას.

(შიოშვილი, 2011: 488)

უსტამისელი მელექსე არწმუნებს სატრფოს, რომ მასაც ის-
ევე აკლია გათხოვება, როგორც ვაჟს – დასახლება, ანუ დაქორ-
წინება:

გაღმა სერში აკრიაო,
დასახლება მაკლიაო;
ლამაზი ხარ, გოგოჯან,
შენც გათხოვნა გაკლიაო.

(მთქმ. ალადინ ალთუნელი. ჩაინერა თ.
შიოშვილმა 2009 წელს სოფ. მანატბაში.
დაბ.: შიოშვილი, 2011: 488)

დიალოგური ხასიათის ლექსში ვაჟი წყალს სთხოვს „თვალჭირულს“ და პირდება, რომ სწორედ მას ითხოვს ცოლად:

- ე ლამაზი დუნია,
წყალი მასვი, მწყურია!
- წყალ გასვამ, შერბეთ – არა!
- მე შენ გითხოვ, სხვას – არა!

(მთქმ. შაჰზენე ბილგინი. ჩაინერა თ. ში-
ოშვილმა 2009 წელს სოფ. უსტამისში.
დაბ.: შიოშვილი, 2011: 488)

შავშურ სატრფიალო ლექს-სიმღერებში ვაჟი „თვალჭირულ“ გოგოს ძვირფას საჩუქრებს პირდება:

წამამყევ, ჯანო, წამამყევ,
არ წამამყევები, რა გინდა?
წამამყევ, ჯანო, წამამყევ,
არ წამამყევები, რა გინდა?
თორმეტ ალთუნ ეგიღებ,
ლაილონ წინდებ ჩაგცვამ.
თორმეტ ალთუნ ეგიღებ,
ლაილონ წინდებ ჩაგცვამ!

(მთქმ. შერაფედინ იშილი. ჩაინერა თ. ში-
ოშვილმა 2009 წელს სოფ. ბზათაში. დაბ.:
შიოშვილი, 2011: 488)

საჩუქრებთან ერთად, შავშურ შაირებში შეყვარებული ვაჟი ქალს წითელი მამლის ჩუქებასაც პირდება:

ჯანო, წამამყევ, ჯანო, წამამყევ,
არ წამამყევები, რა გინდა?
წითელ მამალ დიგიკლავ,
თორმეტ ალთუნ მეგიტან.

(მთქმ. ქემალ ჩელიქი. ჩაინერა თ. შიოშ-
ვილმა 2009 წელს სოფ. ბრილში. დაბ.: ში-
ოშვილი, 2011: 535)

მამლის ხსენება საცოლის დაკვლევა-შერჩევის ლექს-სიმღერებში შემთხვევითი არ უნდა იყოს. მამალს უაღრესად მრავალფერი და შთამბეჭდავი სახისმეტყველება აქვს მსოფლიოს უძველეს ხალხთა რწმენა-წარმოდგენებში; იგი სიფხიზლის, სიმამაცის, წინასწარგანჭვრეტისა და საიმედოობის სიმბოლოა; გარიჟრაჟისას მისი ყივილი არამარტო ახალი დღის დაწყებას, არამედ სულიერ აღორძინებასაც მოასწავებს; თავად მამალი კი მზესაც განასახიერებდა; ხალხური რწმენის თანახმად, ღამის აჩრდილები მამლის პირველსავე დაყივლებაზე ქრებოდნენ; ჩინელებისათვის მამლის სახელწოდება („კუნ“) ილბლიანობის ომონიმია, თავად წითელი მამალი კი სახლის მცველია (სიმბ. ენციკლ., 2006: 130-131).

მამალს, როგორც სინათლის სიმბოლოს, ჩვენში მიცვალებულს დასაფლავებამდე უკლავდნენ სასაფლაოზე, რათა მისი სულისათვის გზა გაეკვლია (დეკანოზიშვილი, 2014: 19-20); ამდენად, მამალი, როგორც გზის მანათობელი და, ამავე დროს, არქაული რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ბუნების ძალთა აღორძინება-განახლების მაუნყებელი აგრარულ-რელიგიური ბუნების ტოტემი, მრავალმხრივ სიმბოლურ დატვირთვას ატარებს ჩვენი ხალხის ყოფიერებაში. შავშურ საქორწილო ლექს-სიმღერაში ვაჟის დაპირება რჩეულისადმი, რომ წითელ მამალს დაუკლავს, გამოძახილია ქართველთა ცნობიერებაში ძველთაგანვე არსებული რწმენა-წარმოდგენებისა მამალზე, როგორც სამსხვერპლო ზვარაკზე, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, მზესთან წილნაყარობის, აღორძინება-განახლების, ნაყოფიერებისა და გამრავლების ფუნქციები მიენერებოდა.

მამალი, როგორც უზუნაესი ძღვენი, შავშული საპატარძლოსათვის, როგორც პოტენციური დედისათვის, ყველაზე ღირებული უნდა ყოფილიყო მით უფრო, რომ, როგორც მკვლევარი ჯ. რუხაძე მიუთითებს, ჩვენში ღრმად სწამდათ ამ ფრინველის გამანაყოფიერებელი და ამაღორძინებელი საკრალური ძალა (რუხაძე, 1999: 149-154); ამავე დროს ისიც გასათვალისწინებელია, რომ ტრადიციულად მამალს თავზე შემოავლებდნენ ხოლ-

მე ავადმყოფს და ზვარაკად მიართმევდნენ ამა თუ იმ ღვთაებას. მართალია, თანამედროვე შავშმა მიჯნურებმა ეს ტრადიციები აღარ იციან, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ ფოლკლორულ-ისტორიულ მემკვიდრეობას შემორჩა მამლის ზვარაკად შეწირვის არქაულ-ქართული ტრადიცია.

ხშირ შემთხვევაში ვაჟი გადაკრულად, ნართულად მიანიშნებს ქალიშვილს, რომ თვალი დაადგა და მისი „ნათქვამი“, ანუ „თვალ-ჭირულია“; 2005 წელს ერგუნ თენჯირისაგან ჩანერილ ლექსში ვაჟი შეაპარებს გოგოს, რომ დედამისს რძალი სჭირდება:

ე რა მე ბალი მინდა,
გრილოს წყალი მინდა.
შორიდან რომ მიყურეფ,
ჩემ ანას ზალი უნდა.

(შიოშვილი, 2009: 207; შიოშვილი, 2011:
488)

შეყვარებული ქალ-ვაჟი ეკრძალებიან მშობლებს, რაც კარგად ჩანს საპატარძლოს დაკვლევა-შერჩევის ლექს-სიმღერებში:

შავ ფოშეთში ბალი მაქ,
გოგო, შენზე თვალი მაქ.
შენ ანამა შეგვიტყვა,
ე რავა იყბალი გვაქ!

(შიოშვილი, 2009: 207; შიოშვილი, 2011:
488)

ცისფერთვალეა („ჭეჭლო“) სატრფოს მშობლებისაგან უარის თქმა დიდ უბედურებად აღიქმება შავში ჭაბუკის მიერ:

ჩვენ კარიდან გეგხედე,
ჭეჭლოს აზმა კიდეა.

ჭეჭლოს თუ არ მომცემენ,
ლოცვა-კითხვა ცუდია!

(შიოშვილი, 2014: 489)

2009 წელს სოფელ მანატბაში ალადინ ალთუნელისაგან პროფესორ მამია ფალავას მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერის თანახმად, თუ ვაჟს თავის „ჭეჭლოს“ არ მიათხოვებენ, მეორედ მოსვლის ტოლფასი იქნება:

ჩემ კარიდან გავხედე,
ქარიშხალი მუაო;
ჭეჭლოს თუ არ მომცემენ,
ახლიშანი მუაო!

(ფალავა, ცინცაძე, 2011: 442)

ამგვარი უიმედობა და წუხილი ზოგჯერ ქალის მხრიდანაც გამოერევა ხოლმე:

ქუაბიყელ გამოღმაზე
ლომიენტ წისკვილია;
შენ ქი მე არ მითხუო,
ლოცვა-კითხვა ცუდია.

(ფუტკარაძე, 1993: 221)

ზოგჯერ ამგვარ გულისტკივილიან სტრიქონებში მარტო დარჩენის შიშიც გამოერევა, რაც, თავის მხრივ, საყოფიერო პრობლემებთან იგივედება; თუ ვაჟს სასურველ ქალს არ გაატანდნენ, ერთის მხრივ დარდისა და წუხილის გამო, მისი შრომისუნარიანობა ქვეითდებოდა, მეორეს მხრივ, კი ცალუდელა რჩებოდა – შრომაში დამხმარე არ ეყოლებოდა მთის უმძიმეს პირობებში:

ჭეჭლოაო კანჭალა,
მივალ ქედი კარჭალას.

ჭეჭლოდ რო მე არ მომცენ,
რა'ნა ვქნა ყანა-ჭალას?!

(შიოშვილი, 2009: 205; შიოშვილი, 2011:
489)

ლექს-სიმღერის ზოგიერთი ვარიანტის თანახმად, „თვალჭი-
რულ“ გოგოს სხვა უპოვია:

შავ კალათში ბალი მაქ,
გოგო, შენზე თვალი მაქ.
შენაც სხვა გიპოვნია,
ეს რა სოფ იღბალი მაქ!

(მთქმ. მესუთ ქოჯა. ჩაინერა თ. შიოშვილ-
მა 2009 წელს სოფ. აგარაში. დაბ.: შიოშვი-
ლი, 2011: 538)

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ძველად საცოლის
შერჩევა-დაკვლევა და შეყვარებულთა შეხვედრა სოფლის თავ-
ყრილობებზე, უმეტესად ქორწილებში, ხდებოდა. ამის დასტუ-
რია იმერხეული ლექს-სიმღერა, რომლის თანახმადაც ვაჟი ქორ-
წილში ეპატიჟება სასურველ ასულს:

ბაზგირეთის უკნედან
ბათუმის ჰუდუდია;
ადექ, წამომყევ, გოგოვ,
ბაზგირეთ ქორწილია!

(მთქმ. თანერ (თანო) იშექი (მჭედლიძე).
ჩაინერა თ. შიოშვილმა 2009 წელს სოფ.
ბაზგირეთში. დაბ.: შიოშვილი, 2011: 490)

ერთ-ერთ იმერხეულ ლექს-სიმღერაში კი გამოთქმულია ნუ-
ხილი იმის გამო, რომ სატროფო არ მივიდა ქორწილში:

ჩივისხეური ბალი
რა ლამაზად მოსულა!

ი ჩემი საყვარელი
დუგუნში არ მოსულა!..

(შიოშვილი, 2009: 207; შიოშვილი, 2011:
490)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „თვალჭირულ“ გოგოზე (ბაჭალაზე) იმერხეველი ბიჭები სასტიკად ეჭვიანობენ, არ მოსწონთ, მათი რჩეული თუ სხვისკენ გაიხედავს. არცთუ იშვიათად გამხდარა სალექსოდ ქალ-ვაჟის შეუთანხმებლობაც. ამგვარ ლექსებში განზილებული და გულნატკენი მხარის საყვედურები გაისმის:

ცეცხლი ძირში რომ დავჯექ,
დავჯექ და ველარ გავთბი;
არ'ნა ვითხოვო, გითქვამს,
ეგ პასუხი რავად თქვი!

(შიოშვილი, 2009: 205; შიოშვილი, 2011:
489)

უიღბლო სიყვარული და „ნათქვამი“ ქალის გათხოვება ზოგჯერ განზილებული ვაჟის დაავადების მიზეზიც გამხდარა. სოფელ სვირევანში ნებიე იშელისაგან (პეტროლი) 2005 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი გადმოცემის თანახმად, რომელსაც მთქმელმა „ძველი გურჯული“ უწოდა, ვაჟმა, თურმე, ვერ გაამხილა, რომ ბიძაშვილზე „თვალნი დეიჭირა“ და მისი „თვალნაჭირი“ გოგო მისმა ძმამ შეირთო. ქორწილში „იმანა თვალნაჭირი დედნახა, სიმწარე გულზე მოხდა, ავათ გახდა“. ვაჟი 7 წელი ლოგინად იყო ჩავარდნილი, ვერაფერმა უშველა. ერთი „დოხტური“ მიმხვდარა და უთქვამს:

„– იმას თვალნი დუუჭირავს, იმად ავათ გამხდარა. ამისი თვალდაჭირული ბაჭალა რაგვარცხა დოდოფლობაში შეკაზმული იყო, აინი შეკაზმული მეფყვანეთ, ამის ბალიშზე დააჟდუმლეთ, ისე დედნახოს, ჯანი მიცეს“.

მართლაც, მოუყვანიათ სადედოფლოდ გამონცობილი ძმის ცოლი და, როგორც გადმოცემა გვამცნობს, „იმანაჲ ყურება-ყურებაში ჯან მიცემს მოკვდენამდე“.

იმერხელი ტრადიციის თანახმად, რაც საერთოქართულის გამოძახილია, განსაკუთრებულ მძიმე მდგომარეობაში ვარდება ქალი, რომელიც დაინუნეს ან სხვა მიზეზის გამო არ წაიყვანეს; სიცილი და ლხენა მას მწუხარებად ექცევა:

გალმა ფერდში თიკნები,
ვიცინებ და ვიქნები;
შენ რო მე არ წემიყვან,
ვიტირებ და ვიქნები.

(შიოშვილი, 2009: 205; შიოშვილი, 2011:
489)

ანდა:

გალმა სერში თიკნები,
გამოლმით მე ვიქნები;
შენ რო მე არ მითხუო,
ვიტირებ და ვიქნები

(მთქმელი იაშა დურსუნბეგი, მცხ. სოფ.
იფხრევლში. ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ
2007 წელს)

არც დანუნებული ვაჟია ნაკლებ დღეში:

გალმა სერში ქათამი
მუა და მოკაკანობს;
შენ ქი მე არ მომყვე,
გულში გამაკანკალებს.

(შიოშვილი, 2009: 205; შიოშვილი, 2011:
489)

სოფელ უბეში (ობაქო) 2005 წელს ჩვენ მიერ სუმმან გუმიში-საგან (იბიშოლლი) ჩანერილ შაირში „დაპირებულისაგან“ უარის თქმა „ყიამეთს“, ანუ მეორედ მოსვლას, ედარება:

ართვინის ახალ გზიდან
ჟემილი ტაქსი მუა;
შენ რო მე არ მომყვები,
ყიამეთი მაშინ მუა!

(შიოშვილი, 2009: 205; შიოშვილი, 2011: 489)

„ნათქვამი“ („დაპირებული“) ქალ-ვაჟის ვერშემდგარი ერთობისა და ჩაშლილი ქორწილის სევდა-წუხილი დასდევს მრავალ შავშურ ლექს-სიმღერას. დასახლების მოსურნე შავში ვაჟი, რომელსაც „თვალნაჭირი ბაჭალა“ გაუთხოვეს, ჩივის თავის ბედზე:

შავ ფოშეთში ბალი მაქ,
გოგოვ, შენზე თვალი მაქ!
წეიყვანეს, გემითხუეს,
რა ფისი იღბალი მაქ!

(შიოშვილი, 2009: 204; შიოშვილი, 2011: 488)

ანდა:

თაზე მივალ თი გზაში,
შარაბი მაქ ჩანთაში;
თვალნაჭირი გემითხუეს,
ალარა ვარ ჭკუაში!

(შიოშვილი, 2011; 489)

იმერხეული ხალხური პოეზიის მრავალი ნიმუში მოწმობს, რომ მგრძნობიარე შეყვარებულისათვის სიკვდილის ტოლფასია, თუკი „ნათქვამ“ გოგოს ვერ ითხოვს:

კუტალეთის წინედამ
დაჩიეთ წისქვილია.
ვინცხა ნათქვამ ვერ ითხოვს,
უეჯლო სიკვდილია.

(მთქმ. ალი დურანი. ჩაინერა თ. შიოშვილი-
მა 2005 წელს სოფ. უსტამისში. დაბ.: ში-
ოშვილი, 2011: 490)

ერთის მხრივ სიღარიბით განანამები, მეორეს მხრივ კი სასურველი საქმროს დაწუნებით გულდაჩაგრული ქალიშვილის ამონაკვნესია სოფ. ხევწრულში 2005 წელს პროფესიონალი სახალხო მთქმელის – ნიგარ ორალისაგან ჩანერილი ლექს-სიმღერა:

ე რა ფუხრად გევიზდი,
ლობიო შორვა დევისხი!
შენ რომ მე არ მითხუე,
შევალ ცეცხლში, დევიწვი!

(შიოშვილი, 2011: 489)

ვაჟის დამწუნებელსა და შემდგომში მონანიე ბაჯალას კი ასე მიუღექსებენ განბილებული მიჯნურები:

ჭალა მოვთიბე, ჭალა,
დამჩენოდა ნაპირი;
გითხუე და არ მომყევ,
დამჟდარხარ და რას ტირი?!

(შიოშვილი, 2005: 103; შიოშვილი, 2011: 490)

დაწუნებულ-განბილებული ვაჟის საყვედური კიდევ უფრო მაღალ რეგისტრშია აყვანილი ბაზგირეთელი მოღექსე ჭაბუკის – თანერ (თანო) იშექის მიერ 2014 წელს პროფესორ მამია ფაღავასათვის ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილ ვარიანტში:

ბაზგირეთ მინავალი
ფეხი წამოვკარ ქვაზე;
გითხუე და არ ქენე,
იყავ, ირტყი ყაფაზე!

დაწუნებულთა თუ უარყოფილთა მხრიდან გამოთქმულ სევდიან სტრიქონებს შორის შავშურ ფოლკლორში, ისევე, როგორც საქართველოს ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერებაში, ზოგჯერ წყევლა-კრულვაც გამოერევა ხოლმე; განბილებული შავში ჭაბუკი მღერის:

აილაში მინავალი
დაჭახული შეშები;
შენ რო მე არ მომყვები,
მიგიდინდეს ლეშები!

(შიოშვილი, 2009: 206; შიოშვილი, 2011: 540)

შავშ მუჰაჯირებს შორისაც გაისმის დამწუნებლისადმი გა-
მოთქმული უარყოფითი ემოციები:

თაზე მიმყავს ორი ხბო,
იქით-აქეთ მექცევა;
შენ თუ მე არ მომყვები,
შავი დღე მეგექცევა!

(მოქმელი აჰმედ ჩეთინი (ცხვარიძე), 55
წლის, მცხოვრები ქ. ინეგოლში. წარმო-
შობით იმერხეველია. ჩაინერა თინა შიოშ-
ვილმა 2014 წელს)

ვაჟს არც ქალიშვილი ჩამორჩება და აფრთხილებს:

ავდექ, ჩაველ ახორშიო,
დავჯექ ძროხის წველაზეო;
შენ თუ მე არ მითხუეო,
დავდგე'ნა შენ წყევლაზეო!

(მოქმელი ემინე ყაია, 60 წლის, მცხ. სოფ.
იფხრეულში. ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ
2007 წელს)

ანდა:

თაზე მიმყავს ორი ხბო,
იქით-აქეთ მექცევა;
შენ თუ მე არ მითხუეო,
ჩემი წყევლა გენევა!

(მოქმელი აიშა დურსუნბეგი, 40 წლის,
მცხ. სოფ. იფხრეულში. ჩაინერა ვარდო
ჩოხარაძემ 2007 წელს)

დანუნებული ქალიშვილი ხშირად ძმასაც ამუქრებს თავის
დამნუნებელს:

მე ლუქუსი ავანთე,
მატყლი'და ვაჩეჩო.
შენ რო მე არ მითხუე,
ზმას'და გავათქლეშო!

(მთქმ. არზუ ავჯი. ჩაინერა თ. შიოშვილმა
2009 წელს სოფ. იფხრეულში. დაბ.: შიოშ-
ვილი, 2011: 489)

შავშურ ლირიკაში ზოგჯერ გამოერევა ისეთი სტრიქონე-
ბიც, როცა სატრფოსაგან განანწყენებული ქალიშვილი „თვალჭი-
რულს“ უარს უცხადებს:

ღელე-ღელე ევიარე,
ღელეში ჩამევარე;
მე შენ აღარ'და მოგყვე,
მე შენიდან გეგვარე!

(მთქმელი აიმა დურსუნბეგი, 40 წლის,
მცხ. სოფ. იფხრეულში. ჩაინერა ვარდო
ჩოხარაძემ 2007 წელს)

იმავე შავშელი ქალბატონის რეპერტუარის თანახმად (ჩამ-
წერი ვარდო ჩოხარაძე), როგორც სატრფიალო პოეზიაზე მსჯე-
ლობისას აღვნიშნეთ, ქალიშვილი უცხადებს ვაჟს, რომ მისი წე-
რილებიც კი გადაყარა:

მე რო ხალი მოვქსოე,
ნახიშები ჩავყარე;
ი შენი მექთეფები
თლათ კარში გადავყარე.

საცოლის შერჩევა-დაკვლევა, რაც ტრადიციული ქართული
საქორწილო რიტუალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, იმ-

ერსევის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სინამდვილეს თავდაპირველი ხიბლით შემოუნახავს. საცოლედ შერჩეულს აქაურები „ნათქვამს“, „თვალჭირულს“ ეძახიან, დაქორწინებას, დაოჯახებას კი – „დასახლებას“. დასახლების მონადინე ვაჟებმა და ვაჟკაც ქმრებზე მეოცნებე გოგონებმა, ვიდრე სანადელს მიაღწევენ, ზნეობრიობით აღსავსე ფაქიზი ურთიერთობის, ანუ „შორით კვდომის“, გზა უნდა გაიარონ.

ნიშნობის ამსახველი ლექს-სიმღერები

საპატარძლოს შერჩევა-დაკვლევას („ნათქვამობას“) შავშეთში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ნიშნობა მოსდევს. ამ საქმის მოგვარება ევალებოდა „ელჩს“; ამ როლს ხშირად სამამთილო, დედის ძმა ან სხვა ახლობელი კისრულობდა.

ელჩი საპატარძლოს სახლში დატოვებს ნიშნის ბეჭედს („ნიშან უზული“) და დათქვამენ ნიშნობის თარიღს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იმერხევში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, თუნდაც ორივე მხარე (ქალისაც და ვაჟისაც) თანახმა ყოფილიყო ქალ-ვაჟის შეუღლებისა, მაინც იმართებოდა რიტუალური მოლაპარაკება, რის შედეგადაც დათქვამდნენ ოფიციალურ ნიშნობას.

პროფესორ შუშანა ფუტყარაძის მიერ სოფ. აგარაში სელმინაზ სუთჩისაგან (მარგაძე) ჩანერილ ერთ ლექს-სიმღერაში ელჩის გაგზავნის აუცილებლობაზე თავად „თვალჭირული“ გოგო მიანიშნებს ვაჟს:

დღეს სირაში'ნა წევდე,
ეჯახნენ'ნა ყოჩები;
თვალიჭირვით არა იქს,
გამოგზავნე ელჩები!

(ფუტყარაძე, 1993: 222)

ნიშნობა შავშური საქორწილო რიტუალის ერთ-ერთი მთავარი მომენტი. ნიშნობისას საპატარძლოსთან მიაქვთ საჩუქრები (ტანსაცმელი, სამკაულები, ტკბილეულობა, ფული); თავის მხრივ ამ რიტუალზე მისულთ საპატარძლოც ასაჩუქრებს მის მიერ მოქსოვილი წინდებით, თავსაბურავებით, პირსახოცებით და სხვა სახის ხელნაქმარით. ეს წეს-ჩვეულება კარგად აისახა შავშურ ზეპირსიტყვიერებაში. ალბათ ამიტომაც არის, რომ ჩვენებურთა ლექს-სიმღერებში ვაჟი მომავალ მეუღლეს სთხოვს, მოუქსოვოს მისნაირი წინდები:

გალმა სერში გელები,
მიმოდევან ზერები;
რას იქს, მეც მიმიქსუე,
ერთი გვეკონდეს ჭრელები.

(მთქმ. ილიას ალთუნი, ჩაინერა თ. შიოშვილი
ვილმა 2009 წელს სოფ. კოკბერეთში.
დაბ.: შიოშვილი, 2011: 485)

წინდებითა და საკუთარი ხელით მოქსოვილ-დამზადებული ნივთებით ასაჩუქრებს პატარძალი ნიშნობისა და ქორწილის დღეს სასიძოს მხრიდან მისულ სტუმრებს ტრადიციული აჭარული საქორწილო რიტუალითაც. სწორედ ამგვარი ტრადიციის ასახული როგორც შავშეთში, ისე აჭარაში გავრცელებულ სატრფიალო ლექს-სიმღერებში, რომელთა თანახმადაც ვაჟი ქალისაგან ითხოვს წინდის მოქსოვას, რაც მომავალი მეუღლეობის სანინდრად მიიჩნევა. აჭარის ზეპირსიტყვიერებაში მრავალ ვარიანტად გავრცელებული ერთ-ერთი შაირი ამგვარია:

გოგოვ, შენი წელი წმინდა,
მომიქსოვე ჭრელი წინდა!
შენი ძმაჲ ყაინათ მინდა,
შენი თავი ცოლად მინდა!

(აჭ. ხალხ. პ., 1969: 118)

ლექს-სიმღერის ზოგიერთი აჭარული ვარიანტის თანახმად, ვაჟი, გამოუტყდება რა ქალიშვილს სიყვარულში, მის ნათესავეებს თავად პირდება წინდებით დასაჩუქრებას, რაც კონკრეტული მაგალითია იმისა, რომ წინდის ჩუქება დამოყვრების სიმბოლოა:

გოგოვ, შენი წელი წმინდა,
შენი თავი ჩემთვის მინდა!
შენი ბაბოჯ სიმამრათ მინდა,
შენი ანაჲ სიდედრათ მინდა,
იმათ'ნა ვაჩუქვო წინდა!

(ნბიფა, საქმე №162: 16)

შავშელთა ყოფაში არცთუ იშვიათია დანიშნული ქალის „გაქცევნა“. ეს უკიდურესი საქციელი ძირითადად უკავშირდება საპატარძლოს არასრულწლოვანებას, ანდა სხვა რაიმე ყოფით მიზეზს, რის გამოც ქალის მხარე ხელს უწყებს მას გაქცევაში. ეს სოციალური მოვლენაც, ბუნებრივია, სათანადოდ აისახა ზეპისიტყვიერებაში. გასაქცევად გამზადებული ქალის ფსიქოლოგიური პორტრეტია დახატული შემდეგ შავშურ ლექს-სიმღერაში:

ჩაფულები დემიფსდა,
ახლა ვინ'ნა ემილოს?
ამეზლამ'ნა გევიქცე,
კარი ვინ'ნა გემილოს?

(მთქმ. აიშე გულაბი. ჩაინერა რ. ხალვაშ-
მა 2005 წელს სოფ. ზიოსში. დაბ.: შიოშვი-
ლი, 2011: 491)

ამ ლექს-სიმღერის ვარიანტი დააფიქსირა პროფ. თამაზ ფუტკარაძემ:

ჩაფულები გიმიფნდა,
ახლა ვინ'და მიყიდოს?
ამელამ'და გევიქცე,
კარი ვინ'და გიმილოს?..

(ფუტკარაძე, 2009: 7; შიოშვილი, 2011: 546)

ჩვენ მიერ დაბა შავშათში ალიე გორჩინთისაგან (შუბლაძე) 2005 წელს ჩანერილ ლექსში „...უბედური მაითო აბლა...“ საუბარია ერთ-ერთ ასეთ „გაქცევნაზე“ (შიოშვილი, 2011: 590-591). როგორც მთქმელმა გვაუნყა, დანიშნული ქალი გაქცეულა და მის (მთქმელის) დედეს, ანუ პაპას, გამოუთქვამს ლექსი, რომელსაც იუმორისტული ელფერი დაჰკრავს. დანიშნული გოგო სოფელ უბედან ყოფილა; „გოგო გაქცევლა. გოგო რომ გაქცევლა, ჩემ ანას ბაბომ, ჩემ დედემ, ლექსი გამუუთქვა“. სამწუხაროდ, მთქმელს ლექსი სრულად არ ახსოვდა, თუმცა ის, რაც მის მეხსიერებას შემორჩა, საკმაოდ კარგად ასახავს როგორც საკუთრივ ნიშნობის ტრადიციას, ისე – დანიშნული ქალიშვილის გაქცევის ჩვეულებას.

ლექსის თანახმად, სადედამთილო მაითოს მაჭანკლად (ელჩად) გაუგზავნია კოჭლი ფატყუმე, რომელსაც საქმე მოუგვარებია და უბელი გოგოც დაუნიშნავს:

უბედური მაითო აბლა,
მეიყვანა თოფალი ფატყუმე.
დილა-სალამ იქ იარა,
დეინიშნა დოდოფალი.
ნიშნად ბეჭედი მუუტანა,
ბეჭედ ქონდა ლურჯი თვალი.

დანიშნულ გოგოს „გაქცევნაში“ დედა დახმარებია, რის გამოც სადედამთილოსაგან მკაცრი საყვედური მიუღია. დედას თავი უმართლებია და უთქვამს, რომ ეს ამბავი მანაც ძალზე მტკივნეულად განიცადა, მონმედ კი მეზობელი ლუთფო დაუსახელებია. მათ შორის ამგვარი დიალოგი გამართულა:

– შე მეხსინევ, შე პირშავო,
რა უყავ ჩემი დოდოფალი?!
– დილას ავდექ, შინ არ იყო,
მე რა ვიცი ი ზუნკალი!
– ტყუილ-ტყუილად ნულარ ფიცავ,
შე სომეხო, შე ფოშაო!

– წუხელ დილამდე ვიტირე,
ლუთფოს კითხეთ ჩემი ჰალი!

განხილული ლექსის ფრაგმენტული ვარიანტი დააფიქსირა შ.
ფუტკარაძემ სოფ. ხობლევში:

ქორღლებო, მოიყარენით,
რანა იქნას ჩუენი ჰალი?
შე მუხსინე, შენ პირშავო,
რა უყავი ჩემი დოდოფალი?!

(ფუტკარაძე, 1993: 202)

შავშთა შორის ამ ძალზე პოპულარული ლექს-სიმღერის ვა-
რიანტი დავაფიქსირე 2015 წლის 26 ივლისს შავშეთიდან თოქა-
თის რეგიონში, სოფელ ოსმანიეში, მცხოვრები 81 წლის ბაჭათინ
დაშქესანის თქმით:

– მეიყარენით, გორღლებო,
რა'ნა იქნას თქვენი ჰალი?
დაბიბეში გადავლაში
ატრინკულა დოდოფალი.
შე მუხსინევ, შე ფოშავ,
შენ გემიქციე დოდოფალი!
– ვალაიდა, მე არ ვიცი!
ბილაიდა, მე არ ვიცი!
მაითოს კითხე ჩემი ჰალი...

მთქმელის განმარტებით, ეს ლექსი გაუგონია შავშეთიდან
მის სოფელში სტუმრად მისული კაცისაგან („მემლექეთიდან ყა-
სიმი იყო და იმიდან გეგვონე“).

გასათხოვი გოგოს „გაქცევნა“, ანუ გაპარვა, შავშეთში ჩვე-
ულებრივი მოვლენაა. ამაზე მიუთითებს სოფელ დასამობში
პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერა,
რომლითაც ვაჟი მიმართავს „თვალჭირულ“ გოგონას:

გაღმა სერში ვაჩაგი;
არ ხარ ფენა ქორეგი;
გამოქცევნა თუ გინდა,
გამომინთე ლაჩაქი!

(ფუტკარაძე, 1993: 226)

საქორწილო სამზადისის ამსახველი ლექს-სიმღერები

ნიშნობას, როგორც ქართული ტრადიცია მოითხოვს, გარკვეული დროის შემდეგ მოსდევს ქორწილი. შავშეთში პატარძლის საქორწილო სამზადისის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია ხელზე ინის დადება. პატარძლისათვის ინა მიაქვს წინა დღეს სიძის ოჯახიდან მისულ ერთ-ერთ მაყარს, რომელიც დედოფალს ხელში ჯერ ოქროს ნივთს ჩაუდებს, შემდეგ კი – ინას, რომელსაც მისი ერთ-ერთი გამორჩეული (აუცილებლად დედამიანი) ნათესავი წრიულად წაუხვამს ხელის გულზე და ფრჩხილებზე, შემდეგ კი წითელ ხელთათმანს ჩააცმევინ. ხელზე ინანასმული და ხელთათმანებში გამოწყობილი დედოფლები ექსპედიციის წევრებმა არაერთხელ ვიხილეთ საქორწილო ცერემონიალის დროს დაბა შავშათის სარიტუალო დარბაზში.

დედოფლისათვის ხელისგულზე და ფრჩხილებზე ინის წასმას პროფილაქტიკური მაგიური დანიშნულება უნდა ჰქონდეს და ბოროტი, ავი სულებისაგან მის დაცვას უნდა ითვალისწინებდეს; ინის წასმის განსაკუთრებული (წრიული) წესი კი მზის სიმბოლიკაზე უნდა მიანიშნებდეს (ბარდაველიძე, 1953: 130). მკვლევარ გ. გოცირიძის ცნობით, საქორწილო ცერემონიალში ინის გამოყენებას ადგილი აქვს ფერეიდნელ ქართველთა შორისაც. აქაც ამ მცენარეს პროფილაქტიკური მაგიური ფუნქცია მიენერება, რაც ავი სულებისაგან ადამიანის დაცვას, ქორწინების დროს მოსალოდნელი „სქესობრივი აქტის ჩაკეტვის“, ქალის უშვილობისა და ვაჟის მამაკაცური უძღურების აცილებას გულისხმობს (გოცირიძე, 1987: 85).

დედოფლისათვის ხელზე და ფრჩხილებზე ინის დადება იცოდნენ აჭარაშიც. ერთ-ერთი ჯანმრთელი და ქმარშვილიანი ნათესავი ქალი ეხმარებოდა დედოფალს; ამ ქალის დახმარებით იგი წინა დღით ხელებს და ფრჩხილებს ინით იღებავდა (ბექაია, 1974:61).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფრჩხილების შეღებვა ინით ისლამურ სამყაროში მიღებული და საკმაოდ გავრცელებული წესჩვეულება იყო, რაც სათანადოდ აისახა კიდევ ხალხურ პოეზიაში. აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულ სატრფიალო შაირში ნათქვამია:

ხელზე ინა დევდევვი,
თითი მომწვარი მქონდა.
მე ბიჭის მერაყისგან
გული დამწვარი მქონდა.

(ნბიფა, საქმე №150: 64)

ამ ლექსის ვარიანტი, სამწუხაროდ, შავშეთის სოფლებში ვერ დავაფიქსირეთ, მაგრამ ისტორიული კლარჯეთის ერთ-ერთ სოფელში – ბუჯურში (მურღულის ხეობა), რომელიც ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით იმავე სივრცეს განეკუთვნება, 2007 წელს 70 წლის ხატიჯე ილმაზისაგან (ქესკინოღლი), რომელიც გამოთხოვილია სოფელ დევსქელიდან, ჩავინერე ზემოთ მოხმობილი აჭარული შაირის თითქმის იდენტური ვარიანტი, რომელსაც მთქმელი სიმღერით ასრულებდა;

ხელზე ინა დევდევვი,
თითი დამწვარი მაქვა.
მე სიმღერა რავა ვთქვა,
გული დამწვარი მაქვა.

დედოფლისათვის ხელისგულზე და თითებზე ინის დადების რიტუალს, რომელიც საღამოს სრულდება, შავშეთში „ყინა გეჯეს“ ეძახიან („ყინა“ – ინა, „გეჯე“ – ღამე) და სიმღერის თანხლებით სრულდება:

მაღალ-მაღალ მთებიდან
სახლი არ დადგა,
აბანჯ მემლექეთში
გოგო არ მიცე!
ყინა მეიტანე, ანე,
თითი დაანე, ანე,
ამელამ მუსაფირი ვარ,
ჩემ უკან დანე, ანე!

(ფუტკარაძე, 2009: 14-15)

„ბაჭლის თერეფი ყინას იდებენ, სიძესაც ლეკი თითზე დაადებენ. იმ ღამე დოდოფალ ატირებენ, სიმღერას მოუმღერებენ“, – გვითხრა დასამობის ერთ-ერთ უბანში – ნიოლეთში მცხოვრებმა 70 წლის ქალბატონმა ფიქრიე ორალმა, რომლის საუბრიდან განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ „დოდოფალ ატირებენ“, რაც ტრადიციული, პატარძლის კერიასთან გამოთხოვების, არქაული წეს-ჩვეულებაა და რაც, ჩვენდა სასიხარულოდ, დღემდე შემოუნახავთ ჩვენებურებს.

საქორწილო ლხინი და მაყრული ლექს-სიმღერები

შავშურ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილია როგორც უშუალოდ საქორწილო რიტუალის ამსახველი, ასევე – ქორწილში სამღერი სხვადასხვა თემატიკის (უმეტესად – სატრფიალო და საყოფაცხოვრებო) შაირის ფორმის ლექს-სიმღერები.

75 წლის ბაზგირეთელი ფათმა დუზგუნის თქმით, „დუგუნში“ (ქორწილში) მღეროდნენ:

ჰაიდუ, ნევდეთ ბათუმში,
ვანერიოთ აზებთი.
ადე, გუზელ, ვისამოთ,
ვასეიროთ ლამაზები!

(შოშვილი, 2011: 498)

ლექს-სიმღერაში აქცენტის გამახვილება ცეკვაზე შემთხვევითი როდია. ცეკვა, სიმღერასთან ერთად, ჩვენებურთა საქორწილო რიტუალის ერთ-ერთი აუცილებელი და, ამასთანავე, წამყვანი ატრიბუტია. იმერხევის მაღალმთიან სოფელ ბაზგირეთში დადასტურდა ცეკვათა შემდეგი სახეობანი: „ბაზგირულა“, „ხორუმი“, „დუხხორუმი“, „თექიანები“, „ჯინველო“, „ორთაბათუმი“, „შემორბენილა“, „გაზრომილა“, „ხელგაშლილა“, „ყარშიბერი“, „დართულა“ (ხალვაში, 2007: 310-311; ფუტყარაძე, 2009: 16-18; ფაღავა, 2011). ეს ცეკვები ფაქტობრივად ხალხური დრამის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ და ცალკე შესწავლის საგანია; ჩვენ მათ განვიხილავთ იმდენად, რამდენადაც ისინი საქორწილო ლხინის დროსაც სრულდება. ეჭვს არ იწვევს, რომ შავშურ ცეკვებს თავის დროზე სასიმღერო ტექსტებიც ახლდა (ამჟამად უმეტესობა მუსიკის აკომპანემენტით სრულდება), რასაც ადასტურებს ცეკვა „ბაზგირულა“, რომელსაც ახლავს სიმღერა, რომელიც ამ კუთხეში გავრცელებულ რამდენიმე ლექს-სიმღერის კონტიმინაციას წარმოადგენს:

დაბა და დევიეთი,
 ზემოდან ზაქიეთი.
 ორი დღეა, აღარ ვარ,
 მომსურდა ბაზგირეთი!
 – სიდევერი? – ბაზგირელი,
 – მოდი, ჩამართვი ხელი!
 სიცოცხლეში ვიაროთ
 ჯანჯირი-ბაზგირეთი!
 ჯანჯირის ბანრებიდან
 გეფარ, გახვალ ზიარეთ.
 სულ არ დამავინწყდება,
 ჩვენ რო ერთათ ვიარეთ.

(ხალვაში, 2007: 311)

ცეკვა „ბაზგირულას“ სამღერო ტექსტის მოკლე ვარიანტი დაფიქსირებულია ჩვენ მიერაც 2005 წელს სოფელ უსტამისში (ესქიყალე) ზულეიხა დემირისაგან:

ორი დღე არ ავალ,
მომსურდა ბაზგირეთი!
ჯანჯირის ბანრებიდან
გევიარ, გავალ ზიარეთ;
ალარ მავინყდება,
ერთათ თუ ვიარეთ.

ზოგჯერ „ხორუმიც“ სიმღერით სრულდება. აქ ძირითადად იყენებენ სატრფიალო ხასიათის ტექსტებს:

აველ საზგირელაზე,
ერთი დავაკიჟინე.
მე რომ შენ არ'ნა წაგყვე,
აქ რალა დემეჯინე!

(მთქმ. გულსარე დუზგუნი. ჩაინერა თ. ში-
ოშვილმა 2005 წელს სოფ. ბაზგირეთში.
დაბ.: შიოშვილი, 2011: 489)

ანდა:

თაზე მიმყავს ორი ხბო,
იქეთ-აქეთ მექცევა.
მე შენ რო ვერ გითხუო,
შავი დღე მემექცევა.

(მთქმ. ზექიე ილდიზი. ჩაინერა თ. შიოშ-
ვილმა 2005 წელს სოფ. დაბაში. დაბ.: ში-
ოშვილი, 2011: 539)

აღსანიშნავია, რომ თავის დროზე იმერხეული ცეკვებით ნიკო მარიც დაინტერესდა. მან აღწერა ტბეთელი ახალგაზრდების მიერ შესრულებული „დელი- ხორომი“ და მიანიშნა, რომ ამ ცეკვის შესრულებისას მოცეკვავენი (მამაკაცები, რადგან ქალებს „დელი-ხორუმი“ ეკრძალებათ) „ჩამუხლებას“, ანუ „ბუქნას“, იყენებენ; მისთვის უამბნიათ, რომ იცოდნენ ქალების ცეკვა „ვარდა“,

რომელსაც განსაკუთრებული შემთხვევების დროს ასრულებდნენ, მაგრამ უცხოებთან ეს ცეკვა სასტიკად იკრძალებოდა: „ტბელი ჭაბუკები მისახელებდნენ ქალების ცეკვასაც – „ვარდას“. ქალები სხვა ცეკვებსაც ცეკვავენ, მაგრამ არა – „დელიხორუმს“. ისინი (ქალები – თ.შ.) ცეკვავენ ცალკე. თუ ნათესავები დაინახავენ, რომ ვიღაცა უთვალთვალებს მისი ცოლის ან ცოლების ცეკვას, ადგილზევე მოკლავენ“ (მარი, 2012: 141).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული ხალხური მაცრული ლექს-სიმღერის – „...მოგვყავს და მოგვიხარია...“ – ერთ-ერთი საინტერესო ვარიანტი ნიკო მარმა ჩაინერა 1904 წლის ზაფხულში, 30 ივლისს იმერხევში, სოფ. იფხრეულში საიდი ალანიძისაგან. ლექსი დიალოგური ხასიათისაა, მას მღეროდნენ მაცრები, როდესაც მამის სახლიდან მიჰყავდათ პატარძალი, თუმცა, როგორც თავად ჩამწერი მიუთითებს, „...ახლა ხმარებიდან გამოსულია ურცხვობის გამო“:

– მოგვყავს და მოგვიხარია,
შინდი გურკა მხრეტელი.
– მაგასაც გოუხაზირეთ
მუხა-სოლი უდრეკელი!
(მარი, 2012: 183)

ქართული ხალხური მაცრული ლექს-სიმღერა დასაწყისით „მოგვყავს და მოგვიხარია“ ფართოდ არის გავცელებული საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ასე მაგალითად:

მოვდივართ, მოგვიხარია,
მოგვყავს დედალი ხოხობი,
თვალ-წარბებ გადახატული
ქალია ძუძუ – კოკობი.
(სიხარულიძე, 1960: 257)

ანდა:

მოვდივართ, მოგვიხარია,
მოგვყავს წითელი პეპელა,
ქალი-რძალი მშვენიერი,
პირვარდი, ალვა, კეკელა...

(სიხარულიძე, 1960: 258)

ნიკო მარისეული ჩანაწერი მაცრული ლექს-სიმღერის ვარიანტი კი არც შავშეთში და არც საქართველოს სხვა კუთხეებში აღარ შემორჩენილა. ამდენად, ეს მასალა, ფოლკლორისტიკის ისტორიოგრაფიისათვის დიდად ღირებულია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნიკო მარს იმერხევეში ჩაუნერია საქორწილო რიტუალში შესასრულებელი სხვა ლექს-სიმღერებიც („ქორწილში რომ წავლენ გოგოს სახლში“, „როცა დედოფალი ქმართან მიჰყავთ“), თუმცა, უკვე იმ დროს ეს სიმღერები თურქულად სრულდებოდა (მარი, 2012: 182-183). საერთოდ, საყურადღებოა, რომ იმერხეველმა მოხუცმა, გვარად მოსიძემ, ნ. მარს განუცხადა, რომ საქორწილო სიმღერები მათში არ არსებობდა: „...ის გვარწმუნებს, ქართული საქორწილო სიმღერები არ არსებობსო. როგორც ჩანს, ის საერთოდ არ იცნობს მათ“ (მარი, 2012: 173).

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში ვერ მოხერხდა ქართულენოვან საქორწილო ლექს-სიმღერათა (გარდა ერთი, მარის თქმით – „ურცხვი“ ტექსტისა) დაფიქსირება, მაინც მნიშვნელოვანია ცნობა იმის თაობაზე, რომ საქორწილო ლექს-სიმღერათა შესრულება ტრადიციულად ორპირულია: „საქორწილო სიმღერა სრულდება ორი გუნდით (გაღმა და გამოღმა), ამასთან ორივე მხარე იმეორებს ერთსა და იმავე ორტაეპედს...“ (მარი, 2012: 173). იგივე დაადასტურა 75 წლის სვირევენელმა ქალბატონმა ნეპიე იშელმა (პეტროლლი) 2005 წელს: „– ჩვენ დუგუნში ყოველთვის ვიმღერებდით, ორი – იქითიდან, ორი – აქეთიდან... ცეკვის დროს“.

შავშეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა ეთნოგრაფიულ კუთხეებში, საქორწილო ცერემონიალს ამხიარულებს მაც-

რული ლექს-სიმღერები. დედოფლის სახლიდან სიძის სახლამდე ქალისა და ვაჟის მაცრები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ცდილობენ, შაირით გაკენწლონ მოწინააღმდეგე მხარე და საკუთარი უპირატესობა დაუმტკიცონ. ეს ერთგვარი „მტრობის“ გათამაშების სცენაა, რომელსაც, გარდა ქართულისა, კარგად იცნობს მსოფლიოს მრავალი ხალხის საქორწილო ნეს-ჩვეულება და მასთან დაკავშირებული ფოლკლორული შემოქმედება.

„– მღერობენ... ჩემმა ნენემ ბევრი იცოდა... გზაში სიმღერა იქნება, მღერობენ; გზაში ჭიბონ უკრენ“, – უამბო ექსპედიციის წევრებს დაბა შავშათში მცხოვრებმა ალიე გოჩიენტმა და მოაყოლა მაცრულში სამღერი ლექს-სიმღერები, რომლებიც ძირითადად სატრფიალო და საყოფიერო ხასიათისაა:

ვაკეთკენ მიმავალი
ქვაზე ფეხი წამოვკარ.
უკნესკენ მინავალი
ჩემ ღარ თვალი წამოვკარ.

(ფაღავა, ცინცაძე, 2007: 272; შიოშვილი, 2011: 486)

ანდა:

ეს აჯარა ღომიო,
ჩიქინი ქმარი გყოლიო.
ის გააგდე და მე მომყევ,
სირცხვილი ნუ გგონიო!

(შიოშვილი, 2011: 496)

ან კიდევ:

გაღმა სერში ქათამი
მივა და მიკაკანებს.
მე რომ შენ დეგინახავ,
გულში გამაკანკალებს.

(შიოშვილი, 2014: 484)

შავშელი მაყრები ზოგჯერ ერთმანეთს მეტსახელებითაც მოიხსენიებენ, რაც მსუბუქ იუმორს არ უნდა გასცდეს. პატარძლის მაყრებს ნეფის მაყრები „გოდრიანებს“ უწოდებენ, რაც, ალბათ, სოციალურ მდგომარეობაზე უნდა მიანიშნებდეს. აღსანიშნავია, რომ იმავე ტერმინით მოიხსენიებიან დედოფლის მაყრები აჭარულ „მაყრულშიც“:

ამ დედოფლის მაყრებო,
ფეხტატაშა ბლაცვებო;
ზრუგში კიდიან გოდრები,
შით გუურბიან კრუხები.

(ნბიფა, საქმე №65:46).

თუ მაყრებს გრძელი გზა აქვთ გასავლელი, შავშეთის ქართულ სოფლებში მიღებული ჩვეულების თანახმად, ქალის მაყრონი შუა გზაზე შეჩერდება და მუცლებზე ხელის მოსმას იწყებენ, რითაც იმაზე მიანიშნებენ, „დაგვჩხვერა“, კუჭი აგვენვა შიმშილითო; თუ ვაჟის მხარეს წინასწარ თადარიგი არ აქვს დაჭერილი, სირცხვილს ჭამს: „გზა განახვერდება, მაყარი დასხდებიან ორივე. დაჩხვერავენ, რაცხა უნდათ იგზე. ავად გავხდითო, კუჭიო... რაცხა საჭმელი გვინდაო... რაცხა გაკეთებული ექნებიან, რაცხას ქი გააკეთებენ; ქალის თერეფ დუურიგებს“ (ფალავა, ცინცაძე 2007: 273).

სიძის სახლთან მაყრონის მისვლისას, ისევე როგორც მთელ გზაზე, შავშეთში იმართება შაირობა, რომელიც, როგორც ყველა მაყრული, ორპირული შესრულებისაა და მეორე მხარის გაკენწვლას, „ჩაძირვას“ ისახავს მიზნად.

ამგვარი ურთიერთობა ქალისა და ვაჟის მაყრებს შორის, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ორი გუნდის პრინციპზე დაფუძნებული არქაული ქართული წეს-ჩვეულებაა, ეგრეთწოდებული „მტრობის“ გათამაშებაა, რასაც საბოლოოდ იუმორისტული ხასიათი ეძლევა და საქორწილო ცერემონიაში თავისებური მიხიარული ელფერი შეაქვს. ამგვარი, სიძისა და დედოფლის

მაყართა გუნდების შეჯიბრის პრინციპზე დამყარებული, მაყართული ლექს-სიმღერის მრავალი ნიმუში დავაფიქსირეთ სოფლებში: იფხრეველი, ხობლევი, დავლათი, აგარა, კოკბერეთი, ჩაქველთა, ბაზგირეთი, ჯვარიხევი. ტექსტები არსებითად მსგავსი სიტყვიერი ქსოვილით არიან აგებულნი:

- დოდოფალი მოყავან,
- საჩუქარი რა ყავან?
- მუნიათი თხა ჰყავან!

„– დოდოფალ ქი მოიყვანებენ, იმღერებენ“, – გვითხრა 65 წლის სურმელ ილდიზმა. თითქმის იდენტური ვარიანტი ჩაგვანერინა 87 წლის ვეფსიე დემირმა (შიოშვილი, 2011: 547).

დიალოგური ფორმის ეს მაყართული ლექს-სიმღერა ბოლო დრომდე გავრცელებულია აჭარის საქორწილო რიტუალშიც (ბექაია, 1974: 65; ნოლაიდელი, 1971: 51); თუმცა, გვხვდება მცირედ განსხვავებული ვარიანტებიც (ნბიფა, საქმე №171:13; საქმე №183: 10), რომლებშიც მინიშნებულია, რომ საჩუქრად ყავთ ერთი „მუნიათი“, „იორდამელა“, „თოფალი“, „პირსანათა“ თუ „პირსალარა“, გაფხეკილი თხა. ერთ-ერთ ვარიანტში კი მინიშნებულია, რომ საჩუქრად სამი თხა ჰყავთ:

- დედოფალი მოყავან,
- საჩუქარი რა ყავან?
- სამი თავი თხა ყავან!

(ნბიფა, საქმე №166: 5)

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში დაცულია ამ მაყართული ლექს-სიმღერის ერთ-ერთი სრულყოფილი, მუსიკალური აკომპანემენტის ბგერითი გადმოცემით გაფორმებული ტექსტი, რომელიც 1972 წელს ნ. ჭყონიას ჩაუნერია ხულოს რაიონის სოფელ წაბლანაში ხამზე შაინიძისაგან სათაურით „ვორირა“; მთქმელის განმარტებით, იგი საქორწილო სიმღერაა:

– ვო – რი – რო – ვო – ო – ო – ო – ო!
 დილავ – ო – ო – ო – ო – ო.
 დილავ – ო – ო – ო – ო – ო – ჰეი!
 – დედოფალი მოყავანო,
 საჩუქვარი რა ყავანო?
 – პირსანათაჲ ძროხა ყავანო!
 – ვო – რე, ვო – რე, ვო – ო – ო.
 ვო – რი, რო – ვო – ო – ო – ო – ო!
 დილავ – ო – ო – ო – ო – ო,
 დილავ – ო – ო – ო – ო – ჰეი!
 (ნბიფა, საქმე №175: 41)

ეს მაცრული სიმღერა ძველ საქართველოში უშუალო გამო-
 ძახილი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი საქორწილო ჩვეულებისა,
 რაც დედოფლისათვის ვაჟის ოჯახის მიერ შესაწევარი „ყურ-
 ბნის“ მირთმევას გულისხმობს.

აჭარული წეს-ჩვეულების თანახმად, „...სიძის ეზოში რომ
 მოვდოდენ, იყვირებდენ, ყურბანი მოგვიყვანეთო. ოჯახის პატ-
 რონი გამოიყვანდა ცხვარს ან ძროხას. მას თავს შემოავლებდენ
 და მას მემრენ ის დედოფლის საკუთრებად ითვლებოდა... იძახი-
 ან გოგოს მაცრები, საჩუქარი რა გაქვან, გოგო რომ შემოვიყვანო-
 თო. იტყოდენ, საჩუქრად ძროხა გვყავსო... ძროხას ყურს შააჭ-
 რიდენ“ (ნბიფა, საქმე №191: 9, 17).

მკვლევარი მზია ბექაია მიუთითებს, რომ ქალის მხრიდან სა-
 ჩუქრის მოთხოვნა დედოფლის „უზანგის საჩუქარია“; იგი ცხე-
 ნიდან არ ჩამოვიდოდა, ვიდრე უზანგის საჩუქარს არ მიიღებდა.
 ძველად საჩუქრად ყოჩს მხართმევდნენ; „მას დედოფლის ცხენს
 შემოუტარებდნენ გარშემო სამჯერ და იქვე კლავდნენ. შემდეგ
 კი წესად შემოსულა „პატიება“ – დაკვლის იმიტაცია ყოჩის ყუ-
 რის შეჭრითა და სისხლის გამოდენით (ბექაია, 1974: 65).

ვაჟის ოჯახის მიერ დედოფლისათვის საჩუქრის, ანუ შესა-
 წევარი ყურბნის, მირთმევის ჩვეულება იციან შავშურ ქორწილ-
 შიც. აქაც დედოფლის მაცრიონი ზემოთ მოხმობილი სიმღერით

(„დედოფალი მოყავან“) მოითხოვდა საჩუქარს, რაც მსხვილფეხა ან წვრილფეხა პირუტყვია, რომელსაც ყურზე ნიშანს გაუკეთებენ (არც კლავენ და არც ყურს აჭრიან) და მოითხოვენ, რომ დედოფლის სახელზე იყოლიოს ოჯახმა.

აღსანიშნავია, რომ, გარდა პირუტყვის სახით წარმოდგენილი საჩუქრის „გამსუბუქებისა“, შავშურ მაყრულ სიმღერაში გაქილიკებულია სიძეც:

- დედოფალი მოყავანო,
საჩუქარი რა ყავანო?
- დორდამელაჲ თხა ყავანო,
ნეფე თოფალი ყავანო.

(მთქმ. ფატმა ილდიზი. ჩაინერა თ. შიომ-
ვილმა 2009 წელს სოფ. აგარაში. დაბ.: ში-
ომვილი, 2011: 491)

აჭარის საქორწილო პოეზიაშიც ბოლო დრომდე თითქმის ან-
ალოგიური ვარიანტებია შემორჩენილი:

- დედოფალი მოყავანო!
- ნეფე თოფალი ყავანო!
- საჩუქარი რა ყავანო?
- გაფხეკილო თხა ყავანო.

(ნბიფა, საქმე №259: 22)

შავშურ ქორწილში ერთ დროს, ალბათ, მღეროდნენ ტრადი-
ციულ ქართულ სუფრულ სიმღერებსაც და წარმოსთქვამდნენ
დალოცვა-სადღეგრძელოებს, თუმცა, დღეისათვის ეს ტრადი-
ცია მივიწყებულია. იცინა მხოლოდ საჭმლის მოსათხოვი ლექს-
სიმღერა, რომელსაც უფრო იუმორისტული ხასიათი აქვს და აქ-
აც „ორი გუნდის პრინციპი“ მოქმედებს. ქალის მაყრები ცდილო-
ბენ, „ჩიხში“ მოაქციონ მასპინძლები – სიძის მხარე. ამას სუფრის
„დაჭირვას“ ეძახიან. ბაზგირულ ქორწილში ბოლო დრომდეა შე-
მორჩენილი ამგვარი ლექს-სიმღერა:

ვოსა, ვოსა, ვოდელია ნანა,
ხუთი ბაქლავა, ერთი ტოლმა,
ერთი ლივერიც მოიტანეთ!

(ფუტკარაძე, 2009: 29)

უსტამისელი ქალბატონის – შაჰზენე ბილგინის – ცნობით, „მევედოდენ მაყარი (გოგოს მაყარი – თ. შ.), დაჟდებოდენ, მოთლიდენ, თელი მოითხოვენ, მათანიებენ. არ ჭამენ, ისე ადეთია, ძველათ ისე იყო – სუფრას დიგიჭირვენ, არ ადგებიან დოდოფლის თეფგი“. მანვე ჩაგვანერინა „სუფრის დასაჭირავი“ ლექს-სიმღერა:

მოლა, მოლა,
ფენგა გელსინო,
ფემეგი ვჭამოთ,
ყართოფი ვჭამოთ,
ყათმენი ვჭამოთ!

(შოოშვილი, 2011: 491)

„სუფრის დაჭირვა“ („დაჭერა“), ანუ „დაკავება“ აჭარულ ქორნილშიც იცოდნენ. „მაყარი დაჯდება სუფრაზე. ცოტა ხნის შემდეგ ქალის მაყარი სიძეს მეითხოვს. სიძე მოყვება კაცს, რომელსაც ლენგერზე დაყრილი მუაქ ხილი, ტკბილეულობა...“ (ნბიფა, საქმე №191: 74); „ქორნილის მეორე დღეს, დილას, იმართებოდა სუფრის დაჭერის წესი – რუსუმი. მოითხოვდნენ ისეთ რამეს, რაც იშვიათი იყო“ (ნბიფა, საქმე №91: 51); „ქორნილში იყო სუფრის დაჭირვაც. მოვითხოვდით ქათამს, შემწვარ ბატკნებს. თუ არ მეიტანდნენ, მაშინ ვიტყოდით ამ სუფრის სიმღერას. ხანდახან ერთ დღე-ღამესაც დევჭირავდით სუფრას, იმფერი ჟინიანი ხალხიც იყო. თუ ღამაზათ შეძლებდა, მეიტანდა, ისვენ მას ვაჩუქებდით; თუ საქმეს უხერხულად მუუდგებოდა, მაშინ თოფსაც ისროდენ“ (ნბიფა, საქმე №166: 12).

„სუფრის სიმღერა“, მთქმელის განმარტებით, იყო „მასმინძელი“. ამ სიმღერის ერთ-ერთი, ხულოში დაფიქსირებული, ვარიანტი სათაურით „ევრიდა“ ამგვარია:

ევრიდაა!
მასმინძელსა მხიარულსა
ორირეო, ნანინა დაა...
ქალამნისას თავრიელი,
ჰვერი და ჰარალო!
სუფრა დაგვრჩა ცარიელი,
ჰვერი და ჰარალო!
ევრიდა მასმინძელსა და
ორირეო, ნანო და..
უნდა მეიტანოთ ადღში შემწვარი ქათამი,
ჰვერი და ჰარალო!
მოსამსახურება და ჩანჩალო!...

(ნბიფა, საქმე №171: 26-27)

მთქმელის განმარტებით, „ამ სიმღერას მღერის დედოფლის მაყარი“.

ერთ-ერთ უძველეს ქართულ საქორნილო ჩვეულებას – „სუფრის დაჭერას“, რაც სიძის ოჯახის სტუმართმოყვარეობისა და შეძლების ერთგვარი გამოცდაც იყო, აჭარაში მიმართავდნენ როგორც ქორნილში, ისე სხვა წვეულებების დროს. 2008 წელს ჩვენ მიერ შუახევის რაიონის სოფელ გოგინაურის მკვიდრის – ნოდარ გოგიტიძისაგან ჩანერილი ერთი ასეთი ლექს-სიმღერა „ევრი მასპინძელსა“ ამგვარია:

მასპინძელო მხიარულო,
დევრი არაღეო!
სუფრა არის ცარიელი,
დევრი არაღეო!
მაღე ქენი, მოიტანე,
დევრი არაღეო!
ერთი ფუთი თეთრი ღვინო,
დევრი არაღეო!
მოაყოლეთ კასრით თაფლი,

დეერი არაღეო!
რომ არ იეოს ეამოხდილი,
დეერი არაღეო!
აჭარული ხაჭაპური,
დეერი არაღეო!
ერთი კოდი ვაშლი ჩირი,
დეერი არაღეო!

მთქმელის ეანმარტებით, ჩამოთვლიან სხვადასხვა საჭმელ-სასმელს. ამ სიმღერას, როგორც აღვნიშნეთ, მღერიან ქორნილ-შიც და სხვადასხვა ნვეულებების დროსაც. თუ მონათხოვს ვერ მიუტანდნენ, არ ექნებოდათ, მაშინ შეუცვლიდნენ მაცრიონთან შეთანხმებით.

მკვლევარი მზია ბექაია „რუსუმის“ თაობაზე მიუთითებს: „ქალის მაცრები აწვალეზდნენ მასპინძელს, ჭირვეულობდნენ – „გევეზობდნენ“ – მასპინძელს სუფრას უწუნებდნენ, ახალ-ახალ კერძებს მოითხოვდნენ“ (ბექაია, 1974: 67).

მიუხედავად თურქულ გარემოში ჩვენებურთა ხანგრძლივი ცხოვრებისა, შავშური საქორნილო წეს-ჩვეულების ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა სახეობამ – მაცრულმა ლექს-სიმღერებმა, ისევე როგორც მთელმა საქორნილო რიტუალმა, შეინარჩუნა ქართული ხასიათი, რაც, აგრეთვე, მათი იდენტობის ეამომხატველია.

პატარძლის დასამოდვრავი ლექს-სიმღერები

შავშურ საქორნილო რიტუალში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დედოფლის, როგორც ოჯახის ახალი ნევრის, დასამოდვრავი ლექს-სიმღერები, რომლებიც ჯერ სრულდება მშობლიურ სახლთან პატარძლის ეამომშვიდობებისას, შემდეგ კი – ქმრის ოჯახში მიყვანისას. საქმროს სახლში წასაყვანად გამზადებული პატარძალი ეამოყავთ სახლიდან და მღერიან:

გელინო, გელინო,
კარითავი მაღალი,
ნელ-ნელა გადმეარე!
იაშა, იაშა, ჰანი, გელინო, ყარდაში?
მოვდეს, გედეგეხვიოს და იტირეთ...
(ფუტკარაძე, 2009: 21)

სიმღერაში მითითებულია მშობლისა და ქალიშვილის რიტუ-
ალურ ტირილზე. მსგავსი სიმღერა სრულდება, აგრეთვე, სიძის
სახლში პატარძლის მისვლისას:

გამეარე, ზალო, გამეარე!
მამამთილი ბაბოდა,
დედამთილი ანადა,
მაზლი ზმა არი,
მული და არი!

(შოიშვილი, 2011: 491)

ჩიხისხევის ერთ-ერთ მშვენიერ უბანში – კოკბერეთში მცხოვ-
რებმა მთქმელმა ილიას ალთუნმა სიმღერას დაურთო კომენტარი:

„– თურქულად ამბობენ გურჯები. მუა ზალი, მაშინ ამბობენ.
იტყვიან და ამ ყურიდან შევა, ამ ყურიდან გავა“, – დააყოლა ხუმ-
რობით.

ეს ლექს-სიმღერა მრავალი ვარიანტით არის გავრცელებული
აჭარის ზეპირსიტყვიერებაშიც. მკვლევარ ალი მსხალაძის მიერ
1960 წელს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ქედქედში (მაჭახლის
ხეობა) ჩანერილი ერთ-ერთი პატარძლის დასამოძღვრავი ლექსი
მთქმელის – ვლადიმერ მსხალაძის – თქმით, სრულდება მაშინ,
„როცა ქორწილი მთავრდება და შინაურ ქალებს რძალი შეჰყავთ
სამზარეულოში... ლექს-სიმღერას ასრულებენ ერთ ხმაზე“:

გელინო, გელინო,
აბძანდი ზე ზე, აბძანდი, გელინო!
ნელა-ნელა წამობძანდი, გელინო!

მამამთილი მამასავენ, გელინო!
დედამთილი დედასავენ, გელინო!
მაზლები გყავს ძმასავენ, გელინო!
მულები გყავს დასავენ, გელინო!

შემდეგ, მთქმელის განმარტებით, „გადადის საფერხულო სიმღერაზე „ნაჲ, ნაჲ, ნი-ნა-ნა“ (ნბიფა, საქმე №46:24-25).

„გელინოს“ ერთ-ერთი ვარიანტის შემსრულებლის – ჭარნალელი მერი ქავთარაძის – თქმით, „ეს ძველებური, გაკიდებული სიმღერაა“ (ნბიფა, საქმე №226:29). ამ ლექს-სიმღერის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ვარიანტი 1971 წელს ნანული ნოლაიდელმა ჩაინერა ჯოჭოში სოფელ ხეზიდან (ამჟამად თურქეთის რესპუბლიკაშია) გამოთხოვილი 66 წლის ემინე გორგოშაძისაგან; აღსანიშნავია, რომ სიმღერას იუმორისტული დასასრული აქვს:

გელინო, გელინო,
კერიას უკან ქოთანი,
გელინო, გელინო,
ესაა შენი ვათანი!
გელინო, გელინო,
ნელ-ნელა გადმობრძანდი,
გელინო, გელინო!
კარი თავი მაღალია,
გელინო, გელინო!
ერთი მული გყავს დასავეთ,
გელინო, გელინო!
ერთი მაზლი გყავს ძმასავეთ,
გელინო, გელინო!
ერთი შვილი გყავს ღორსავეთ...
(ნბიფა, საქმე №150:63)

დასამოძღვრავ-დასარიგებელ ლექს-სიმღერებით შავშელები პატარძალს ავალებენ საოჯახო საქმეების უზადოდ შესრულებას და დედამთილის პატივისცემას:

დოდოფალო, მოდი,
სახლი დაგავე,
არ აათოზო!
დედამთილით პასუხი არ ქნა!..
(შიოშვილი, 2011: 491)

ამ ლექს-სიმღერის ვარიანტებსაც იცნობს აჭარის ზეპისიტ-
ყვიერება:

გელინო, გელინო, სახლი დახვეტე,
მაგრამ მტვერს ნუ დააყენებ!
დედამთილებმა ბევრი ლაპარაკი იციანო,
ყველაფერს ყურს ნუ დაუგდებო!
რძლებო, ყველაფერს ფეხქვეშ ნუ მოიგდებთო!
(ნბიფა, საქმე №226:29-30)

შავშურ ზეპირსიტყვიერებაში დამონმებული პატარძლის და-
სამოდღვრავი ლექს-სიმღერები, ერთის მხრივ, ემსახურება ოჯ-
ახში შემოსული ახალი წევრის გაშინაურებას, მეორეს მხრივ კი,
მათში წარმოჩენილი დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი იდეალები
მშვენივრად გამოხატავს ქართველი ხალხის მისწრაფებას მყუდ-
რო, მშვიდობიანი ოჯახური ცხოვრებისადმი, ოჯახის წევრთა
ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემისადმი.

შავშური საქორწილო ზეპირსიტყვიერების წმინდა ქართულ-
მა ხასიათმა, სხვა ადგილობრივ სანესჩვეულებო რიტუალებთან
ერთად, განაპირობა ამ ძირძველი ქართული რეგიონის ყოფა-
ცხოვრებაში ეროვნული ტრადიციების შემონახვა, რაც უმნიშ-
ვნელოვანესი პირობაა თურქულ გარემოცვაში მცხოვრები ჩვე-
ნებურებისათვის ეროვნული იერსახის შესანარჩუნებლად.

საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერები

ქართული ხალხური პოეზიის ერთ-ერთი საინტერესო უბანია საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერები, რომლებშიც ასახულია ოჯახური ურთიერთობა, სოციალური პრობლემები, ადამიანთა დამოკიდებულება ტრადიციული წეს-ჩვეულებებისადმი. შავ-შურმა ფოლკლორმაც შემოინახა საყოფიერო თემატიკის შემცველი ზეპირპოეტური ნიმუშები, რომლებშიც ვეცნობით საქართველოს ამ ძირძველი კუთხის მკვიდრთა წეს-ჩვეულებებს, ოჯახურ ყოფას და მის ცალკეულ ნიუანსებს, ჩვენებურთა ხასიათს, მისწრაფებებსა და ოცნებებს, იუმორსა და ადამიანურ ურთიერთობებს.

როგორც საქართველოს ყველა ეთნოგრაფიული რეგიონის საყოფიერო ზეპირსიტყვიერებაში, შავშთა საყოფიერო ლექს-სიმღერებშიც ერთ-ერთი წამყვანი თემაა ოჯახი და მის წევრთა შორის არსებული ურთიერთმიმართება. ამ კუთხის ქართველთა მსოფლმხედველობა ამ პრობლემისადმი დამოკიდებულებაში ტრადიციულ და, ამავე დროს, ზოგადკაცობრიულ ზნეობრივ ნორმებს ეთანადება და გვასწავლის, რომ მაღალზნეობრივი, რაფინირებული ადამიანური ურთიერთობის სათავე ოჯახში, ოჯახის წევრთა შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებაშია საძიებელი. ამ სენტენციის რეალიზებას შავშური საყოფიერო ლირიკა ზოგჯერ ნეგატიურის ჩვენებითაც აღწევს, რაც, აგრეთვე, დამახასიათებელია საერთოქართული ზეპირსიტყვიერებისათვის. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა რძალ-დედამთილის ციკლის ლექს-სიმღერები, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ შავშური ზეპირსიტყვიერება საერთოქართული ფოლკლორული სივრცის ორგანული ნაწილია.

რძალ-დედამთილის ურთიერთობის ასახვაზე ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მრავალრიცხოვანი ლექს-სიმღერებია შექმნილი. მათი უდიდესი ნაწილი სატირულ-იუმორისტული ხასიათისაა და გვაცნობს რძალსა და დედამთილს შორის სხვადასხვა საოჯახო პრობლემებთან დაკავშირებულ უთანხმოებებს, თუმცა, ბუნებრივია, მოგვეპოვება მათ შორის არსებული ჰუმანური, ზნეობრივი ურთიერთობების ამსახველი ნიმუშებიც.

აღსანიშნავია, რომ შავშთა ზეპირსიტყვიერებაში ძირითადად შემორჩენილია რძალ-დედამთილს შორის არსებული ნეგატიური ურთიერთობის ამსახველი იუმორისტული ხასიათის ლექს-სიმღერები. ერთ-ერთი ბაზგირული საყოფაცხოვრებო ლექსით, რომელიც ჩანერილია ჩვენ მიერ 2005 წელს საინურ მეიდანისაგან (ყასუმოდლი) გადმოცემულია რძალ-დედამთილს შორის არსებული არაჯანსაღი დამოკიდებულება, რაც ორივე მხარის აგრესიას წარმოაჩენს:

გაღმა სერში აკრი ხე,
ერთი თოკი დავგრიხე;
დედამთილი გიყვირებს,
ჰამან კინი მუუგრისხე!

(შიოშვილი, 2011: 496)

თუმცა, ზოგიერთი ლექს-სიმღერის თანახმად, ურჩი რძალი ისჯება და მშიერი რჩება:

ღელე-ღელე ჩევიარე,
ვერ ავამსე გუგუმი;
დედამთილი გავაბღეზე,
არ მაჭამა ვახშამი.

(ფუტკარაძე, 1991: 25)

ანდა:

ბოსტანშია ლობიო,
იმაღ უნდა ხაშარი;
გამოვსილ დედამთილმა
არ მომართუა ვახშამი.
(ფუტკარაძე, 1993: 221)

ამ საყოფიერო ლექს-სიმღერის ვარიანტები მრავლად მოიპოვება აჭარის ზეპირსიტყვიერებაში; ერთ-ერთი მათგანია:

სახლიკისერ ლობიო დავრგე,
შამუურიგე ხაშარიო;
დედამთილმა გამიბღეზდა,
ალარ შესკდა ვახშამიო.
(ა.ხ.პ., 11969: 90)

ამგვარ ლექს-სიმღერათა ერთი მანატბური ვარიანტის თანახმად, დედამთილი „ისჯება“:

ყანაში დავასევე ხაშარი,
დედამთილმა გამაბღეზა,
არ ვაჭამე ვახშამიო.

(მთქ. ალადინ ალთუნელი. ჩაინერა თ. შიოშვილი 2009 წელს. დაბ.: შიოშვილი, 2011: 496)

დედამთილისადმი რძლის აუგი დამოკიდებულება ჩანს შავშეთის სოფლებში გავრცელებულ მინიატურულ ლექს-სიმღერაში:

ბუხრუკნედან მორია,
დედამთილი ღორია.

(მთქ. შაჰზენე ბილგინი. ჩაინერა თ. შიოშვილი 2009 წელს სოფ. უსტამისში. დაბ.: შიოშვილი, 2011: 558)

აჭარაში გავრცელებულია ამ ლექს-სიმღერის თითქმის იდენტური ვარიანტი:

ჯამეს უკან ფხლიძირი,
დედამთილი ხინძირი.

(ნბიფა, საქმე №245:4).

რძლის მიერ ოჯახის წევრთა დახასიათებაა მოცემული ჩვენ მიერ 2009 წელს სოფელ ბზათაში ფატმა ყიშლასაგან ჩანერილ ლექს-სიმღერაში, რომლის თანახმადაც რძლის რისხვა უმთავრესად მიმართულია მაზლის ცოლისა და მულისადმი, რაც ხშირად სჩვევია პატრიარქალური ოჯახის წევრ ქალთა ურთიერთობას; დედამთილ-მამამთილის დახასიათებას კი ვერც უარყოფითს ვუწოდებთ და ვერც – დიდად ჰუმანურს; თუმცა, მაზლის მიმართ, ტრადიციულად, უაღრესად დადებითი ემოციებია გამოხატული:

დედამთილი – იისა,
მამამთილი – ბიისა,
შილი – შექერ-შხამისა,
მაზლი – ვარდი გულისა,
მული – მუხი კუნძისა.

(შიოშვილი, 2011: 496)

ამ ლექს-სიმღერის აჭარული ვარიანტით, მოყვარული რძლის მიერ ოჯახის წევრები ასე არიან დახასიათებულნი:

დედამთილი – ალისაო,
მული – მარგალიტისაო,
შილი – შუშა ლამბისაო,
მაზლი – ია-ვარდისაო,
მამამთილი – შავარდენი,
მისი შვილი – საყვარელი!

(ნბიფა, საქმე № 157: 151)

შავშეთში, სოფ. იფხრეულში, 2005 წელს პროფ. რამაზ ხალვაშის მიერ ისმიალ ოზანისაგან ჩანერილი ერთ-ერთი იუმორისტული ლექს-სიმღერით რძალი ეუბნება მულებს:

მოით, მულებო, დაჯექით,
სინში შიგან ტათლი მაქ;
მე თქვენ ანას ყოლდლე ვცემ,
კიდონ თქვენი ხათრი მაქ.
(შოიშვილი, 2011: 498)

პროფ. შ. ფუტკარაძის მიერ სოფ. აგარაში სელმინაზ სუთჩისაგან (მარგაძე) ჩანერილი ერთი საყოფაცხოვრებო შაირის თანახმად, დედამთილი მისაღებია რძლისათვის, მულები კი – არა:

დედამთილი რას მიშლის,
არნა მყავდეს მულები!
ჩაქათაანა შევკერო,
დავასხანდა ფულები,
იმგუარ ვინცხასნა მიგჰყუე,
არნა ჰყავდეს მულები...
(ფუტკარაძე, 1993: 222)

შავშური საყოფიერო ლირიკის თანახმად, ოჯახისა და ქმრის ერთგული ქალი ზოგჯერ გადამეტებულად ეჭვიანია და ხშირად მეტოქეთა მიმართ წყევლასაც არ ერიდება; ჩვენ მიერ 2005 წელს იმერხევის ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში – ხევწრულში გამზე თანრივერდისაგან ჩანერილი ლექს-სიმღერის თანახმად, დანყევლილია მეტოქე ქალი:

ე რავა ბუქი მოვდა,
ყავარი' ნა ახადოს.
ვინცხა ჩემ კაც შეხედავს,
ღმერთმა ფელჯი გახადოს!
(შოიშვილი, 2011: 496)

შავშური საყოფიერო ლირიკისათვის მიუღებელია გათხოვილი ქალის მიერ განზე გახედვა, სხვათა თვალთვალი და კეკლუცობა:

წყალში მივა დიდი თევზი,
თავს აქანებს, კუდს – არაო;
ახლანდელი ქალიშვილი
სხვას უყურებს, ქმარს – არაო.

(მთქ. დურსუნ სანჯერი. ჩაინერა თ. შიომ-
ვილმა 2005 წელს სოფ. ივეთში. დაბ.: შიომ-
ვილი, 2011: 496)

ანდა:

წყალში თევზი პარპალობს,
კუდსა იქნევს, თავსა – არა.
ახლანდელი გოგუები
სხვას უყურებენ, კაცს – არა.

(მთქ. აჰმეთ ძალჯი. ჩაინერა რ. ხალვაშმა
2005 წელს. სოფ. იფხრეულში. დაბ.: შიომ-
ვილი, 2011: 559)

უპასუხისმგებლო დიასახლისია გაკიცხული ერთ-ერთ საყოფიერო ლექს-სიმღერაში, რომელიც სოფელ ბზათაში ჩავინერეთ 2009 წელს შერაფედინ იშილისაგან; შავშეთის სოფლებში გავრცელებული ეს შაირი წარმოადგენს ქმრის საყვედურს ცოლის მიმართ, რომელმაც უპატრონოდ მიატოვა სახლ-კარი:

ავდექ, გაველ ბაღჩაში,
ვაშლ ფურცელი გუუყრია;
სად წევიდა ჩემი ქალი? –
სახლი-კარი დუუყრია!

(შიომვილი, 2011: 496)

უკუღმართი ცოლის პორტრეტია დახატული ერთ ბაზგირულ საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერაში, რომელიც, აგრეთვე, ცოლისადმი ქმრის საყვედურს გამოხატავს:

ქერა, ქერა, ქერქერა,
თაში ქალი დიმირჩა;
ვუთვალე, არ ჩამოვდა,
გზაში თვალი დიმირჩა.

(ხალვაში, 2007: 313; შიოშვილი, 2011: 497)

ამგვარი ცოლის პატრონი ადანაშაულებს სიდედრს, რომელმაც სათანადო ჩვევები ვერ ჩაუნერგა ქალიშვილს:

შავ თხამა თიკანი ქნა,
ერთ კვირაზე გაზარდა;
მე შენ დედაზე ვბუცობ,
მაგ სოფ რა სოფ გაგზარდა?!

(მთქ. თანერ იშექი. ჩაინერა თ. შიოშვილმა
2009 წელს სოფ. ბაზგირეთში. დაბ.: შიოშ-
ვილი, 2011: 497)

არცთუ იშვიათად შავში ვაჟკაცი, რომელსაც არ მოსწონს ქალიშვილის გზრდილობა, დედამისის ადანაშაულებს და მოურიდებლად ამბობს:

თაზე მივდოდი, თაზე,
აველ კაპანთი წყალზე;
პოლოტიკა არა მაქ
შენ გაზდილ ბაჯალაზე!

(მთქ. თანერ იშექი. ჩაინერა თ. შიოშვილმა
2009 წელს სოფ. ბაზგირეთში. დაბ.: შიოშ-
ვილი, 2011: 499)

ლექსის სხვა ვარიანტებში, რომლებიც თითქმის იდენტურ სიტყვიერ ქსოვილს იმეორებენ, პროტესტია გამოთქმული არასასურველი ადამიანის ნახელავზე:

თაზე მივდოდი თაზე,
აველ კაპანთი წყალზე;
პოლოტიკა არა მაქ
შენ შმორიან ქადაზე!

(მთქ. თანერ იშექი. ჩაინერა თ. შიოშვილმა
2009 წელს სოფ. ბაზგირეთში. დაბ.: შიოშ-
ვილი, 2011: 499)

შავშთა შორის გავრცელებულ ერთ საყოფიერო შაირში ვხვდებით არქაული მაგიური რიტუალის გამოძახილსაც. 2009 წელს სოფელ აგარაში მესუთ ქოჯასაგან ჩანერილ შაირში ნათქვამია:

ჭალაში'ნა გევიდე,
ჭბოები'ნა მუასხა.
ჩემ საყვარელ თვალი ცემს,
უზნები'ნა დავასხა.

(შიოშვილი, 2011: 497)

მთქმელის – მესუთ ქოჯას განმარტებით, „უზანი“ ხის ჯიშია; ამ სიტყვას ამავე მნიშვნელობით იცნობს სულხან-საბაც (ორბელიანი, 1993: 156) და ნიკო ჩუბინაშვილიც (ჩუბინაშვილი, 1961: 383). მთქმელი „უზნების დასხმაში“, როგორც აგვისნა, უზნის წკეპლების გამოყენებას გულისხმობდა. როგორც ჩანს, შავშურმა საყოფიერო შაირმა შემოინახა ხსოვნა წარმართული მაგიური რიტუალისა, რომელიც უზნის ხის წკეპლებით ავი სულების დაშინებას, ანუ განკეპლვას, გულისხმობდა.

ერთი იუმორისტული საყოფიერო ლექსი, რომელიც 2009 წელს ჩავინერეთ სოფელ უსტამისში შაჰზენე ბილგინისაგან, რეალურ ამბავზეა აგებული. მთქმელის განმარტებით, შავშ კაცს „გეექცა ქალი და გამოუთქვეს“:

გალმა სერში ყვავია,
ყვავია თუ ყორანი?

ჩემი ქალი გათხოვილა,
ტყუილია თუ მართალი?
(შიოშვილი, 2011: 497)

ჰარმონიული ოჯახური ურთიერთობის ჩამოყალიბებას, შავ-
ში მელექსის თანახმად, ხშირად ხელს უშლის ქალის დედა, ანუ
სიდედრი; ამიტომაც არის გამოხატული უარყოფითი ემოცია ამ-
გვარი სიდედრისადმი::

მანონი შევაყენე,
ე რა ჯავე გამოდგა!
ბაჯალა მოარჯულე,
ანაჲ ჯაზი გამოდგა!

(მთქ. გამზე თანრივერდი. ჩაინერა თ. ში-
ოშვილმა 2005 წელს სოფ. ხევნრულში.
დაბ.: შიოშვილი, 2011: 497)

შავშურ საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერებში ზოგჯერ სი-
მამრის მიმართაც გაისმის საყვედურები. 2005 წელს სოფელ
იფხრეველში რ. ხალვაშის მიერ ისმაილ ოზანისაგან ჩაწერილი
შაირი ამის დასტურია:

მანონი შევაყენე,
ე რა ჯავე გამოდგა!
ანაჲ რომ მუარჯულე,
ბაბაჲ გონჯი გამოდგა!

(შიოშვილი, 2011: 497)

ხშირად სასიდედროსაგან დაწუნებული სასიძო თუ სიდედ-
რისაგან თავმოებზრებული სიძე მოურიდებლად მიუღიქსებს
ცოლს და სთხოვს, დაეხსნას სიდედრი. ამის დასტურია რ. ხალ-
ვაშის მიერ სოფელ დაბაში 2005 წელს ჯიჰათ ილდიზისაგან ჩა-
წერილი საყოფიერო ლექს-სიმღერა::

ძივიანი ლაჩაგი
კონნალ-კონნალ კიდია.
ი შენი ჯაზი ანაჲ
მე ნუ ჩამომკიდია!

(შიოშვილი, 2011: 499)

შავშური საყოფიერო ლირიკის ზოგიერთ ნიმუშში მსუბუქი იუმორით არის გაქილიკებული უნიათო ქმარი, რომლის ცოლ-ზეც სხვას უჭირავს თვალი:

ეს აჯარა ღომია,
ჩიქინი ქმარი გყოლიაო.
ის გააგდე, მე მომყევ,
სირცხვილი ნუ გგონიაო.

(ფალავა, ცინცაძე, 2007: 272; შიოშვილი, 2011: 496)

ანდა:

შავი პირი, თეთრი კბილი,
საყვარელო, რატომ ტირი?
მე შენი კაცი დევნახე,
რა ყოფილა – მრეში ვირი!

(მთქ. სონერ მოსიძე. ჩაინერა თ. შიოშვილ-
მა 2009 წელს სოფ. ვარდიეთში. დაბ.: ში-
ოშვილი, 2011: 496)

„ბლაცვი“ ქმრის პატრონს მოურიდებლად მიუმღერებენ:

შამ შალახო, შალახო,
თეთრი კაბა გაცვია;
მე შენი კაცი ვნახე,
ე რა ბლაცვი კაცია!

(მთქ. ზულეიჰა დემირი. ჩაინერა თ. შიოშ-
ვილმა 2005 წელს სოფ. უსტამისში. დაბ.:
შიოშვილი, 2011: 496)

ამ იუმორისტული ლექს-სიმღერის ვარიანტი დაფიქსირდა შავშელ მიგრანტთა შთამომავლებს შორისაც; 2015 წლის 24 ივლისს თოქათის ილის ნიქსარის ილჩეს სოფელ უსტაასანში პროფ. მაია ბარამიძემ 39 წლის მერდინ ბალჯისაგან ჩაინერა შემდეგი ვარიანტი, რომელიც მთქმელს მამისაგან გაუგონია:

ფაცი, ფაცი, ფაციო,
ლამაზი კაბა გაცვიაო;
მე შენი კაცი დავინახე,
ბლაცვი კაციო.

ზოგიერთ ლექს-სიმღერაში დასცინიან „თვალჭირული“ ქალის ქმრის ჩაცმულობასაც:

დილას ნაველი ტყეში,
მეგტანე მერულიო;
შენი ქმარიც დევნახე,
შალვარი აქ ბერულიო.

(მთქ. ეიუფ სეჩქინი. ჩაინერა რ. ხალვაშმა
2005 წელს სოფ. ბაზგირეთში. დაბ.: შიოშ-
ვილი, 2011: 498)

შავშურ ზეპირსიტყვიერებაში ძალზე პოპულარულია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გავრცელებული შაირის ფორმის იუმორისტული ლექს-სიმღერა „...შამ შალახო, შალახო“:

შამ შალახო, შალახო,
მოგლეჯილო ბალახო.
თეთრი კაბა გაცვია,
გოგოვ, არ გაატალახო!

(მთქ. ზულეიჰა დემირი. ჩაინერა თ. შიოშ-
ვილმა 2005 წელს სოფ. უსტამისში. დაბ.:
შიოშვილი, 2011: 497)

სხვა ვარიანტით ლექსის დასაწყის სტრიქონებს მოსდევს მუქარა „მოტაცებული“ გოგოს ახლობლების მხრიდან:

შამ შალახო, შალახო,
მოგლეჯილო ბალახო.
მაგ ბაჭალა სა მიგყავს,
მეგენიო, გაგლახო!

(მთქ. იუსუფ ჩელიქი. ჩაინერა რ. ხალვაშ-
მა 2005 წელს სოფ. ბაზგირეთში. დაბ.: ში-
ოშვილი, 2011: 497)

ამ ტრადიციული ლექსის აჭარული ვარიანტებით, თავად თეთრი კაბის პატრონი იჩენს სიფრთხილეს:

აჰ, შალახო, შალახო,
მოგლეჯილო ბალახო.
თეთრი კაბა მაცვია,
არ წამეცხო, ტალახო!

(ნბიფა, საქმე № 14: 147).

საქართველოში ბიძას (დედის ძმას) ძველთაგანვე გამორჩეული როლი ეკისრება დისშვილის მიმართ; იგი, ქართული საოჯახო ტრადიციის მიხედვით, მშობლებზე მეტად არის ვალდებული, იზრუნოს დისწულის პრობლემათა მოსაგვარებლად. თავის მხრივ დისწულიც ანგარიშვალდებულია ბიძის მიმართ. ასევეა შავშურ სინამდვილეშიც. ერთ-ერთი ლექს-სიმღერით დისშვილი მიმართავს ბიძას („ტადას“):

გაღმა კუთხე კატარი,
ძირში ცეცხლი ენთობა.
ნუ მამტყუნებ, ჩემო ტადავ,
ფუშში ცეცხლი მენთობა!

(მთქ. სარე თეთრაძე. ჩაინერა რ. ხალვაშ-
მა 2005 წელს სოფ. ბაზგირეთში. დაბ.: ში-
ოშვილი, 2011: 498).

დედისადმი პატივისცემა ქართული ხალხური პოეზიის ოდინ-
დელი ლაიტმოტივია. შავშური საყოფიერო ლირიკა, ისევე, რო-
გორც ზოგადქართული ზეპირსიტყვიერების ყველა უბანი, არც
ამ თვალსაზრისით ღალატობს ძირძველ ქართულ ტრადიციას;
დროებითი განშორების უამსაც კი ამგვარად ანუგეშებენ შავშე-
ბი დედას:

ართვინი ახალ გზიდან
წითელ არაბით მივალ;
არ იტირო, ანაჯან,
წავალ და ისევ მოვალ!

(მთქ. ნიგარ ორალი. ჩაინერა თ. შიოშვილ-
მა 2009 წელს სოფ. ხევწრულში. დაბ.: ში-
ოშვილი, 2011: 497).

შავშური საყოფიერო პოეზია უაღრესად აფასებს მშობლებს,
მათ მზრუნველობას შვილებისადმი. ერთ-ერთი ლექს-სიმღერის
თანახმად, უმამოდ დარჩენილს ძალზე უჭირს მთის მძიმე ცხოვ-
რების გამკლავება და დამწუხრებული ამბობს:

აველ კოთელა სერზე,
გადავხედე მერეთას;
მე რომ ბაბაჲ არა მყავს,
რაი'ნა ვქნა იმგვარი თას?!

(მთქ. გამზე თანრივერდი. ჩაინერა თ. ში-
ოშვილმა 2005 წელს სოფ. ხევწრულში.
დაბ.: შიოშვილი, 2011: 497)

შავშური საყოფაცხოვრებო ლირიკისათვის უცხო როდია ერ-
ოტიული მოტივები. სახალხო მთქმელთა ადრესატები ხშირად
ხდებიან მსუბუქი ყოფაქცევის ახალგაზრდები:

გოგოვ, გოგოვ, ფაციაო,
წითელი კაბა გაცვიაო;

ერთი გოგო დევნახე,
ბიჭმა წამოაქციაო...

(მთქ. თანერ (თანო) იშექი. ჩაინერა თ. ში-
ოშვილმა 2009 წელს სოფ. ბაზგირეთში.
დაბ.: შიოშვილი, 2011: 497.

ანდა:

ქათამი ჭრიახ – ჭრიახ,
მამალი ზერას მიაქ.
ერთი გოგოც დევნახე,
შალვარი ჯელით მიაქ.

(მთქ. აჰმეთ იალჯი. ჩაინერა რ. ხალვაშმა
2005 წელს სოფ. იფხრეულში. დაბ.: შიოშ-
ვილი, 2011: 498)

ზოგიერთი შავშური საყოფაცხოვრებო შაირი გარკვეული მო-
ნანიებაა ზნეობრივი ნორმებიდან გადახვევის შემდეგ; თუმცა, ამ-
გვარ ლექს-სიმღერებს ჩვენებურების ხალასი იუმორიც დასდევს:

ჰაიდე, ნევდეთ ბათუმში,
იქ ვიყიდოთ შუშები, კინა.
იმ კაციდან მე რა მქონდა,
წელი – ფეხი ამატკინა!

(მთქ. ჰალიმ სეჩქინი. ჩაინერა თ. შიოშ-
ვილმა 2009 წელს სოფ. აგარაში. დაბ.: ში-
ოშვილი, 2011: 498)

ანდა:

ჰაიდე, ნევდეთ ბათუმში,
იქ ვიყიდოთ შუშე-კინა.
იქ ქალის ერთათ რა მქონდა,
წელი – ფერდი ამატკინა!

(მთქ. ჯაფერ თორუნი (გამეშიძე). ჩაინერა
რ. ხალვაშმა 2005 წელს სოფ. ბაზგირეთ-
ში. დაბ.: შიოშვილი, 2011: 498)

გამოუსწორებელ მთარშიყესა და მექალთანეს ასე ამხელს
შავში მელექსე:

სადგირელის უკნედან
მიბრუნდები, მობრუნდები;
საცხან ლამაზს დეინახავ,
შენ იქ გადაბრუნდები.

(ფალავა, ცინცაძე, 2007: 273; დაბ.: შიოშ-
ვილი, 2011: 498)

ანდა:

აველ სანიოვლი თავზე,
მივბრუნდი, მოვბრუნდები;
საცხა ლამაზ დეინახავ,
შენ იქ გადაბრუნდები.

(მთქ. აიშა დურსუნბეგი. ჩაინერა ვარდო
ჩოხარაძემ 2007 წელს სოფ. იფხრეულში)

შავში მელექსე აქილიკებს, აგრეთვე, კაცებს, რომლებიც ნა-
შოვარს ქალებთან გართობაში ხარჯავენ. ამ თვალსაზრისით
ძალზე საინტერესოა შავშეთის თითქმის ყველა სოფელში გავ-
რცელებული ლექს-სიმღერა:

ამ ბათუმის პარახოტი
ადეშიდან ბრუნდებოდა;
ჩვენი მონაგები ფული
გოგოებში რიგდებოდა.

(შიოშვილი, 2011: 497)

მთქმელის – 72 წლის დურსუნ სანჯერის (მცხოვრები სოფ.
ივეთში) განმარტებით, ეს ლექსი „ზველათ გაგონილია“. ყუ-
რადლებას იქცევს ის გარემოება, რომ ლექსში ნახსენებია ის-
ეთი გეოგრაფიული სახელები, როგორცაა ბათუმი და ოდესა,
რომელთა პარალელიზმად გამოყენებაც არ უნდა ყოფილიყო

დამახასიათებელი აქაურთა ძირძველი აზროვნებისათვის; მით უფრო – ლექსში ნახსენები რუსიციზმი („პარახოტი“) უჩვეულოა შავშთა მეტყველებისათვის; სოფ. ხობლევიში დაფიქსირებულ ამ ლექსის ვარიანტიში კი ვხვდებით რუსულ სიტყვას „ბარიშა“:

მიდის – მოდის პარახოტი,
ადესაში რიგდება;
ჩემი მოგებული ფარა
ბარიშნებში რიგდება.

(ფუტკარაძე, 1993: 200)

თუ გავითვალისწინებთ შავშეთის მკვიდრთაგან ლექს-სიმღერაში უჩვეულო სიტყვიერი ქსოვილის გამოყენების ფაქტს, მთქმელის განმარტებას, რომ „ზველად გაგონილია“ და იმასაც, რომ ეს სასიმღერო ტაეპი ფართოდ არის გავრცელებული აჭარის ზეპირსიტყვიერებაშიც, მაშინ შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ ეს ლექს-სიმღერა თავის დროზე აჭარიდან არის გადასული შავშურ ფოლკლორში, რისი არაერთი მაგალითიც სახეზე გვაქვს და რაც სრულიად ბუნებრივია მომიჯნავე რეგიონთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის. საანალიზო ლექსი ფართოდ არის გავრცელებული აჭარულ ფოლკლორშიც; პროფ. მამია ფალავას მიერ მისი ბებიასაგან – მერიემ შაქარიშვილისაგან – გაგონილი ვარიანტი ამგვარია:

მიდის-მოდის პარახოტი,
ადესაში ბრუნდება;
ჩემი ნაშვარი ფულები
ამ ბარიშნებს უნდება.

შავშური საყოფაცხოვრებო ლირიკის იუმორისტული ნაკადი სალალობო-გამოსაჯავრებელი ხასიათისაა და ეხმაურება ჩვენებურთა ყოფიერების თითქმის ყველა მხარეს. 64 წლის უსტამისელი მთქმელის – შაჰზენე ბილგინისაგან ჩვენ მიერ 2009 წელს ჩანერილ ერთ-ერთ საყოფიერო-სალალობო შაირში გამოთქმუ-

ლია „პროტესტი“ დედაბრების მიმართ და სასურველად არიან დასახულნი ახალგაზრდა გოგონები („ბაჭლები“):

სახლუკნედან ბიბრები,
დამჟდარან დედაბრები;
– ადექით, დედაბრებო,
გამოგზავნეთ ბაჭლები!

(შიოშვილი, 2011: 496)

შავში სახალხო მელექსის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია უნიათო, ხელმოცარული განათლებულის მდგომარეობა და იუმ-ორნარევი კილოთი მიულექსავს:

ველში ავსნიე შიში,
დავჰკარგე საქონელში.
იმდენი ქი იკითხე,
რა დახუალ სოხახებში!

(ფუტკრაძე, 1993: 221; შიოშვილი, 2011: 497)

საერთოდ, უნდა აღინიშოს, რომ ჩვენებურთა საყოფიერო ლექს-სიმღერები შეზავებულია მსუბუქი იუმორით. ერთმანეთის „გაბლაყუნება“ ჩვენებურთათვის სრულიად უმტკივნეულოდ აღიქმება და ამაზე მღერიან კიდევც:

თაზე მივალ, თი გზაში,
შარაბი მაქ ჩანთაში;
გიყურეფ, გაბლაყუნეფ,
ველარ მოხვალ ჭკუაში!

(მთქ. ნიგარ ორალი. ჩაინერა თ. შიოშვილი-
მა 2009 წელს სოფ. ხევწრულში. დაბ.: ში-
ოშვილი, 2011: 499)

ანდა:

გიყურე, გაბლაცუნე,
უკანახან არ მოჰყე;
დიგიქორდეს თვალები,
ათ წელინად გატყუე!

(მთქ. აიშა დურსუნბეგი. ჩაინერა ვარდო
ჩოხარაძემ 2007 წელს სოფ. იფხრეულში)

ხშირად სახალხო მომღერლები საკუთარ თავს „აბლაცუნე-
ბენ“; მთიელთათვის წილხვედრ მძიმე შრომას ვითომდა თავი-
დან იცილებენ:

მე ლენჩბერ ვერ მივყვები,
დილაზე ჯარ ვერ დუუდუფ;
მეჰმური თელზე კააა,
ჭლიკი ჭლიკზე გადავდეფ.

(მთქ. ისმაილ ოზანი. ჩაინერა რ. ხალვაშმა
2005 წელს სოფ. იფხრეულში. დაბ.: შიომ-
ვილი, 2011: 498)

სალაღობო და თავშესაქცევი იუმორისტული ლექს-სიმღერე-
ბი ჩვენებურთა თავყრილობების მუდმივი თანამდევია; ასეთია
ლექს-სიმღერა „ვაამე, ჩემო მიმინავო“, რომელიც რამაზ ხალ-
ვაშმა ჩაინერა 2005 წელს ბაზგირეთელი ერენ თორუნისაგან:

ვაიმე, ჩემო მიმინავო,
ნიინიიი, ჰოორირამმა!
ფაციავე, ჩემო შირინავ,
ფაციავე, ჩემო შირინავ,
მირალაა რომ გამაგზავნე,
მირალაა რომ გამაგზავნე,
მითხარ, როგორ ვიზინავო?!
მითხარ, როგორ ვიზინავო?!

(შიომვილი, 2011: 498)

შავშურ ფოლკლორში, როგორც ტრადიციულად საქართველოს ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერებაში, გავრცელებულია პიროვნებათა თუ ცალკეულ სოფელთა განმაქიქებელი ანდა საქება-რი ლექს-სიმღერები. მალაღმთიან სოფელ ბაზგირეთზე მღერიან:

ბაძგირეთი ვის უქია,
მარიობის თვეში უბუქია.

(მთქ. თანერ იშექი. ჩაინერა თ. შიოშვილმა
2009 წელს სოფ. ბაზგირეთში. დაბ.: შიოშ-
ვილი, 2011: 497)

იფხრეულელი მთქმელი ასკერიეს გამოქვაბულებს ბელლებს ადარებს და დასცინის საკუთარ თავს, რომ ერთადერთი თავლა აქვს:

ასკერიეს ქვაბები
აჲნი ჩვენ ბელელსავებ;
ერთი თავლა მაქვანან
სიტილას აღირსავენ.

(მთქ. ემინე ყაია. ჩაინერა ვარდო ჩოხარა-
ქემ 2007 წელს სოფ. იფხრეულში)

ვინმე ზექერიას კი უქებენ შაქარივით ტკბილ ვაშლს:

ზექერია, ზექერია,
შენი ვაშლი შექერია!

(მთქ. თანერ იშექი. ჩაინერა თ. შიოშვილმა
2009 წელს სოფ. ბაზგირეთში. დაბ.: შიოშ-
ვილი, 2011: 497)

ჩვენებურთა საყოფიერო ლირიკაში არცთუ იშვიათია სოციალური პრობლემებით გამონვეული სევდა-წუხილი. ხევწრულის მკვიდრმა, ხელმოკლედ მცხოვრებმა მთქმელმა ნიგალ ორალმა თავისი მდგომარეობის შესახებ საუბარს შემდეგი სიმღერა მოაყოლა:

სიმღერების მღერაში
ე რა მე ხმა ჩემეხჩო!
ანა, რაზე გამზარდე,
აკვანშივე მეგეხჩო!

(შიოშვილი, 2011: 497)

შავში სახალხო მომღერლები, ეგრეთწოდებული „გარმონჯე-ბი“, ხალხის ჭირისა და ლხინის მოზიარენი არიან. ასე იყო ყველგან საქართველოში და ასეა დღესაც. შავში მოლექსე-მომღერლებიც თავიანთი ხალასი სიტყვით თანამოდმეთ ხან ატირებენ და ხანაც მწუხარებას უქარებენ. „...მე აქედან წევდე'ნა, ვატირო'ნა ხალხი“, – მოგვიმღერა 64 წლის უსტამისელმა ქალბატონმა შაჰზენე ბილგინმა, რომელსაც, როგორც ჩანს, ამ კერძო შემთხვევაში ტრადიციული „გლოვის მგოსნის“ ფუნქცია ეკისრებოდა; სხვა შემთხვევაში კი იმავე სახალხო მთქმელმა ხალხის გართობაზე ორიენტირებული ლექს-სიმღერა შეგვისრულა:

ჰაიდე, წევდეთ მექთებში,
ვანერიოთ დაზები!
მოდ, გუზელ, ვისამოთ,
ვასეიროთ ლამაზები!

(შიოშვილი, 2011: 497)

ამ ლექს-სიმღერის ერთ-ერთ ბაზგირეთულ ვარიანტში ბათუმში წასვლას, იქ ცეკვა-თამაშის გამართვას და ლამაზების შერჩევას ეპირებიან ჩვენებურები:

ჰაიდე, წევდეთ ბათუმში,
ვანერიოთ დაზები.
ვისამოთ და ვიმღეროთ,
ვარჩიოთ ლამაზები!

(ხალვაში, 2007: 313, შიოშვილი, 2011: 563)

სტუმართმოყვარე შავშთა საყოფაცხოვრებო პოეზიაში გა-
კიცხულნი არიან ისეთები, რომლებსაც დიდი („ბეთონის“) სახლე-
ბი აქვთ, მაგრამ სტუმარი არ უყვართ, შიგნით არავის უშვებენ:

ბეთონის სახლი აქვან,
შიგან ფეწვ ვერ შიადგამ;
მე ვისმეს არ ვუყურეფ,
ნუსხაფზე ჯელ დავადგამ.

(მთქ. ისმაილ ოზანი. ჩაინერა რ.ხალვაშმა
2005 წელს სოფ. იფხრეულში. დაბ.: შიომ-
ვილი, 2011: 498)

40 წლის იფხრეულელი ქალბატონის, შესანიშნავი მელექის
– აიშა დურსუნბეგის რეპერტუარში გაქილიკებულნი არიან ვაჭ-
რებიც, რომლებიც მალევე კოტრდებიან:

ისთი სარი ნიკვაში
მარხილები მეელია;
მოგებული ფარები
ბოჯანოდ გამეილია.

(ჩაინერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წელს)

შავშელთა საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერებში ზოგჯერ
წყევლაც გამოერევა ხოლმე; ეს ის შემთხვევაა, როცა დანუნებუ-
ლი და თავმოყვარეობაშელახული ქალიშვილი გაიმეტებს ვაჟს:

სახლუკნედან საშეშე,
მე შენზე'ნა გავლემდე;
დიგიქორდეს თვალები,
ტყვილ დუნიაში მომჩეჩე!

(შიომვილი, 2005: 103; შიომვილი, 2011:
498)

მართალია, შავშეთის სოფლებში მიცვალებულებს მუსულ-
მანურად უგებენ წესს, მაგრამ ძირძველი ქართული ტრადიცია

„გლოვის მგოსანთა“ მიერ სამგლოვიარო ლექს-სიმღერათა შექმნისა მაინც შემორჩენილა. ამაზე მიუთითებს ჩვენ მიერ 75 წლის სვირეველი ქალბატონის – ნებიე იშელისაგან (პეტროლი) 2005 წელს დაფიქსირებული მომაკვდავის სულის ამოსასვლელი ლექს-სიმღერა, რომელიც პოეტურად არცთუ გამართულია, მაგრამ მასში საკმაოდ ტევადად არის აღწერილი მიცვალებულის გაპატიოსნების ცერემონია:

ორი თანე ხოჯა მოვლენ,
გამბანებენ;
იმა უკან თაბუთში ჩამდებენ.
თაბუთი ქვეშ წასაღებაა
შენ ქი მოხველ.
წიმიყვანებენ, მეზერში ჩამდებენ,
მინაა დასაყრელაა
შენ ქი მოხველ...

მთქმელის განმარტებით, ადამიანს „მოკვდენამდი ამ სიმღერას ეტყვი, ჯანი ამოვა“.

ამრიგად, შავშური საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერები თავიანთი თემატიკითა და იდეოლოგიური დატვირთულობით საერთოქართული ფოლკლორული სამყაროს ნაწილია და საუკეთესოდ გამოხატავს საუკუნეთა მანძილზე თურქულ გარემოში მყოფ ჩვენებურთა ეროვნულ ხასიათსა და მსოფლგაგებას, რაც მათი იდენტობის ერთ-ერთი ნიშანია.

სასულიერო კოეზია

შავშურ ზეპირსიტყვიერებაში ძალზე გავრცელებულია რელიგიურ-ფილოსოფიური ხასიათის ვრცელი ლექსი სახელწოდებით „გურჯიჯე ვაჰზი“//„გურჯი ვაჰზი“//„გურჯული ვაჰზი“, რომელსაც სამოძღვრო-მოთხრობითი ფუნქცია აკისრია და გულისხმობს მორწმუნე მუსლიმანთა ზნეობრივ განწმენდას, მათ დარიგება-დამოძღვრას („ვაჰზი“ არაბული სიტყვაა და ნიშნავს დარიგებას, შეგონებას, ქადაგებას); პროფესორ შუშანა ფუტყარაძის ცნობით, ჩვენებურები მას „ქართულ მევლუდს“ უწოდებენ (ფუტყარაძე, 1993: 453). სათაურიდანვე ჩანს, რომ ეს ვრცელი ლექსითი ქადაგება ქართულ ენაზეა შექმნილი და მას ღვთისმსახურებისას იყენებენ ქართულენოვან სოფლებში იმამები, ანუ, როგორც აქ უწოდებენ, ხოჯები.

„გურჯული ვაჰზის“ ვრცელი ვარიანტი ერთ-ერთმა პირველმა დააფიქსირა პროფესორმა შუშანა ფუტყარაძემ 1989 წელს სოფელ მანატბაში ხოჯა ნიაზ ჯიჯანიძის თქმით (ფუტყარაძე, 1993: 271-275).

ამ სასულიერო-რელიგიური ლექსის ვარიანტი სათაურით „გურჯი ვაჰზი“ სოფელ მანატბაში იმავე მთქმელისაგან 2009 წელს ჩაინერა პროფესორმა მამია ფალავამ (შავშ., 2011: 492-496). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ქადაგების ვრცელი ვარიანტები იციან მხოლოდ ხოჯებმა და ქართულენოვან მრევლს უკითხავენ; მოსახლეობაში კი მისი ცალკეული ფრაგმენტებია გავრცელებული, რაც ექსპედიციამ დააფიქსირა ბაზგირეთსა და წეთილეთში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „გურჯი ვაჰზი“ რელიგიური ხასიათისაა და განკუთვნილია მორწმუნე მუსულმანთა დასამოძ-

ღვრავად; ყოველ სტროფს ასრულებს უფლისადმი ვედრება: „ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!“ ლექსის დასაწყისი სტრიქონები ერთგვარი მოწოდებაა, რომელიც მსმენელთა მობილიზებას გულისხმობს:

ახლა უნდა ვთქვათ გურჯიჯა ენით,
გამჩენელი დევჯეროთ სულით, გულით.
ვეხვეწნეთ გამჩენელს სულ ყოლა ენით.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

(შავშ., 2011: 492)

ლექსის სათაურიდან – „გურჯიჯა ვაფი“, ანუ „ქართული სწავლება, ქადაგება“ – და პირველივე სტრიქონებიდან ხაზგასმულია, რომ ქადაგება უნდა წარიმართოს ქართულ („გურჯიჯა“) ენაზე. ამგვარი შესავალი, ალბათ, ერთგვარი თავის მართლებათაა, რადგან დარღვეულია მუსლიმან მლოცველთა ტრადიცია ღვთისმსახურების არაბულ ენაზე შესრულებისა. საერთოდაც, უნდა აღინიშნოს, რომ „ვაფის“ შავშურ ვარიანტებში ქართული ენისადმი განსაკუთრებული პატივისცემა გამოსჭვივის, რაც ყველაზე უკეთ არის გამჟღავნებული შ. ფუტყარაძის მიერ დაფიქსირებულ ვარიანტში, რომლის პირველივე სტრიქონი, მასში გაცხადებული მოწოდებით („ერთი ვაფი ვქნათ გურჯიჯა ენით“) და მომდევნო სტრიქონებით, ჩვენი აზრით, არის ერთგვარი „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ და დამაჯერებლად არის ნათქვამი, რომ ზესთასოფლის ენაც ქართულია („ჩვენებურია“):

იცოდე, გურჯული რომ ქართულია,
ქართული ენა მეტად ტკბილია.
იმ დუნის ენა ჩვენებურია!..

(ფუტყარაძე, 1993: 271)

ლექსის დასასრული კი წარმოადგენს ყოველთა ქართველთა დამოძღვრას, რათა იამაყონ მშობლიური ენით, შეინახონ, გულში ჩაინერგონ და მუდამ ახსოვდეთ, ვინ არიან, საიდან მოვიდნენ,

ვისი სისხლი უჩქევთ ძარღვებში; არ დაივინცონ, რომ ქართული მოდგმისანი არიან:

ნეტაი შენ, რომ გაქ ენა ქართული,
სხუაზე რათ გექცევა თუალი და გული!
შეინახე ენა გულში ჩარგული...
გახსოვდეს, ვინ ხარ, სიდან მოსული,
ვისი სისხლი გაქ ტანში გართული!
იცოდე, რომ გაქ სისხლი ქართული,
ქართულ ქოქზე ხარ ამომართული!..
ქართული ენა გულში დამალე...

(ფუტკარაძე, 1993: 275; შიოშვილი, 2011: 556)

ალბათ, ყველა თაობის ჩვენებურთა გულისწადილია გამოთქმული სიტყვებით: „ქართული ენა გულში დამალე“. ამავე დროს, მართალია, „ვაჰზით“ გაცხადებულია, რომ უფალს ერთნაირად უყვარს ყველა ხალხი და ყველა ენაზე ესმის ლოცვა-ვედრება, მაგრამ ქართველთა ვაღია, მშობლიურ ენაზე (თანაც „ლამაზი ქართულით“, „ტკბილი გურჯულით“) ელაპარაკნენ არსთაგამრიგეს, რადგანაც „ყველა მილლეთი ღმერთ ეხვეწება თავის ენაზე“ და „იმ ქვეყნის ენაა ჩუენი ქართული“:

დიდ ბატონს უყუარს ყველაღ მილლეთი,
ყველა ენაზე ესმის სათქმელი,
ღმერთ შეეხუენე, შეთხუე სამოთხე,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!
ღმერთ შეეხუენე ლამაზ ქართულით,
ღმერთის ემანეთი ტკბილი გურჯულით,
ღმერთ ესმის ჩუენი გულში ფურჩულიც,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!
ტკბილი ქართულით, ტკბილი გურჯულით
ღმერთ ეხუენება სულ ჩუენი გული.

იმ ქვეყნის ენა – ჩუენი ქართული,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
(ფუტკარაძე, 1993: 275)

აღსანიშნავია ისიც, რომ „გურჯული ვაჟის“ ამ ვარიანტში გამოთქმულია რწმენა, რომ უფალი გურჯებს ქართულ ენას და-უბრუნებს:

ღმერთო, სამოთხის ქოშქზე ამყოფე
მწერავ-მკითხავი, დამყურებელი!
შენიდან ველით ყუელა კარგობას,
შენ ხარ მილღეთის დამპურებელი,
ქართული ენის დამბრუნებელი!
(ფუტკარაძე, 1993: 275)

აშკარაა, რომ მანატბელი ხოჯის – ნიაზ ჯიჯანიძის მიერ ზე-პირად თქმული ვარიანტი უფრო მეტი პატრიოტული მუხტის შემცველია, ვიდრე მის პირად რვეულში არსებული ჩანაწერი (ჩანწერილია ქართულად თურქული შრიფტით) ვარიანტი, რომელიც პროფ. მამია ფალავას რვეულიდან უკარნახა მთქმელმა. ყოველივეს მიზეზად კი ის გარემოება გვესახება, რომ ქალბატონმა შუშანამ ხოჯა ნიაზ ჯიჯანიძისაგან ეს „ვაჟი“ ვიდეოფირზე ჩაინერა უშუალოდ მთქმელის შესრულებით, რომელმაც იცოდა, რომ ეს ჩანაწერი საქართველოში მოხვდებოდა და ამიტომაც ნაკლებად ნიღბავდა ქართული ენისადმი და ზოგადად ქართველობისადმი თავის პატრიოტულ დამოკიდებულებას; პროფ. მამია ფალავა კი ისეთ დროს შეხვდა მოხუცებულ ხოჯას, რომელიც მძიმედ იყო ავად, ზეპირად ვერ შეძლო თქმა და საკუთარი ჩანაწერი მოიშველია, სადაც, ბუნებრივია, თვითცენზურის ფაქტორიც მოქმედებდა, რადგანაც მისი გავრცელების არეალი არ იყო საქართველო; თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხოჯა ნიაზის „ვაჟის“ ვარიანტის როგორც შ. ფუტკარაძისეულ, ასევე მ. ფალავასეულ ჩანაწერებში, ორივეგან, საერთოა

და თითქმის იდენტური სტროფი, რომელიც, აგრეთვე, მიუთითებს იმაზე, რომ „გურჯული ვაჟი“, რომელიც ფაქტობრივად „ყურანის“ შეგონებათა ქადაგებაა, განკუთვნილია ქართულენოვანი მრევლისათვის:

პროფ. შუშანა ფუტყარაძის ჩანაწერი:

შენ თუ არ იცი არაბჩა, თურქჩა,
ახლა ხომ გეგონე ვაჟი გურჯიჯა!..
(ფუტყარაძე, 1993: 275)

პროფ. მამია ფალავას ჩანაწერი:

შენ თუ არ იცი არაფჯა, თურქჩა,
შენ ხომ გეგონე ვაჟი გურჯიჯა!..
(შავშ., 2011: 495)

„გურჯი ვაჟი“ შეახსენებს მორწმუნეებს, რომ წუთისოფელში დროებით ვართ სტუმრად („ამ დუნაში ჩვენ მოსაფირი ვართ“), რომ მუდმივი სამყოფელი არის „ის დუნა“ და ჭეშმარიტი მორწმუნე ვალდებულია, რელიგიურ-ზნეობრივი სათნოებებით იცხოვროს. „ვაჟში“ ჩამოთვლილია ადამიანთა ცოდვები: ლოცვის უარყოფა („ლოცვა და კითხვა დეკარქა, ნეედა“), ქალების გაამპარტავნება („ქალმა მაგ კაცის უმფოსი გახდა“) და თავნებობა („ქმარის უიზნოთ სოფლებში დარბიან“), ცეკვა-თამაშითა და გართობით გატაცება:

ვაჟ გეგონებენ, ბუკვ მაარიდებენ,
სიმლერის გამეერს თავ-პირ დეიჩებენ,
მეგებენ ცოდვას, სახლებში მოვლენ.
ღმერთო გამჩენლო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

ქართული „ვაჟის“ თანახმად, უდიდეს ცოდვად მიიჩნევა უსუფთაობა, სმა-ჭამას გადაყოლა; „ვაჟი“ აფრთხილებს ყველას, რომ მატერიალური ფასეულობები „ამ დუნას“ რჩება, საიქიოს

კი მკაცრად შეფასდება „დუნაში მოგებული ჰელალი და ჰერამი“ და, თუ ადამიანი ამქვეყნად მორწმუნე იქნება, საფლავში ჩაჰყვება მადლი; მაშინ მისი სული მოისვენებს სამოთხეში; ურწმუნო ადამიანს კი ელის ჯოჯოხეთის ცეცხლი და ვერც გარდაცვლილ შვილებს ნახავს ოდესმე. ამიტომაც ქადაგებს „ვაფზი“:

ილოცე, იკითხე, ღმერთი დეიჯერე,
 ამ დუნას ცხელი ცრემლით იტირე!
 ჭკვაში მომ, დუნაში კარგა დეფიქრე,
 ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!
 ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე!

(შოშვილი, 2011: 495)

მორწმუნე ადამიანისთვის, „გურჯი ვაფზის“ თანახმად, კუბო გადაიქცევა „ჯენნეთის კოშკად“, ანგელოზები გაუღებენ ამ კოშკის კარებს და სადარდებელიც აღარაფერი ექნება. „ვაფზი“ არწმუნებს ადამიანებს, რომ თუ ალალ ლუკმას შეჭამენ, დღეში ხუთგზის ილოცებენ, არ შეიძულებენ მეზობელს, ეყვარებათ წინასწარმეტყველი მუჰამედი, მზრუნველობით მოეპყრობიან მშობლებს, შეინყალებენ გაჭირვებულებს და ეყვარებათ სტუმარი, მაშინ მათ სულეზსაც ეშველებათ, რადგანაც

დაგიდებენ ლოცვა-მადლის დეფთრებ,
 ეწერება, აქ რაცხა ისაქმე.
 გამოაჩენენ სულ თელ დამალულ ცოდვეფ,
 ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

(შავშ., 2011: 493)

„ვაფზში“ დახატულია სამოთხის მიმზიდველი სურათი:

ჯენნეთი იცოდე, რაფერი არი:
 ერთ კაც ეყოლვის შვიდასი ჰური.
 ტკბილათ ცხოვრება და სეფა არი.
 ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

არ არის ჯენნეთში დერდი და ტკივილი,
ჰემ არ იქნება ვინმეს სიკვდილი.
არ არის სიბერე, ყველაფ – ახალი.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
(შავშ., 2011: 495)

სამოთხის („ჯენნეთის“) სიკეთეს რომ ჩამოთვლის, „ვაფი“
მიმართავს ურწმუნო ადამიანს:

...ლოცვა არ გახსოვს სამია თუ ხუთი,
რაფერნა მოგცეს ინსანს ჯენნეთი!...
(შავშ., 2011: 495)

„გურჯი ვაფის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოძღვრების
თანახმად, მორწმუნე ადამიანი პატივისცემით უნდა მოექცეს
უფროსებს, რელიგიის მსახურებს, იზრუნოს მშობლებზე, რათა
უფლის რისხვა არ დაიმსახუროს:

არ აწყენ დედას, მამას და ხოჯას,
ბითთუმ მუერიდები იმათ ბედვას,
ხიზმეთ თუ უზამ, შენ ეფლებ დუვას.
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
დედ-მამას შენ თუ კარგა შეხედე,
ღმერთი ფეფლამბერი რაზი გახადე.
თუ შამუყყირე, სა'ნა ნეხვიდე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
(შავშ., 2011: 494)

ღმერთის უანგარო მსახურება, ახლობლების („მამა-ძმის“)
სიყვარული და პატივისცემა, კეთილმეზობლობა, ჯანსაღი
ცოლ-ქმრული ურთიერთობა, ქალის კდემამოსილება და სინ-
დის-ნამუსიანობა, უშურველობა, ალალი ლუკმის ჭამა, უპოვარ-
თა შებრალება, ტკბილი ენა, სუფთა და კეთილი გული – აი, ის ჩა-

მონათვალი, რასაც ქადაგებს „ქართული ვაჟი“, რათა სამოთხე დაიმკვიდროს ადამიანმა და ჯოჯოხეთის ცეცხლში არ დაინვას. არსებითად ყველა რელიგიური კონფესიის არსიც ხომ ეს არის!

„ქართული ვაჟი“ შეახსენებს ადამიანებს, რომ ნუთისოფლის სტუმრები არიან და არ ღირს ხორცის ფუფუნებაზე ზრუნვა, სულის გადასარჩენად უნდა იყვნენ მოწოდებულნი:

ამ დუნაში ჩვენ მოსაფირი ვართ,
პანა ხან უკან მეზერში წავალთ,
ღმერთის გამჩენელის უზურზე მივალთ.
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

(შავშ., 2011: 492)

ხარბებსა და გაუმაძღრებს ასე მოძღვრავს „ქართული ვაჟი“:

რათ გინდა დუნაში დიდი ქონება,
ცოტა იკმარე, მეიკრიფე გონება,
დიდი ქონების სვალი ბევრია.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
სახლში იმდენი ქონება მეიტად,
ოჯახს და სტუმარს ერთათ რომ გეიტანს,
იმაზე მეტი რათ გინდა, ნეტაა?!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

(ფუტკარაძე, 1993: 272)

და შეახსენებს ყველას, რომ როდესაც „დეილევა სული თუ-ალში და ტანში“, ყოველივე ამქვეყნიური ფუფუნება აქვე დარჩება და იმქვეყნად მხოლოდ ჩვენივე მაღლი გაგვყვება:

დაქვჩება ამ ქვეყნის სახლი და კარი,
ფარა, საქონელი, რაცხა რომ არი.
საფლავში ჩამოქყუება, მაღლი რაც არი.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

(ფუტკარაძე, 1993: 273)

და იქვე დასძენს:

ენა ვერ იტყვის ჯენნეთის რაფას,
ხელი არ მეხლება, მიხდი, ამ დუნდას.
ჯენნეთი უნდა მეგერ სულ ყველას.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალებ!

(შავშ., 2011: 295)

„გურჯული ვაჟი“ დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ისტორიული შავშეთის სოფლებში, არამედ მას კარგად იცნობენ დღეისათვის თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი ისტორიული საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში; ეს სამოძღვრო-მოთხრობითი ხასიათის ლექსი ფართოდ არის გავრცელებული, აგრეთვე, აჭარელ მუსლიმანთა შორის.

2007 წელს კლარჯეთის ერთ-ერთი ქართულენოვანი სოფლის – ჯივანის ხოჯამ – თახსიმ ჩელიქმა, რომელიც წარმოშობით მაჭახლეელია, ჩაგვანერინა ორი „გურჯული ვაჟი“; ერთი მათგანი („გურჯიჯე ვაჟი“) ზემოთ განხილულის ვარიანტია, მეორე კი დღეს თურქეთის რესპუბლიკაში შემავალ ისტორიულ ქართულ სოფლებში მცხოვრებთა და აჭარელ მუსლიმანთა შორის დიდად პოპულარული რელიგიურ-ფილოსოფიური ლექსის – „ოფ ყიამეთის“, ანუ „ყიამეთის დესტანის“ – ვარიანტია. ხოჯა თახსიმსაც, როგორც ყველა გურჯ ხოჯას, რვეულში ჰქონდა ჩანერილი ეს „ვაჟები“ თურქული შრიფტით. ჩვენ ეს ვარიანტებიც გადმოვიწერეთ და ინახება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის არქივში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ჩვენებურთა შორის ესოდენ გავრცელებული ლექსითი ქადაგებანი, ანუ „ვაჟები“, რომლებიც მუსლიმანთა წმინდა წიგნით – „ყურანით“ – საზრდოობენ, ქართულენოვანი ნაწარმოებებია, გამიზნულია არაბულ-თურქულის არმცოდნე მორწმუნეთათვის და, რადგანაც ჩვენებურებმა ქართული წერა-კითხვა

დიდი ხანია, აღარ იციან, მათ ჩანერას თურქული შრიფტით ახდენენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შავშეთის სოფელ მანატბაში პროფ. შ. ფუტკარაძემ დააფიქსირა „გურჯული ვაზი“ (ფუტკარაძე, 1993: 271-275), ხოლო შიდა თურქეთში, ბურსის ვილაიეთის ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეში, რომელიც დასახლებულია მაჭახლიდან წასული მუჰაჯირებით, ჩაინერა „ქართული ვაზი“ (იგივე „...ყიამეთი ახლოს არი...“). ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში მრავლად მოიპოვება „გურჯული ვაზისა“ და „...ოჲ ყიამეთის“, ანუ „ყიამეთის დესთანის“, ვარიანტები (საქმე №134: 168-169; №136: 99-103; 104: 107; საქმე №185: 144-154 და სხვა), რომლებიც ჩანერილია აჭარაში, რაც იმისი დასტურია, რომ მუსლიმან მორწმუნეთა შორის გავრცელებული ეს რელიგიურ-ფილოსოფიური ქადაგებანი ერთი კულტურულ-რელიგიური სივრცის ნაწილია.

ქართულ „ვაზებზე“ მსჯელობისას აუცილებლად უნდა შევჩერდეთ მათი ავტორობის საკითხზე. მკვლევარი ზურაბ თანდილავა, განიხილავს რა ცნობილი ჭვანელი სახალხო მთქმელის – რეჯებ ქემალის ძე მჟავანაძის რეპერტუარს, რომლის დიდი ნაწილიც რელიგიურ-ფილოსოფიური ხასიათისაა, ასკვნის, რომ „ყიამეთის ლექსისა“ და სხვა დიდაქტიკური ხასიათის ეგრეთწოდებული „ბეჟთების“ ავტორი რეჯებ მჟავანაძეა. ამ დასკვნამდე მკვლევარი მიდის იმის გამო, რომ მუსლიმანური სკოლის – მედრესეს კურსდამთავრებული სახალხო მელექსე, რომელსაც მოლას ნოდება მიუღია (ხალხი მას მოლა რეჯების სახელით იხსენიებდა), საყოფიერო თემატიკის ლექსებს გარდა, თხზავდა რელიგიურ-ფილოსოფიურ ლექსებსაც, რაშიც ხელს უწყობდა „სასულიერო-რელიგიურ წიგნებში ჩახედულობა და ღვთისმეტყველებაში ერთგვარი განსწავლულობა“ (თანდილავა, 1982: 16-19). მართალია, ზ. თანდილავა არაფერს ამბობს ჩვენ მიერ გაანალიზებულ „გურჯი ვაზზე“, რომლის აჭარული ვარიანტებიც მისთვის კარგად იყო ცნობილი, მაგრამ მის მიერ მოხმობილი ლექ-

სებიც სწორედ ამგვარი ხასიათისაა; ამასთანავე, ის გარემოება, რომ „ვაფის“ გავრცელების არეალი მოიცავს აჭარასა და დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფ ისტორიულ ქართულ ტერიტორიებს და, აგრეთვე – მუჰაჯირ ქართველობას, ჩვენც გვაფიქრებინებს, რომ ამ „ვაფის“ ავტორი უნდა იყოს რეჟებ მჟავანაძე, რომელიც დაიბადა შუახევის რაიონის სოფელ გომარდულში 1873 წელს, დაამთავრა ჭვანის მედრესე და ერთ ხანს სასულიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა, თუმცა, მისი ქვშმარიტი მონოდება ზეპირსიტყვიერების მსახურება იყო. რუსული მმართველობისადმი შეურიგებლობამ რეჟები ტყეში გააგდო ფირალად, შემდეგ კი ისიც მუჰაჯირობის მძიმე გზას გაუყენა თურქეთისაკენ. იგი 56 წლის ასაკში 1929 წელს გარდაიცვალა (დავითაძე, 1933: 69-76).

„გურჯული ვაფის“ რეჟებ მჟავანაძის ავტორობას გვაფიქრებინებს ლექსის გავრცელების წერილობითი ტრადიციაც. ცნობილია, რომ რეჟებმა ქართული წერა-კითხვა არ იცოდა; ლექსებს თხზავდა და რვეულში ინერდა არაბულ-თურქული ასოებით. როგორც ერთხმად მიუთითებენ, ლექსთა კრებულები მას სულ თან დაჰქონდა და ზოგჯერ ახლობლებსაც ჩუქნიდა. ლექსების ერთი ხელნაწერი მას დაუტოვებია სოფ. ღორჯომში, ერთი – ჭვანაში (ნბიფა, საქმე № 182:111-114); ერთი ასეთი რვეული 1919-1920 წლებში გადაუნერია სოფ. კურცხლების მკვიდრს მუხამედ ჯორბენაძეს (თანდილავა, 1982: 22), თუმცა, დღემდე ვერცერთ კრებულს ვერ მიაკვლიეს. ბუნებრივია, არ ვიცით, ეს ლექსები რომელი შრიფტით იყო გადანერილი, მაგრამ ვიცით, რომ რეჟებმა ქართული წერა-კითხვა არ იცოდა და ჩანაწერებსაც თურქული ან არაბული შრიფტით ასრულებდა; სავარაუდოა, რომ უფრო თურქულ შრიფტს გამოიყენებდა, რადგანაც ამ სახით ადვილად გავრცელდებოდა ხალხში, რაც ნამდვილად მოხდა კიდევ – რეჟებ მჟავანაძის პოეზია დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც აჭარაში, ისე – ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ გურჯებს შორის.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც – თუკი სადავო არ არის, რომ რელიგიურ-ფილოსოფიური ხასიათის ლექსი „ყიამეთის დესტანი“ რეჯებ მჟავანაძეს ეკუთვნის (თანდილავა, 1982: 18; დავითაძე, 1993: 77), მაშინ არც ის უნდა იყოს სადავო, რომ იმავე ხასიათის, იმავე სტილითა და განწყობით შეთხზული „გურჯიჯა ვაზის“ ავტორ-მთქმელიც რეჯებ მჟავანაძეა; ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები ჯივანელი (კლარჯეთი) ხოჯის – თახსიმ ჩელიქის რვეულშიც ერთად იყო მოქცეული „გურჯიჯე ვაზი“ და „ოჲ ყიამეთი“, ანუ იგივე „ყიამეთის დესტანი“. სხვა საკითხია, რომ ისევე, როგორც პოპულარული სახალხო მთქმელის – რეჯებ მჟავანაძის – მთელი რეპერტუარი, ეს „ვაზიც“ მასიური გახდა და მრავალი ვარიანტი გაიჩინა; ჭეშმარიტი ხალხური ქმნილების არსებობისა და შენახვის ბუნებრივი გზაც სწორედ ეს არის.



სოფ. სვირევანი, 2005 წ.
პროფესორი თინა შიოშვილი და მთქმელები – აიშე ქურთი და სევეი ქურთი

შელოცვა

შავშური ფოლკლორი მდიდარია ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი არქაული ფანრით – შელოცვით. აქაურთა მეხსიერებას დღემდე შემოუნახავს როგორც სამკურნალო, ისე სამეურნეო ხასიათის შელოცვები, რომლებიც საქართველოს სხვა რეგიონებში გავრცელებულ შელოცვათა ღირებული ვარიანტებია და განსაკუთრებულ სიახლოვეს ავლენენ აჭარულ ნიმუშებთან. სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზე დაფუძნებულ ამ ძალზე პოპულარულ ფანრს აქაურები ხშირად „დუას“ ეძახიან, რაც არაბულად მუსლიმანურ ლოცვას ნიშნავს; ეს ბუნებრივიც არის; ქართულ ფოლკლორულ სინამდვილეშიც ტერმინ „შელოცვას“ ხშირად ენაცვლება „ლოცვა“.

საყურადღებოა, რომ შელოცვის პროცესს შავშეთში „კითხვას“ („ჩაკითხვას“) ეძახიან, რაც, აგრეთვე, იხმარება საქართველოშიც, განსაკუთრებით კი – დასავლეთ რეგიონებში.

შავშეთში დავინყებულები აქვთ ქართული სახელი „შელოცვა“ და არც მის არქაულ სახელწოდებას – „სახრვას“ – იცნობენ, მაგრამ საკუთრივ შელოცვათა ტექსტებითა და მათი შესრულების წესებით ეს ფანრიც საერთოქართული ფოლკლორული სივრცის ნაწილია.

ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, შავშეთშიც სჯერათ, რომ შელოცვა, განსაკუთრებული შემთხვევის გარდა, სხვას არ უნდა ასწავლო, თორემ აღარ „გასჭრის“, ძალა დაეკარგება და აღარ შეერგება ავადმყოფს. 75 წლის ბაზგირეთელმა ქალბატონმა ფათმა დუზგუნმა გვითხრა:

„– ლოცვები ანემ იცოდა. ვუთხარი ქი, მანავლე-მეთქი. მე რო განავლო შენო, მე რო ულოცო სხვასო, აღარ კვეთავსო, სოღრა განავლიო“.

შავშთა ზეპირსიტყვიერებაში ძირითადად შემონახულია სამ-
კურნალო და სამეურნეო შელოცვები.

სამკურნალო შელოცვები

შავშთა შორის განსაკუთრებით პოპულარულია გათვალუ-
ლის შელოცვა, ანუ, როგორც აქაურები ეძახიან, „თვალის დუა“. სოფელ სვირევანის მკვიდრმა, 75 წლის ქალბატონმა ნებიე იმ-
ელმა, რომელიც აქაურებს პროფესიონალ შემლოცველად მიაჩ-
ნიათ, 2005 წლის ზაფხულში გვითხრა:

„– ინსანი ავად გახდება, თვალი ეცაო, იტყვიან. უკითხავ და
განორდება“. ნებიე იშელისაგან ჩანერილი გათვალულის შე-
ლოცვა, იგივე „თვალის დუა“, ზოგადქართული გათვალულის
შელოცვის მოკლე ვარიანტია:

აპარე პარესა,
ტაპიკი პანტისა.
გასკდეს ავი თვალისა!
შენი თვალის მაცემარსა
თვალი უხმებოდა,
ხორცი უშრებოდა!
შენთან მშვიდობა და
კარგა ყოფნა!

(შიოშვილი, 2005: 105; შიოშვილი, 2011: 479)

თვალის შელოცვის ჯვარიხვეური ვარიანტი (მთქმელი ზულ-
ფეთ გუნეში. ჩაინერა თ.შიოშვილმა 2009 წელს), ასევე, ზოგად-
ქართულის მოკლე ვარიანტია; აქ არ გვხვდება „თვალციემიათა“
ფართო ჩამონათვალი, მაგრამ საყურადღებოა იმით, რომ მასში
შემონახულია შელოცვის დასასრულის ერთ-ერთი კარგად ცნო-
ბილი მაგიური ფორმულა, რომლითაც გამოხატულია რწმენა,
რომ შელოცვა აუცილებლად არგებს ავადმყოფს:

ალელისა, მალელისა,
თვალიცემია ქალებისა,
ღარჭებისა, კაცებისა.
ცული ტარი ცულ არგია,
ჩემი კითხვა
ფეგნის ბაჯალას არგია!

(შოშვილი, 2011: 479)

შელოცვა სრულდება სამჯერ. დასრულების შემდეგ შემლოც-
ველმა უნდა შეუბეროს ავადმყოფს:

„– შეუბერავ, აზნი კიდე ისე უნდა უთხრა სამი პირი“.

შელოცვის დასასრულის ტრადიციული ფორმულის ზოგად-
ქართული სახე ამგვარია:

ცულის პირით მონაჭარი
ცულს თუ ტარად დეეგება,
ეს ჩემი ლოცვა-ნამლობა
ამ ქალს ნამლად დეეცხება.

(ქართ. ხალხ. შელ., 1994: 11-12)

ანდა:

ცულის პირით მონაჭერი
ცულსა ტარად დეეგება,
ჩემი პირით შენალოცი
ამ ავანტყოფს შეერგება.

(ოქროშიძე, 1960: 307)

ტრადიციულად საქართველოში ზოგიერთი შელოცვა ორი
(ვრცელი და მოკლე) ვარიანტის სახით არსებობდა, რადგანაც
ხშირი იყო შემთხვევა, როცა დღეში რამდენიმე ავადმყოფი-
სათვის უნდა შეელოცათ, ერთი და იმავე ტექსტით შელოცვა კი
არ შეიძლებოდა; ამიტომაც შელოცვათა ძირითადი ტექსტების
გვერდით არსებობდა მოკლე ტექსტებიც, რაც პროფესიონალ

შემლოცველებს ვარიანების საშუალებას აძლევდა. ვფიქრობთ, ამდგვარ მოკლე ვარიანტებს წარმოადგენენ თვალის შელოცვათა შემდეგი შავშური ტექსტები:

აღელისა, მაღელისა,
თვალი გეცა აღემისა.

(მთქ. ფუნარ ალთუნი. ჩაინერა თ. შიოშ-
ვილმა 2009 წელს სოფ. უსტამისში. დაბ.:
შიოშვილი, 2011: 479)

აღელისა, მაღერისა,
თვალი გეცა ქაღებისა.

(მთქ. რაფიე ილდიზი. ჩაინერა თ. შიოშ-
ვილმა 2009 წელს სოფ. ნეთიღეთში. დაბ.:
შიოშვილი, 2011: 511)

შავშურ ზეპირსიტყვიერებაში განსაკუთრებით პოპულარულია „მატავრის“ შელოცვა („ღუა“), რომლის ვრცელი ვარიანტებიც ჩავინერეთ სხვადასხვა სოფელში. ტრადიციული დიალოგური ფორმის ეს არქაული შელოცვა ძალზე ახლოა ზოგადქართულ ვარიანტებთან. მისი შესრულების წესიც, ფაქტობრივად, საქართველოს სხვა კუთხეთა იდენტურია: შეულოცავენ სამჯერ და შელოცვის დამთავრების შემდეგ ავადმყოფს შეუბერავენ. ერთ-ერთი ვარიანტის მთქმელმა – სვირევენელმა ნებიე იშელმა მატავრის შესახებ გვითხრა:

„– მატავრი – რაცხა ერთი ჩიბანი გამუა, ხან ყიაში აჭირახებენ. მატავრი უჭირავს ყიაში და ეს კითხვა (შელოცვა – თ. შ.) იმითვინ კარგია; და ყური ატკივდება, და თვალი ატკივდება, იმითვინ კარგია“.

ნებიე იშელისაგან ჩანერილი მატავრის შელოცვა ამგვარია:

- შე მატავრო, სა მიხვალ?
- ადამიენსა.
- ადამიენსა რა საქმე გაქ?

– ბილი საჭმელად, ზვალი სახრელად!
– იმისი ანად, იმისი ბაბოჲ
გელია, დათვია!
არც მოგართვამს ბილსა,
არც მოგართვამს ზვალსა!
ჯევ მოქონდა შავი გველი,
ავსჭარი, დავსჭარი
შავტარიან დანით,
ჩავყარე დიდ კოჭობში,
ვადულე და ვაქაფქაფე,
გევტანე მალლა სერზე,
მივეც ქარსა, ნიავსა...
ასეა, ასეა!
სულემანის ბეჭედია!
ამინ!

(შიოშვილი, 2005: 104; ფალავა, 2008: 85;
შიოშვილი, 2011: 480)

ამ შელოცვის სხვა, სვირევნულ, ვარიანტშიც (მთქმელი აიშე ქურთი. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2005 წელს) ადამიანის ტანში ხორცის შესაჭმელად და ძვლის დასახვრელად შესულ დაავადებებს კოჭობში ჩაყრითა და გამოფუფქვით, ქარისათვის და ნიავისათვის გატანებით რომ ემუქრებიან, ბოლოს, უტყუარობის ნიშნად, დააყოლებენ:

არსიან – ქალიან
სულემანის ბეჭედია!

(შიოშვილი, 2011: 511)

ყურადღებას იქცევს მატავრის შელოცვის შავშური ვარიანტების დასასრულს სულემანის ბეჭდის ხსენება. არქაული რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ბეჭედი ხშირად უკავშირდება ბოდა მაგიურ ძალებს. ბიბლიური სოლომონის ბეჭედი და მასთან

დაკავშირებული სასწაულები კარგად იყო ცნობილი მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერებაში. მუსლიმანური რელიგიის აღმსარებელთა ზეპირსიტყვიერების თანახმად, სულთან სულეიმანი, იგივე სოლომონ ბრძენი, ოკულტური სიბრძნის მფლობელიც იყო; ექვსქიმიანი ვარსკვლავით, რომელიც სულეიმანის ბეჭდის („ხათიმ სულამან“) სიმბოლოა, იგი ბეჭდავდა თავის ბრძანებებს ჯინებისა და შეითნებისათვის. „სულეიმანის ბეჭედი“ ისლამურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული მაგიური ნიშანი და თილისმაა. მას ხშირად გამოსახავდნენ საყოფიერო თუ საკულტო ნაგებობებზე, ჭურჭელზე, მონეტებზე და სხვა. აჭარაში მცხოვრები მუსლიმანების რწმენით, სულეიმანის ბეჭედი ხუთქიმიანი ვარსკვლავია და ხუთი კონტინენტის მპყრობელს ნიშნავს (შიოშვილი, 2010: 210)

სულეიმანის ბეჭედი, როგორც ბოროტი ძალების დათრგუნვისა და ავადმყოფის განკურნების უტყუარობის სიმბოლო, ხშირად მოიხსენიება სხვადასხვა სახის სამკურნალო შელოცვებში.

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაში არსებულ შელოცვებში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება „სოლომონის ბეჭდის“ („სულეიმანის ბეჭდის“) ხსენება ანალოგიური ფუნქციით. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში დაცული „ბედნიერის“ შელოცვის დასასრული ძალზე ახლოს დგას ზემოთ მოხმობილ შავ-შურ „მატავრის“ შელოცვათა დასასრულთან:

ეჟერია, მეჟერია,
სულეიმანის ბეჭედია.
არსიან – ქალიან
გველის ფხარია.

(ბსუ ნბიფა, საქმე №46: 4)

„კუის ქარის“ აჭარულ შელოცვაშიც (მთქმელი ფატი აბაშიძე, მცხ. შუახევის რაიონის სოფ. დარჩიძეებში. ჩაინერა ნათია ბე-

რიცხვ 2003 წელს (მასალა დაცულია ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ფოლკლორულ არქივში). „პირაღმართსა და პირჩაღმართ“ დაავადებას, რომელიც „იკბინება ძალღვივითა“, ემუქრებიან:

დაგჩეხავ და დაგჩარიკავ,
ჩაგყრი დიდ ქოთანში,
გადუღებ და გათახთახებ,
იგიყვან მაღლა გორაზე,
მიქცემ ქარსა და ნიავსა!..
ბოლოს კი დასძენენ:
არსემან, არსიან,
სულემანის ბეჭედი!

„სულემანის ბეჭედი“ ანალოგიური სიმბოლიკით არის მოხსენიებული პროფ. შუშანა ფუტკარაძის მიერ ჩვენებურთა შორის ქ. სტამბოლში დაფიქსირებულ ეგზემის შელოცვაშიც:

ეჯელ იყო, მეჯელ იყო,
სულემანის ბეჭედ იყო...

(ფუტკარაძე, 1993: 140)

ამ საკითხთან დაკავშირებით ძალზე საინტერესო ცნობას გვაძლევს შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში დაცული ლეგენდა „სულთან სულემანის ბეჭედი“ (აჭ. საუნ., 2013: 77-78): „მაგას (სულთან სულემანს – თ. შ.) ქონდა ერთი ბეჭედი (მოჰორი). ემ-მაკი მიმოდევდა მაგას... მოჰპარა ის მოჰორი (ბეჭედი)“. ბეჭდის დაკარგვამ სულთან სულემანს გარეგნობა დააკარგვინა და საკუთარი ცოლებიც ვერ სცნობდნენ. მან მიატოვა ოჯახი და მოჯამაგირედ დაუდგა მეთევზეს, რომელიც დღეში ერთ თევზს აძლევდა სარჩოდ. გავიდა რამდენიმე წელი... ერთ დღესაც მეთევზემ ერთი თევზის მეტი ვერ დაიჭირა და, დაპირებისამებრ,

სულეიმანს მისცა. თევზის მუცელში სულეიმანმა მისი ბეჭედი აღმოაჩინა, დაემშვიდობა მეთევზეს და სახლში დაბრუნდა. ცოლებმა ახლა კი იცნეს ქმარი და ძველებურად შეხვდნენ.

ლეგენდის თანახმად, „...იმ ბეჭედზე იყო თავი და ბოლო, მარიფეთი იმ ბეჭედს ქონდა; ჯიფეში ჩეიდებდი, გახტებოდი სულთან სულემდანი. მა ეშმაკმა რომ მოპარა, მაგან რომ ჯიფეში ჩეიდვა მისი მარიფათები, მაგას (ეშმაკს) დაენერა, იგი გახტა ხენნიფე... მან გახტა სულთან სულემდანი ყველაფერი სიფეთში. ეს ბეჭედი რამოდენიმე წელიწად რომ ქონდა, მეენყინა, მობეზრდა, აიღო და გადააგდო ზღვაში, რომ კაცმა არ ნახოს და არ ანიოსო. თევზმა გადაყლაპა და მეთევზემ ნახა...“

ასეთივე ფუნქციით არის ნახსენები „სულემდანის ბეჭედი“ ზემოთ განხილულ შავშურ „მატავრის შელოცვებშიც“.

„მატავრის შელოცვის“ სვირეენულ, აგარულსა და ნიოლეთურ ვარიანტებში, ზოგადქართულის მსგავსად, დაავადებას ემუქრებიან ქვაბში (კოჭობში) ჩაჭრითა და დამდულვრით, შემდეგ კი ქარისა და ნიავისათვის გატანებით.

„მატავრის დუის“ მოკლე ვარიანტი დაავაფიქსირეთ სოფელ ბზათაში 2009 წელს (მთქმელი აიშე გოგჩე):

– შე მატავრო, ჰად მიხვალ,
ჰად მიბრძანდები?
ზვალში ხარ, ბილში გამოჲ,
ბილში ხარ, კარში გამოჲ!

(შიოშვილი, 2011: 512)

შავშეთში შემორჩენილი „სირსველის ლოცვა“, იგივე „სირსველის დუა“, ანალოგიურია საქართველოს სხვა რეგიონებში დაფიქსირებული ვარიანტებისა:

სირსველაჲ ხნევდა ყანასა,
მიყრიდა ქვიშასა.

ჯარ აპეური განყვეტია,
სირსველას თავი წამონყვეტია!

(მთქ. სეიფეთინ ქურთი. ჩაინერა თ. შიოშ-
ვილმა 2005 წელს სოფ. სვირევანში. დაბ.:
შიოშვილი, 2011: 480)

შესრულების წესიც ზოგადქართულის ანალოგიურია. მთქმე-
ლის განმარტებით, „წერავ, შეუბერავ; ყელემზე ჰემ დაწერავ“.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ერთ-ერთი ყველაზე პოპუ-
ლარული და, ამავე დროს, ვრცელი „შეშინებულის შელოცვა“
შავშეთში ძალზე მოკლე, მაგრამ საინტერესო ვარიანტით დავა-
ფიქსირეთ. მასში პოეტურად არის წარმოჩენილი შიშის სინდრო-
მი, დახატულია შეშინებულის პორტრეტი, რასაც არ იცნობს ზო-
გადქართული ვარიანტები:

აშინა, მაშინა,
ღორმა, დათვმა შემაშინა.
სად წევდე, სად წევდე!
ცალი ხარი მიმელო,
ენა-პირი შიმიკოჭა!

(მთქ. შექერნაზა ყუში. ჩაინერა თ. შიოშ-
ვილმა 2009 წელს სოფ. ნიოლეთში. დაბ.:
შიოშვილი, 2011: 480)

მთქმელის განმარტებით, შელოცვა სრულდება სამჯერ
(„– სამი პირი ჩეიკითხო“).

სამკურნალო შელოცვათაგან შავშეთში დღემდე იციან თიის,
ანუ ფელის, შელოცვა. სოფ. სვირევანში 2005 წელს დავაფიქსირეთ
ამ შელოცვის ვრცელი ვარიანტი (მთქმელი ნებიე იშელი), რომე-
ლიც ძალიან ახლოსაა აჭარაში გავრცელებულ ვარიანტებთან:

ფელი ელინდა,
მელი მელინდა.
თიის ქარი რას მელინდა?

ქეთ-ქეთ ზაღლი ჩამორბოდა
ფეხნითელი, ბაუჟი,
შე ურჯულო ძელის ქარო,
უკბინე და გოუშვი!
საყედიმთ გოუშვი!
იავ, თიავ, წარევ, კუხევ,
რას ძელევდი ცასავებ,
რას ბრუნევდი ჯარსავეთ!
ეიარე, დეიარე,
დააღავდი ქვასავეფ!

(შიოშვილი, 2005: 104; ფალავა, 2008: 86;

შიოშვილი, 2011: 480)

შელოცვა სრულდება შვიდჯერ („– შვიდ პირ უკითხავ“); თუკი წყალს შეულოცავენ, შელოცვილ წყალს ფეხს არ დაადგამენ („– ნაკითხი წყალსა ფეხი არ’ნა დაადგა“.).

თიის შელოცვის, იგივე „ძელის დუას“, მოკლე შავშური ვარიანტი კი ამგვარია:

შავი ძელი,
წითელი ძელი,
თეთრი ძელი,
წყალი ძელი.

(მთქ. შექერნაზა ყუში. ჩაინერა თ. შიოშ-
ვილმა 2009 წელს სოფ. ნიოლეთში)

თიის შელოცვის ეს ნეოლითური ვარიანტი ორიენტირებულია წყლის შელოცვაზე, რათა წყალმა წაილოს დაავადება.

სამეურნეო შელოცვები

საქართველო, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი მინათმოქმედი ქვეყანაა, ოდითგანვე მდიდარია სამეურნეო-აგარარული რიტუალებითა და მათთან დაკავშირებული ზეპირ-სიტყვიერებით. ამ ტრადიციულ არქაულ უბანს, რომელსაც ამინდის მართვის ფუნქცია ეკისრებოდა, მნათობთა კულტის ამსახველ საგალობლებთან და ამინდის, ანუ ტაროსის, ღვთაებათადმი მიმართულ სავედრებლებთან ერთად, განეკუთვნება სამეურნეო ხასიათის შელოცვები. სიტყვისა და მოქმედების მაგიათა რწმენაზე დაფუძნებული ეროვნული ფოლკლორული შემოქმედების ამ უძველესი ნიმუშების გამოყენებით ჩვენი მეურნე წინაპრები ცდილობდნენ, მათთვის სასურველად წარემართათ ბუნებრივი მოვლენები, დაერეგულირებინათ ამინდი. ამ თვალსაზრისით, ისევე როგორც სულიერ-კულტურულ მონაპოვართა სხვა სფეროში, საერთოქართული ტრადიციის ჩარჩოებში ექცევა ისტორიული შავშეთიც. აქაურთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულმა ყოფამაც, მიუხედავად საუკუნეობრივი თურქული გარემოცვისა, კარგად შემოგვინახა სამეურნეო-აგარარული ხასიათის შელოცვათა ნიმუშები.

ისევე როგორც მთელს საქართველოში, შავშეთშიც აქტიუალური ყოფილა ტაროსის ღვთაების საკულტო კარნავალი „ლაზარობა“, რომელსაც აქაურები, აჭარლების მსგავსად, „ნაზარობას“ უწოდებენ. ისტორიული საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში ბოლო დრომდე შემორჩა ხსოვნა ამინდის მაგიური მართვის ძველთაძველი რიტუალისა, რამაც საშუალება მოგვცა, მრავლად დაგვეფიქსირებინა ლაზარობის საგალობელ ტექსტთა ვარიანტები და გავცნობოდით თავად რიტუალს.

67 წლის ზიოსელი ქალბატონის – გულდიხან ბილირისაგან 2005 წელს ჩავინერეთ წვიმასა თუ გვალვაში შესასრულებელი ლაზარობის ვარიანტები და შესრულების წესები. მთქმელის

განმარტებით, „ღარჭები მეიყრებოდენ, მეიარდენ. კარზე მოვ-
ლენ და დაგვიძახებდენ. წყალ მივასხამდით ქი, განვიმდესო“. გა-
მუდმებული წვიმების დროს კი მზესა და მთვარეს შესთხოვდნენ
ღმერთს, სჯეროდათ, რომ ამის შემდეგ „ეყრებოდა ღურბელი“.
შელოცვა დიალოგური ფორმისაა. გვალვის დროს მღეროდნენ:

– ნაზარ, ნაზარ, ნაგეზარ!
– შემშირე ბაჯი, რაჲ უნდა?
– ერთი საჰანი ფქვილი უნდა,
ერთი კოვზი ძალი უნდა.
შეგვეწყინა ბზე და თვარე,
ღმერთო, მოგვე წვიმა – წყალი!

(შიოშვილი, 2011: 481)

წვიმის დროს კი მზესა და მთვარეს შესთხოვდნენ ამინდის
გამგებელს:

– შეგვეწყინა წვიმა – წყალი,
ღმერთო, მოგვე ბზე და თვარე!

(იქვე)

საყურადღებოა, რომ შავშეთშიც, ისევე როგორც ყველგა-
ან საქართველოში, ლაზარობის დროს მორთულ-მოკაზმული
ცოცხის ჩამოტარება იცოდნენ: „– ცოცხ შევკაზმევდით, კარზე
ისე მივდოდით, დედოფალი მოვდაო“.

ლაზარობაზე (იგივე „ნაზარობაზე“) მოსიარულე ბავშვების
სამღერ წვიმის (თუ მზის) გამოსანვევ ტექსტებში ხაზგასმულია,
რომ კარდაკარ მოსიარულეებს მოსახლეობა ასაჩუქრებდა სხვა-
დასხვა სანოვაგით, რაც პროდუქტიულ მაგიას გამოხატავდა.
გულდინხან ბილირისეულ ლაზარობის შელოცვის ვარიანტში ამ
პრობლემასთან დაკავშირებით დიალოგიც კია გამართული.

– შემშირე ბაჯი, რაჲ უნდა?
– ერთი საჰანი ფქვილი უნდა...

ლაზარობის ტექსტის ერთ-ერთ იფხრეველურ ვარიანტშიც (მთქმელი 50 წლის სულთან ალთუნი) მითითებულია, თუ რა უნდა მიართვან ლაზარობის რიტუალის მონაწილეთ:

ნაზარ, ნაზარ ნაგეზარ,
ნაზარ, ბურდა, ნეგეზარ!
კოვზი, კოვზი დალი,
თეფსი, თეფსი ფქვილ იშტა.
მოგვეწყინა ბზე და თვარე,
ღმერთო, მოგვე წვიმა წყალი!
(შიოშვილი, 2014: 481)

ლაზარობის შავშურ ვარიანტთა ერთი ნაწილი თავისუფალია მიმართვის არქაული ფომულისაგან („ნაზარ“) და პირდაპირ დემიურგისადმი მიმართვით იწყება, რაც, ჩვენი აზრით, უფრო გვიანდელი ფორმაა:

ღმერთოჯან,
შეგვეწყინა მზე და მთვარე,
ღმერთმა მოგვეცეს
წვიმა წყალი!

(მთქ. შექერნაზა ყუში. ჩაინერა თ. შიოშ-
ვილი 2009 წელს სოფ. ნიოლეთში. დაბ.:
შიოშვილი, 2011: 481)

თურქულმა ენობრივმა გარემომ, ბუნებრივია, თავისი გავლენა ლაზარობის ტრადიციულ ქართულ ტექსტებზეც მოახდინა და მის სიტყვიერ ქსოვილში თურქული სიტყვები თუ ფრაზები ჩაანაცვლა. 2005 წელს 66 წლის ზეჩიეთელი ქალბატონის – შააზიე აითეჩინისაგან (ჩაქურიძე), რომელიც მისივე თქმით, ამინდის მართვის მაგიურ რიტუალებში თავადაც მონაწილეობდა ბავშვობისას, სწორედ ამგვარი ვარიანტი ჩავინერეთ:

ნაზარ, ნაზარ, ნაა,
ისტარ ყაშულინან დაღ.

ისტარ საჰანიან, უნ ისტარ.
ჩიტმა რა შიმაშინა –
ცალი მჰარი მიმილო.
ღმერთო, მოგვე წვიმა წყალი,
შეგვეწყინა მზე და მთვარე!
აამინ!

(შიოშვილი, 2011, 514: 515)

მთქმელი საგანგებოდ გახაზავს შელოცვის სიმღერით შესრულების ტრადიციას და რწმენას, რომ ამ რიტუალის შემდეგ აუცილებლად განვიმდებოდა: „– ნაზარ ვიმღერებთ ქი, ასე დაცხება და არ განვიმდება, მაშინ იარებოდენ ბაჰლები, შეეხვეწებოდენ ღმერთ და განვიმდებოდა“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შავშურ შელოცვებში არსად გვხვდება სიტყვა „ალაჰი“, ყველგან ევედრებიან ღმერთს („ღმერთოჯან“, „ღმერთო“ და ა. შ.), რაც, ბუნებრივია, იმის დასტურია, რომ დრომ და მუსულმანურმა გარემომ შელოცვათა ჩამოქნილი, მტკიცე ფორმულებიდან ვერ ამოაგდო ქართული სიტყვა „ღმერთი“.

ზაქიეთურ ნაზარობის რიტუალში შესასრულებელი სამეურნეო შელოცვა დიდ მსგავსებას ავლენს აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულ შელოცვასთან და მის რიტუალთანაც. ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ერგეში 1990 წელს შოთა გაბაიძის-აგან მ. ფარტენაძის მიერ ჩანერილი „ნაზარობის“ ტექსტი, რომელიც წვიმის გამოსაწვევია, ამგვარია:

ჩიტო! ჩიტო! ჩიტო!
ჩიტმა შემაშინა,
ცალი მხარი მომტეხა,
ცალი შემარჩინა.
ალარ გვინდა წვიმა-წყალი,
ღმერთო, მოგვე მზისა თვალი!

(ბსუ ნზიფა, საქმე №289: 96)

თითქმის იდენტურია მკვლევარ ჯემალ ნოლაიდელისეული ჩანაწერიც:

ლაზარ მოდგა კარსა,
აღურდულეებს თავსა.
შინო-შინო, შინაო,
ჩიტმა შემაშინაო;
ცალი ფხარი მომტეხა,
ცალი შემარჩინაო“.

(ნოლაიდელი, 1971: 132)

საყურადღებოა, რომ, როგორც შავშურ, ისე აჭარულ შელოცვაში შემაშინებელია ჩიტი („ჩიტმა რა შიმაშინა, ცალი მწარი მიმილო“. – შავშ.; „ჩიტმა შემაშინა, ცალი მხარი მომტეხა, ცალი შემარჩინაო“. – აჭ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლაზარობის შავშური რიტუალის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია ცოცხი. ჩვენი მთქმელები ერთხმად მიუთითებენ, რომ კარდაკარ მოსიარულე ბავშვებს დააქვთ ქალურად მორთული ცოცხი: „– გააკეთებდენ ერთ რამეს, ბაჯალასავეთ შეკაზმავდენ ცოცხ, დაბურავდენ ლაჩაქით, წევდოდენ იქით-აქეთ“ (მთქმელი სოფ. აგარაში მცხოვრები ჰალიმ სეჩქინი); „– ბაღვები წავლენ, ცოცხ შეკოჭვენ. იქზე რაცხას მუუმღერებენ. იქიდანაც მისცემენ ძალ, ფქვილ. წყალ მიასხმენ ბაღვებ, ქი განვიმდესო. განვიმდება“ (მთქმელი 52 წლის აიშე ქურთი, მცხოვრები სოფ. სვირევანში).

ლაზარობის რიტუალის დასასრულს მონაწილენი ცოცხს გააშიშვლებდნენ და წყალში ჩადებდნენ, რათა დასველებულიყო: „– იმღერებდენ და ძალ და ფქვილ მოთხოვდენ; ბიშ გამააცხოზდენ, მეფარებდენ, დუას იტყოდენ და ჭამდენ, ერთად მიეყრებოდენ. დოდოფალ შეკაზმევდენ, – ცოცხი იყო, იმით მოივლიდენ. გახდინ ურუბას და წყალში ჩადებენ“ (მთქმელი სოფ. დაბის მკვიდრი ზექიე ილდიზი).

ლაზარობის კარნავალის მონაწილეთა მიერ ცოცხის წყალში დასველება მაგიური ქმედებაა, რომელსაც, ხალხის რწმენით, წვიმა უნდა მოჰყოლოდა. ასევე, წყლის მაგიური სხურება ხორციელდება მონაწილეთა მიმართაც, რაც, აგრეთვე, წვიმის გამოწვევის, გამოხმობის იმიტაციაა; ამ რიტუალს იცნობს საქართველოს ყველა კუთხე. წყალში თოჯინას (დედოფალას) დასველების აჭარულ რიტუალზე მიუთითა ცნობილმა მკვლევარმა ჯონ ფრეზერმა; იგი აღნიშნავდა, რომ აჭარლებს შორის გავრცელებულია „Обряд купанья куклы во время засухи“ (Фрезер, 1931: 88); შავშეთში დაფიქსირებული ეს არქაული რიტუალი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ აქაურთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ყოფა საერთოქართული სივრცის განუყოფელი ნაწილია.

საყურადღებოა, რომ შავშეთში სეტყვის დროს სცოდნიათ კედელზე ცოცხის მიკვრა, რითაც სეტყვის შეჩერებას იწვევენ. უსტამისელი ეუბ ალთუნის (დათუნაშვილი) თქმით, „– ხოშკაკალად რო იქნება, კედელზე ცოცხ მიაკვრენ, დადგესო ხოშკაკალად“. სოფელ სვირევანში ხოშკაკალის დროს ლოცულობენ: „– ღმერთოჯან, შენ შიგვინახე, სიციელი არ დეგვიშვა!“ (მთქმელი აიშე ქურთი).

შავშთა ყოფაში შემორჩა, აგრეთვე, ამინდის მართვის კიდევ ერთი არქაული რიტუალი – მთაზე ასვლა, ქვების ატანა და ტაროსის ღვთაებისაგან სასურველი ამინდის გამოთხოვნა. ამ რიტუალში მონაწილეობენ მხოლოდ მამაკაცები და ისიც – ზნეობრივად წმინდა ადამიანები, უცოდველები. „– განვიმებისთინ თაზე ნავლენ. ვინცხად ბოზობა არ უქნია, ჰარამი არ უქნია, იმან ქვიები ჩაყარონ უნდა. ავლენ მოლოცვაზე კაცები, ქალები – არა“, – გვითხრა ეუბ ალთუნმა (სოფ. უსტამისი); უბელი (ობაქოა) გულჰან ბიღირის ცნობით, „– ხოჯები წევიდოდენ სერებზე და იკითხებდენ“.

მთაზე ასვლა გვალვის დროს და იქ ლოცვა გასაწვიმებლად თედო სახოკიამ 1897 წელს დააფიქსირა აჭარაში: „ხალხი ყველაზე მაღალ სერზე ადის და იქ ლოცულობს, რაც სამ დღეს გრძელდება. სამი დღის შემდეგ ჩამოდიან ჯამესთან, კლავენ შესაწი-

რავს (ხარი, ძროხა, ყორი) და მახლობელ მდინარეში ჩადგმულ გოდორში მოღების მიერ შელოცვილ კენჭებს ყრიან. კენჭებს მოღები თურქულად ულოცავენ: „– ღმერთო, ნვიმა გვინყალობე, შენუხებული ვართ, შენი ნყალობა მოგვანიჭე! ყველასი, დიდისა თუ პატარასი, მწყალობელი შენ ხარ!“ (სახოკია, 1950: 202-203). ეს რიტუალი, სახელწოდებით „ოთხმოცი ათასი ქვის კენჭის შელოცვა“ ვრცლად აქვს აღწერილი მკვლევარ ჯემალ ნოლაიდელს. მისი ვარაუდით, ამ რიტუალში შერწყმულია მაჰმადიანური და წარმართული წეს-ჩვეულებები (ნოლაიდელი, 1971: 133-134).

2005 წელს სოფ. სვირევანში (დუთლუქო) 31 წლის სევეგი ქურთისაგან ჩავინერე ამინდის მაგიური მართვის, კერძოდ მნათობთა კულტის, ამსახველი არქაული შელოცვა. ეს არის საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ფართოდ გავრცელებული მზის საგალობელი:

მზე, მზე, გამოდი,
ქატო-მარილ დიგიყრი,
ყორ დიგიკლავ!
თუ ვერ შეჭამე,
მეც დეგეშველები!

(შიოშვილი, 2011: 481)

როგორც მთქმელმა შენიშნა, ამ ლექსს, „მზე თუ არ გამოიდა, მაშინ იტყოდენ“. ლექსის ქართლური ვარიანტი, რომელიც თედო რაზიკაშვილმა ჩაინერა XIX საუკუნეში, ასეთია:

მზეო, მზეო, გამოდი,
ჩვენს ეზოში ჩამოდი!
მიანათე ბაკებსა,
ცხვარს დაგიკლავ მაკესა!

(ქრესტ., 1970: 37).

ამ შელოცვის აჭარული ვარიანტები უფრო ახლოს არის შავ-შურთან. ერთ-ერთი შუახვეური ვარიანტი, რომელიც ნანული

ნოღადელმა ჩაინერა 1971 წელს სოფელ გოგაძეებში ხენიფე აბუსელიძისაგან, ამგვარია::

...მზეო, მოდი ვაკესა,
ცხვარ დაგიკლავ მაკესა,
დიგიმარილავ, შიგინვავ, გაჭმევ,
შენც გათბი და მეც გავთბები!

(ბსუნბიფა, საქმე №157: 53)

ნიშანდობლივია, რომ შავშებმა შემოინახეს მზისადმი ვედრების მაგიური ტექსტი, რომელსაც, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისე იქაც, დღეისათვის დაკარგული აქვს ძველი ფუნქცია და საბავშვო ფოლკლორის კუთვნილებად არის ქცეული; თუმცა, ყველა შემთხვევაში შემორჩენილია მნათობთათვის მსხვერპლშენიღვის არქაული რიტუალის გამომხატველი სტრიქონები.

შავშურ ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ სინამდვილეში, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, ამინდის მაგიური მართვის ფუნქცია ენიჭება, აგრეთვე, ნისლის შელოცვას. ისტორიული შავშეთის სოფლებში ნისლის შელოცვის მრავალი ვარიანტი დავაფიქსირეთ; მათი ნაწილი მსგავსი ან იდენტურია აჭარაში გავრცელებული ანალოგიური ტექსტებისა, ნაწილი კი განსხვავებულია და, შეიძლება ითქვას – უფრო დახვეწილიცა და პოეტურიც. ამის ნიმუშია პროფესიონალი შემლოცველის – სოფ. დასამოზში მცხოვრები შექერნაზა ყუშისაგან 2009 წელს ჩანერილი ნისლის შელოცვა, რომელშიც ერთმანეთს ენაცვლება ნისლის აყრისა და მზის გამოსვლის თხოვნა, რაც სამჯერ მეორდება; აქვე ხაზგასმულია უზენაესი მნათობის – მზისადმი მსხვერპლის შენიღვის არქაული ჩვეულებაც:

ნისლო, წადი, ეიყარე,
ბზედ გამევედესო!
ნისლო, ეიყარე, ბზევ, გამოე!
ნისლო, ეიყარე, ბზევ, გამოე!
ნისლო, ეიყარე, ბზევ, გამოე!

ცხვარ დიგიკლავ, ბზევ, გამოფ!
შემცივდა, ბზევ, გამოფ!
კალოზე ყორ დიგიკლავ,
ბზევ, გამოფ, გამათბე!
(შოშვილი, 2011: 480)

ზაქიეთელი აილაფ იაზიჯისაგან 2005 წელს ჩანერილი ნისლის
შელოცვა აჭარაში გავრცელებული ვარიანტების მსგავსია:

ნისლო, ნისლო, ეიყარე,
ღელე-ღელე შეფარე!
შენ ქალ ღარჭი ყოლია.
ერთი – ქორი, ერთი – თოფალი.
დროზე მიხვალ, მოგირჩება,
შენი გოგო შენ დაგჩება!
(შოშვილი, 2011: 481)

ამ შელოცვის ერთ-ერთი აჭარული (შუახვევური) ვარიანტი ამ-
გვარია:

ნისლო, ნისლო, ეიყარე,
ცხრა მთას იქით გედეიყარე!
შენი ქალი დანოლილა,
სამი ბაღვი ყოლიაო:
ერთი კუტი, ერთი ლალი,
ერთი – სულ ყველაზე კარგი.
ღელე-ღელე შეიარე,
კოპით წყალი უუტანე.
მაღე ახვალ, მოგირჩება,
გვიან ახვალ, მოგიკდება!
(ქართ. ხალხ. შელ., 1994: 29)

შავშთა ფოლკლორულ ყოფაში ბოლო დრომდე ძალზე გავ-
რცელებული ნისლის შელოცვის მოკლე ვარიანტი ამგვარია:

ქუდი გამოაქციე,
ნისლი გავაქციე.

(შიოშვილი, 2011: 481)

შელოცვის ამგვარი ვარიანტები დავაფიქსირე სოფლებში: უსტამისში (მთქმელი შაჰზენე ბილგინი), დაბაში (მთქმელი ზექიე ილდიზი), სვირევანში (მთქმელი აიშე ქურთი), აგარაში (მთქმელი ჰეირიე აიდინი). საყურადღებოა, რომ შელოცვის თქმისთანავე შემლოცველი ქუდს გადმოაბრუნებს და ასე დატოვებს, ვიდრე ნისლი გაიფანტება. ამ შელოცვის უფრო ვრცელი, ზემოთ განხილულ ვარიანტთან კონტამინირებული ტექსტი 2009 წელს ჩაგვანერინა 81 წლის ნიოლეთელმა (სოფ. დასამობის ერთ-ერთი უბანი) ქალბატონმა შექერნაზა ყუშმა:

ქუდი გამოვაქციე,
ნისლი გავაქციე.

ღმერთოჯან,

ნისლი გააქციე,

ეიყაროს,

ცხრა მთას იქით გედეიყაროს!

(შიოშვილი, 2011: 481)

67 წლის ზიოსელი გულდიხან ბილირისაგან 2005 წელს ჩანერილ ნისლის შელოცვაში გამოთქმულია სურვილი ნისლის ცხრათვალა მზით შეცვლისა, რაც მშვენიერი ეპითეტით არის გამოხატული:

ნისლო, ნისლო, ეყარეო,

ცხრა მზი თვალში გედეყარეო!

(შიოშვილი, 2011: 481)

სხვა მოკლე ვარიანტში, რომელიც 2005 წელს ჩავინერე 60 წლის უბელი ქალბატონის – გულჰან ბილირისაგან, ნისლს „ცხრა მთას იქით“ აგზავნიან:

ნისლო, ნისლო, ეიყარე,
ცხრა მთას იქით გედეყარე!
(შიოშვილი, 2011: 481)

შავშური ნისლის შელოცვის ერთ-ერთმა სრულმა ვარიანტმა, რომელიც 2005 წელს ჩავინერე სოფ. სვირევანში (დუთლუქო) აიშე ქურთისაგან, შემოინახა ტაბუირების (ამ შემთხვევაში ტაბუს დარღვევის) კავშირი ნისლის ჩამონოლასთან:

აქედან წადი ნისლო,
მე კვერცხი არ მიჭამია!
ვინცხამ ქი ჭამაო,
იქ წადიო,
იმასთან წადიო!
ქუდი გამოაქციეო,
ნისლი გავაქციეო.

(შიოშვილი, 2011: 481)

კვერცხი, როგორც სიცოცხლის დაბადების ხილული მისტერია, ვიზუალური ფენომენი შესაქმისა, უძველესი სახე-სიმბოლოა მსოფლიოს ყველა ხალხის არქაულ რწმენა-წარმოდგენებში. სწორედაც კვერცხის მოთხოვნაა ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ლაზარეს რიტუალზე კარდაკარ მოსიარულეთა მიერ შესასრულებელ ტექსტებში. კვერცხის, როგორც სიცოცხლის კოსმიური მოდელის, ტაბუირება ნისლის შელოცვაში შემთხვევითი როდია: კვერცხი, როგორც უკვდავებისა და ნაყოფიერების თვალსაჩინო განსახიერება, გაზაფხულ-შემოდგომის ბუნიობის არქაულ დღესასწაულთა ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი იყო, რითაც მზეს უფრო მეტი ცხოველმყოფელობა უნდა შესძენოდა; მისი შეჭმა კი, ბუნებრივია, ტაბუს დარღვევად აღიქმებოდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული „შელოცვა ამინდზე“, რომლის თანახმადაც, სასურველი ამინდის გამოსათხოვრად მთას კვერცხს სწირავენ:

ალათასა, მალათასა,
თითო კვერცხი – თითო თასა.
ალარ გვინდა მზისა თვალი,
ღმერთო, მოგვე წვიმა წყალი!
ამინ!

(ბსუ ნბიფა, საქმე № 107: 52)

სამეურნეო შელოცვათაგან შავშელი ჩვენებურების ზეპირ-სიტყვიერებაში დავაფიქსირეთ, აგრეთვე, „ჭინჭველის“ შელოცვაც (მთქმელი სოფელ სვირევანში (დუთლუქოჯ) მცხოვრები 75 წლის ქალბატონი, შესანიშნავი მოსაუბრე ნებიე იშელი (პეტროლი), ჩაინერა თინა შიოშვილი 2005 წლის 29 ივლისს): „ღარჭის არაში და ბაჯლის არაში ვინცხა შევა, იმათი ცოდვა შენ ყიაზე, ეგერ თუ ყაფაში შეხველ! სინორზე ვინცხა ერჩოლება, იმის ცოდვაც შენ ყიაზე! (შიოშვილი, 2011: 482).

მთქმელმა განმარტა, რომ, თუკი ამ სიტყვებს ეტყვიან ჭიანჭველას, ის არ შევა ადამიანის საცხოვრებელ ბინაში („... – ასე ეტყვიან ჭინჭველასა და არ შევა“).

სვირევნული „ჭინჭველის“ შელოცვა პროზაულია და ბევრად განსხვავდება საქართველოს სხვა კუთხეებში ბოლო დრომდე შემონახული ლექსითი ფორმის შელოცვებისაგან, რომლებიც ძირითადად გამოიყენებოდა აბრეშუმის ჭიის (ყაჭის) ჭიანჭველებისაგან „დასაცავად“ და ხალხშიც ცნობილია „აბრეშუმის ჭიის“ შელოცვათა სახელით (ქართ. ხალხ. შელ., 1994: 213-216). მიუხედავად ამისა, შავშურ ჭიანჭველის შელოცვას მაინც მნიშვნელოვანი ღირებულება გააჩნია.

მართალია, შავშეთში შემორჩა თითქმის ისეთივე ამინდის მართვის სამეურნეო შელოცვები, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია, მაგრამ აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ ამ ძირძველი ქართული რეგიონის ძირითადი სამეურნეო დარგი მესაქონლეობაა, ვერ დავაფიქსირეთ „ღამით გარეთ დარჩენილი საქონლის“, ანუ „მგლის“ შე-

ლოცვა, თუმცა ამ შელოცვის თანმხლები მაგიური რიტუალები შემორჩენილია. სოფ. სვირევანში მცხოვრებმა 31 წლის სევეგი ქურთმა, რომელიც გამოთხოვილია სოფ. მანატბიდან, გვითხრა: „– დანაზე უკითხვენ დუას, ჩააყაფანებენ, დადებენ, ზროხას მგელი არ შეჭამს“. (ჩაინერა თ. შიოშვილმა 2005 წლის 29 ივლისს სოფ. სვირევანში).

ბზათელმა მთქმელმა კი შემდეგი პროფილაქტიკური რიტუალი გაგვანდო:

„– დაილაზე დანას შევაკოჭიებდით ხოჯას, გელს პირი შეეკოჭებო. ხალაჲ შააკოჭიებდა. ჩამოვდოდით, გახსნიდა, ცოდვა არიანო, გელები შიერი დარჩებიანო“ (ფალავა, ცინცაძე, 2011: 460).

რაკი ჩვენებურების ისტორიულ მახსოვრობას მგლის პირის შეკოჭვის ჩვეულება შემორჩა, ბუნებრივია, მათ საქართველოს სხვა კუთხეებში ბოლო დრომდე შემორჩენილი ამ რიტუალის თანმხლები შელოცვებიც ეცოდინებოდათ, რაც, სამწუხაროდ, დღეისათვის მივიწყებულია.

ამრიგად, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი რეგიონის – შავშეთის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულმა ყოფამ ბოლო დრომდე შემოინახა სხვადასხვა ავადმყოფობათა პროფილაქტიკისათვის გამიზნული სამკურნალო შელოცვები და ამინდის მაგიური მართვის რიტუალებთან დაკავშირებული სამეურნეო შელოცვები, რომლებიც საქართველოს სხვა კუთხეებისთვისაც ტრადიციულია. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიანიშნებს სისხლის იმ ყივილზე, რაზედაც თავად არაერთხელ აღუნიშნავთ ჩვენებურებს და რაც ერთი ჯიშისა და გენის ადამიანთა სულიერ ერთობას, იდენტურ მსოფლგაგებასა და პრობლემების ერთი დედის ნიალიდან ჭვრეტას გულისხმობს.

წყევლა

წყევლა, ანუ დარისხვა, დაკრულვა ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი არქაული ჟანრია. იგი სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზე აგებული ფორმულაა და ანიმისტური მსოფლმხედველობიდან მოყოლებული დღემდე მავნე ქმედების აღსაკვეთად, მტრისა და მოშურნის შესაჩვენებლად, ბოროტების დასათრგუნავად და ჯადოქრობის გასაუვნებლად გამოიყენება.

ადამიანებს ძველთაგანვე სწამდათ, რომ სამყარო სავსე იყო ბოროტი და კეთილი სულებით; კეთილ სულებს თაყვანს სცემდნენ, ლოცავდნენ, ატარებდნენ მათ გულისმოსაგებ რიტუალებს, ხოლო ავსა და ბოროტ სულებს წყევლიდნენ და კრულავდნენ, რათა გაექროთ და გადაეშენებინათ; სჯეროდათ სიტყვის მაგიური ძალისა და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ წყევლას სასურველი შედეგი მოჰყვებოდა. ამდენად, როგორც დალოცვასა და შელოცვას, წყევლასაც პროფილაქტიკური მაგიის დანიშნულება აქვს და ადამიანთა თვითდამკვიდრების ხანieri გზის ერთ-ერთი აუცილებელი თანამდეგია.

წყევლას მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერება იცნობს; იგი გავრცელებულია ქართულ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ყოფაშიც როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. ხალხში ზეპირად არსებულ წყევლას ოდითგანვე საყოფაცხოვრებო ხასიათი აქვს და ადამიანთა ყოველდღიურ ურთიერთობაში იჩენს თავს; წერილობითი წყევლა კი, ხალხის რწმენით, შთამომავლობაზე ან ტაბუს დამრღვევზე გადადიოდა.

წყევლის ფორმულები შესულია უძველეს სიგელ-გუჯრებში, სამართლებრივ-იურიდიულ ძეგლებში, რათა მათით გამაგრებულიყო საბუთისეული პირობები და სანდოობა.

ქართულ ზეპისიტყვიერებაში უმთავრესად გვხვდება წყევლის სამი სახე: 1. დემონოლოგიური, 2. საყოფაცხოვრებო და 3. კულტურულ-ისტორიული.

ქართული ხალხური წყევლა, ისევე როგორც ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრები, რაკი ყოველდღიური ყოფის ერთ-ერთი თანამდევია იყო, უხვად შეიცავს ჩვენი ხალხის სულიერი და მატერიალური ცხოვრების ამსახველ ელემენტებს. დღემდე შემოგვრჩა ძველად ძალზე აქტიური წყევლის ფორმულები იმ დროისათვის ისეთ უკურნებელ დაავადებებზე, როგორც იყო ქოლერა, ციება, შავი ჭირი და სხვა.

წყევლის ფორმულებში გათავისებულია ისტორიული ძნელბედობის ხანა („– შენამც წასულხარ ოსოქოლოში!“, „– შე სალექევ, შენა!“); შემუშავებულია უპატრონოდ დარჩენილი საცხოვრისის ტრაგიკული სახეც („– ჭინჭარიც ამოსულა შენს ეზოკარში!“ „– შენამც აგიბალახდა სახლ-კარი!“); დაგმობილი და დაწყევლილია ქვეყნის შინაური და გარეული მტრები, სამშობლოსა და ტოლ-სწორის მოღალატეები და მოშურნენი, თავკერძა და ხარბი სახელმწიფო მოღვაწენი და საერთოდ – ყოველგვარი ზნეობრივი მანკიერებანი.

წყევლა-კრულვა შესულია ზეპისიტყვიერების თითქმის ყველა ჟანრში და მშვენივრად გამოხატავს ხალხის დამოკიდებულებას სოციალური, ეროვნული თუ საყოფაცხოვრებო პრობლემებისადმი. ასე მაგალითად: ქართულ ხალხურ საისტორიო ლექს-სიმღერებში დაწყევლილი და შერისხულია ზურაბ არაგვის ერისთავი, რომელმაც ღალატით ჩაახოცინა ხევსურები; ერეკლეს ვაჟი გიორგი XII, რომელმაც რუსის ჯარი შემოიყვანა საქართველოში; უამრავი წყევლა შეიქმნა ჩვენში პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს; მათში დაწყევლილია „საღდათობის“ მომგონი, მეფე ნიკოლოზი, ფაშიზმი და ა.შ.

წყევლათა ერთი ნაწილი რაფინირებულ პოეტურ ფორმულებად არის ჩამოქნილი. ეს ფორმულები უაღრესად საინტერესოა სიტყვის მხატვრული ღირებულებისა და მეტაფორული აზროვ-

ნების თვალსაზრისითაც („– შე მინის საკერებლო!“ „– შე მინის ლუკმავ!“ „– შე შავს ვარსკვლავზე დაბადებულო!“ და ა.შ.).

წყევლა საოცრად ცოცხალი და ქმედითი ჟანრია. მის ფორმულეებში უკვე აისახა ბოლო ხანებში ჩვენში დატრიალებული პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები („– შენი შვილი მანახა ღმერთმა ჩოლოქზე!“ „– შენი ძაღლი აყმუვლდა ბასმაჩასავით!“ „– შენი ჩაი დაალევიათ სამსახურში!“ „– სოროსს ეყვავებზე ტროას ცხენით!“ „– გაგყინა და გაგფიჩხა ჩვენი პენციასავით!“ „– ქათმის გრიპი შეგყარა ღმერთმა!“ „– ორთაბათუმის გზასავით მოგაქცია!“ და ა.შ.)

წყევლა მიუღებელია ნებისმიერი რელიგიისათვის და მით უფრო – ქრისტიანობისათვის, რომელიც მტრის სიყვარულს ქადაგებს, „წყევა არს ბოროტი თავად, მას არამც შესწევს ძალა ბოროტის დასათრგუნავად“ (ქადაგებანი..., 1913: 123).

როგორც აღვნიშნეთ, წყევლა ზეპირსიტყვიერების არქაული ჟანრია და მას იცნობს საქართველოს ყველა რეგიონი. ბუნებრივია, იგი გავრცელებულია ისტორიული საქართველოს, კერძოდ შავშეთის, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც.

შავშურმა ფოლკლორმა ბოლო დრომდე შემოინახა წინაპართა წეს-ჩვეულებები და ფოლკლორული ნააზრევი, რომელთა შორისაც, ბუნებრივია, ისეთი ყოფითი ჟანრი, როგორც წყევლაა, საკმაოდ დომინირებს; თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შავშელები ერიდებიან წყევლის წარმოთქმას, რადგანაც ამჟამინდელი მათი რელიგიაც (ისლამი) კრძალავს წყევლას, როგორც ბოროტებას. სოფელ დაბის (დემირჯი) მცხოვრებმა ზექიე ილდიზმა წყევლა კი ჩაგვანერინა, მაგრამ დააყოლა, ადამიანის დაწყევლა არ შეიძლებაო. ჩვენს შენიშვნაზე – „მამ, რატომ იცოდა წყევლა“ – გვიპასუხა:

„– თუ გული დაწვა, მაშინ იტყვიანო“.

„– არ სწყევლო არავის!“ – გაგვაფრთხილა იფრხეულელმა (თაშქოფრუ) ქალბატონმა, 87 წლის ვეფსიე დემირმა, თუმცა იქვე მიანიშნა, რომ გაბრაზებულზე თავადაც იყენებს ამ საჩოთი-რო ფორმულებს:

„– ვინცხაზე გავრეზილდებით, გავჰერსდებით, ვწყევლით“.
სოფელ ჩაქველთის მკიდრმა ესმა დემირმა კატეგორიულად განაცხადა:

„– დასწყევლი, შენვე მეგიბრუნდება! კაა არ არი წყევლა! ეს რა თქმა არი!“

მაჩხატეთელმა ქალბატონმა, 76 წლის ჰუნქერ ქაიამ, აგვისხნა:

„– წყევლა კაა არავისთვის არ არი!“

ბაზგირეთელმა ჭაბუკმა თანერ იშექმა კი საანდაზო ფორმულით გვითხრა: „– წყევლა წყევარისა არი!“, რაც ზოგადქართული ფრაზეოლოგიზმია („წყევლა მწყევლელისაა (მანწყევარისაა)“).

ამ თვალსაზრისის წარმოსაჩენად საინტერესოდ გვესახება აჭარელ მუსლიმანთა შორის გავრცელებული „თქმულება ფეღლამბერზე“ (მთქმელი მერდიან ხუსეინის ძე თურმანიძე, დაბ. 1905 წელს, მცხოვრები ქედის რაიონის სოფ. მერისში. ჩაინერა მაია ფარტენაძემ 2008 წელს):

გზად მიმავალ ფეღლამბერს შეხვდა შედთანი, ქუდი წააძრო და ჰკითხა:

„– აღამიანს წყევლა რამდენ ხანს ვერ მისწვდება?“

ფეღლამბერმა უპასუხა:

„– 70 წელსო“.

შედთანი გაიქცა და თან წაიღო ქუდიც. ფეღლამბერმა დასწყევლა:

„– ღმერთმა არ შეგარჩინა!“

შედთანმა მცირე მანძილი გაიარა და დაეცა.

„– ხომ მითხარი, 70 წელს არ მოგენევა წყევლა?!“ – ჰკითხა მან ფეღლამბერს.

„– ეს სხვისი დანყევლილი შეგისრულდა, ჩემი ჯერ არ მოგწვიო“, – უპასუხა ფეღლამბერმა.

შედთანი მიხვდა, რა საშინელება ყოფილა წყევლა და ქუდი დაუბრუნა ფეღლამბერს.

ისტორიული შავშეთის სოფლებში (ზიოსი, ხევწრული, ზაქიეთი, დაბა, ივეთი, იფხრეული, ჩაქველთა) ჩანერილი წყევლის

ნიმუშები ძალზე დიდ სიახლოვეს ავლენენ საერთოქართულ, განსაკუთრებით კი აჭარულ, წყევლის ფორმულებთან როგორც შინაარსობრივად, ისე ლექსიკური თვალსაზრისით. ამგვარი წყევლებია: „– მეხი დეგეცეს!“; „– სიციელი (ციციელი) დეგეცეს!“; „– ღმერთმა ანტრად გაქციოს!“; „– ღმერთმა კაი დღე არ დაგანახოს!“; „– შავ და უკულმა გატაროს!“ და სხვა.

შავშურ წყევლის ფორმულებში შესულია საქართველოს ისტორიული ვითარების ამსახველი დეტალებიც. სოფელ იფხრეულში (თაშქოფრუ) 65 წლის სურმელ ილდიზისაგან ჩავინერეთ წყევლა: „– ღმერთმა რუსიე გადაგარონიოს!“ ძნელი არ არის, ამ მაგიურ ფორმულაში ქართველი ადამიანის გულისწუხილისა და შუაზე გახლეჩილი სამშობლოს საუკუნოვანი ტკივილის დანახვა. სოფელ დაბის (დემირჯი) მკვიდრმა – 45 წლის ზეკიე ილდიზმა გვითხრა, რომ, როცა დედას გააბრაზებდნენ ასე სწყევლიდა შვილებს: „– შე კათოლიკი შვილო!“ სამწუხაროდ, ბედის უკულმართობის გამო, ძირძველი მართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის კათოლიკობა (ამ შემთხვევაში იგივე ქრისტიანობა) სანყევარი სიტყვა გამხდარა. რუსულ-თურქული ურთიერთობის გამოძახილია, აგრეთვე, წყევლა: „– შე მოსკოვიშვილო!“ ანდა: „– შე მოსკოველო!“ „– შე ბათუმელო!“

შავშელთა წყევლაში ხშირად ვხვდებით მეტაფორული აზროვნების ნიმუშებს: „– ჭინჭარი ამოვიდეს შენ ოჯახში!“; „– კარი გამოზრას!“; „– ღმერთმა გაგბარგოს!“; „– ღმერთმა საცხა გადაქფუნჩხოს!“; „– ღმერთმა გაგაბჯინოს!“; „– ფუშში ცეცხლი ჩეგვივარდეს!“

მუსულმანური აღმსარებლობის ჩვენებურთა წყევლის ფორმულებში შესულია სათანადო რელიგიური და თურქულენოვანი ლექსემებიც: „– ღმერთმა ჯეჰენებში წეგიყვანოს!“; „– ღმერთმა იმ დუნდას წეგიყვანოს ჯეჰენებში!“; „– ღმერთმა ყანსერში ჩაგაგდოს!“; „– ღმერთმა ფელჯი გაგხადოს!“; „– ღმერთმა დაგაქოროს!“; „– ღმერთმა მემლექეთში არ ჩეგიყვანოს!“.

შავშეთის სოფლებში, ისევე როგორც საქართველოს ყველა კუთხეში, ძალზე გავრცელებულია ურჩი პირუტყვების წყევლა:

„– ღმერთმა გააბჯინოს, ზეირი-ზუხუმი გუუხდეს ი კვერცხი!“ – ასე სწყევლიან აბეზარ ქათამს; „– გელებმა შეგჭამონ!; „– ღმერთმა გაგხეთქოს!“; „– გელმა შეგჭამოს და მოგარჩინოს!“ – წყევლიან დაუმორჩილებელ ძროხას.

პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მიერ იმერხევის სოფელ ხობლევეში ჩანერილ საყოფაცხოვრებო ლექსში „ქათმები სიმღერა“ დანყევლილია მელია, რომელმაც ქათამი შეუჭამა გლეხს:

ვიყიდე ქათამი,
ვერ ვქენი ქვარი,
მეგერ ღია დიმირჩა
საქათმი კარი.
უსულათ ეყურებოდა,
მეგერ იქ არი.
გამჩენელმა სულამდი
გარწყიოს, მელაო!

(ფუტკარაძე, 1993: 213)

ეს პოპულარული საყოფაცხოვრებო ლექსი დაფიქსირდა, აგრეთვე, შავშ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორისაც. 2015 წლის 24 ივლისს თოქათის პროვინციის ნიქსარის ილჩეს სოფელ უსტაასანში 39 წლის მერდინ ბალჯისაგან მკვლევარებმა – მაია ბარამიძემ და ნანი ფუტკარაძემ – ჩაინერეს მისი ვარიანტი, თუმცა მასში მელია დანყევლილი არ არის, იგი მოიხსენება მუსლიმანთათვის საძულველი სიტყვით „ლორი“:

ერთი ქათამი ვიყიდე,
ვერ ვქენი ქვარი;
მეგემ ღია დამჩა
საქათმეს კარი.
მეგემ რა ლორი ყოფილა
ქათმების მელაჲ!

მთქმელის განმარტებით, ეს ლექსი ბებიასაგან გაუგონია („– ბაბოს ანაჲ იტყოდა“).

შავშური საოჯახო-საყოფიერო თუ სანქსჩვეულებო პოეზიის ნიმუშები უხვად შეიცავენ წყევლის ფორმულებს. ერთ სატრფიალო შაირში განზილებული ბაზგირეთელი შეყვარებული ვაჟი ასე მიმართავს ქალს:

სახლუკნედან საშეშე,
მე შენზე'ნა გავლემდე;
დიგიქორდეს თვალები! –
ტყუილ დუნიაში მომჩერე!

(შოშვილი, 2011: 498)

დანუნებული ვაჟის წყევლანარევი ნათქვამია სოფელ ზიოსში დაფიქსირებული შაირიც:

ნაცარა თის ზემოდან,
აჭახული შეშები.
შენ თუ მე არ მომყვები,
მიგიდინდეს ლეშები!

(შოშვილი, 2011: 489)

წყევლაში არც ქალიშვილები ჩამორჩებიან ვაჟებს და აფრთხილებენ გულისსწორს:

ავდექ, ჩაველ ახორში,
დავჯექ ზროხის წველაზე;
შენ თუ მე არ მითხუე,
დავდგე'ნა შენ წყევლაზე!

(ფაღავა, 2007: 97; შოშვილი, 2011: 489)

ანდა:

თაზე მიმყავს ორი ხბო,
იქით-აქეთ მექცევა;
შენ რო მე არ მითხუო,
შავი დღე მეგექცევა!

(შოშვილი, 2011: 489)

ჩვენებური ქალები ძალზე უფროთხილდებიან თავიანთ კაცებს, ქმარი იქნება ის თუ შეყვარებული, და მათ შესანარჩუნებლად წყევლასაც არ თაკილობენ:

ე რავაა ბუქი მოვდა,
ყავარი'ნა ახადოს;
ვინცხა ჩემ კაც შეხედავს,
ღმერთმა ფელჯი გახადოს!

(შიოშვილი, 2011: 496)

შავშელთა შორის ზოგჯერ წყევლად გამოყენებულია ამა თუ იმ ლექსის ცალკეული სტრიქონი („კინი ამოგივარდა!“ „მიგიდინდეს ლეშები!“ „ღმერთმა ფელჯი გაგხადოს“ და სხვა); თუმცა, შესაძლებელია, პირიქითაც იყოს – წყევლის მზა ფორმულები იქნას გამოყენებული ლექს-სიმღერაში.

წყევლა, როგორც ბოროტი სულის, ავადმყოფობის სანინააღმდეგო ფორმულა, შესულია შავშურ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულ შელოცვებში და ამ თვალსაზრისითაც ჩვენებურთა ფოლკლორული ტრადიციები ზოგადქართულს არ დასცილებია. ასე მაგალითად: იელის, ანუ თიის, შელოცვაში ავადმყოფობის მიმართ ნათქვამია:

...იავ, თიავ, წარევ, კუხევ,
რას ელევედი ცასავებ!
რას ბრუნევედი ჯარსავეთ!
ეიარე, დეიარე,
დაალაგდი ქვასავეფ!

(ფალავა, 2008: 86; შიოშვილი, 2011: 480)

„გათვალულის შელოცვაში“ კი ავი თვალის პატრონი ასეა დაწყველილი:

...შენი თვალი მაცემარსა
თვალი უხმებოდა,
ხორცი უშრებოდა!..

(შიოშვილი, 2005: 105; შიოშვილი, 2011: 479)

„სირსვილას შელოცვაში“ კანის ამ დაავადებას ასე სწვევლის სვირევენელი ქალბატონი სეიფეთინ ქურთი:

...ჯარ აპეური განყვეტია,
სირსვილას ძირი წამონყვეტია!

(შოშვილი, 2005.: 105; შოშვილი, 2011:
480)

სშირად შავშური წყევლის ფორმულად გამოდის ამა თუ იმ შელოცვათა ცალკეული ფრაზები: „– მატავრო, ჰა მიხვალ!“ – ასე მიმართავენ წყრომის ობიექტს.

შავშელთა შორის გავრცელებული წყევლის ნიმუშები ძალიან დიდ სიახლოვეს ავლენენ საერთოქართულ, განსაკუთრებით კი – აჭარულ წყევლებთან, როგორც შინაარსობრივად, ისე სიტყვიერი გაფორმების თვალსაზრისით; აქაურთა წყევლის ფორმულებში შესულია საქართველოს ისტორიული ვითარების ამსახველი ცალკეული დეტალები.

შავშური წყევლები, ისევე როგორც ზოგადქართული წყევლის ფორმულები, მეტაფორული აზროვნების ნიმუშებია და ძალზე საინტერესოა სიტყვის მხატვრული ღირებულების თვალსაზრისითაც.

გარდა საკუთრივ წყევლებისა, წყევლის ფორმულებს შეიცავს შავშური საოჯახო-საყოფიერო და საწესჩვეულებო პოეზიის ნიმუშები, რაც დამახასიათებელია, აგრეთვე, ზოგადქართული ფოლკლორისთვისაც.

შავშურ წყევლაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ეროვნული ზეპირსიტყვიერების ეს უძველესი უბანიც, ისევე, როგორც შავშეთის ქართულენოვანი სოფლების ზეპირსიტყვიერების ყველა სხვა ჟანრი, კვლავაც ეროვნულ ფოლკლორულ სივრცეშია მოქცეული, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ თურქულ გარემოცვაში მცხოვრებ ჩვენებურებს ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვთ ეთნიკური იერსახე.

დალოცვა

დალოცვა ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი არქაული ჟანრია და, შელოცვისა და წყევლის მსგავსად, სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზეა დაფუძნებული. ამგვარი რწმენის გენეზისი კი, ჩვენი აზრით, უფრო ქრისტიანულ მსოფლმხედველობაშია დასაძებნი, ვიდრე – წინაქრისტიანულში. სიტყვა, როგორც ხმა და საქმე უფლისა, უდიდესი ძალის შემცველია. წმინდა გრიგოლ ნოსელის თანახმად, „სიტყვა ღმერთისაა საქმე არს და ყოველი დაბადებული სიტყვითა მისითა დაიბადების ...ყოველთა არსთა შორის სიტყუაა ბრძენი და ხელოვანი დაწესებულ არს“ (წმ. გრ. ნოსელი, 1988: 236). მწერალი კონსტანტინე გამსახურდია მიუთითებდა: „ძველად ესმოდათ, რომ თქმა ქმნაზე უფრო დიდია, რომ თქმას დიდი მორიდება უნდა; სიტყვა ბევრ რამეს იწვევს, სიტყვა სულს იწვევს და სულიერს... ჩვენ მუდმივ ფერისცვალებას განვიცდით და ამას უთუოდ საგნების ხსენება და შეხება იწვევს“ (გამსახურდია, 1959: 96-97). შემთხვევითი არ არის, რომ ქართული საზღაპრო ეპოსის დასასრულ ფორმულებში გამოთქმულია სიტყვები, რომლებსაც პროფილაქტიკური და პროდუქტიული მაგიის დანიშნულება აქვთ:

ჭირი – იქა, ლხინი – აქა,
ქატო – იქა, ფქვილი – აქა!

ანდა:

მთქმელსა და გამგონებელსა
ჭირი გაშორეთ ყველასა!

ან კიდევ:

აივსენით ქონებითა,
ჭკუითა და გონებითა!

არც ის არის შემთხვევითი, რომ ქართული ხალხური ნოველისტური ზღაპრის ბრძენი გმირი, რომელიც მოჯამაგირეობს, გასამრჯელოდ სამ სიტყვას (რჩევა-დარიგებას) ამჯობინებს, რაც შემდგომში მისი კეთილდღეობის სანინდარი ხდება.

საქართველოს ყველა კუთხის ხალხური სიტყვიერება მდიდარია დალოცვათა ლაპიდარული ფორმულებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ცალკეულ ფრაზეოლოგიზმებსაც წარმოადგენენ და ამდიდრებენ ენის ლექსიკურ ფონდს. ბუნებრივია, ძირძველი ქართული რეგიონის – შავშეთის ზეპირსიტყვიერებასაც შემორჩა დალოცვები, რომლებიც, ფაქტობრივად, იდენტურია ზოგადქართულისა.

საქართველოს ყველა კუთხეში ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია დალოცვა-სადღეგრძელოები, რომლებიც ჩამოყალიბებული რიტმული წყობის პოეტური ტექსტებია და ძირითადად წარმოითქმება ლხინის, უმთავრესად – ქორნილის დროს და მისი ადრესატები ძირითადად არიან ნეფე-დედოფალი, მეჯვარეები და ნეფე-დედოფლის ახლობლები; ჩვენი ქვეყნის დასავლეთ რეგიონებში (აჭარა, გურია, იმერეთი) კი ძველად დიდი პოპულარობით სარგებლობდა მესტიერეთა, მეჭიბონეთა თუ მეჩონგურეთა დალოცვები, რომელთა ადრესატიც განუსაზღვრელი იყო, თუმცა შესრულების ადგილი – განსაზღვრული: ამგვარი ლექსითი დალოცვა-სადღეგრძელოები წარმოითქმებოდა სუფრასთან, რასაც, ბუნებრივია, თან ახლდა ღვინის სმა; ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ მუსულმანური რელიგიის გამოისობით, რომელიც მორწმუნეს ღვინის სმას უკრძალავს, შავშურმა ყოფამ ვერ შემოინახა პოეტურ დალოცვა-სადღეგრძელოთა ტრადიცია, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათ ყოველდღიურ მეტყველებას უხვად ასაზრდოებს დალოცვის მოკლე, ლაპიდარული ფორმულები, რომლებიც, ისევე

როგორც ზოგადქართული მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი, ძირითადად წყევლათა ანტითეზებია:

- წყევლა: – კაი დღე არ მოგცეს!
- დალოცვა: – კაი დღე მოგცეს!
- წყევლა: – ღმერთმა სიმწარე მოგცეს!
- დალოცვა: – ღმერთმა სიმწარე არ მოგცეს!
- წყევლა: – შენი გულისა არ მოგცეს ღმერთმა!
- დალოცვა: – შენი გულისა მოგცეს ღმერთმა!
- წყევლა: – გაგაბჯინოს!
- დალოცვა: – გაგახაროს!..

შავშურ დალოცვათა ფორმულებში, ზოგადქართულის მსგავსად, გამოთქმულია სურვილი ადამიანის ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი სიცოცხლისა:

- ბევრი ჯანი მოგცეს!
- გამჩენმა ჯანი საღი მოგცეს!
- ღმერთმა ომრი მოგცეს!
- ღმერთმა წყალსავენ ბევრი დღე მოგცეს!
- ღმერთმა დღით, ომრით გაგაძღოს!

შავშურ დალოცვებში განსაკუთრებით გამორჩეულია ჯანსაღი და ხანიერი ცოლქმრული ურთიერთობის სურვილი; ამიტომაც ახალშეუღლებულებს ასე დალოცავენ:

- ღმერთმა ერთ ბალიშზე დაგაბერონ!
- ღმერთმა ერთ კლავზე დაგაბერონ!
- ღმერთმა ქალი-კაცი ერთ ბალიშზე დაგაბერონ!
- ღმერთმა ერთად გამცხოვრონ!

აღსანიშნავია, რომ აბსოლუტურად იდენტური დალოცვის ფორმულებია გავრცელებული საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

შავშები დედოფალს დალოცავენ:

- ღმერთმა მაგ სახში დაგაბეროს!
- ღმერთმა მაგ სახში გერმელობა მოგცეს!

დედამთილი კი ასე დალოცავს პატარძალს:

- ღმერთმა გერმელთით, მშვიდობით, ჩემ შვილის უკან დაგაბეროს! დასაოჯახებლებს უსურვებენ კარგ მეორე ნახევარს:

- ხას ქალ შეგყაროს!
- ღმერთმა კაი ქალი მოგცეს!
- შენი გულისა მოგცეს ღმერთმა!
- ღმერთმა ლამაზი ქალი მოგცეს!
- ღმერთმა კაცის პირი დაგანახოს!

ქართველი კაცის ოდინდელი მისწრაფება გამრავლებისადმი, შვილიერებისადმი, სათანადოდ აისახა შავშთა შორის გავრცელებულ დალოცვის ფორმულებში:

- ღმერთმა შვილები თავამდი მოგცეს!
- ბაღვები მოგცეს ღმერთმა!
- ღმერთმა ბევრი ბაღვები მოგცეს!
- ღმერთმა კაი ბალანა მოგცეს!
- ღმერთმა შვილი დაგანახოს!
- ღმერთმა მშვიდობით, გერმელობით შენი შვილები შენ მოგცეს!

ბუნებრივია, შავშთათვისაც მნიშვნელოვანია ოჯახის მომავალი ბურჯის – ვაჟიშვილის დაბადება, რაც სათანადოდ აისახა კიდევ დალოცვის ფორმულაში:

- ღმერთმა შვილი კაცი მოგცეს!

შავშურ დალოცვებში წინა პლანზეა წამოწეული ოჯახი, მისი სიძლიერე, ოჯახის წევრთა ჯანმრთელობა და სიცოცხლე:

- მამის ოჯახზე გაცოცხლოს ღმერთმა!
- ოჯახთან მშვიდობით მიგასხას!

- ღმერთმა ანაჲ-ბაბაჲ მოგცეს!
- ღმერთმა დაგანახოს ანაჲ, ბაბაჲ, იმის ერთათ გაგ-ზარდოს!

ჩვენებურთა დალოცვაჲში ყურადღებას იქცევს ადამიანური თავმოყვარეობის ფაქტორიც; მუდამ თავისთავადი და ამაყი ჩვენი ხალხისათვის მიუღებელია სხვათა ხელისშემყურეობა:

- ღმერთმა ვინცხას ამარა არ გაგხადოს!
- ღმერთმა კაი გეჩმიში მოგცეს!

შავშელთა დალოცვის გამორჩეული ადრესატია ახალგაზ-რდობა:

- ახლებმა იცოცხლეთ!
- დიდი კაცი გაგზარდოს!
- ღმერთმა გაგზარდოს, შვილოჯან!

შავშურ დალოცვათა დიდი ნაწილი ცხოვრებაზე, ადამიან-ის სიცოცხლის არსსა და მიზანზე ხანგრძლივი დაკვირვება-გა-მოცდილების შედეგად შემუშავებული ფორმულებია, რომელთა წარმოთქმითაც გამობატულია სურვილი ათასგვარი ხიფათითა და მოულოდნელობით სავსე ცხოვრების თანამდევი დაბრკოლე-ბებისაგან განთავისუფლებისა და უფლის წყალობისა:

- ღმერთის დუა შენ ზეიდან იყოს!
- ღმერთმა ლამაზი თვალებით შეგხედოს!
- ბელადან, ყაზადან ღმერთმა შეგინახოს!
- არა დერდი არ მოგცეს!
- გზა-კვალი გიგიხსნას!
- საცხან ნახვალ, გზა-კვალი გიგირჩოს!
- ღმერთმა გზები გიგირჩოს!
- კარგობა მოგცენ!
- კარგ მურადს შეგყარონ!
- ღმერთმა დერდი გიგიქარვოს!

აღსანიშნავია, რომ ქართული ხალხური დალოცვა ერთგვარი დამოძღვრაც არის, რათა ადამიანს ზნეობრივი საფანელი არ შემოაკლდეს, არ აჰყვეს წუთისოფლის საცთუნებლებს: „– ღმერთმა ლამაზად გაცოცხლოს!“, „– ღმერთმა ფეხი არ წამოგაკვრევიოს ქვაზე!“ – დაგლოცავენ ჩვენებურები და ამით გისურვებენ, არაფერი შეგშლოდეს, ბოლომდე პირნათლად მოგეხადოს ადამიანური ვალი.

ისტორიულად მტრებით გარემოცული ქართველობისათვის, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი იყო დალოცვაში გამოხატული სურვილი იმისა, რომ მტერი არ ჰყოლოდა; ამაზე მიუთითებს დალოცვა: „– ღმერთმა დუშმანი არ მოგცეს!“ თუმცა, ტოლერანტ შეაქმთა დალოცვა მტრებსაც კი ერგოთ და გამოითქვა სურვილი მათი გაკეთილშობილება-გაადამიანურებისა:

- დუშმანმაც თავითვინ იცოცხლოს!
- იმასაც (დუშმანს) ინსნობა მიცეს!

საერთოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ შავშურ მეტყველებაში ძალზე პოპულარულია სიტყვები: „მშვიდობა“, „კარგობა“ და „გერმელობა“, რაც მშვიდ, წყნარ, სიყვარულსა და გაგებაზე დაფუძნებულ ურთიერთობას გულისხმობს და რაც დალოცვებშიც ხშირად გვხვდება:

- მშვიდობით, გერმელობით იყავ!
- ღმერთმა გერმელობა მოგცეს!
- ღმერთმა გერმელი, სალი ჯანი მოგცეს!
- ღმერთმა გერმელობით ჩაცმა გაღირსოს!
- ღმერთმა გერმელობით დაგაფრენიოს ახალი ურუბა!
- ღმერთმა საცხა წახვალ, კარგობა მოგცეს!
- ღმერთმა კარგი მოგცეს დანი!
- ღმერთმა მშვიდობით გარონიოს!
- მშვიდობით წადი!
- ღმერთმა მშვიდობით წიგიყვანოს, მშვიდობით მიგიყვანოს!

ათასგვარ ძნელბედობათა გადამტანი ერისათვის თეთრ ტან-საცმელში დაბერება ყოველთვის სანატრელი იყო. „თეთრ ლეჩაქში დაბერდი!“ – ამგვარი დალოცვა ქართველი დედისათვის უთუოდ ყველა დალოცვაზე მეტად ფასობდა. შავშთა ზეპირ-სიტყვიერებაშიც, ბუნებრივია, პოპულარულია ამგვარი დალოცვები:

- ღმერთმა თეთრ საწალში დაგაბეროს!
- ღმერთმა თეთრ დაზმაში დაგაბეროს და შავები აღარ ჩაგაცვას!
- ღმერთმა თეთრ ნვერში დაგაბეროს!
- ღმერთმა კაა უბით დაგაბეროს!

მუსულმანურმა აღმსარებლობამ შავშთა დალოცვის ტექსტებშიც შეიტანა თურქულენოვანი რელიგიური ლექსემები:

- ჯენნეთი მოგცეს!
- ღმერთმა ჯენნეთში წიგიყვანოს!
- ღმერთმა ხეირ-სელამეთი მოგცეს!
- ღმერთის დუა შენ ზეიდან იყოს!

შავშურ დალოცვებში არ ავიწყდებათ ეკონომიკური მხარეც; გაჭირვებულთა და მუდამ საშოვარზე („მოსაგებელზე“) მყოფთა ლექსიკაში სრულიად ბუნებრივად შევიდა ამგვარი დალოცვებიც:

- ღმერთმა ბევრათ მოგაგებოს!
- ღმერთმა სულ ბევრი მოგცეს!


ხეხილის პირველ ნაყოფს რომ დააგემოვნებენ ჩვენებურები, დაილოცებიან: „– კიდევ მეესწრა ამ დუნიას!“ ამ დალოცვის ზოგადქართული ვარიანტია: „– ღმერთმა მრავალს მოგასწროს!“

შავშთა დალოცვაში სამეურნეო აგრარულ-პროფილაქტიკური მოტივიც დავაფიქსირეთ: – ღმერთმა გამჩენმა შენ ეზოში სეტყვა არ მიეყვანოს!

ჩვენებურებმა ექსპედიციის წევრებზე დაგვლოცეს:

- ღმერთმა მშვიდობით მიგასხათ შინ!
- ღმერთმა სელამეთით მიგასხან!
- ღმერთმა სახში მშვიდობით მიგიყვანონ!
- ღმერთმა ჩიტივით გარონიოს!

და ისურვეს, კვლავაც გვეღირსებოდა ერთმანეთთან შეხვედრა: „- კიდევ გვეღირსოს ერთმანეთის ნახვა!..“ – ეს კი ოდინდელი სურვილია ყოველთა ქართველთა...



სოფ. ბაზირეთი, 2009 წ.
 პროფესორი თინა შიომვილი ბაზირეთელ მთქმელებთან

ანდაზა

მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი სამშენისია ფორმით მცირე, მაგრამ თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით უთვალსაჩინოესი ჟანრი – ანდაზა, რომელიც ცხოვრების თითქმის ყველა მხარეზე ამახვილებს ყურადღებას და სხარტი, ლაპიდარული, მოხდენილი ფორმით გვთავაზობს პასუხს მრავალ კითხვაზე, გვმოდღვრავს, გვაძლევს რჩევა-დარიგებებს, გვაქებს და გვახალისებს, გვკიცხავს და პირუთვნელად გვამხელს; ყოველივეს შედეგი კი უცილობელი ზნეობრივი კათარზისია.

ანდაზური მეტყველება, რაც თავისთავად ენის ლექსიკური სივრცის სიმდიდრესა და მოქნილობაზე მიუთითებს, ყოველთვის ამშვენებდა და ამშვენებს ჩვენს ეროვნულ ფოლკლორულ შემოქმედებას; იგი ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების, მისწრაფებების, ზნეობრივ-მორალური იდეალებისა და შეხედულებების ნათელი ანარეკლია; მასში ცხოველმყოფლად და ლაკონიურად არის ასახული და გადმოცემული ჩვენი წინაპრების მიერ სამყაროზე, ადამიანთა საზოგადოებაზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად შემუშავებული ზნეობრივ-მორალური კოდექსი, რის გამოც ანდაზა ყოველთვის იყო და რჩება ხალხის დამოძღვრის, დიდაქტიკურ-მორალური კომუნიკაციების საუკეთესო საშუალებად, ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთ უტყუარ და გულმართალ ტრიბუნად.

ქართული ხალხური ანდაზების დიდი მოამაგე თედო სახოკია წერდა: „ანდაზა სხარტულად გამოთქმული სიბრძნეა ხალხისა, მთელი საუკუნეების დაკვირვების შედეგი და წარმონაშობი. ისე მკაფიოდ არსად იხატება დაკვირვება ამა თუ იმ ხალხისა, რო-

გორც ანდაზაში. კიდევ ამიტომ აქვს საპატიო ადგილი ანდაზას ხალხის ზეპირსიტყვიერებაში“ (სახოკია, 1898: 75-76).

საანდაზო მეტყველება, რომელსაც მთლად არქაულს ვერ ვუწოდებთ, ოდითგან ახასიათებდა ჩვენს ერს; ანდაზების ჩამოქნა-დახვენას, მართალია, ხანიერი გზის გამოვლა სჭირდება, მაგრამ ერთ-ერთ ანდაზურ ფორმულაზე – „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს“ – თვალის გადავინებაც საკმარისია დასკვნისათვის, რომ ხალხის მიერ ერთხელ შემუშავებული ბრძნული თეზა საუკუნეებს უძლებს: „ახალი აღთქმის“ ქართული თარგმანის მიხედვით პავლე მოციქულის მიერ თესალონიკელთა მიმართ წარმოთქმული ეს ანდაზა ამგვარად გამოითქმის: „უკუეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჭამნ“ (ახალი აღთქმაჲ..., 1963: 495); მეათე საუკუნის ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ამ ანდაზამ იგივე აზრი ამგვარად გამოხატა: „რომელი არა შურებოდეს, ნუცალა ჭამნ“ (მერჩულე, 1949: 120).

ანდაზათა დაფიქსირება, თავისი სპეციფიკურობის გამო, ძალზე საძნელოა; მის წარმოთქმას აუცილებლად სჭირდება სათანადო გარემო და სიტუაცია; სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ შავშეთში ორჯერ (2005 და 2009 წწ) მოწყობილი ექსპედიციების დროს მცირე რაოდენობის ანდაზების ჩანერა მოვახერხეთ სოფლებში: მაჩხატეთი, სვირევანი, ივეთი, ხევწრული, ჯვარიხევი, მანატბა, უბე, ბაზგირეთი და ჩაქველთა (შოიშვილი, 2011: 473, 507-508). მიუხედავად ამგვარი სიმწირისა, შავშთა საანდაზო მეტყველებაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ჩვენი სისხლისა და ხორცის ნაწილი ჩვენებურები ისევე ჭვრეტდნენ და ჭვრეტენ სამყაროს, ისეთივე დასკვნები გამოაქვთ ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოვლენებზე და ადამიანურ ურთიერთობებზე, როგორც ყველგან – მთელს საქართველოში; რომ შავშთა ანდაზებიც, ისევე როგორც სხვა ყველა უანრი მათეული ფოლკლორული შემოქმედებისა, საერთოქართული ზეპირსიტყვიერების ორგანული ნაწილია.

ქართულ მეტყველებაში ფართოდ გავრცელებული ანდაზა „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“ შავშეთში ასე გამოითქმის: „ანა ნახე, და ნახე, შვილი ნახე, მადლიაო“; „ანას შეხედე – ბაჯალა ითხუე, ქენერზე შეხედე – ეილე“. ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, შავშთა შორის გავრცელებული ამ ანდაზის სიბრძნეც ცალსახად მიუთითებს, რომ მოზარდი თაობის აღზრდა-ფორმირება დიდად არის დამოკიდებული იმ სოციალურ გარემოზე, რომელშიც იზრდება; ამ მხრივ კი ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება ოჯახს, მშობლებს.

ქართულ ხალხურ ანდაზებში უდიდესი გულისტკივილია ჩაქსოვილი სოციალური უთანასწორობის გამო; გაკიცხულია ქონებრივი მდგომარეობით გამედიდურება-გაამაყება და მას უპირისპირდება თავმდაბლობა და მოკრძალებულობა. იგივე აზრია გამოთქმული შავშურ ანდაზებში: „გაზენგილებულა და ცხვირი გუუზდიაო“; „კაკლის ხეჭოდან გამოიდა, კაკლის ხეჭოს აღარ წონულობსო“; „კაკლის ხეჭოდან გამოსულა და ჩვენი თავი არ მონონსო“. ბოლო ორი შავშური ანდაზის აჭარული ვარიანტი ასეთია: „ნაბლი ბუძგიდან გამოვდა, ბუძგი აღარ იკადრაო“.

საქართველოში ყოველთვის დიდად ფასობდა კუთხე-მეზობლობა, ხალხის, თემის სამსახური, ურთიერთანხმობა და მზრუნველობა. ეს შესანიშნავი ჰუმანური ტრადიცია კარგად აისახა ქართულ ხალხურ ანდაზებში. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ძალზე პოპულარულია კეთილმეზობლური ურთიერთობის, მეზობლისადმი უშურველობისა და ხალასი ადამიანური დამოკიდებულების აღმნიშვნელი ანდაზა „მეზობელს რომ მუცელი ასტკივდება, შენც მუცელზე ხელი უნდა მოისვაო“. ეს უაღრესად კეთილშობილური, ჰუმანური იდეით გაჟღენთილი ანდაზა თითქმის იგივე სიტყვიერი ქსოვილით გადმოიცემა შავშურშიც: „მეზობელ ქი დაჩხვერს, შენ ფუშზე ხელი'ნა დეედვაო“.

სტუმართმოყვარეობა ჩვენი ძირძველი ეროვნული ტრადიციების ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. სტუმარი ღვთისაგან გამოგზავნილად შერაცხა ჩვენმა წინაპარმა და ამით დიდებულად

გამოხატა მისადმი სიყვარული და პატივისცემა. ზოგადქართულ ანდაზა „მოსვლა სტუმრის ნებაა, წასვლა – მასპინძლისაო“ შავშურმა ზეპირსიტყვიერებამ უცვლელად შემოინახა: „მოსლა შენ თქმით არი და წასლა შენ თქმით არ არიო, – სტუმარს უთხრა მასპინძელმაო“.

დასაბამიდან ებრძვის ერთმანეთს კეთილი და ბოროტი, დასაბამიდანვე აწვალებს და აინტერესებს ადამიანსაც ეს ორი ურთიერთსაპირისპირო სანყისი, მათ არსში ჩანვდომისა და განჭვრეტის ნადილი. ქართული ზეპირსიტყვიერების ყველა ჟანრი ქადაგებს სიკეთის სამსახურს; ცხოვრებაზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მიღებული გამოცდილება, რომ ბოროტების გზა მოკლეა, რომ ადრე თუ გვიან მას სიკეთე დაამარცხებს, შავშთა საანდაზო მეტყველებაში ამგვარად არის ფორმულირებული: „გონჯობიდან რამე არ გამუაო“; „ხორცი არ იჭმება, ქონიც არ იჭმება, ინსნობა კააა“.

სიკეთის მსახურების ცნებას, ზნემაღალ ადამიანურ თვისებებსა და სათნოებას უშუალოდ უკავშირდება ამა თუ იმ პიროვნების მიმართ საზოგადოებაში შემუშავებული აზრი, რაც ადამიანის ავტორიტეტს, მის სახელიანობასა თუ პირიქით – მის უზნეობასა და უსახელობას გახაზავს. „ვეფხისტყაოსნისიეული“ სიბრძნე „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“ ქართული ხალხური ანდაზების ერთ-ერთი აქტიუალური თემაა და გვასწავლის: „სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობია“; „სახელი ჯობს ქონებასო, მამაჩემის ცხონებასო“; შავშური საანდაზო სიბრძნე კი გვმოძღვრავს, რომ სახელიანობა ადამიანს არა მარტო მინიერ ცხოვრებაში, არამედ საიქიოშიც სჭირდება: „სახელი იმ დუნდასაც გვინდაო“. ეს დიდებული ანდაზა კიდევ უფრო მეტ კორექტურობასა და ჰუმანურობას ავალებს ადამიანს, რათა წინაპართა საუფლოს სახელიანი წარუდგეს.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გავრცელებული ხალხური ანდაზების – „თაფლი რომ წინ გედოს, თითი უნდა გაილოკო“, „ვინც თაფლი ჭამა, თითიც იმან უნდა გაილოკოსო“

– ანტითეზურია შავშური ანდაზა „სხვამ თაფლი ჭამოს და შენ ტიტვირები ილოკეო“.

შავშურ ანდაზებში, სხვა ქართულ რეგიონებში გავრცელებული ანდაზების მსგავსად, ყურადღება ექცევა საყოფიერო თემატიკასაც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა რძალ-მულს შორის არსებული ნეგატიური ურთიერთობის ამსახველი ანდაზა „რძალს მული მუხი ესობაო“.

ბრძენ შავშ მთქმელთა მახვილ თვალსა და გონებას არ გამოპარვია უმადური შვილების მშობელთა მდგომარეობაც და შეუთხზავთ ანდაზა „შვიდი ვირი გავზარდე და ჩემი ძუქი არ მომეხსნაო“.

არც დარდი და სევდაა უცხო ქართველი კაცისათვის; ამიტომაც ქადაგებს შავშური ანდაზა: „უდერდელი იმ დუნდას არიანო“.

შავშური ანდაზების ერთ-ერთი მტკივნეული თემაა სიკვდილ-სიცოცხლის ძველი და მარად ახალი პრობლემა. მრავალჭირგამომგლილმა ქართველმა ყოველთვის კარგად იცოდა, რომ „სიკვდილი გადასახდელი ვალია“ და მის წინაშე შიში ვერაფერი ვაჟკაცობაა; ამიტომაც შავშური პარემია პირდაპირ, შეულამაზებლად აცხადებს: „ცხრა მერთექი გვიცდისო“ და ამით კიდევ ერთხელ აფრთხილებს ადამიანებს, ახსოვდეთ სიკვდილი, რათა ამქვეყნად მიზანმიმართულად და ზნეობრივად იცხოვრონ.

შავშეთის მკვიდრთა ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი ანდაზები ერთის მხრივ გვაცნობს ჩვენებურთა ყოფიერებისა და სულიერების შუქ-ჩრდილებს, მათ მსოფლგაგებას, ზნეობრივ იდეალებსა და ინტერესებს, მეორე მხრივ კი ნათლად ადასტურებს, რომ ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერების ეს უბანიც ერთიანი ქართული ფოლკლორული წიაღის ნაწილია.

ბამონანა

გამოცანა მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირპოეტური შემოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჟანრია. ქართულ ფოლკლორში უძველესი დროიდან მომდინარე ჟანრებს შორის გამოცანას თვალსაჩინო ადგილი უკავია და ჩვენი ხალხის გონებრივი და ზნეობრივი წვრთნის უდიდესი მისია აკისრია. „ამ ფორმით მცირე, მაგრამ საოცრად პოპულარულსა და სიცოცხლისუნარიან პოეტურ ფორმულაში დაუნჯებელია ჩვენი წინაპრების მსოფლმხედველობა, ფიქრები და მისწრაფებები, შეხედულებანი სამყაროს სხვადასხვა მოვლენებზე, ცოცხალსა და არაცოცხალ ბუნებაზე... თავმოყრილია ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი ცოდნა-გამოცდილება, რომლის რეალიზებასაც საზოგადოებრივი დანიშნულება ენიჭება“ (ვინც..., 1996: 6).

გამოცანა, ანუ ასახსნელი, იგივე საცნაურა, რომელსაც აჭარაში დასაბმელს უწოდებენ, ფართოდ იყო და არის გავრცელებული საქართველოს ყველა ეთოგრაფიულ კუთხეში; ბუნებრივია, ძველთაგანვე ასევე პოპულარული იქნებოდა შავშეთის მკვიდრთა მეტყველებაშიც, თუმცა ბოლო დრომდე ხვავრიელად ვეღარ გამოიყურება.

ხალხურ გამოცანებში ტრადიციულად ხაზი ესმება გამოსაცნობი ობიექტის საზოგადოებრივ დანიშნულებას, რითაც საცნაური ხდება ეს ობიექტი. შავშთა შორის შემორჩენილია გამოცანა წისქვილის შესახებ (მთქმელი რეჟებ ადურნი, მცხ. სოფ. გაზელ-ჰამიდიეში (ბურსას რეგიონი). წარმოშობით შავშია. ჩაინერა ნაზიბროლა ბერიძემ 2013 წელს):

ოქრო ქვრინავს,
დევე გვრინავს,

მოშდადერა
წყარო წიკავს.

ეს გამოცანა, რომელიც შავშეთში გაზრდილი მთქმელისაგან არის დაფიქსირებული, ნისქვილზე არსებული ქართული ხალხური გამოცანის ერთ-ერთი ვარიანტია. ამგვარ გამოცანას იცნობს კლარჯული ზეპირსიტყვიერებაც: 2014 წლის 4 აგვისტოს სოფელ ქართალში 74 წლის ქაზიმ ერყილიჩისაგან ჩავინერე შემდეგი გამოცანა:

არქო ფრინავს,
ბერი ღრინავს,
თეთრ ფეშტემალ
შამეფინავს.

ნისქვილზე არსებული ეს გამოცანა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია გავრცელებული:

ოქრო ხვრინავს,
დევი ფშვრინავს,
მასპინძელი
სანთელს ანთებს...

(ხ. ს., 1965: 507)

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შავშური გამოცანა ნისქვილზე ყველაზე ახლოს არის ანალოგიური თემის აჭარულ გამოცანასთან:

ოქრო ფრინავს,
ბერი ფშვინავს,
თეთრ ფეშტემალს
შეოფინავს.

(ქ. ა. გ., 1976: 41)

შავშელებს ახსოვთ, აგრეთვე, გამოცანა მამალზე, რომელიც ასევე პოპულარულია მთელს საქართველოში. ამ ტიპის გამოცა-

ნებში ამოსაცნობი ობიექტის გარეგნულ ფაქტორზეა გამახვილებული ყურადღება:

კუდმანგალად,
თავსავარხალად.
თუ ვერ დაკვირდი,
ვირმამალად!

(მთქმელი რეჟებ ადურნი, მცხ. სოფ. გა-
ზელ-ჰამიდიეში (ბურსას რეგიონი). წარ-
მოშობით შავშელია. ჩაინერა ნაზიბროლა
ბერიძემ 2013 წელს და გადასცა პროფ. ნ.
მგელაძეს).

მამლის გამოსაცნობ გარეგნულ ფორმულას – „თავს ხერხი, ბოლოს ნამგალი“ კარგად იცნობს ქართული ზეპირსიტყვიერება (ხ. ს., 1965: 479). შავშურთან ახლოს არის შემდეგი, ასევე ფართოდ გავრცელებული, გამოცანის ტექსტი:

თავს ხერხი ბოლოს ნამგალი,
ვინძლო, ამოხსნა, რაც არი!
(ვინც..., 1996: 57)

ამ გამოცანის აჭარული ვარიანტი, რომელიც უფრო ახლოა შავშურთან, ამგვარია:

თავს ხერხი, ბოლო ნამგალი,
თუ ვერ მიხდი, თავი აგალი!
(ქ. ა. გ., 1976: 33)

გამოცანის როგორც შავშური, ისე აჭარული ვარიანტი, ტრადიციის თანახმად, მსმენელთა გონებრივი შესაძლებლობების შემოწმება-წარმოჩენასა და, ამავე დროს, წახალისებას ან ერთგვარ „დასჯასაც“ გულისხმობს, რაც თავისთავად გამოცანისეული სიბრძნის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე მიუთითებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მამალზე არსებული შავშური გამოცანის თითქმის იდენტურია კლარჯული გამოცანაც, რომე-

ლიც 2013 წელს ჩავინერე კლარჯეთის ულამაზეს სოფელ ქლას-კურში 78 წლის ქალბატონის – მიერეე ქესუმის თქმით:

თავი სავარცხელი,
კუდი მანგალი,
თუ ვერ გააგენი,
ვირო, – მამალი!

არსებითად იგივე ვარიანტი დავაფიქსირეთ 2014 წელს იმავე სოფელში 84 წლის ქალბატონისაგან – ალთუნ თაბანისაგან:

კუდი მანგალი,
თავი – სავარცხელი,
ვერ გეიგენი, თუ,
ვირო?! – მამალი!

შავშთა შორის შემორჩენილია ქართული ხალხური გამოცანა – „ჩიტი ჩახტა, ჩაპარახტა“, რომელიც ზოგადქართულში ბოქლომსაც აღნიშნავს და გასაღებსაც; შავშებისათვის კი ამ გამოცანით მეტაფორიზებული ობიექტი გასაღებია („კლიტე“).

გასაღების სიმბოლიზება ჩიტად ცნობილია გასაღების თემაზე შექმნილი ქართულ ხალხურ გამოცანებში: „ერთ ჩიტს ერთი სახლი აბარია“ (ბ. ს., 1965: 510); ანდა: „შავი ჩიტი კარს დარაჯობს“ (ვინც..., 1996: 104); გამოცანის აჭარული ვარიანტით, „უცნაური შავი ჩიტი კარების ყარავლია“ (ქ. ა. გ., 1976: 35). როგორც მოხმობილი მასალიდან ჩანს, შავშთა შორის არსებული გასაღების (ბოქლომის) შესახებ არსებული გამოცანა საერთო-ქართველური მსოფლმხედველობრივი ნიმუშია და კარგად მიანიშნებს ერთიან მხატვრულ-აზრობრივ წარმოდგენებზე.

შავშური გამოცანები, ისევე როგორც შავშეთის მკვიდრთა მეხსიერებაში ბოლო დრომდე შემორჩენილი ზეპირსიტყვიერების სხვა ყანრები, მოწმობს, რომ ფოლკლორული შემოქმედების ამ სფეროსაც ერთიანი ეროვნული ძირები გააჩნია.

მითები და ლეგენდები

მსოფლიოს ყველა უძველესი ხალხის სულიერი კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია მითებისა და ლეგენდების უსასრულო და საინტერესო სამყარო, რომელშიც, ვითარცა სარკეში, თვალნათლივ არის ასახული მისი შემქმნელი ერის მსოფლმხედველობა, მისწრაფებები და იდეალები; მართალია, ეს წარმოდგენები პრიმიტიული, ფანტასტიკური, ილუზორული შეხედულებებია ბუნების მოვლენებსა თუ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, მაგრამ ისინი უხვად ინახავს წინაპართა სულიერი სამყაროს ადეკვატურ სურათს, რაც ყოველ ცივილურ ერს სჭირდება საკუთარი იდენტობისა და თვითშემეცნებისათვის, სამომავლო არსებობის გარანტიისა და სრულყოფისათვის.

მდიდარი და ხანიერი წარსულის მქონე ქართველობამ, ბუნებრივია, შექმნა მითებისა და ლეგენდების მრავალმხრივი ნიმუშები, რომლებითაც ჩვენი შორეული წინაპრები ცდილობდნენ, ჩასწვდომოდნენ ბუნებისა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების კუთხე-კუნჭულის საიდუმლოებებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულ მითოსს ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევია; წარმართულ-მითოსური პანთეონის ბუნებრივი განვითარება ახალმარელიგიურმა კონფესიამ – ქრისტიანობამ შეაფერხა; მიუხედავად იმისა, რომ მითოსურმა სიუჟეტებმა ძველ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში ვერ ჰპოვა სრული სახით ასახვა, ზეპირმა ტრადიციამ მაინც შემოინახა მათი ხსოვნა, რასაც, თავის მხრივ, ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენებიც ჩაენაცვლა, ანდა ტრანსფორმირება განაცდევინა.

ისტორიულ ვითარებათა გამო, მუსულმანურ სამყაროში მოხვედრილ ჩვენებურების მითოსურ მესხიერებას კი, საერთოქარ-

თული მიზეზების გარდა, მუსულმანური რელიგიური პლასტიც დაემატა, თუმცა, საბედნიეროდ, უნდა ითქვას, რომ შავშურ ზეპირსიტყვიერებაში მწირად, მაგრამ მაინც შემორჩა მითოსური თქმულებანი და ლეგენდები, რომელთა პარალელებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით კი აჭარაში, მოგვეპოვება.

ჩვენებურთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ფანტაზიებს, ისევე, როგორც ზოგადქართულისათვის არის დამახასიათებელი, აპურებს რწმენა-ნარმოდგენები კუდიანების, ანუ როგორც თავად ეძახიან „ჯაზების“, დემონების ანუ „ჯინების“, „შედთნების“ ანუ ეშმაკების, ტყის კაცებისა თუ კაციჭამიების შესახებ. მართალია, შავშელთა მეხსიერებას ისეთი სიმკვეთრით ვეღარ შემორჩა ამ დემონოლოგიურ პერსონაჟთა შესახებ საქართველოს სხვა კუთხეთათვის ბოლო დრომდე დამახასიათებელი ტრადიციული სიუჟეტები, მაგრამ ის ფრაგმენტული მონაცემებიც, რისი დაფიქსირებაც მოვახერხეთ, სათანადო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა.

რწმენა-ნარმოდგენები კუდიანების შესახებ საქართველოს ყველა კუთხის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის არის დამახასიათებელი და ბოლო დრომდე მრავალი მასალაა ჩანერილი და მეცნიერულად შესწავლილი (სახოკია, 1956: 18-20; შიოშვილი, 1987: 123-136; სიხარულიძე, 2006: 174-176). შავშურ სინამდვილეში ჩვენ ვერ დავაფიქსირეთ ავსულთა ფუნქციებისა და გენეზისის ამსახველი სიუჟეტები, მაგრამ იციან, რომ „ინსნებიდან არიან ჯაზები; იმათ კუდეები აქვენო“; ჩვენებურები ჯადოქრებს, ანუ კუდიანებს, ზოგადად „ჯაზს“ ეძახიან; „ჯაზად“ მოიხსენიებენ, აგრეთვე, ძალიან გონიერ, ეშმაკ, გაიძვერა, წინათგრძნობის მქონე ადამიანებსაც.

ჩვენებურებს სჯერათ, რომ ეშმაკები, ანუ „შედთნები“, მუსულმანური რელიგიის აღმსარებელთა შორისაც არიან, თუმცა მათი დანახვა შეუძლებელია. ავი სულების, იგივე კუდიანების, სანინაალმდეგო პროფილაქტიკად ლოცვა მიაჩნიათ:

„შეფთანი ჩვენ დინში, მუსლიმებში, არიან. თუ არ ილოც-ავ, შეფთნის გზაშიაო, იტყვიან. ქალები თავზე თუ არ იხურვენ, შეფთნის გზაშიაო, იტყვიან“ (შოიშვილი, 2011: 500).

როგორც თურქი მკვლევარი თანერ ართვინელი მიუთითებს, ართვინსა და მის შემოგარენში (ბუნებრივია, ამ რეგიონში შავშეთიც შედის) არსებული რწმენის თანახმად, კუდიანები მოხუცი ქალები არიან, რომელთაც მაქციობის უნარი გააჩნიათ. ხშირად ისინი ობობას სახეს იღებენ, ზოგჯერ კი კატად და გველადაც გადაიქცევიან (ართვინელი, 2008: 29).

საგულისხმოა, რომ, ქართული მითოსის თანახმადაც, კუდიანები („მაზაკვალები“), რომლებიც ქალებიც არიან და კაცებიც (თუმცა, უფრო – ქალები), ხშირად კატის სახეს იღებენ; ეჭვმიტანილი კატის დადაღვის შემდეგ კი კუდიანს, როცა ის ისევ ადამიანის სახეს მიიღებს, დალი ემჩნევა, რის გამოც ხალხი მას სჯის. კუდიანებმა შეიძლება სხვა ცხოველის სახეც მიიღონ, ანდა მწერად გადაიქცნენ (სიხარულიძე, 2006: 175).

კუდიანები, შავშთა რწმენით, ძირითადად მელოგინე ქალებსა და ახალშობილებს ესხმიან თავს. ჩვილ ბავშვებს გუდავენ ან შიგნეულობას აცლიან და უჭამენ“ (ართვინელი, 2008: 29). ეს რწმენა-წარმოდგენა ზოგადქართულია, საქართველოს ყველა კუთხეში ასე სჯერათ.

საინტერესოა, რომ, შავშური მითოსური რწმენა-წარმოდგენების თანახმად, „კუდიანებს თითის სიგრძე კუდეები აქვთ, რომლებიც მხოლოდ წყალში ჩანს. როცა ვინმეს კუდიანობის შესახებ ჩნდება ეჭვი, მას შესამოწმებლად წყლით სავსე ტაშტში სვამენ“ (ართვინელი, 2008: 29).

კუდიანს წყალში (მდინარეში) აგდებენ ზოგადქართული რწმენა-წარმოდგენათა თანახმადაც, ოღონდაც არა იმიტომ, რომ წყალში კუდი გამოუჩნდეთ, არამედ „კუდიანობაში ეჭვმიტანილს ასე სცდიან: წყალში ჩააგდებენ და, თუ ჩაიძირა, უდანაშაულოდ ჩაითვლება, ხოლო თუ ამოტივტივდა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ კუდიანია და მას ჩააქვავებენ“ (შოიშვილი: 1987: 129).

ჩვენებურები კუდს უდაღავენ კუდიანს, რადგან სჯერათ, რომ „თუ კუდიანს კუდი სტკივა, ესე იგი, მას ვინმეს მოკვლა აქვს განზრახული“ (ართვინელი, 2008: 29).

შავშთა რწმენა-წარმოდგენებით, საქართველოს სხვა კუთხეთა მსგავსად, კუდიანებს, ფრენის უნარი შესწევთ, თუმცა, როგორც თანერ ართვინელი მიუთითებს, „ართვინის მოსახლეობაში გავრცელებულ გადმოცემებში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ რას ხმარობენ კუდიანები საფრენად“ (ართვინელი, 2008: 29).

აქვე მკვლევარი იძლევა ცნობას იმის თაობაზე, რომ ევროპული საეკლესიო იდეოლოგიის მიხედვით, კუდიანები ტანზე „სხვადასხვა მალამოს ისვამენ და სიროფს სვამენ, რაც მათ ფრენის უნარს ანიჭებთ“. სამწუხაროდ, თ. ართვინელი არ იცნობს ქართულ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალას ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვითაც კუდიანებს ექიმბაშობის ფუნქციაც მიენერებათ. ისინი სხვადასხვა ბალახებისაგან ამზადებენ მალამოს, ილლიაში ამოისვამენ და იმდენად მსუბუქდებიან, რომ ფრენას იწყებენ (სახოკია, 1956: 18); ფშავში ამ მალამოს „კვინტილას“ უწოდებენ: „კუდიანთლამეს კუდიანები აიღებენ კერის ქვეშ ქოთანში დამალულ წამალს „კვინტილას“, ამოიცხობენ ილლიაში, ცოცხზე გადაჯდებიან და სახლის ერდოდან გაფრინდებიანო“ (მაკალათია, 1985: 180).

ზოგადქართული (და, ამავე დროს, კავკასიური) მითოსური წარმოდგენების თანახმად კუდიანები მოგზაურობენ ცოცხით, სანახელით, ქვევრით, კატითა და მგლით (შიოშვილი, 1987: 125-126); შავშეთში კი სჯერათ, რომ კუდიანები დათვზე შემომჯდარნი დაფრინავენ (ართვინელი, 2008: 29).

როგორც მკვლევარი თანერ ართვინელი გვამცნობს, „როცა კუდიანი სააშკარაოზე გამოჰყავთ ან კუდს დაუდაღავენ, იგი დიდხანს ველარ ცოცხლობს და მალე კვდება. თუ ადამიანი იმ ცოცხალ არსებას, რომლის გარეგნობის უკანაც კუდიანია ამოფარებული, რამე უქნა, კუდიანსაც იგივე ემართება. მაგალი-

თად, თუ ობობას, რომელშიც კუდიანი იმალება, მდულარეს შე-
ასხამ, კუდიანიც დაიმდულრება; თუ კატას არის ამოფარებული
და ამ კატას გალახავ, კუდიანიც გაილახება... ეს თითქმის ყვე-
ლა გადმოცემაში დასტურდება. დამწვარი, ნაცემი თუ ნაიარევი
კუდიანების შესახებ ლეგენდების სიმრავლე ადასტურებს, რომ
ამბების დამაჯერებლობისთვის ეს უმნიშვნელოვანესი ელემენ-
ტია“ (ართვინელი, 2008: 30).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ კუდიანთა მაქციაობის შე-
სახებ ჩვენებურთა შორის გავრცელებული რწმენა-წარმოდგენე-
ბის თანახმად, კუდიანი ობობად გადაიქცევა, რასაც არ იცნობს
საქართველოს სხვა კუთხეთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული
სამყარო და ამ თვალსაზრისით ეს მასალა დიდად ღირებულია.
თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენებურებს აღარ ახსოვთ
კუდიანთა უფროსი – როკაპი, ვისაც, ზოგადქართული რწმენა-
წარმოდგენებით, დღესასწაულზე კუდიანებმა ძღვნად უნდა მი-
ართვან ჩვილი ბავშვებისაგან ამოგლეჯილი გულები; სამწუხა-
როდ არც ამ დღესასწაულის ხსოვნა შემორჩენიათ; თუმცა, თანერ
ართვინელის მასალა ძალზე მნიშვნელოვანია ქართული ფოლ-
კლორისტიკისა და ეთნოგრაფიისათვის. მას შავშეთის სოფელ
თეფექოში ოზგურ თემიზისაგან ჩაუნერია თქმულება კუდიანზე,
რომელიც, აგრეთვე, ძალზე საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც,
რომ კუდიანი, ამ თქმულების თანახმად, გველის სახეს იღებს:

„შავშეთის სოფელ თეფექოში ერთი მარტოხელა დედაბერი
ცხოვრობდა, რომელზედაც ეჭვობდნენ, რომ კუდიანი იყო. ქალს
ძროხა არ ჰყავდა, თუმცა ყველი კი ამოჰყავდა. მის იმ მეზობ-
ლებს, რომლებთანაც ცუდი ურთიერთობა ჰქონდა, ხარები და
ცხენები ეხოცებოდათ. დედაბერს აივანზე მუდმივად უნაგირი
ეკიდა. ფაქირ ეფენდიმ, რომელსაც აინტერესებდა, რაში სჭირ-
დებოდა ქალს უნაგირი, თვალთვალი დაუწყო. ერთხელ, შუალ-
ამისას, დედაბრის სახლიდან ხმაური მოესმა, იქით გაიხედა და
დაინახა, რომ ქალმა უნაგირი დათვს დაადგა, ზედ შემოაჯდა და
გაუჩინარდა.

კაცმა იფიქრა, ჩვენს ახორში ხომ არ წავიდაო და იქით გასწია. მისი ძალი უხმოდ იწვა მინაზე, დათვი კი მსხლის ხეზე ასულ-იყო. ფაქირ ეფენდი ბოსელში შევიდა და დაინახა, რომ მის ხარს კისერზე გველი შემოხვევია და დახრჩობას უპირებს.

ფაქირ ეფენდის დანახვაზე გველმა გაქცევა დააპირა, მაგრამ ფაქირ ეფენდომ წელიდან ყამა შემოიხსნა, გველს ესროლა და ზურგზე ტყავის ნაგლეჯი ააჭრა.

მეორე დღეს კი ფაქირ ეფენდი დედაბერთან მივიდა. დედაბერი ლოგინში იწვა. ფაქირ ეფენდომ ზურგი შეუმოწმა. ქალს ზურგზე ერთ ადგილას კანი ჰქონდა ათლილი. ფაქირ ეფენდი დარწმუნდა, რომ დედაბერი ნამდვილად კუდიანი იყო. მაშინვე ყამა შემოიხსნა და ქალს ყელზე მიაბჯინა. დედაბერმა ყველაფერი აღიარა და შეჰპირდა, ამის შემდეგ არავის აღარაფერს ვავენბო. ფაქირ ეფენდიმაც ქალს კანის ნაჭერი დაუბრუნა“ (ართვინელი, 2008: 30-31).

შავშთა წარმოდგენით, ჯინები, ანუ დემონები, იგივე „ჯაზე-ბი“, ადამიანებს ემსგავსებიან („ინსნებზე დემგვანებიან“). მათი დანახვისას კი „ყურან იკითხებენ, რაცხა არ დამმართონო“. სოფელ მაჩხატეთში დავაფიქსირეთ თქმულება ჯინებისა და ადამიანთა ურთიერთობაზე, რომელიც საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელებული თქმულების ერთ-ერთი, საბედნიეროდ, კარგად შემონახული და ღირებულები, ვარიანტია (მთქმელი იბრაიმ ჩაქმაქი (გორგაძე). ჩაინერეს თ. შიოშვილმა და მ. ფალავამ 2009 წელს). თქმულების თანახმად, ერთ კუზიან კაცს შემოაღამდა და ღამის გასათევად წისქვილში დარჩა. შუალამით მოვიდნენ ჯინები, დაინყეს ცეკვა და თან მღერიან:

„– ხუთშაბათი, ხუთშაბათი...“

კუზიანიც აჰყვა ჯინებს, მათთან ერთად დაიწყო ცეკვა-სიმღერა და ისიც მასთან ერთად გაიძახოდა:

„– ხუთშაბათი, ხუთშაბათი...“

ჯინებმა დააფასეს კუზიანის თანადგომა: „დაფანტვიხან უთქვიან ქიჯინებსა:

„– ად ჩვენსავეფ სამობდა, „ხუთშაბათიო“, თქვა; ჩვენებურია, მოდ, გავასწოროთო“.

ასეც მოიქცნენ და კუზი მოაცილეს – „გაასწორეს ად კაცი და დეფანტენ“.

სოფელში დაბრუნებულ ყოფილ კუზიანს თანასოფლელი შეხვდა. ისიც კუზიანი იყო და ჰკითხა:

„– რაგვარ გასწორდი კუზიდანო?“

კაცმა გულწრფელად მოუთხრო ყოველივე:

„– წისქვილში ვიყავ, ვისამეთ, „ხუთშაბათი“ ვთქვით... ჯინებმა გამასწორეს კუზიდანო“.

მეორე კუზიანმაც წისქვილს მიაშურა. შუალამით კვლავ მოვიდნენ ჯინები და დაიწყეს ცეკვა და „ხუთშაბათი – ხუთშაბათის“ ძახილი, კუზიანი კი გაიძახოდა, „ჯუმაო“, რადგანაც ჯუმა დღე იყო. გათენებისას, დაშლის წინ, ჯინებმა ერთმანეთს ჰკითხეს:

„– რად ეღუფი ვუყოთ ამას?“

ითათბირეს და გადაწყვიტეს, მეორე კუზიც დავამატოთ. „დაამატეს კუზი. მოვიდა ად კაცი სოფელში ორი კუზით“, – დასძენს ლეგენდა (შოიშვილი, 2011: 500).

როგორც აღვნიშნეთ, ეს სიუჟეტი ფართოდ არის გავრცელებული ქართულ ფოლკლორში. მისი ერთ-ერთი აჭარული ვარიანტი, სათაურით „კუზიანი და ეშმაკები“, ზურაბ თანდილაგამ ჩაინერა 1974 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა კვირიკეში მემედ მესხიძისაგან. შავშურისაგან განსხვავებით, თქმულება სრულყოფილია და გვამცნობს, რომ კუზიანი კაცი ღამე გარეთ იმიტომ დარჩა, რომ ცოლმა თავი მოაბეზრა, გამუდმებით კუზიანობას აყვედრიდა. ის დღე, კუზიანი რომ წისქვილში დარჩა ღამის გასათევად, ორშაბათი იყო; მართალია, ძალიან გაუკვირდა, ეშმაკები რომ „ხუთშაბათს“ იძახდნენ, მაგრამ არაფერი თქვა, აჰყვა მათ, ჩაება ხორუმში და ისიც გაიძახოდა, „– ხუთშაბათია, ხუთშაბათიო...“

კვირიკული ვარიანტითაც გამთენიისას „ეშმაკებმა მოხსნეს კუზი ამ კაცს და ღელიპირში შეინახეს“.

მეზობელ სოფელში მცხოვრებმა კუზიანმაც მიბაძა კაცს და წავიდა წისქვილში ღამის გასათევად. იმ დღეს პარასკევი იყო. ეშმაკები ცეკვავდნენ და დილამდე გაიძახოდნენ, „ხუთშაბათიაო“, ეს კაცი კი ჯიუტად იძახდა, „პარასკევიაო“. გამთენიისას ეშმაკების უფროსმა ბრძანა:

„– შენახული კუზი მეიტანეთ და ისიც ამ კუზიანს დააბით!

მეიტანეს ეშმაკებმა ლელიპირზე შენახული კუზი და კუზიანს მიატყეპეს“.

პროფ. მამია ფაღვას მიერ ხელვაჩაურის რაიონში, სოფ. ორთაბათუმში, დაფიქსირებულია იდენტური ვარიანტი (მთქმელი მერიემ შაქარიშვილი-ვარშანიძე):

ჯაზებთან ხორუმში ჩართული კუზიანი გამთენიისას ჯინებმა დააჯილდოვეს და კუზი გაუსწორეს, მეორე კუზიანი კი, რომელიც შეენინაალმდეგა ჯინებს და „ხუთშაბათის“ ნაცვლად „ჯუმა“ დაიძახა, რადგანაც მართლაც ჯუმა ღამე იყო, დაისაჯა:

„იალონზე, დაშლიხან, ჯაზებმა თქვეს:

– აი ჩვენი კაცი არაა! ჩვენ „ხუთშაბათი“ ვთქვით, ამან – „ჯუმაო“. მოფ, დავსაჯოთო!...

ჯინებმა ამგვარი გადაწყვეტილება მიიღეს:

– გუშინ კაცს კუზი რომ მოვხსენით, ამას დავადგათო!

მოვდა დილაზე აი კაცი ორი კუზით“.

თქმულებისეული სენტენცია, რომელიც ჩვენ მიერ განხილულ სამივე (შავშური, ქვედა კვირიკული და ორთაბათუმური) თქმულების სიუჟეტიდან ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს, კიდევ უფრო დაკონკრეტებულია აჭარულ ვარიანტებში: კვირიკული ვარიანტის თანახმად, სოფელში დაბრუნებულ ორკუზიანს მეზობელმა ჰკითხა:

„– სა იყავიო?

– კუზის წამლის საშოვნელათ ვიყავიო, – უთხრა კუზიანმა.

მეზობელმა შეხედა: „ამ კაცს ერთი კუზი ხონდა, ახლა ორი აქ!.. გუუკვირდა და უთხრა:

– აბა, ეს რაა, კაცო, ორი კუზი გაქ ახლაო!

– როცა ყველა იძახის, „ხუთშაფათიანო“ და შენ „პარასკევს“ დეიძახებ, კუზიც მოგემატება და რქაცო, – უპასუხა კუზიანმა“.

ორთაბათუმური ვარიანტის სენტენცია კიდევ უფრო ბრძნულია: იგი ერთის მხრივ მოუწოდებს ადამიანებს „სხვათა ხორუმში“ (ზოგადად სხვის საქმეში) ჩაურევლობას, მაგრამ, თუკი ჩაებმება, მათებურად ცეკვას ურჩევს:

„– ასეა, სხვის ხორუმში რომ ჩიებმები, მათებურაჲ უნდა ისამო!“

ამ ზოგადქართული თქმულების ყველაზე ადრინდელი ჩანაწერი ეკუთვნის პეტრე უმიკაშვილს სათაურით „კუზი კუზს მიეკრა“ (მთქმელი ანა ენიბეგაშვილი, მცხ. ქ. თბილისში):

კუზიან კაცს აბანოში ორი ეშმაკი გამოეცხადა და ცეკვა-თამაში გამართეს. „კაცს შეეშინდა, არ დამახრჩონო. ადგა, გაშალა ხელები და ამანაც ჩამოუარა. თამაშობის დროს ეშმაკებმა დაჰკრეს ხელი კუზზე და ჩამოაცილეს“.

კაცი წელში გაიმართა. მეორე დღეს ბაზარში ჩაიარა და სხვა კუზიანი შეხვდა. კუზიანს გაუკვირდა და ჰკითხა:

„– რამ გაგასწორაო?“

ყოფილმა კუზიანმა უპასუხა:

„– წუხელის აბანოში ვიყავი, ეშმაკები გამოვიდნენ და ასე და ამგვარათ ჩამამართვესო“, – უამბო, როგორცა ნახა“.

მეორე კუზიანი იმავე აბანოში წავიდა. „გამოვიდნენ ეშმაკები და დაიწყეს თამაშობა. ადგა ის კაციც და ჩამოუარა. ეშმაკებმა აილეს და წინა ღამეს ჩამოცლილი კუზი ზედ მიაკრეს ამას.

გამოვიდა კაცი აბანოდან დაღონებული:

– ჩემ კუზს ვჩიოდი, მოცლა მინდოდა და სხვისი კუზიც მე მაკრესო!“ (უმიკაშვილი, 1964: 132).

თქმულების თბილისური ვარიანტიდან არ ჩანს, თუ რისთვის ისჯება კუზიანი კაცი. ამ თვალსაზრისით აჭარული და შავშური ვარიანტები უფრო სრულყოფილია.

კუზიანი კაცის ციკლის ნარატივში, გარდა სრულიად გასაგები საყოფიერო ზნეობრივი სენტენციისა, ყურადღებას იქცევს

ერთი გარემოებაც: რატომ ასე დაჟინებით იძახიან ემმაკები „ხუთშაბათს“, როცა იმ დღეს ხუთშაბათი არ არის? ვფიქრობთ, ამ კითხვას ეხმიანება აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული თქმულება „დანყევლილი მდინარე“, რომელიც ზურაბ თანდილაყამ ჩაინერა 1972 წელს ხულოს რაიონის სოფ. სკვანაში მემედ ჯაიანისაგან (ნბიფა, საქმე №170: 176-177):

მოგზაური კაცი უცხო ქვეყანაში მოხვდა, ერთ დიდ მდინარეს მიადგა, მაგრამ ვერ გადავიდა. მდინარის მეორე ნაპირიდან ვილაცა კაცმა დაუძახა:

„– დღეს იქით გაჩერდი, ახლა ვერ გადმოხვალ, ხვალ გადმოხვალ!..“

მოგზაური ასეც მოიქცა. მეორე დღეს კი ნახა, რომ მდინარე გამქრალიყო და გაღმა შეუფერხებლად გავიდა. „ნახა ის კაცი, რომელმაც დუუძახა, ხვალ მდინარე არ იდენსო“ და გაოცებულმა ჰკითხა:

„– რა მოხდა, გუშინდელი მდინარე ჰა წევდა?“

უცნობმა უპასუხა:

„– ხუთშაბათი ღამე ისეთი მადლიანია, რომ იმ ღამეს ყველა სულიერი ღმერთ ეხვეწება; ამიტომ მისი მოკლა ან დაჭერა არ შეიძლება. ვინც ამ წესის წინააღმდეგ წავა, ცოდვას მეფეგებს. ხუთშაბათ ღამეს თევზის დაჭერაც არ შეიძლება. აქაურმა ხალხმა ამ წეს არ დუუჯერეს და ჩუმათ მაინც დეიჭირეს. ამიტომ ეს მდინარე დანყევლილია... კვირაში ერთ დღეს გეიარს, ხუთშაბათს გეიარს, და მისი წყალი მწარეა, არ დეილევა, არც იხმარება“.

ჯაზებზე არსებული არქაული რწმენა-წარმოდგენები დავაფიქსირეთ, აგრეთვე, შავშეთიდან თურქეთის რესპუბლიკის შიდა რეგიონში გადასახლებულთა შორისაც. წარმოშობით ბაზგირეთელმა პროფესიონალმა მომღერალმა („გარმონჯი“) და მთქმელმა – 55 წლის აჰმედ ჩეთინმა (ცხვარიძე), რომელიც 5 წლიდან ცხოვრობს ქ. ინეგოლში გვითხრა:

„– ჩვენ რო ავტყდებოდით, დიდი ნენეა გვეტყოდა, ნულა ატყდებითო, ჯაზები თავანში არიანო, ჩამოვლენო და შეგწვები-

ან და მოგყვარებენო. ჯაზი ქალია. ჯაზი რა სოდა, იცი? შამუა, გლახა კაც გაგხდის“.

აჰმედ ჩეთინის თქმით, შავშების რწმენის თანახმად, ფერები ორი სახისანი (კაი და გლახა) არიან: „ფერი რო მარჯვენა კლავზე იქნებიანო, შენ რო რაცხა კაის იქ, დანერენო და შენ რო ქვეყანას გამეფცლი, რო მოკვდებიო, დანერენო: „ეს კად კაციო“. თუ გონჯი საქმე ქენი, მარცხენაზე დანერავს და იქ იტყვის, „შეფთანიაო“.

მარჯვენა კლავზე კაი ფერია, მარცხენაზე – გლახა. ზოგი ამობენ, ფერი ქალიაო, ზოგი ამობენ, კაციო“, – აგვიხსნა ბატონმა აჰმედმა და საბოლოოდ დაასკვნა: „ფერი კად ემეა, ჯაზი გლახაა“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 7 ივლისს სოფ. ჰაირიეში (ბურსას ილი, ინეგოლის ილჩე).

ჯინები, შავშთა რწმენით, მელოგინე ქალსაც ემტერებიან. ამიტომაც მიმართავენ პროფილაქტიკურ მაგიას: „...ჯინები არ მოვდენო, საბელ შამაავლებენ...“ (ფალავა, ცინცაძე, 2011: 460). ამგვარი „დაცვა“ ახალნამშობიარევი ქალისა იცოდნენ საქართველოს ყველა კუთხეში: სანოლთან ბადეს ჩამოკიდებდნენ და სჯეროდათ, რომ ეგრეთწოდებული „ალები“ შიგ გაებმებოდნენ და მელოგინეს ვერაფერს დაუშავებდნენ. ზოგადქართული მითოსური პერსონაჟი ალი და შავშური ჯინი, ანუ ფერი, ერთი და იგივეა; ოღონდაც ჩვენებურები მათ მათივე თვისებებით განასხვავებენ „ფერი, ჯინი, ანი არიან. კად იქნება, ფერია, გონჯი – ჯინი...“ (ფალავა, ცინცაძე, 2011: 461).

შავშელ ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებაში დაფიქსირდა რწმენა ტყის კაცის შესახებ (მთქმელი მერიემ ბალჯი, მცხოვრები სოფ. ხობლევი. ჩაინერა თ. შიოშვილმა 2009 წელს); აქაურები მას „გელიკაცსაც“ უწოდებენ და სჯერათ, რომ „ტყი კაცი, გელიკაცი, რავარც შენ დიელაპარაკები, ისიც დეგელაპარაკება“; წარმოდგენილი აქვთ მისი პორტრეტიც, რომლის თანახმადაც, ტყის კაცი წელზევით ადამიანია, წელსქვევით – ბანლიანი ცხოველი და ადამიანს ბაძავს (შიოშვილი, 2011: 500). მართალია, ვერ შევძელით თქმულბა-გადმოცემის ჩანერა ამ დემონოლოგიურ პერ-

სონაჟზე, მაგრამ დაფიქსირდა, რომ ჩვენებურთა რწმენა-წარმოდგენა მის შესახებ აშკარად ზოგადქართულის იდენტურია.

გარესამყაროს შეცნობის გზაზე შავშთა რწმენა-წარმოდგენებს აპურებს არქაული რწმენა გოლიათი ადამიანების შესახებ. ტოპონიმურ მითოსურ ნარატივში „ურისაკლავი“ (მთქმელი მუსა ჩიმენი, მცხ. სოფ. ბაზგირეთში. ჩაინერა რ. ხალვაშმა 2005 წელს) წარმოჩენილია უზარმაზარი ადამიანი, სახელად ური, რომელიც ისეთი გრძელი ყოფილა, რომ სოფელ ბაზგირეთიდან საკმაოდ მოშორებული ადგილიდან – ურისაკლავიდან ბაზგირეთში მდებარე ტბას სწვდებოდა და წყალს სვამდა. „რომ მომკდარა, შვიდათ გუუჭრიან და საფლავში ისე ჩუუდვიან“ (ხალვაში, 2007: 312; შიოშვილი, 2011: 500).

„ურისაკლავის“ თაობაზე ბაზგირეთელმა ქემალ ქამეშიძემ ჯერ კიდევ 1989 წელს გვიამბო ქალაქ რიზეში ჩვენი შეხვედრის დროს: „საინტერესო ადგილია ურისაკლავი. ზველები ამბობენ, რომ ადგილზე ზველათ ური ცოცხლობდაო. ამ ადგილიდან რომ დიმიუხლოდაო, საქედნია ტბაში პირ ჩააჭირებდა და წყალ სმევდაო. იმ ადგილიდან ტბას მანზილი ერთი ქილომეტრია“.

აშკარაა, რომ ამ ფორმით მცირე შავშურ მითოსურ თქმულებას შემოუნახავს არქაული საერთოკავკასიური რწმენა-წარმოდგენა იმის შესახებ, რომ „ადამიანების თაობას წინ უძღოდა სხვა ქმნილებების ეპოქა, რომლებიც პირველ რიგში მოცულობით, სიდიდით განსხვავდებოდნენ ადამიანებისაგან (სიხარულიძე, 2006: 204). ეს ქმნილებანი გოლიათები იყვნენ, რომელთა ეპოქაც (კოსმოსის შექმნის დასაწყისი ეპოქა) „გამოირჩეოდა განსაკუთრებული ბარაქიანობით“ (სიხარულიძე, 2006: 205). გოლიათებს იცნობს ქართული ხალხური ეპოსიც („ამირანიანი“, თქმულებანი დევებზე, აჯმებზე და ა. შ.) და კავკასიური ზეპირსიტყვიერებაც.

გოლიათებზე საინტერესო ცნობას გვაძლევს ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე წერილში „ჩემი გაცნობა ფშაველებთან“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზში“ 1830 წელს (№97). მკვლევა-

რი გვაცნობს ბოჭორმის ციხის მშენებლობასთან დაკავშირებულ გადმოცემას და აღნიშნავს: „...ეს გადმოცემა დადის ფშაველებს შორის, რომ ბოჭორმის ძირში ცხოვრობდნენ თამარის ხელქვეითი ბუმბერაზები, რომლებიც თავისუფლად გადააბიჯებდნენ ხოლმე მთას. მათ, მეფის თანხმობით, ააშენეს ბოჭორმის შენობა...“ (Бакрадзе, 1850: №98). ბაზგირული თქმულება „ურისაკლავიც“ ამგვარ ნარატივთა რიგში უნდა განვიხილოთ.

შავშურ ზეპირსიტყვიერებას შემოუნახავს ხსოვნა ქართულ ფოლკლორში გავრცელებული ლეგენდისა, რომელიც დათვისა და ქალის ურთიერთობაზე მოგვითხრობს. მაჩხატეთელი იბრაიმ ჩაქმაქის (გორგაძე) თანახმად, დათვმა ქალიშვილი მოიტაცა, წაიღო თავის ბუნაგში და იქ ამყოფებდა, როგორც ცოლს. დათვი მზრუნველობას იჩენდა ქალის მიმართ, „თაფლ უზიდავდა“: ქალი დაფეხმძიმებულა და „ბაღვები“ (ბავშვები) გაუჩენია. დათვის ბუნაგთან სოფლის კაცები მისულან, უნდა ესროლათ და მოეკლათ, მაგრამ დათვმა „ორი ტოტვი აღმა ასნია“ და დაინდეს. დათვი გასცლია იქაურობას, ქალი და ბავშვები კი სოფელში დაუბრუნებიათ (შიოშვილი, 2011: 500).

ეს შავშური ლეგენდა თავის არქაიკაში, ალბათ, უფრო ვრცელი და ტევადი იყო, თუმცა, ეს ფრაგმენტული ნარატივიც საკმარისია იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ დათვისა და ადამიანის ურთიერთობის გენეზისზე. მითოპოეტური რწმენა-წარმოდგენების თანახმად, დათვი ადამიანთა წინაპარია, ადამიანის ნათესავია და ხშირ შემთხვევაში – ტოტემი. ამგვარმა წარმოსახვამ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ყოფაში საფუძველი დაუდო მრავალრიცხოვან სიუჟეტებს დათვებისა და ადამიანების დანათესავებაზე, დათვებისაგან ქალების მონუსხვაზე და სხვა. სწორედ ამგვარი რწმენის გამოხატულებად მიგვაჩნია ჩვენ მიერ შავშეთში დაფიქსირებული ლეგენდაც. ამ სიუჟეტს იცნობს აჭარის ზეპირსიტყვიერებაც. ლეგენდაში „დათვი და გოგო“, რომელსაც მთქმელი „ჰექიას“ (ზღაპარს) უწოდებს, მოთხრობილია:

ცხემლის ფოთლების საკრეფად წასული გოგო დათვმა თავის ბუნაგში შეიყვანა და დაიწყეს ერთად ცხოვრება. ქალი დიასახლისობდა, ეყოლა შვილიც. ერთ დღეს ქალმა ბავშვი აკვანში ჩაანვინა და წყალზე წასვლა მოიმიზეზა. დათვი არ ენდობოდა და წელზე ჯაჭვის ერთი ბოლო შემოაბა, მეორე კი ხელში დაიჭირა. წყალთან მისვლამდე გოგომ ჯაჭვი კუნძს გამოაბა და სოფელში გაიქცა. დათვი მიხვდა ცოლის ეშმაკობას და უკან დაედევნა სიტყვებით:

„– მარიავ, მოდი, ბალვი ტიტი, კეცი ხუხუ!..“

ქალი არ დაბრუნდა. დათვმა კეცი დაამტვრია, წყალი დააქცია და ცოლს გამოეკიდა. ამასობაში ქალი თავის სახლს მიუახლოვდა, მამის ძაღლები იხმო და დათვი დააჭმევინა (მთქმ. ომერ ვახტანგიძე. ჩაიწერა ნ. ქავჯარაძემ 2010 წელს შუახევის რაიონის სოფ. გოგაძეებში. მასალა მოგვანოდა ჩამწერმა). ამ სიუჟეტში აშკარად ჩანს, რომ ლეგენდურ პლასტებს მართლაც შერევია საზღაპრო ეპოსისათვის (განსაკუთრებით – ცხოველთა ეპოსისათვის) დამახასიათებელი დეტალები, მაგრამ წარმოშობით, რა თქმა უნდა, ლეგენდაა, რომელთანაც ძაღზე ახლოს დგას შავშთა მესხიერებაში შემონახული ზემოთ განხილული მაჩხატეთური ლეგენდის ვარიანტი.

ლეგენდის ორთაბათუმური ვარიანტი (მთქ. ფატი ვარშანიძე-ფალავა, ჩამწ. მამია ფალავა) კიდევ უფრო ცხოვლად წარმოაჩენს არქაულ რწმენა-წარმოდგენებს ადამიანისა და დათვის ურთიერთობებზე:

„ძველ დროში დათვს ქალი მუუტაცია, ერთათ ცხოვრობდენ. ბალანა ეყოლათ. ქალი დედ-მამასთან დაბრუნებას ფიქრობდა, კაცი (დათვი) არ უშვებდა. ერთ დღეს ქალმა ბალანა აკვანში ჩაანვინა, ოჯახში ცეცხლი დაანთო, კეცი მიაფიცხა, ცომი'და მოვზილოო, ჯენჯირზე გუგუმით წყალი დაკიდა; მერე წყალს მოვტანო, ბალანა დათვს დუუტია და... სახში გეიპარა. ქალი არ დაბრუნდა. ბალანამ გეიღვიძა, შია, ტირილი დეინყო. წყალი ადულდა, კეცი გახურდა; შენუხდა დათვმა და კაცის ხმით დუუნყო ქალს ძახილი:

წყალი დუღუ,
კეცი ხუხუ,
ბალანაჲ ტირის,
ქალო, მოდი!..“

არქაულ რწმენა-წარმოდგენებს დათვზე, როგორც ადამიანის წინაპარზე, ეხმიანება აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ლეგენდა „დათვი ადამიანის მოდგმა“ (ნზიფა, საქმე №182: 1973). მკვლევარ ზურაბ თანდილავას მიერ შუახევის რაიონის სოფ. ჭვანაში მუხამედ ქათამაძისაგან ჩანერილი ამ ლეგენდის თანახმად, ძველად დათვი ადამიანი ყოფილა, მწყემსი. ერთხელ ღმერთს მასთან ანგელოზი გამოუგზავნია და უთქვამს:

„– ნადი და მაგ მწყემსს მატყლი თხოვე, გამოცადე, გეემეტება თუ არაო“.

მწყემსს მატყლის გორა ედგა. მისკენ მომავალი კაცი რომ დაინახა, ამ გროვაში შეძვრა, არ დამინახოსო. ღმერთმა დაწყევლა მწყემსი:

„– იყავ სულ მუდამ ტყეში! ის მატყლი შენი ბანალი იყოს მუდამ, ნუ იქნები ადამიანო!“

ამგვარად, დათვისა და ქალის ურთიერთობის შესახებ არსებული აჭარული და შავშური ლეგენდები ეფუძნება საერთო არქაულ რწმენა-წარმოდგენებს, რომლის თანახმადაც დათვი ადამიანის ტოტემია (უფრო მეტიც – ადრე ისიც ადამიანი იყო) და მისი მოქმედებაც ადამიანისას ემსგავსება.

მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერება იცნობს წარღვნის ლეგენდებს; ამგვარი ნარატივი დამახასიათებელია როგორც მაღალგანვითარებული, ისე განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხისთვის. ქართულ ფოლკლორისტიკაში ეს უნარი საკმარისად არის შესწავლილი (მ. ჩიქოვანი, ნ. შამანაძე, თ. შიოშვილი, გ. მახარაშვილი). შავშურ ზეპირსიტყვიერებაშიც, ზოგადქართულის მსგავსად, გავრცელებულია დიდი და მცირე წარღვნის ლეგენდები. სოფ. ჩაქველთაში პროფ. მერი ცინცაძემ და

თინა შიოშვილმა დააფიქსირეს დიდი წარღვნის ლეგენდის მოკლე ვარიანტი („ნუხ ფეღამბერი“), რომელიც, აჭარული ვარიანტების მსგავსად, ჰადისური ლეგენდაა და ძველი აღთქმის ამბავს, კერძოდ – უფლის რჩეული ნოეს (ნუხის) მიერ კაცობრიობის გადარჩენას, ეხმიანება (მთქმელი ფეშმეგუნ გუნდოლანი, 2009 წელი).

შავშური ვარიანტი ძალზე ფრაგმენტული და კინია, თუმცა თავის მიერ გემის გახვრეტისა და გველის მიერ გემის გადარჩენის ხსოვნა შემოუნახავს; არც ნოე წინასწარმეტყველი გამოიყურება სრულყოფილ პერსონაჟად და უფლის რჩეულად. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ დიდი წარღვნის შავშური ლეგენდა საერთოქართულ ლეგენდათა ჭრილში უნდა განვიხილოთ (შიოშვილი, 2014: 501).

სოფელ დაბაში ჩანერილი მცირე წარღვნის ლეგენდის თანახმად, ღმერთმა დასაჯა პირის გამტეხი კაცი, რომელიც ღმერთს მსხვერპლის („ყურბანის“) დაკვლას დაპირდა და შემდეგ კი უბიდან ტილი ამოიღო, ფრჩხილებშორის გასრისა და თქვა:

„– აჰა, ყურბანდო!“

ამის გამო კაცი დაისაჯა: „...მემრე ზამთარში წამოიდა ქარი და ბუქი და წეილო ისინი და ეეე, ლელეში ჩეიტანა“ (მთქმ. იბრაიმ დევრიშოღლი, მცხ. სოფ. დაბაში. ჩაინერეს მ. ფალავამ და თ. შიოშვილმა 2005 წ.). მართალია, ლეგენდა ადგილობრივ, ლოკალურ გარემოს უკავშირდება და მთქმელმა წარღვნის ადგილიც ზუსტად მიუთითა („– ეეე, ლელეში“ – ხევწრულის ძალის უკანა მხარე), მაგრამ მასში გამოხატული მოტივი (უფლის განყრომა ადამიანის უზნეობისა და უპირობის გამო და მის დასასჯელად წარღვნის მოვლინება) ზოგადქართული და მსოფლიოს სხვა ხალხთა ფოლკლორისათვის ერთობ დამახასიათებელია, რაც სათავეს უნდა იღებდეს ბიბლიური რწმენა-წარმოდგენებიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ ნუხ ფეღამბერის გემის, ანუ ნოეს კიდობნის, დაბმის ადგილად შავშები კარჩხალის მთას ასახელებენ.

ჩვენებურთა შორის დაფიქსირდა ხსოვნა მუსლიმანური სამყაროსათვის კარგად ცნობილი ლეგენდური პერსონაჟისა –

ლუყმან ექიმისა, თუმცა, სამწუხაროდ, მის სახელთან და საქმიანობასთან დაკავშირებულ ვრცელ ლეგენდებს, რომლებითაც ესოდენ მდიდარია აჭარის ზეპირსიტყვიერება, ვერ მივაკვლიეთ. შავშებმა იციან მხოლოდ, რომ „ლუყმან ექიმი ყოფილა, თელი წამალი მოკდომისა უპოვნია და იშტე, ხიდზე გავლიხან, გუუფრენია ფურცლები და დიეკარგა ბევრი წამლები“ (მთქმ. ეუბ ალთუნი. ჩაინერა თ. შიოშვილმა 2009 წ. სოფ. უსტამისში. დაბ.: თ. შიოშვილი, 2011: 501).

შავშურ ზეპირსიტყვიერებაში დასტურდება აჭარაში გავრცელებული ლეგენდა გაქვავებული მაყრიონის შესახებ. ტოპონიმური ლეგენდა „ზულვართი“ (მთქმ. ქაზიმ ერდემი. ჩაინერა რ. ხალვაშმა 2005 წელს სოფ. უსტამისში) მოგვითხრობს, რომ ეს ამბავი „თამარას დრომდე მოხდა. გასათხოვი გოგო მუუტაციათ. სადედამთილოს არ ჰყვარებია ქალის ოჯახი და დაუნყევლია: „– ღმერთმა ქვა გაგხადოსო!“ გაქცეულებს წყევლა ზულვართის ტყეში მისწევია და გაქვავებულან „ორი დადე და ერთი დოდოფალი...“ (შიოშვილი, 2011: 500).

უსტამისური ლეგენდა არ აკონკრეტებს წყევლის მიზეზს, მიუთითებს მხოლოდ რომ „დედამისს, ვინცხასთან ქი გექცა, იმათი თავი არ ყვარებია“. ამ „საიდუმლოს“ ფარდას ხდის აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ამ ლეგენდის სრულყოფილი ვარიანტები, რომელთა თანახმადაც, სადედამთილოს რისხვის მიზეზი რძლის ბოროტ ხასიათში უნდა ვეძიოთ. ლეგენდის ტბეთური (შუახვევის რაიონი) ვარიანტის თანახმად, დედოფლის მოსაყვანად გაგზავნილი მაყრიონის დასახვედრ სამზადისში მყოფმა დედამთილმა, რომელიც სიხარულით ემზადებოდა რძალთან შესახვედრად, შეიტყო, რომ რძალმა, ცხენზე შეჯდა თუ არა, თქვა:

„– გამასწართ და დედამთილი სახში არ დამახვედროთო!“

ეს ამბავი რომ გაიგო, დედამთილს ხელში ციცხვი ეჭირა და ქვაბს ურევდა; შეცბა, ხელი ქვაბში ჩაუვარდა, დაენვა და გამწარებულმა დაინყევლა:

„– ღმერთო, ჰაცხა არი, იქ გააქვავე!“

მექორნილენი მართლა გაქვავებულან. ლეგენდის თანახმად, გაქვავებული მაყრიონის ადგილსამყოფელია კარჩხალი (მთქმ. თამარ კონცელიძე. ჩაიწერა ნინო ბახტაძემ 2010 წელს სოფ. ტბეთში. მასალა მოგვანოდა ჩამწერმა).

ამრიგად, შავშთა მითოპოეტური აზროვნება სავსებით ეთანადება საერთოქართულს; საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში დღემდე შემორჩენილი მითოსური თუ ლეგენდური ნარატივები საქართველოს სხვა კუთხეებში, განსაკუთრებით კი აჭარაში, გავრცელებული სიუჟეტების ვარიანტებია და ნათლად მეტყველებენ ერთიანი წიაღიდან მომდინარეობაზე.



სოფ. დასამობის უბანი – ნიოლეთი.
 პროფესორი თინა შიოშვილი და მთქმელი შექერნაზა ყუში („შექრო ნენე“)

თქმულება-გადმოცემა

დღემდე შემორჩენილ შავშურ ზეპირსიტყვიერებაში დომინანტობს პოეზია, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ჟანრის ლაპიდარულობისა და, აგრეთვე, ჩვენებური „გარმონჯების“ დამსახურებაა. მიუხედავად ამისა, შავშეთის სოფლებში ჯერ კიდევ ახსოვთ ზოგიერთი საისტორიო თქმულება-გადმოცემა.

საისტორიო ფოლკლორი ქართული ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი მდიდარი უბანია; თავის დროზე, ალბათ, ამგვარი ვითარება იქნებოდა ძირძველ ქართულ რეგიონშიც – შავშეთში, თუმცა, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, დღეისათვის ძალზე მწირად გამოიყურება.

რუსეთ-ოსმალეთის ომის ბოლო ეტაპის (1877-1878) დაწყების წინ, 1874 წლის გაზაფხულზე, ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ აჭარაში, შავშეთსა და კლარჯეთში, რუსეთის მთავრობის დავალებით დაზვერვითი სამუშაოს ჩასატარებლად იმოგზაურა და ეს რეგიონები აღწერა გიორგი ყაზბეგმა ნაშრომში „სამი თვე თურქეთის საქართველოში“. შავშთა საისტორიო ზეპირსიტყვიერების თაობაზე იგი მიუთითებდა: „ისტორიული გადმოცემები შავშეთში ძალზე ღარიბია. ყველა მონათხრობი იმეორებს ბეგების გვარის ისტორიას. შავშეთში ასეთი სამია: ძველი სამცხის ათაბაგები, იმერხევის ათაბაგები და ბეგები ხიმშიაშვილთა გვარიდან“ (ყაზბეგი, 1995 : 94).

მიუხედავად საისტორიო თქმულება-გადმოცემათა სიმწირისა, შავშეთში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა რეგიონში და განსაკუთრებით აჭარაში, ძალზე დიდი პოპულარობით სარგებლობს თამარ მეფის სახელი. ხსოვნა ქართველთა საამაყო

მეფე ქალისა ამ კუთხის მკვიდრთა მესხიერებასაც შეუბღალავად შემოუნახავს. თავის დროზე თედო სახოკია მიუთითებდა აჭარელთა მიერ ყოველი ნაგებობის თამარის ეპოქაში აშენებულიად მიჩნევის თაობაზე (სახოკია, 1950: 200); შავშთა შორისაც იგივე ვითარება დავაფიქსირეთ; აქაური ქართველებიც ყოველ ხიდსა თუ ციხე-სიმაგრეს „თამარ დოდოფალს“ მიაკუთვნებენ და დიდი ენთუზიაზმით ყვებიან საარაკო მეფის შესახებ.

„– აქავრი თამარას ყალეები არიან. ხევიდან დუუმწკრივებია კაცები, ხელიდან ხელში აძლევდენ ქვებ, ჩვენი (სვირევის – თ.შ.) ყალე ისე უუშენებია, ბაბოჲ ილაპარიკებდა“, – სიამაყით განუცხადა პროფესორ მერი ცინცაძეს 75 წლის სვირევენელმა ვაჰად ყისამ (ფალავა, ცინცაძე, 2007: 279).

შავშური გადმოცემაც სვირევის ციხის აშენების თაობაზე სწორედ ამგვარ ნარატივთა ციკლს განეკუთვნება და ეხმიანება საერთოქართულ ფოლკლორულ ტრადიციას.

ზემოთ დასახელებულ ნაშრომში გიორგი ყაზბეგი, საუბრობს რა ტბეთის სახელგანთქმული ტაძრის გრანდიოზულობასა და მის აშენებაში გამოყენებულ მასალაზე, წერს: „სოფლის გარეუბნებში ამ ჯიშის ქვა არ მოიპოვება. ამიტომ ყურადღებას იმსახურებს ხალხური გადმოცემა იმის შესახებ, რომ მთელი სამშენებლო მასალა დაამზადეს ამ სოფლიდან ოცი ვერსის დაშორებით. ქვებს ხელიდან ხელში გადასცემდნენ აუარებელი მშენებლები, რომლებიც ერთ რიგად იყვნენ ჩამწკრივებული ქვის სამტეხლოდან სამშენებლო მოედნამდე. მსგავსი იგავები თურქეთის საქართველოს სხვა დიდი ტაძრების შესახებაც გავიგონე“ (ყაზბეგი, 1995: 79).

თამარ მეფეს, როგორც ეკლესია-მონასტრებისა და ციხე-სიმაგრეების დაუღალავ მშენებელს, კარგად იცნობს ზოგადქართულ ფოლკლორში თავჩენილი თქმულება-გადმოცემები (შოიშვილი, 2014: 11-90). ერთ-ერთი აჭარული თქმულების თანახმად, „ეს ყალიები, ეს ციხეები გააკეთა თამარ დედოფალმა. მაგას ყავდა ბევრი მოწინააღმდეგე; მისდევდნენ, მოსდევდნენ,

მარა თამარი გევდოდა, გააკეთებდა ყალეს; მოანევედა ისე საქმე, ვეღარ დადგებოდა, გევდოდა სხვა ყალეში. ყალეს აკეთებდა ასე: დააგროვებდნენ ქვას, ეინკაპებოდნენ, აძლევდნენ ხელიდან ხელში და კეთდებოდა მაგრე. იმფო და იმფო მაგარს აკეთებდა“ (ახვლედიანი, 1970: 45-46).

სამშენებლო მასალის ხელიდან ხელში მინოდების ამგვარ ხერხს თამარის ეპოქის მშენებლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა ქართული თქმულება-გადმოცემა იცნობს (შიოშვილი, 2004: 284; შიოშვილი, 2014: 18-19). ერთ-ერთი მათგანია აჭარაში გავრცელებული ხირხათის ციხის მშენებლობასთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემა, რომლის დასასრულსაც მთქმელი სიამაყით აღნიშნავს: „...ღელიდან ხირხათის ჭიშკრამდინ ხელიდან ხელში აქვან ატანილი ქვები. იმდენი ხალხი ჰყავდა თამარ მეფეს, იმფერი ძალა ჰქონდა თამარ მეფეს!“ (შიოშვილი, 2004: 285; შიოშვილი, 2014: 19).

თამარის მიერ წარმოებული მშენებლობის ამ სტილზე მიუთითებს, აგრეთვე, მამია ფალავასა და თინა შიოშვილის მიერ 2005 წელს სოფ. უსტამისში გულშა გულსექისაგან ჩანერილი გადმოცემა, რომლის თანახმადაც „უსტამისის ყალე თამარა დოდოფალმა გააკეთა. ქომოთ ჳევიდან ხელიდან ხელში უძლევთან ქვა, ისე ამუფტანიან“ (შიოშვილი, 2011: 503).

თამარ მეფის მიერ აშენებულ ციხე-სიმაგრეთა შორის არსებული დამაკავშირებელი გვირაბების თემა ძალზე პოპულარულია ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. ამ ციკლის გადმოცემა დააფიქსირა პროფ. რამაზ ხალვაშმა სოფელ უსტამიში 2005 წელს (მთქმ. ეუბ ალთუნი):

„– ამობდენ ქი, ასკრები დუფგზელეზიან ქი, ჳელიდან ჳელზე ქვიები ამუფტანიან ყალეზე ჭორულიდან თამარა დოდოფალი დროში... ქვიები დუფგზელეზიან და დუფკოჭიან... შავმეთ ყალე არია, იქამდე გადიოდა თუნელი“ (შიოშვილი, 2011: 503).

ქართულ ფოლკლორში ფართოდ არის გავრცელებული თქმულება-გადმოცემები და ლეგენდები თამარის გარდაცვა-

ლებასა და გასაიდუმლოებული საფლავის თემაზე, რომელთა მიხედვითაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხე იჩემებს, რომ დიდებული მეფე სწორედ იქ მარხია (შოიშვილი, 2014: 206-226). შავშურმა ზეპირსიტყვიერებამაც შემოინახა ლეგენდა თამარ მეფის გარდაცვალებისა და დასაფლავების ადგილის შესახებ. ამ ლეგენდის თანახმადაც, ისევე როგორც საერთოქართული ფოლკლორული წყაროების მიხედვით, თამარს მტრები ჰყავდა, „დუშმნებ მეეკლესნა“; მან კი დაიბარა თავისი ხალხი და უბრძანა, მოეკლათ და ისეთ ადგილას დაესაფლავებინათ, სადაც მტერი ვერ მიაგნებდა; შემდეგ კი თავები დაეხრცათ, რათა საიდუმლო არ გაეცათ:

„– ენნინ მენა მომკლათ, იმითანა ალაგ ჩამფლათ’ნა ქი, ვერ შემეყარნენ ჩემ მეზარზე. მე ქი ჩამფლავთ, თქვენი თავინა დეფჯოცოთ’ნა! – და ერთმანეთი დუუხოციან“.

იმერხევეში, სოფელ ბაზგირეთის ზემოთ მდებარე საზგირელას მთაზე, ადამიანის ძვლები უპოვიათ და ლეგენდის მთქმელის – ეუბ ალთუნის გადმოცემით, ეს „ძვლიები თამარა დოდოფლის ყორუმის ძვლიები არიო“ (ხალვაში, 2007: 312; შოიშვილი, 2011: 503).

მართალია, უსტამისურმა ლეგენდამ ველარ შემოინახა ხსოვნა იმისა, თუ ვინ იყვნენ თამარის დუშმანები და რატომ ემტერებოდნენ, მაგრამ თავად ლეგენდა ზოგადქართულ ფოლკლორში კარგად ცნობილ თამარ მეფის გარეშე მტრებისა თუ ჯიუტი ხელის მთხოვნელი სულთნების თემას განეკუთვნება და თვალნათლივ მიუთითებს, რომ თამარის ციკლის შავშური საისტორიო ფოლკლორი საერთოქართულის განუყოფელი ნაწილია, თუმცა – ჩვენებურთა მეხსიერებაში ერთობ კნინად შემონახული.

მკვლევარმა ოთარ ფუტკარაძემ შავშეთში დააფიქსირა ტბეთის დიდებული ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებული ლეგენდა, რომლის სიუჟეტიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, და მათ შორის აჭარაშიც, ფართოდ არის გავრცელებული და ოსტატ-შეგირდიც ტრადიციული შუღლის ამსახველია;

თუმცა, ტბეთურ ლეგენდაში ოსტატს შეგირდის მიმართ არავითარი შური არ ამოძრავებს.

ტბეთის ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებული შავშური თქმულება მოგვითხრობს: ტბეთის ეკლესიის ასაშენებელ ქვეებს ამზადებდნენ ტბეთიდან ოთხი საათის სავალზე, ერთ სოფელში, სადაც „საოცარი ქვის ოსტატები“ ცხოვრობდნენ. საბადოც იქვე ყოფილა. ეკლესიის წინამძღვარს დაუანგარიშებია, სად რამდენი და რანაირი ქვა სჭირდებოდა და ქვისმთლელებსაც თავი არ დაუზოგავთ. საქმე რომ მოუთავებიათ, აქაურები სათითაოდ ჩამწკრივებულან და ქვები ხელიდან ხელში გადაუზიდავთ ტბეთამდე. მშენებელს ერთი ქვა დაკლებია. ბევრი უძებნიათ და ქვა ბალახებში უპოვიათ – დაღლილ-დაქანცულ ქვის მთელს ჩასძინებოდა და ქვა გვერდზე გადავარდნოდა“ (ფუტყარაძე, 2008: 63).

ტბეთის მშენებლობასთან დაკავშირებული ეს მშვენიერი თქმულებაც, გარდა იმისა, რომ არ შეიცავს ოსტატ-შეგირდს შორის პროფესიული შუღლის მოტივს, რითაც გაჯერებულია საქართველოს სხადასხვა კუთხეში ნაშენები ციხე-სიმაგრეებისა თუ ეკლესია-მონასტრების შესახებ არსებული ნარატივები (შიოშვილი, 2014: 22-25; ოქროშიძე, 1969: 31; ნოლაიდელი, 1971: 203-204; „მას. კრ.“, 1898: №25) იმითაც არის საინტერესო, რომ მათშიც ფიქსირდება გრანდიოზულ მშენებლობათა ძველი ქართული ტრადიცია – საშენი მასალის ხელიდან ხელში გადანოდება.

ზაქარია ჭიჭინაძე ნარკვევში „შავშეთის ქართველი მაჰმადიანები“, აღწერს რა ფაფართის მთასა და მასზე მდებარე ციხეს, გვაცნობს თქმულებას ამ ციხის მშენებლობაზე:

„ხალხი ამბობს, რომ ფაფათის მთის ციხე სამ დას გაუკეთებიაო... ერთს მეორე ქვაზე შედგია ქვები და ასე, ამგვარათ, სხვა ქვები და უკანასკნელ დროში ეს ქალები, თურმე, დიდათ იქებოდნენ და იდიდებდნენ, მთელს იქითა მხრის ხალხში მათი მხნეობის და გარემოების ცნობები ისმოდა. მათზე გამოუთქვამთ ძველათ:

სამმა დამა ფაფათელმა,
ფაფათს ფაფა ნაჭამებმა
მაღალ მთაზე სამი ქმითა
ჩვენ ვაკეთეთ ციხე ქვითა.
სამსა ძმასა ქადაგლებსა,
ქადაგს ქადა ნაჭამებსა
ვეტყვი, თუ იმ ქვებს დასძრავენ,
ჩვენ წავყვებით მაშინ ცოლად.

ეს ლექსი ძველათ ვრცელი ყოფილა, მაგრამ ჟამთა მიმდინარეობას დაუკარგავს და ამოუკვეთია ხალხში სრული ხსოვნა, ეს იყო ისლამის ნაყოფი. ლექსში გამოყვანილი ყოფილა ის ცნობა, რომ ვაჟები ქალებს თხოულობდნენ, მაგრამ ქალები არ მიჰყვებოდნენ; ესენი ეტყოდნენ: – ჯერ თქვენი გმირობა გვაჩვენეთ და მერე წამოგყვებით ცოლათო. ასეთი იყო ძველათ ზნე და ხასიათი ქართველი ქალებისა... ამას ხომ ცხადათ „ვეფხისტყაოსნის“ თინათინის საქციელიც ამტკიცებს ავთანდილის წინაშე“, – დასძენს ავტორი (ჭიჭინაძე, 2013: 315-316).

შავშეთში მოგვითხრობენ აჭარის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ყოფაში ფართოდ გავრცელებული „ქვა-კაცების“ შესახებაც. სოფელ ჩაქველთას მკვიდრმა ზაფერ თექემუშმა (ბაირახტაროლი) პროფ. რ. ხალვაშთან საუბარში აღნიშნა, რომ ხოხლევისა და ჩაქველთას საზღვარზე არის ორი ქვაკაცი:

„– ჯოჯღევლების და ჩვენ ჰუდუდზე არიან ქვაკაცები, ორი თანე. იმ ალაგ ორთვალას ეძახიან, ებნევიან. ორი წყაროა“... (შიოშვილი, 2011: 503).

მართალია, ამ მოკლე გადმოცემაში ინფორმატორის მეხსიერებამ ვეღარ შემოინახა ცოდნა იმის თაობაზე, თუ რა ფუნქცია ეკისრებოდათ მთაზე აღმართულ ქვაკაცებს, მაგრამ თავად ფაქტის დაფიქსირებაც უკვე აშკარად მიუთითებს, რომ ქართველთა არქაულ რწმენა-წარმოდგენებთან გვაქვს საქმე; ხოლო მთქმელის მითითება იმის თაობაზე, რომ იქ, ქვაკაცების სა-

უფლოში, „ორი წყარო“, ადასტურებს ქართულ მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ეგრეთწოდებული „ქვაკაცები“ იგივე მეგალითური კულტურის ძეგლებია, რომელთაც ჩვენი წინაპრები შესთხოვდნენ სასურველ ამინდს, ჭირნახულის სიუხვე-სა და ოჯახურ სიკეთეს.

აჭარაში გავრცელებული რწმენის თანახმად, ქვაკაციდან ქვის გადაგდება დიდი ცოდვაა, რაც ადასტურებს, რომ ისინი სალოცავ კერპებს წარმოადგენდნენ, ღვთაებებად იყვნენ მიჩნეულნი და, ვეშაპოიდების მსგავსად, ამინდისა თუ წყლის გამგებლის ფუნქცია მიენერებოდათ. ყოველივე ეს კი მონიშნავს იმას, რომ ეგრეთწოდებული „ქვაკაცები“ ამინდის მაგიურ მართვას უკავშირდებოდნენ, „წყლის სიუხვის ორგანიზების რწმენასთან უნდა ყოფილიყვნენ დაკავშირებული და ამას გარკვეული კავშირი უნდა ჰქონოდა ლაზარობის ჩვეულებებთან“ (თანდილავა, 1974: 22).

საყურადღებოა, რომ აჭარაში, მართისა და სხალთის ხეობებს შორის მდებარე მთაზე, ეგრეთწოდებულ „ჭაჯეთლამა სერზე“, არსებულ „ქვაკაცებთან“ შესასრულებელი რიტუალიც ამინდის მაგიურ მართვას წარმოადგენს; მის ირგვლივ კი არის წყაროები, მდინარეები და ტბები (თანდილავა, 1974: 13-15). ამასვე მიუთითებს შავშური გადმოცემა „სარიჩაირის ქვაკაცები“, რომლის თანახმადაც, ორი ქვაკაცის ახლოს ორი წყაროა, რაც განამტკიცებს ჩვენს ვარაუდს, რომ ეს გადმოცემაც „ჭაჯეთლამა სერზე“ აჭარაში დაფიქსირებულ თქმულებათა რიგში უნდა განვიხილოთ.

შავშური ტოპონიმური გადმოცემა სოფელ მანატბაზე, რომელიც პროფ. რამაზ ხალვაშმა ჩაინერა 2005 წელს სოფ. იფხრეულში აჰმედ იალჯისაგან, მოგვითხრობს:

„– მანატბა რაზე დუურქმეცნიან, იცი? რატომ და კაცი მანაა, ქალი – ტბა. უთქვამენ ქი, მანა ტბასა, კაცის მანა გუუშვი ტბაშიო“ (შოშვილი, 2011: 503).

სოფელ სვირევანში დაფიქსირებული საყოფიერო გადმოცემა მოგვითხრობს: ორ ბიძაშვილს ერთი გოგონა, ისიც ბიძაშვილი,

შეუყვარდა. ერთმა გაამჟღავნა თავისი გრძნობა და ცოლადაც შეერთო. მეორე კი, რომელსაც შერცხვა ხვაშიადის გამხელისა, როგორც კი ქორწილში დედოფალი დაინახა, დაავადმყოფდა და შვიდი წელი ლოგინად იყო ჩავარდნილი. ექიმი მიხვდა მის გასაჭირს, სადედოფლოდ გამონყობილი „თვალჭირული“ მოაყვანინა და დასვა ავადმყოფის სასთუმალთან. ქალი „ავადმყოფსა უბეში ხელ ჩუუყოფს, ერთ ხელსაც ხელზე წაავლებს. იმაზე ყურება-ყურებაში ჯან მიცემს“ (მთქმელი ნებიე იშელი. ჩაინერა თ. შიოშვილმა 2005 წელს). ამ გადმოცემას, ბუნებრივია, არაფერი აქვს საერთო ზოგაქართულთან; იგი ადგილობრივი ხასიათისაა, მასში მოთხრობილია ბიძაშვილთა ქორწინებაზე, მაგრამ მაინც საინტერესოა მუსულმანურ სამყაროში მცხოვრები ჩვენებურების ყოფიერებისა და ადათ-წესების გაცნობის თვალსაზრისით.

ამრიგად, შავშურმა ზეპირსიტყვიერებამ ბოლო დრომდე შემოინახა თამარ მეფის ციკლის საისტორიო თქმულება-გადმოცემები, რომლებიც ეხებიან თამარის ეპოქისათვის დამახასიათებელ გრანდიოზულ მშენებლობებს; თამარის სიკვდილისა და დასაფლავების საიდუმლოს თემატიკის თქმულება-გადმოცემები; აქვე ვხვდებით ამინდის მაგიურ მართვასთან დაკავშირებულ ფრაგმენტულ თქმულებას „ქვაკაცების“ შესახებ, რაც, აგრეთვე, ამ რეგიონის ფოლკლორული აზროვნების საერთოქართულ ძირებზე მიუთითებს.

მახვილსიტყვაობა

ხალხური მახვილსიტყვაობა, რომელმაც თავისი ჟანრობრივი ფორმა მცირე მოცულობის ხალხურ ნოველებსა და ნაკვეთებში, ანუ ანეგდოტებში, ჰპოვა, მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ლალი და უაღრესად სახასიათო უბანია. მართალია, მისი ფინალი სასაცილოა, მაგრამ სრულიად მიზანმიმართული ფუნქციით არის აღჭურვილი.

მახვილსიტყვაობაზე აგებული ნოველები და ანეგდოტები სინამდვილის ასახვის თავისებურ ხერხს ეფუძნება: უაღრესად ლაკონურად, ლაპიდარულად, მოზომილად გადმოსცემს სათქმელს და მიზანში ამოღებულ ცხოვრებისეულ მანკიერებას ერთი დარტყმით უსწორდება (ჯანაგა, 1960:120); ზეპირსიტყვიერების ეს მოქნილი და სხარტი ჟანრი, მართალია, მსმენელში თუ მკითხველში სიცილს იწვევს, მაგრამ ამ სიცილით (რადგან მას საკმაოდ მნიშვნელოვანი სოციალური და კლასობრივი დატვირთვა გააჩნია) საუკეთესოდ მიიღწევა მიზანი – საზოგადოების გაკეთილშობილება, რამეთუ სატირიკოსის მახვილ თვალს არ გამოჩნება არც ერთი ცხოვრებისეული საჩოთირო მხარე.

საქართველოში მახვილსიტყვაობა ოდითგან იყო ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი ცოცხალი და ქმედითუნარიანი ჟანრი. წერილობითი წყაროებითა თუ ზეპირი ტრადიციით ცნობილია მახვილსიტყვაობის მრავალი ოსტატი, იგივე ხუმარა, თუმცა მათი რეპერტუარის ჩანერა ძალზე გვიან, მე-19 საუკუნეში, დაიწყო.

მახვილსიტყვაობის ტრადიცია, როგორც ჩანს, ძლიერი ყოფილა შავშეთშიც. საქართველოს ამ ძირძველ კუთხეშიც დაფიქსირდა ეროვნული ზეპირსიტყვიერების ეს ლაპიდარული ნიმუშები – ნაკვეთები, ანუ ანეგდოტები, რომლებშიც წარმოჩენილია

ჩვენებურთა ლალი, უშურველი ადამიანური დამოკიდებულება სხვადასხვა ცხოვრებისეული პრობლემების მიმართ; შავშურ მახვილსიტყვაობაში უაღრესად ლაკონურად არის წინა პლანზე წამოწეული გონებამახვილური ჩანაფიქრი, რომლის რეალიზებითაც ხორციელდება საზოგადოებრივ მანკიერებათა უმტკივნეულო მხილება.

შავშური ნაკვესები ძირითადად საყოფაცხოვრებო თემატიკისაა; გვხვდება კუთხეებისა და სოფლების შესახებ შექმნილი ანეგდოტებიც, რომლებშიც თავჩენილია ცალკეული სოფლისა თუ ზოგიერთი კუთხის მცხოვრებთა თავისებურებანი, რაც მსმენელის ყურადღებას იმსახურებს და რომელიც სატირისა და იუმორის ობიექტად აქცევს მის ადრესატს; თუმცა, როგორც წესი, დაცულია ზომიერება და არავითარ შემთხვევაში არ გადადის სარკაზმში.

შავშეთში ყველაზე მეტ ანეგდოტს ბაზგირეთლებზე ჰყვებიან. ერთ-ერთი მთქმელის განმარტებით, „ბაზგირელებ გემმასხარებიან, თქვენ თავზე მაღლა კი ხართო და ჭკვა არ გაქვანო“. იმერხევის ამ უმშვენიერესი სოფლის მცხოვრებლებზე შექმნილი მახვილსიტყვაობა მათ წარმოაჩენს გულუბრყვილო, ალალ ადამიანებად.

2005 წელს იმერხევის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ზიოსში ერგუნ თუნჯურისაგან (ფალაზოლლი) ჩვენ მიერ ჩანერილი ერთი ანეკდოტი მოგვითხრობს:

ნისლიან დღეს ბაზგირეთელი ცხვარს აძოვებს. დათვი მივა და ცხვარს მოიტაცებს. მწყემსი თვალს მოჰკრავს სილუეტს, იფიქრებს, ვიღაცა მაშინებსო და დაუძახებს:

„– გიცან, გიცან, ქომუბნელი ხარ! ჯამიკარში მოხვალ და შენ დაგამტრევო!“ (შიოშვილი, 2011: 501).

ასევე ბაზგირეთელი მწყემსის გულებრყვილობაა წარმოჩენილი ანეკდოტში (შიოშვილი, 2011: 501), რომლის თანახმადაც, ბაზგირეთელ კაცს ხალხამში შეყრილი ჰყავს თხები; მგელი მიეპარება და ბოტს ტუჩს მოაჭამს. დილით ბაზგირეთელი ხედავს, რომ ბოტს კბილები მოუჩანს და უკვირს, „– ე ბოტი რაზე იცინ-

ისო?!” (მთქმელი ერგუნ თუნჯერი, მცხოვრები სოფ. ზიოსში. ჩა-
ინერა თინა შიოშვილიმა 2005 წლის 25 ივლისს სოფ. ზიოსში).

მეზობელ სოფელთაგან ბაზგირეთელი მწყემსისადმი მი-
მართული იუმორი კულმინაციას აღწევს ანეკდოტში, რომლის
თანახმადაც, მწყემსს მაკე ცხვარი ავადმყოფი ეგონება და დაკ-
ლავს (შიოშვილი, 2011: 501). აღსანიშნავია, რომ შავშური მახ-
ვილსიტყვაობისათვის, ზოგადქართულის მსგავსად, ნარატივის
დასასრულს ყურადღება მახვილდება მის ძირითად გზავნილზე,
რაც ერთგვარად ასრულებს თხრობას და, ამავე დროს, ზირითა-
დი სენტენციის წინაპირობასაც წარმოადგენს. ასე მაგალითად:
ქვემოთხსენებულ თანასოფელად დათვის მიჩნევის გამომხატველი
ბაზგირეთელის ნათქვამი არ არის ანეკდოტის ბოლო აკორდი
(არადა, ამგვარი დასასრულიც არაფერს დააკლებდა სიუჟეტს);
გულუბრყვილობის წინა პლანზე წამოსანევად მთქმელი განმარ-
ტებას იძლევა: „...დათვ ეტყვის! იმას თავის კაცი, ვინცხა გონია!“
ამგვარი დასკვნა-განმარტება ახლავს ბაზგირეთელი მწყემსის
მიერ მგლის მიერ დრუნჩმოჭმული ბოტის აღქმას: „ბოტი იცინ-
ისო, ეს ეგონებთან. გელ მუუჭმთან, მეგემ!“

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მაღალმთიანი სოფლის – ბაზ-
გირეთის მკვიდრთა გულუბრყვილობაზე ანეკდოტებს თავად
ამ სოფლის მკვიდრნიც სიამოვნებით ჰყვებიან. ამჟამად ქ. ინეგ-
ოლში მცხოვრები ტიპური სახალხო მთქმელისა და აღიარებული
მომღერლის („გარმონჯის“) აჰმედ ჩეთინისაგან (ცხვარიძე), რო-
მელიც წარმოშობით ბაზგირეთელია და უზომოდ არის შეყვარე-
ბული თავის მშობლიურ სოფელზე, 2014 წელს ჩავინერეთ ანეკ-
დოტი, რომლის თანახმადაც, ბაზგირეთელს შავშათში საზამ-
თრო უყვია, ბაზგირეთში ამოუტანია და დედისათვის უთქვამს:

„– მე ჭალაში უნდა წევდე, მოვთიბონა; მოალ, დავჭრათ და
ვჭამოთ“.

სახლში დაბრუნებულ ბაზგირეთელს ამგვარი ვითარება დახ-
ვდა: დედამისს“... საქმელი საზამთრო, გუდუუყრია, ქერქები
შუუნვამს და მუუტანია ბიჭითვინ, ჭამეო“.

აჰმედ ჩეთინისეული მახვილსიტყვაობის ეპილოგიც ტრადიციული შავშურია: ბოლოში მთქმელმა დასძინა: „საზამთროს შიგანაჲ გუდუყურიან!“

აჰმედ ჩეთინის ბაზგირეთული რეპერტუარის ერთ-ერთი ნიმუშია, აგრეთვე, ანექდოტი ბაზგირეთელზე, რომელმაც ქ. შავშათში რადიო იყიდა და აიტანა ბაზგირეთში, რადგანაც ძალიან მოეწონა, რომ, სიმღერის ხმა ისმოდა, მომღერლები კი არ ჩანდნენ. რადიო, ბუნებრივია, თავისით ვერ ამღერდებოდა და ბაზგირეთელი საყვედურობს:

„– შავშათში რო ლამაზად მღეროდი, აქ რეიზა ჩეგიხჩაო?!“

შავშურ ანექდოტებში არანაკლები იუმორისტული მახვილია მიმართული მაჭახლელთა მიმართაც. ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს უმტკივნეულო და მსუბუქ იუმორთან. ისიც აღსანიშნავია, რომ მახვილსიტყვაობის ზოგიერთ ნიმუშში ბაზგირეთელები და მაჭახლელები ერთად არიან, ანუ ერთიანდებიან ერთი „იდეის“ გარშემო, რაც საბოლოოდ სიცილს იწვევს. ამის დასტურია ტოპონიმ „აღლის სადნობთან“ დაკავშირებული ანექდოტი, რომელიც რამაზ ხალვაშმა ჩაინერა 2005 წელს სოფ. ბაზგირეთში მუსა ჩიმენისაგან:

„მაჭახლელ უყვიადა ერბო ბაზგირეთში. ერბო ჩუუდვიან გუდაში. იმ ალაგზე გასულა, ალი სადნობზე, ჭვირთი ჩამუღლია, ფიქალზე დუდგმია, გახმესო. თვითონაც დუუზინია ეთამ ხან. გამუღვიძავს, ალი აღარა. ცხენ შეეკითხა:

– შენ მიჭამე ერბო?

ცხენსაც ბუზები ეხვევიან, ისაც თავ აქანებს. მაჭახლელი ამეღებს აარად და ცხენ მოკლავს“ (ხალვაში, 2007:312; შიოშვილი, 2011:502).

პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მიერ შოლტიხეველი ისმაილ ქარასაგან (შავიშვილი) 1989 წელს ჩანერილი ვარიანტის თანახმად, აღის მყიდველი აჭარელია. გამოღვიძებულს, მზეზე დადებული ალი რომ აღარ დახვედრია, ცხენისთვის შეუხედავს. ცხენი თავს აქანებს, ბუზებს იგერიებს. კაცმა ცხენს ჰკითხა:

„– ცხენო, ძალი შენ შეჭამე?“

ბუზებისაგან გამწარებული ცხენი კი კვლავ თავს აქანებს. კაცს უფიქრია, ცხენს ჩემი შეჭმაც უნდაო:

„– ცხენო, ძალი შენ შემეჭამე, მეც 'ნა შემეჭამოო, იქნავ თავსაო?!“

ცხენი ისევ თავს იქნევს. მაშინ „კაცსა ამოუღია ტაბანჩა და უსროლია კოროპინზე. მოუკლავს ცხენი. ცარიელი კროჭი წოულია და გოუვლია – ნასულა“ (ფუტკარაძე, 1993: 232-233).

აღსანიშნავია, რომ ძალის „ტრანსპორტირების“ თემა მაჭახლელეებზე შეთხზულ ანეგდოტებში ძალზე პოპულარულია. ერთ-ერთი მათგანი – „მაჭახლის ჰალი“ (მთქმ. ირფან ჩაფქუნი. ჩაინერა რ. ხალვაშმა 2005 წელს სოფ. ივეთში (შიოშვილი, 2001: 502) – მოგვითხრობს: „მაჭახლელეებ დოდოფალი მიყავან. შინედან ძალი ჩუუდევს ჭიპთან:

– ნაილე და შეგჭირდებაო.

ღარჭის სახში რო მივდენ, საჭმელში ძალი ვერ ნახეს.

– ჩვენ გოგოს ჭიპში ჩუუდევითო! – და წამუაქციეს და კოვზე-ბით იქ ჩხრიკეს“ (შიოშვილი, 2011: 502).

მაჭახლელი ქურდის „მონანიე“ პოზიციას იუმორისტულად გვაცნობს მახვილსიტყვაობის ერთ-ერთი ნიმუში, რომლის თანახმადაც, ორი მაჭახლელი თავზეხელაღებული ქურდები ყოფილან: „...იარაღები წელში დადიან, ხალხ ფულ ართმევენ, ცხენებ იპარვენ, ძროხებ იპარვენ“. ერთ-ერთი მათგანი მომკვდარა. ცოცხლად დარჩენილი მივიდა მის საფლავთან და ჩასძახა:

„– ოო, მემედი, მემედი, რას იჯები მაქა? ჩვენ რო ხარები დევპარეთო, მაქ ხებერი აქვან თუ არაო? თუ ხებერი აქვანო, ერთ ხარი ფულ მე გედევხდი აქაო, ერთ ხარი ფულიც შენ გედეიხადეო! მე რო მოკვდებიო, მე არ დიმიძახონ, შენ ხარის ფული გედეიხადე თუ არაო?“ (მთქმელი აჰმედ ჩეთინი (ცხვარიძე), მცხოვრები ქ. ინეგოლში, წარმოშობით ბაზგირეთელია და მისი რეპერტუარიც იმერხეულია. ჩაინერა თ. შიოშვილმა 2014 წელს ქ. ინეგოლში).

შავშთა მახვილ მზერას არც ლაზების გულუბრყვილობა გამორჩენია. შავშურ ფოლკლორში პოპულარულია ანექდოტი მარილის დამთესავ ლაზებზე, რომელთა „გარჯილობაც“ ერთ-ერთი ძმის სიკვდილით დამთავრდა. პროფ. რ. ხალვაშის მიერ 2005 წელს სოფ. ივეთში ირფან ჩაფქურისაგან ჩანერილი ანექდოტი „ლაზები“ მოგვითხრობს:

ლაზი ძმები ყანაში ნავიდნენ მარილის დასათესად. დათესეს, მაგრამ არ ამოვიდა. იფიქრეს, რალაცა გვიჭამსო და დაუდარაჯდნენ. ვერაფერი ნახეს. უცებ ერთ-ერთს კალია დააჯდა. იფიქრეს, ეს არის, ვინც ყანას გვიჭამსო:

„– ახი ეს არი, ჩვენ მარილ გვიჭამს და არ ამოვდა! რა ვქნათ? მოვკლათო!“

მეორე ძმამ კალიას ესროლა და ძმა კი შემოაკვდა (შიოშვილი, 2011: 502).

ამ მახვილსიტყვაობის ვრცელი და საინტერესო ვარიანტი დააფიქსირა პროფ. შ. ფუტკარაძემ 1989 წელს სოფ. შოლტისხევში ისმაილ ქარასაგან (შავიშვილი). ამ ვარიანტის თანახმად, მარილის დამთესავის ვინაობა თუ სადაურობა გამოკვეთილი არ არის, განზოგადოებულია:

ერთ კაცს მარილი დაუთესია. ერთ თვეს უცდია, მაგრამ არ ამოსულა. წასულა და „დიდი კაცისათვის“ უკითხავს:

„– მარილი დავთესე და რათ არ ამოიდაო?“

„დიდ კაცს“ უთქვამს:

„– ყანაში თუ ბუზები არიან, მაგათ შეჭმულიაო“.

კაცს მეორეჯერ დაუთესავს მარილი და გადაუნყვეტია, „ბუზებს აღარ უნდა შევაჭამო“. თოფით დარაჯობს ნათესს. მეზობელიც თოფით გამოსულა, მარტო არ იყოსო და კლავენ ბუზებს. ერთი ბუზი დამთესველს შუბლზე დააჯდა. მეზობელმა დაიყვირა:

„– არ გეექანო, შუბლზე ბუზი დამჟდარა და აქდამ მენა მოვკლანდაო!“

თოფი უსვრია, ბუზი გაქცეულა და კაცი მოუკლავს. „მემრე მისულა, ერთი კდარი ბუზი ოუნწევია და უთქვამს:

„– არაფერია, ერთი თქვენიდამ წასულა, ერთი ჩვენიდამო“ (ფუტკარაძე, 1993: 233).

აღსანიშნავია, რომ განხილული ანეკდოტის შ. ფუტკარაძისეული ჩანაწერის ვარიანტები მრავლად ფიქსირდება საქართველოს სხადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით კი – აჭარაში, რაც იმის დასტურია, რომ შავშური მახვილსიტყვაობის განხილული ვარიანტი, სხვა ნიმუშთა მსგავსად, ერთიანი ქართული ფოლკლორული სივრცის ნაწილია.

თავშესაქცევი და გასამხიარულებელი სახასიათო ანეკდოტია შექმნილი შავშეთში გულუბრყვილო ბერიკაცის შესახებ (მთქმელი ერგუნ თუნჯერი (ფალაზოლლი), მცხ. სოფ. ზიოსში. ჩაინერა თ. შიოშვილმა 2005 წელს): მძლოლი გოდორმოკიდებულ ბერიკაცს დასვამს ძარაზე და გაემასხრება:

„– გოდორი არ მეიხსნა ქი, ამეზე აამძიმებსო“.

მოხუცი ასეც იქცევა. მეორე მგზავრი ეკითხება:

„– რაზე არ იხსნი სიცხეში, მეიხსენი და დადე ემეზო“.

ბერიკაცი პასუხობს:

„– შოფერმა მითხრა ქი, არ აამძიმოს იმფოვო“ (შიოშვილი, 2001: 502).

ტოპონიმ „საცინარასთან“ დაკავშირებული ანეკდოტი, რომელიც რ. ხალვაშმა ჩაინერა სოფ. ბაზგირეთში 2005 წელს მუსა ჩიმენისაგან, მოგვითხრობს კარჩხალიდან დაილისკენ მიმავალი კაცის გულუბრყვილობაზე: გზაბანარაზე გავლისას ცხენზე აკიდებული ტვირთი კლდეს გამოედო, ცხენი ლელეში ჩავარდა და მოკვდა. კაცი მალლიდან დაჰყურებს თავის ცხენს, რომელსაც კბილები დაუკრეჭია და ეტყვის:

„– იცინე, იცინე, თუ გიგიტეხია სემერი, დაგაგლეჯ კბილებსო!“ (ხალვაში, 2007:312; შიოშვილი, 2001: 502).

შავშთა შორის გავრცელებულია ანეკდოტები, აგრეთვე, მაჰმადიანური აღმოსავლეთის ენამოსწრებული სასულიერო პირის – მოლა ნასრედინის შესახებ, რომელიც, ბოლოდროინდელი გა-

მოკვლევების თანახმად, ისტორიული პიროვნება ყოფილა (ბაქ-რაძე, 2003: 152-153).

მოლა ნასრედინის ანეკდოტები მსოფლიოს 72 ენაზეა თარგმნილი და გამოცემული. მხიარული, სიბრძნით აღსავსე ოხუნჯობანი ყველა ხალხისათვის პოპულარული და ერთნაირად მისაღები მოლა ნასრედინისა კავკასიელებმაც გაითავისეს და შეიყვარეს. საქართველოს ყველა კუთხე მდიდარია მოლა ნასრედინის ციკლის ანეკდოტებით, რომლებსაც ძველთაგანვე დიდი მონონება ხვდათ წილად; მათ კარგად იცნობდა სულხან-საბა ორბელიანიც.

შავშეთშიც ასევე ძალზე პოპულარულია ხოჯა ნასრედინი და მის ირგვლივ შექმნილი მახვილსიტყვაობის ნიმუშები, რასაც, ბუნებრივია, თავისთავად ხელს უწყობს მოლას მშობლიური თურქული გარემო. იმერხევის ერთ-ერთ მშვენიერ სოფელში – ბაზგირეთში დაფიქსირებული „ნასრეთი ხოჯას“ ციკლის ანეკდოტის თანახმად (მთქმელი თანერ იმეტი. ჩაინერა თ. სიომვილმა 2005 წელს), ხოჯას მეზობლისათვის თოკი უთხოვია. მეზობელს უარი უთქვამს:

„– თოკზე ქერი დაფენილი მაქო“.

ხოჯა პირუჩუმრად უკან გამობრუნებულა: „არ მუუცემია. უკან გამეიარა, წამოიდა, არაფერი არ უთხრა“ (შიომვილი, 2011: 502).

ეს ანეკდოტი ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხეში. მას იცნობს თურქული ფოლკლორიც; ბაზგირეთული ვარიანტისაგან განსხვავებით, როგორც სხვა ქართულ, ისე თურქულ ვარიანტებში, მოლა არ ათხოვებს თავის მეზობელს თოკს და მოიმიზეზებს, რომ მასზე ფქვილი აქვს გაფენილი.

თურქული ვარიანტის თანახმად, თოკის სათხოვნელად მისულ მეზობელს ხოჯა ეტყვის:

„– ვერ გათხოვებ, ზედ ფქვილი მაქვს გაფენილიო“.

მეზობელი გაიკვირვებს:

„– ხოჯა, განა თოკზე ფქვილი გაიფინება?“

ხოჯას პასუხი მახვილსიტყვაობის ძირითადი თეზაა:

„– როდესაც ჩემი გონება თხოვნას არ ეთანხმება, ფქვილის გაფენა თოკზეც კი შეიძლება!..“ (თოქმაჩოლლუ, 2001: 59).

თოკზე გაფენილი ფქვილის ანეკდოტი გავრცელებულია ქართველ მუჰაჯირთა ზეპირსიტყვიერებაშიც. ყველა ვარიანტის თანახმად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ანომალია მოლასაგანვე იხსნება და ღრმა ფსიქოლოგიური დატვირთვა გააჩნია: „როცა მოლას არ უნდა, მეზობელს თოკი ათხოვოს, მასზე ფქვილის გაფენაც დასაჯერებელია“ (შიოშვილი, 2014: 117).

შავშეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში და, ამასთანავე, მთელს თურქულენოვან სამყაროში, ფართოდ არის გავრცელებული ანეკდოტი მოლას (ხოჯას) ქვაბის შესახებ. ნარმომობით იმერხეველი (ბაზგირეთელი) აჰმედ ჩეთინისაგან 2014 წელს ჩანერილი ვარიანტის თანახმად, მოლამ მეზობელს ქვაბი ეთხოვა და „ორი დღე უკან ქვაბი მუუტანა და შიგანაც პანაჲ ქვაბი ჩადო“; დაუბრუნა ქვაბი ნამატით და თანაც ასე დალოცა:

– ღმერთმა ასე გიყოსო! საქმე გიმირიგეო, შენმა ქვაბმაც პანაჲ ქვაბი დასვაო!“

ხოჯამ კიდევ მიაკითხა მეზობელს, რომელმაც სიამოვნებით ათხოვა უფრო დიდი ქვაბი ნამატის მოლოდინში და თანაც დაამატა:

„– ვაო, მე ერთთანე ვაძლევო, ამან ორითანე მეიტანაო!..“

ხოჯამ ამჯერად არაფერი დააბრუნა; მეზობელმა მიაკითხა თავის ქვაბს და მათი დიალოგი არსებითად ამ ოხუნჯობის ძირითადი თეზაა:

„– რა იქნა, ქვაბი რეიზა არ მეიტანე?“

– შენი ქვაბი მოკდაო.

– რაო? ქვაბი მოკდებაო?!

– შენ რომ გითხარი, ქვაბმა იშვაო, დეიჯერე; მოკდა რომ გებნევი, რეიზა არ დეიჯერეო?!“ (ჩაინერა თ. შიოშვილმა 2014 წელს სოფ. ჰაირიეში).

ამ მახვილსიტყვაობის სპარსული ვარიანტის მიხედვით, მოლასა და მის განზილებულ მეზობელს შორის ამგვარი დიალოგი იმართება:

„– ჯერ აქამდე არავისგან გამიგონია, რომ ქვაბი მომკვდარიყოს!“ – წამოიძახა გაოცებულმა მეზობელმა.

„– თუკი ის გაგიგონია, – დაცინვით მიუგო მოლამ, – რომ ქვაბმა შობა ქვაბი, რატომ ის აღარ გაიგე, რომ ქვაბი მოკვდება?!“ (მოლა..., 1991: 48).

„მოლას ქვაბის“ ციკლის ანექდოტის ერთ-ერთი ვარიანტი 1886 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „თეატრში“ (№45) თეოფილე ხუსკივაძის მიერ შეკრებილ ანექდოტთა შორის, თუმცა მთავარი მოქმედი პირი, ანუ მოლა, განზოგადოებულია და მას „ერთი კაცი“ ჰქვია, რაც ამ ჟანრის, კერძოდ კი მოლას ციკლის, პოპულარობაზე მიუთითებს.

განხილული ანექდოტის ერთ-ერთი კახური ვარიანტი ჩვენს მიერ არის ჩანერილი 1975 წელს გურჯაანის რაიონის სოფ. ველისციხეში ნინა გაბიტაშვილისაგან:

მოლა მასრაძინამ მეზობელს ქვაბი სთხოვა და დაბრუნებისას თან პატარა ქვაბიც წამოუღო. მეზობელს გაუკვირდა. მოლამ უთხრა:

„– შენი ქვაბი ფეხმძიმედ იყო და ეს პატარა ქვაბი შობაო“.

მეზობელს გაუხარდა და გამოართვა ორივე ქვაბი. რამდენიმე დღის შემდეგ მოლა მასრაძინამ ისევ სთხოვა ქვაბი მეზობელს, მან კი ყველაზე კარგი და დიდი ქვაბი გამოუტანა. გავიდა ხანი, მაგრამ მოლამ ქვაბი აღარ დააბრუნა. მეზობელმა მიაკითხა და უთხრა:

„– მოლავ, ჩემი ქვაბი დამიბრუნეო“.

„– ვნუხვარ, მეზობელო, მაგრამ შენი ქვაბი მშობიარობას გადაჰყვა, მოკვდაო“, – უპასუხა მასრაძინამ.

„– სად გაგონილა ქვაბის სიკვდილი?!“ – იყვირა მეზობელმა.

„– თუ ის გაგონილა, რომ ქვაბმა იმშობიაროს, ისიც უნდა გაიგო, რომ მშობიარობას გადაჰყვაო“, – დინჯად მიუგო მოლამ.

ამ ანეკდოტის საინტერესო ვარიანტი გამოაქვეყნა მკვლევარმა რევაზ ბაქრაძემ; ამ ვარიანტის თანახმად, მეზობელი „სიხარულით ცას ენია“, როცა მოლამ ნათხოვარ ქვაბს პატარა ქვაბიც მიაყოლა; ხოლო როცა მეორეჯერაც ათხოვა და მოლამ უთხრა, შენი ქვაბი მოკვდაო, გაიკვირვა:

„– ეს როგორ?! ქვაბი როგორ შეიძლება, მოკვდეს, ცოცხალი ხომ არ არის?!“

მოლამ მშვიდად უპასუხა:

„– თუ ის დაიჯერე, რომ ქვაბმა იმშობიარა, რატომ არ გჯერა ქვაბის სიკვდილიო?!“ (ბაქრაძე, 2003: 153-154).

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ მოლა (ხოჯა) ნასრედინის სახე წინააღმდეგობის შემცველია – იგი ხან ბრძენია, ხან კი – ბრიყვი და უგუნური. ზოგი მკვლევარი ორმაგობას ფოლკლორული სინკრეტიზმით ხსნის, – როდესაც სანინააღმდეგო თვისებები შეხამებულია ერთსა და იმავე დადებით გმირში. მკვლევარი აპოლონ ცანავა კი მიიჩნევს, რომ აქ საქმე გვაქვს „ყოვლისშემძლე ეშმაკობის“ მოტივთან, რომლის ძალითაც სუსტი იმარჯვებს ძლიერზე და მიუთითებს, რომ ამგვარ ანეკდოტებში, ანუ ნაკვესებში, მოლა ნასრედინს იგივე ფუნქცია აქვს დაკისრებული, რაც – მელას ცხოველთა ეპოსში (ცანავა, 160: 167). ჩვენი აზრით, მოლა ნასრედინის ბინარული ბუნება სრულიად ბუნებრივია და სიტუაციათა მიხედვით იცვლება არა მოლას სისუსტე-ძლიერების, არამედ – სიტუაციათა შინაარსისა და ტრანსფორმაციის იდეის მიხედვით. ორივე შემთხვევაში კი ჩვენს წინაშეა ბრძენი, განსწავლული, გონებამახვილი ხოჯა, რომელიც ზოგჯერ სულელად გვაჩვენებს თავს; მისი მსჯელობაცა და ქმედებაც სიტუაციათა შესაბამისია და სწორედაც ამგვარი მეთოდით ებრძვის და ამხელს უგუნურებას, რადგანაც მისებური საქციელითა თუ სიტყვა-პასუხით გამოიწვეული დაცინვა ყველაზე უკეთესი წამალია მანკიერებათა განსაკურნებლად.

იმერხევეში გავრცელებულ მოლა ნასრედინის ციკლის ოხუნჯობათაგან თავისი გონებამახვილობითა და ენამოსწრებულობით

გამორჩეულია ანეკდოტი მოლას ფეხსაცმელების შესახებ: ახალგაზრდებს („გენჯებს“) გადაუნყეტიათ, მოლასათვის ახალი ფეხსაცმელები მოეპარათ და გაემასხარავენინათ, მოლა კი ფეხსაცმელს ძალიან უფრთხილდებოდა და არ იხდიდა. ერთ დღესაც ვაშლის მოსაკრეფად ხეზე ასულმა ნასრეთინამ ფეხსაცმელები გაიხადა და უბეში ჩაიყარა. „გენჯებმაც ჩქარა მივდენ იქზე და უთხრეს: – ხოჯავო, ფეხჩასაცმელი უბეში რაზე ჩეიყარეო, დაბაყლიანდებიო“.

ხოჯა არ დაიბნა და უპასუხა:

„– ბიჭებო, ზემოთაც გზა იქნება, ჩევცვამ და ნავალო“.

ანეკდოტის ფინალში ამ შემთხვევაშიც მთქმელი განაზოგადებს მოლასეული პასუხის არსს: „არ უთქმია, რო თქვენნა მომპაროთო, არ ინყინონო“ (მთქმელი აჰმედ ჩეთინი (ცხვარიძე), მცხ. ქ. ინეგოლში. წარმოშობით იმერხეველია, სოფ. ბაზგირეთიდან. ჩაინერა თ. შიოშვილმა 2014 წელს სოფ. ჰაირიეში).

ამ მახვილსიტყვაობის თურქული ვარიანტი – „ხოჯას ფოსტლები“ – (თოქმაჩოღლუ, 2001: 69) ფაქტობრივად იმავე სენტენციის შემცველია, თუმცა, ამ ნარატივით ანცი ყმანვილები თავად აინტრიგებენ ხოჯას, რათა ხეზე აიტყუონ და ფოსტლები გადაუმალონ. მიხვედრილი ხოჯაც არ იმჩნევს და თანხმდება, თუმცა, ხეზე ასვლამდე ფოსტლები გაიხადა და უბეში ჩაინყო.

„– რას შვრები, ხოჯა, ფოსტლები თან რატომ მიგაქვს?“ – წამოიძახეს განბილებულმა ყმანვილებმა.

ხოჯას პასუხის დედაარსი იმერხეული ვარიანტის პასუხის იდენტურია:

„– ეე, ყველაფერია მოსალოდნელი; იქიდან იქნება სხვა მიმართულებით მომინოს წასვლა!“ – ნიშნისმოგებით უპასუხა ხოჯამ.

აჰმედ ჩეთინის თქმითვე ჩავინერე „ხოჯა ნასრეთინას“ ციკლის ანეკდოტი, რომლის თანახმადაც, დუდუკის საყიდლად ქალაქში მიმავალ ხოჯას სოფლის ბავშვები დაედევნენ და სთხოვეს, დუდუკი მათთვისაც ეყიდნა, ფული კი მხოლოდ ერთმა გა-

ატანა. სოფელში დაბრუნებულმა ხოჯამ დუღუკი იმას მიუტანა, ვინც ფული მისცა; დანარჩენი ბავშვების საყვედურს კი ასე უპასუხა:

„– ვინცხა ფულ მომცემს, დუღუფშტვენს დუღუკიო!“

მოლას მოსწრებული, გონებამახვილური პასუხი სწორედაც ამ მახვილსიტყვაობის ძირითადი სენტენციაა.

მთელი საქართველო იცნობს მოლა ნასრედინის ძალზე პოპულარულ ანექდოტს ზღვაში მანვნის შედედების თაობაზე:

„ხოჯა მისულა. თავი ცოლი, ბავშვები ქამენ, სმენ. მანონი დარჩათ. ხოჯამ ზღვაში ჩაასხა. კითხეს:

– ხოჯავ, რა იჯებო?

– მანონი'ნა შევაყენო. სულ ფულ ხო ვერ ვაძლევეო? ბევრი მანონი მექნებო!“ (მთქმელი აჰმედ ჩეთინი (ცხვარიძე), მცხ. ქ. ინეგოლში. წარმოშობით იმერხეველია, სოფ. ბაზგირეთიდან. ჩაინერა თ. შიოშვილმა 2014 წელს სოფ. ჰაირიეში).

ამრიგად, შავშურ მახვილსიტყვაობაში, ზოგადქართულის დარად, კომიკური სიტუაციების შექმნით დაგმობილი და გაკიცხულია სიბრიყვე, რომლის შეფასება სატირულ-იუმორისტული ხერხებით საბოლოოდ საზოგადოების სულიერ და გონებრივ გაჯანსაღებას ემსახურება, სოციუმის სიფხიზლესა და მდგრადობას ინვეეს. შავშური ფოლკლორული შემოქმედების ეს უბანიც საერთოქართული აზროვნების განუყოფელი ნაწილია.

საბავშვო ფოლკლორი

საბავშვო ხალხური შემოქმედება ყოველი უძველესი ერის, და მათ შორის ქართველთა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს; მასში დაუნჯებულთა ხალხის წარსულის, შემოქმედებითი პოტენციისა და ეროვნულ თავისებურებათა მრავალი ღირსშესანიშნავი და საინტერესო რეალია და ნიშან-თვისება.

საბავშვო ფოლკლორს თავისი იდეურ-ეთიკური და ესთეტიკური თვისებებით უპირველესად აღმზრდელითი ფუნქცია ენიჭება. ქართული საბავშვო ზეპირსიტყვიერება ოდითგანვე გამოირჩეოდა თავისი მრავალმხრივი პედაგოგიური იდეალებით, რასაც ჩვენი წინაპრები უფრო თხილდებოდნენ და თაობიდან თაობას გადმოსცემდნენ როგორც ზნეობრივად და ფიზიკურად ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდისათვის საჭირო უტყუარ და სანდო სიბრძნეს.

საბავშვო ზეპირსიტყვიერებაში განიხილება როგორც უფროსთა მიერ, ისე ბავშვთა წრეში შექმნილი ფოლკლორული ნიმუშები, რომლებიც ჟანრობრივად მრავალფეროვანია; აქ შემოდის: სააკვნო ლექს-სიმღერები, სალალო და შესაქცევარი ლექს-სიმღერები, ლექსები ცხოველებსა და ფრინველებზე, „ცოცხალი ტყუილის“ ციკლის ლექს-სიმღერები, სალალო შაირები, „ენის გასატეხი“, ანდაზები, გამოცანები, ზღაპრები, საბავშვო თამაშობათა გათვლები და თამაშობათა თანმხლები სხვადასხვა ტექსტები (ზანდუკელი, 1969).

შავშეთშიც, ბუნებრივია, საბავშვო ფოლკლორის ყველა სახე იქნებოდა გავრცელებული, თუმცა, სამწუხაროდ, ბოლო დრომდე ძალზე მწირად შემოუნახავთ. მიუხედავად ამისა, იმერხევის სოფელ იფხრეულში 89 წლის ემინე ყაიასაგან მკვლევარმა ვარ-

დო ჩოხარაძემ 2007 წლის 7 აგვისტოს ჩაინერა სააკვნო ლექს-სიმღერის საინტერესო ვარიანტი:

ნანინაჲ, ნანინაჲ,
დეიძინოს კაკანაში!
დეიძინე, შვილო, დეიძინე!..
ჩემი შვილი კაცი გახდეს!
ნანინაჲ, ნანინაჲ...

ბავშვის დასაძინებელ ამ იმერხეულ „ნანინაში“, ზოგადქართული „ნანების“ მსგავსად, გამოთქმულია ყრმის კარგ კაცად, ზნეობრივ მოქალაქედ გაზრდის სურვილი, რაც ქართული ხალხური სააკვნო ლექს-სიმღერების სპეციფიკაა და საქართველოს ყველა კუთხისათვის არის ნიშანდობლივი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კლარჯეთის ქართულენოვან სოფლებშიც მრავალი სააკვნო ლექს-სიმღერა დავაფიქსირეთ 2007, 2013 და 2014 წლებში (შიოშვილი, 2014: 71).

სოფელ იფხრეულში აიშა დურსუნბეგისგან ვარდო ჩოხარაძემ დააფიქსირა, აგრეთვე, ეგრეთწოდებული „სალალობო“ ლექს-სიმღერა, რომელშიც მსუბუქი იუმორით არის გადმოცემული მშობლების მიერ ბავშვთა „მოთვინიერების“ ერთგვარი ხერხი, როგორიცაა ახალ-ახალი ტანსაცმლის ყიდვა:

ახლანდელი ღარჭები
ტვილდებიან მარკებზეო,
თავისი ანაჲ-ბაბაჲ
ატყვილებენ ფორკებზეო.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გავრცელებული ეგრეთწოდებული „სალალაო და შესაქცევარი“ საბავშვო თამაში „...ცერმა თქვა...“ და მასთან დაკავშირებული ტექსტის ვარიანტი დაფიქსირდა სოფელ მაჩხატეთში 2009 წლის 8 აგვისტოს 55 წლის იბრაიმ ჩაქმაქისაგან (გორგაძე):

ამას (მთქმელი აჩვენებს ცერა თითს) უთქვამს:

- აიდე, პური ჭვამოთო!
- ამას (აჩვენებს საჩვენებელ თითს) უთქვამს ქი:
- რად გვაქ, რად ჭვამოთო?
- ამასაც (აჩვენებს შუა თითს) უთქვამს ქი:
- ღმერთსა რაცხა მუუცემია, ის ჭვამოთო.
- ამასაც (აჩვენებს არათითს) უთქვამს ქი:
- ევლოთ და ჭვამოთო.
- ამასაც (აჩვენებს ნეკა თითს) უთქვამს ქი:
- მევპაროთ და ჭვამოთო“.

და ეს იმაზე პატარად დარჩენილა, მოპარვა ქი გულში შამო-
უღვია“.

ამ ოდინდელი ხალხური საყმანვილო თამაშის პედაგოგიური დანიშნულებაა, გაართოს ყმანვილები, გამოინვიოს ჯანსაღი სი-
ცილი და მხიარულება, განავითაროს მათი ცნობისმოყვარეობა, შეაგრძნობინოს საკუთარი სხეულის (ამ შემთხვევაში – ხელის თითების) ნაწილები და, ამავე დროს, აზიაროს გარკვეულ ზნე-
ობრივ სენტენციას, რომ ქურდობა მანკიერება, უკადრისი საქ-
ციელია, რაც გამოხატულია დასკვნით ნაწილში ნეკა თითის მი-
მართ, რომელმაც თქვა, საჭმელი მოვიპაროთო.

ეს სიტყვიერი გადაცდომა პატარა თითისა მკაცრად არის შეფასებული და გამოტანილია სათანადო დასკვნა: „...იმაზე პა-
ტარად დარჩენილა, მოპარვა ქი გულში შამოუღვია“ (შიოშვილი, 2011: 504).

იმავე სოფელში 80 წლის ეზმირე სარაჩისაგან პროფესორ-
მა მერი ცინცაძემ დააფიქსირა არსებითად იდენტური ვარიან-
ტი, ოღონდაც ამ ვარიანტით ქურდობის მონადინე ცერა თითია, სწორედ მან თქვა: „– მოვიპაროთ და ვჭამოთო“. ხალხური შეგო-
ნება აქაც სინანულისა და დაგმობის ტონის შემცველია: „მოპარ-
ვაც გულში ჩამოუღვია!“ (ფალავა, ცინცაძე, 2011: 453).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ყოფაც, შავშურის მსგავსად, ორივენიარ ვარიანტს იცნობს.

საბავშვო რეპერტუარში სრულდება, აგრეთვე, ქართული ხალხური სანესჩვეულებო ზეპირსიტყვიერების ისეთი ნიმუშები, რომლებსაც „სავედრებლების“ სახელწოდებით მოიხსენიებენ. ესენია მიმართვითი ხასიათის ლექს-სიმღერები, რომელთა „ობიექტებია როგორც ბუნებრივი მოვლენები (წვიმა, ქარი, თოვლი), ისე მნათობები (მზე, მთვარე, ვარსკვლავები), ცხოველები, ფრინველები, მწერები“ (ზანდუკელი, 1969:248). ეროვნული ფოლკლორული შემოქმედების ეს უბანი არქაულია, ანიმისტური მსოფლმხედველობის ნიაღშია წარმოშობილი და საუკუნეთა მანძილზე უფროსთა რეპერტუარს წარმოადგენდა. თანდათანობით, მას შემდეგ, რაც ამ რიგის ზეპირსიტყვიერებას და მასთან დაკავშირებულ რიტუალებს გამოეცალა თავდაპირველი პრაქტიკულ-მაგიური დანიშნულება, რაც სამეურნეო-აგარარული საქმიანობის მოწესრიგებას, ანუ ამინდის მაგიურ მართვას უკავშირდებოდა, ისინი საბავშვო ფოლკლორმა შეიფარა. ეს ზოგადქართული (და ზოგადკაცობრიულიც) ვითარებაა, რაც სათანადოდ არის დადასტურებული ქართულ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სივრცეში. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ შავშთა მეხსიერებაში შემორჩენილი აგარარულ-მაგიური რიტუალები და მათთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერება ბავშვთა რეპერტუარის კუთვნილება გახდა; ეს სრულიად მოსალოდნელი პროცესია, რადგანაც იმთავითვე ამგვარ რიტუალებში, მოზრდილებთან ერთად, ბავშვებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ. ამგვარი ვითარების დასტურია სოფ. სვირევანში (დუთლუქოა) 52 წლის აიშე ქურთისაგან ჩანერილი მონათხრობი წვიმის გამოსანვევი რიტუალის შესახებ; ამ რიტუალში, ქალბატონ აიშეს თქმით, ბავშვები მონაწილეობენ:

„– ბაღვები ნავლენ, ცოცხ შეკოჭვენ. იქზე რაცხას მუშმღერებენ. იქიდანაც მიცემენ ძალ, ფქვილ, წყალ მიახხმენ ბაღვები, ქი განვიმდესო. განვიმდება“ (ჩაინერა თინა შიოშვილი 2005 წელს).

ამ მწირ მონათხრობში ჩვენს ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ნახევარსაუკუნეს გადაცილებულ სვირევნელ ქალ-

ბატონს ახსოვს, რომ შეკოჭილი ცოცხით კარდაკარ მოსიარულე ბავშვები „იქზე (ბუნებრივია, რომელიმე მოსახლესთან – თ.შ.) რაცხას მუშუმღერებენ“. ამგვარი კომენტარი მთქმელმა მოაყოლა მის მიერვე ნათქვამ შელოცვას („...ნაზარ, ნაზარ, ნაგეზარ...“), რომელიც განვიხილეთ შავშურ სამეურნეო შელოცვათა ანალიზისას და რომელიც ტიპური ზოგადქართული ლაზარობის ტექსტია. მასში, რა თქმა უნდა, გამოთქმულია ვედრება, რომ ღმერთმა წვიმის წყალი გამოიმეტოს. როგორც ირკვევა, ეს ყოველივე ქალბატონი აიშეს მეხსიერებაში შემორჩენილი ბავშვობისდროინდელი რიტუალია; დღევანდელი შავში ბავშვები კარდაკარ აღარ დადიან (ისევე, როგორც სრულიად საქართველოში), აღარ ევედრებიან უფალს მზესა თუ წვიმას; ის კი არა და, უმეტესობამ უკვე ქართული ლაპარაკიც აღარ იცის. მთქმელის მონათხრობის წარსული დროც, სამწუხაროდ, ამაზე მიაჩნდება.

ბავშვთაგან შესარულებლად წარმოგვიდგინა წვიმის გამოსანვევი რიტუალი 18 წლის აგარელმა ჰალიმ სეჩქინმაც:

„– გააკეთებდენ ერთ რამეს, ბაჯალსავეთ შეკაზმავდენ ცოცხ, დაბურავდენ ლაჩაქით, ნავდოდენ იქით-აქეთ, ეტყოდენ: „– ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი!“; მოითხოვდენ ჭადი ფქვილ, წყალ მიასხემდენ, „ამინ“ ეტყოდენ. თელ ალაგ მიიარდენ, ჩასხდებოდენ ერთ ალაგ ბალვები, ჭამდენ: ხავინი, გივრიგი, ქადა, ფშნილა, ძალი... წყალ მიასხემდენ ღარჭებზე, ბალვებზე“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2009 წელს).

ბავშვთა მონაწილეობით შესასრულებელი ამინდის კულტთან დაკავშირებული რიტუალების ხსოვნა მრავლად დავაფიქსირეთ შავშთა ქართულენოვან სოფლებში, რაც კიდევ ერთი ნათელი დასტურია იმისა, რომ ეს ძირძველი ქართული რეგიონი ჯერ კიდევ ერთიანი ქართული სულიერი სივრცის ნაწილია.



სოფ. ზაქითი, 2005 წ.
პროფესორი თინა შიომგელი და მთქმელი აილაფ მაზიჯი

ნაწილი მეორე
შექმენი

შრომის ლექს-სიმღერები

1. თოხნური

1.1.
მე ყანა'ნა მეფაჭა,
სახნინედან ყანაში;
რა იქს, ხვალაც წამოყევ
ნალაზნევეში ჩომაში!

2. წველისა

2.1.
დედოვ, დედოვ, ჩამოყარე!
ზიზილაჲ მოვწველოთ, დედო!
სად ხარ, დედო,
ლამაზო დედო,
გერმელო დედო,
დედოჯან, დედო!

2.2.
აღთუნ ყიზავ, ნენოჯან,
ჩამოყარე, ნენოჯან,
ჩამოყარე!..

2.3.
ნაზლიჯან, ნაზლიჯან,
ჩამოყარე, ანამჯან!
ანამჯან, ჩამოყარე!..

2.4.
ჩამოყარე, ნენოჯან,
ჩამოყარე, სურმელოჯან,
ჩამოყარე ანოფჯან!..

3. თიბვისა

3.1.
ე რა ჰალი ჭალები
დასათიბი'ნა დაგჩეს!
მეჰმური ხოშ არა ხარ,
რაში თვალი'ნა დამჩეს!

კატრიოტული ლირიკა

1

თეთრო მამალო

თეთრო მამალო,
რატომ არ ყვირი?
ლამაზო ქალო,
რატომ არ ტირი?
ჩვენ სახლი კარზე
იყო ნიშანი,
გადაკარგულა
ჩვენი სოფელი.
ბუხრი უკნედან
იყო შეშები,
მოკდენ ბერები,
დარჩნენ ახლები.

2

გალმა სერში ქათმები,
მიმოდევიან ზერები.
ახალათ'და დევიწყოთ
გურჯიჯა სიმღერები.

3

საკუპრიაზე – ხარებიო,
ქვაკიბეში – ღარებიო.
ჩვენ თქვენთან გამოსლა გვინდა,
არა გვაქ კი ფარებიო.

4

– სადევრი?
– ბაზგირელი!

236

– მოდი ჩამართვი ჴელი!
სიცოცხლეში ვიართ
ჯანჯირი-ბაზგირეთი!

5

დაბა და დევიეთი,
ზემოდამ ზაქიეთი.
ორი დღე აღარა ვარ,
მომსურდა ბაზგირეთი!

6

დაბა და დევიეთი,
ზემოდამ ზაქიეთი.
ორი დღე აღარა ვარ,
მომსურდა ვარდიეთი!

7

აველ ნაციხვარაზე,
გამოჩნდა ჩაქვიეთი.
ე რავად გული მენვის –
დანვილა ბელტიეთი!

8

მალლა სერში ჩიტები,
დაყარონ'ნა შვილები.
ამ სიმღერას იტყვიან,
ჩვენი ბიზაშვილები.

სატრფიალო პოეზია

1

ეპლოჯან

ღელეს იქით ჯვალაია,
ეპლოჯან, ეპლოჯან!

ის ვერ ემიტანია,
ის ვერ ემიტანია!

შენ რომ სხვას ეყურები,
ეპლოჯან, ეპლოჯან,

ის ვერ გემიტანია,
ის ვერ გემიტანია,

ეპლოჯან, ეპლოჯან!
სახლი'ნა გავაკეთო,

გავთალო'ნა დოკანი,
გავთალო'ნა დოკანი.

არ გეგეზარდა, დედავ,
ეპლოჯან, ეპლოჯან,

დეგენვა'ნა აკვანი,
დეგენვა'ნა აკვანი!

ეპლოჯან, ეპლოჯან!
ზემოდან ჩამოძარე,

ზემოდან ჩამოძარე,
ეპლოჯან, ეპლოჯან,

ვერ ვიპუე შენთანა,
ეპლოჯან, ეპლოჯან!

ე დუნია მევიარე,
ე დუნია მევიარე,

ვერ ვიპუე შენთანა,
ეპლოჯან, ეპლოჯან!

ე დუნია მევიარე,

ე დუნია მევიარე,

ვერ ვიპოუე შენთანა,

ეპლოჯან, ეპლოჯან!

2

გაღმა ფერდში თიკნები,
ვეწლები და ვიქნები.

შენ რომ სხვას უყურები,
ვიტირეფ და ვიქნები.

3

ატინის სერებზე

ვერაგინ ვერ ახტება;

მე რომ შენ დიგინახავ,

საჯენნეთო გახდება.

4

გადი ყანი დარეზე,

გადი-გამოფ, მიყურე;

ე რა ზალუმი იყავ,

ღღისით-ღამით მატირე.

5

გაველ გურთუკლი სერზე,

დავჟდე'ნა წითელ ქვაზე,

მოდო, გოგოვ, ვიაროთ

ჯანჯირში კლავი-კლავზე.

6
გალმა ფერდში ვაჩაგი,
არ ხარ ფენა ქორეგი.
სახში რომ არ იქნები,
კარში დადევ ლაჩაგი.

7
საფექროში დგიმები,
შენი თეთრი კბილები;
გეფცინე, დეგინახო,
უბეში შეგინახო.

8
ჩარში ფრინავს კუკული,
რაზე ხარ გაბუკული?
გეფცინე, დეგინახო,
უბეში შეგინახო!

9
გეფცინო, დიგინახო,
უბეში შიგინახო!
გემეპარე კარიდან,
აჯაფ, სა დიგინახო!

10
გოგლი, გოგლი, გოგოჯან!
გეფცინე, დიგინახო,
მარანში შიგინახო!

11
ეჰლოჯან, ეჰლოჯან,
ორ ზიგარას ნუუკიდე,

ერთი შენ სვი, ერთი – მე;
ორთავე დანვილი ვართ,
ერთი შენ თქვი, ერთი – მე.

12
გალმა სერში თეთრი ქვა,
დავყევ ჴელი, არ ამყვა.
ე ბათაჯალი სევდა,
საცხა წეველ, იქ წამყვა.

13
გალმა სერში თეთრი ქვა,
დავყევ ხელი, არ ამყვა.
ეს ჩემი სიყვარული
საცხა წეველ, იქ წამყვა.

14
ფენჯერეზე ორი ქუა,
ჴელი დავჰკარ, არ ამყუა.
ე გამოვსილი სევდა,
საცხა წეველ, წამომყუა.

15
ლეღეს მიაქ ნაფოტი,
კატრის ჩამონათალი;
მოფ, ლამაზო, მითხარი
ფარის ჩამონათვალი.

16
ნარდანინა
ნარდანინა, ნინაფნა,
ნარდანინა, ნინაფნა,

ნარდანიანა, ნინაანა,
 ნარდანიანა, ნინაანა,
 დელეს მუაქ ნაფოტი,
 ალვის ჩამონათალი.
 შედეგ, დელეგ, მითხარი,
 დარის შემონათვალი.
 ნარდანიანა, ნინაანა,
 ნარდანიანა, ნინაანა,
 ნარდანიანა, ნინაანა,
 ნარდანიანა, ნინაანა...

17

ხეზე აველ უვლო,
 ვერ ჩამუელ უფეხო;
 რატომ დიდი შემეყვარდი,
 ვერ დავდგები უშენოთ!

18

ჩვენ ჯანჯირის აღმართში,
 სამ საათზე ვერ ევალ;
 დავწვები შავ მინაში,
 მე შენიდან ვერ გევალ!

19

ჩვენ ჯანჯირის შუაში
 ცივი წყალი ამოდის.
 დარ, შენი ნათქვამები
 გულიდან არ ამოდის.

20

ამოსულ ბალახ-ბულახში
 ამოსულიყო ეკალი.

ამეზლამ შენთან მოვდივარ,
 ერთათ'და ვჭამოთ ქათამი.

21

მინდორში, ბალახ-ბულახში
 ამოსულიყო ეკალი.
 ამეზლამ შენთან მოვდივარ,
 ერთათ'და ვტეხოთ კაკალი.

22

მინდორში, ბალახ-ბულახში,
 ამოსულიყო იაო.
 ამეზლამ შენთან მოვდივარ,
 კარი დატოვე ღიაო.

23

ატინის უკნედან
 გაყოლაა მალრები.
 ამეზლამ თქვენთან მუალ,
 არ დუყყარო კარები.

24

ტაფაზე დავდე დალი,
 ე რა ფენა დემენვა!
 სერი რომ გედეიარე,
 ე რა გული დემენვა!

25

ჩოხა გეიხადე, ჩოხა,
 დელეგი მოგიხდება.
 ერთი შენი დანახვა
 ჯენნეთი გემიხდება.

26

ზივიანი ლაჩაგი
რა ლამაზათ გიხდება!
შენი ერთი დანახვა
ჯენნეთი გემიხდება.

27

მერეთა, მაჭახელი,
გოგო, რა გაქ სახელი?
გუშინ რო დეგინახე,
ვერ ვიძინე წუხელი.

28

ნაფუზარში სიმინდი
კონწალ-კონწალ კიდია;
უშენ ღამიებში
სულ ვერ დემიზინია.

29

დილაჲ გამუეღ კარზე,
მიხვიდოდი თი გზაზე.
რა ფენა გიხდებოდა
თეთრი ელბისე ტანზე!

30

ტაფა მოიტანეთ, ტაფა,
მოადულო'ნა ფაფა!
რა ლამაზათ გიხდება
შენ ტანზე თეთრი კაბა!

31

ზემოთ-ზემოთ ნუ მიხვალ,
ქომოთ ჩამოარდები!

240

მემრე შენ, შეყვარულო,
ხელში ჩიმივარდები!

32

ზემოთ-ზემოთ ნუ ახვალ,
ჩატეხილში გედეარ!
არ აჰყვე დუშმანი სიტყვას,
შენაც ჩემიდან გეარ!

33

ატეხილში ნუ ახვალ,
რუსიეში გედეარ;
არ აჰყვე დუშმნის სიტყვას,
მემრე ჩემიდან გეარ!

34

სახახვიას ფერდები,
საკუპრიას გვერდები;
არ გეარო, გოგოჯან,
გეარ, დიმიგორდები!

35

ნაფუნევი ზემოდან
ატიანი დუზია;
ე ჩემი ნაზლი არი,
ბითევზე ლამაზია.

36

ნაფუნევის ზედედან
ატიანი დუზია;
ი ჩემი საყვარელი
ბითევზე ლამაზია.

37

ბაზგირეთის უკნედან
საზგირელი დუზია;
ერთი გოგო დევნახე,
ბითევზე ლამაზია.

38

გაღმა სერში ქათამი
დამჟდარა და კაკანობს.
მე შენ რომ დიგინახავ,
გულში გამაკანკალებს.

39

გაღმა სერში ქათამი
მივა და მიკაკანებს.
მე რომ შენ დიგინახავ,
გულში გამაკანკალებს.

40

გაღმა სერში თიკანი,
გამოღმა მოკაკანებს.
ერთი შენ დიგინახავ,
გულში გამაკანკალებს.

41

აველ საზგირელაზე,
გავგორდი, დემეზინა;
ერთ გოგომა გეღარა,
მაშინ გამომელვიდა.

42

ჯანჯირის ბანრებიდან
გეღარ, გახვალ ზიარეთ.

სულ აღარ მავინყდება,
ჩვენ რომ ერთად ვიარეთ.

43

ჩვენ ჯანჯირი შუაზე
პანა ცეცხლი ავანთე.
ჯანჯირში რომ ჩამოხვალ,
ჩამოხველ, მომანათე!

44

ჩვენ ჯანჯირი შუაზე
ცივი წყალი ამოდის.
ქიზ შენი პასუხები
გულიდან არ ამოდის.

45

თაზე მივალ, კორდებზე
ფეხები'ნა დევხოცო.
ერთი მენდელი მომე,
ცრემლები'ნა მეფხოცო!

46

წისქვილ პური დავაყარე,
სარეკელაჲ უხდებოდა.
მე რომ იმ ლამაზზე არ მეკოცნა,
მერაყისგან მოკტებოდა.

47

ღელე-ღელე მივდოდი,
ღელე ბალახიანი.
ერთი გოგო დევნახე
ზუზუტალახიანი.

48

წვიმა წვიმს და ნამი არა,
სულ კაბაში გიმიარა.
ღელე-ღელე გავიარე,
ღელე ბალახიანი,
ერთი გოგო დევიანახე,
წელი წმინდა, თმიანი.

49

სახტომელას უკნედან
გაყოლაა კატრები.
ერთი გოგო დევენახე,
არ არიან ბაჭლები.

50

სახტომელას უკნედან
გაყოლაა კატრები.
ე რა ჰალი ვიმღერე,
არ არიან ბაჭლები.

51

გაღმა სერში გელები,
მიმოდევიან ზერები.
რა იქს, მეც მომიქსუე,
ერთი გვეკონდეს ჭრელები!

52

ვაკეთ უკან დელები,
რა ლამაზი დედეგი!
გოგოვ, მეც მომიქსუე,
ერთი გვეკონდეს ჭრელები!

53

თაზე მიმყავს ორი ხბო,
იქით-აქეთ მექცევა.
მე რომ შენ დეგინახავ,
თვალი შენკენ მექცევა.

54

შენ რომ მომაგონდები,
გევხრუკვი და გევლანძვი,
მივალ ნეკრი საკაფვად,
დავკაფო'ნა ცხემლები;
შენ რომ მომაგონდები,
მომდინდება ცრემლები.

55

სოჭი ძირში გევიარე,
ლამაზავდა თლათ წინვი.
ის ანჯახ ღმერთმა იცის,
მე რომენ შენთვინ ვინვი.

56

საყევარას ფერდები,
საკუპრიას გვერდები...
მე რომ შენ დეგინახავ,
ჰერ აღარ დავბერდები.

57

სახახვიას ფერდები
ნისლებით დახვევლია;
ჩემი დარალი გული
ბანდებით შეხვევლია.

58

მაღლა-მაღლა მიფრინავს,
ყვავია თუ ყორანი?
ჩემი ხარი მოსულა,
ტყვილია თუ მართალი?

59

ტანტრაბაზე ხელ ვიბან,
გადავარდა საპონი.
მე და შენ გაგვარჩიან, –
გადარეველა ბატონი.

60

ახლა მუალ ბარიდან,
რას მიყურებ კარიდან!
დანვილი ვარ გულიდან,
არ მეტყობა გარედან.

61

ერთი ლექსი ჩამოვწეროთ
ამდენ ხალხის ზეგნიდანა.
დანვილი ვარ შიგნიდანა,
არ მეტყობა გარედანა.

62

ჩვეიცვი მატყლი წინდა,
ქვეშიდან ფეხებ გახრავს;
ი ჩემი საყვარელი
ბზეამოსულ თვარეს გავს.

63

თაზე მივდოდი, თაზე,
ევიარე ჭალებში.

რა ლამაზათ მიყურეფ,
გენაცვლე თვალებში!

64

თაზე მივდოდი, თაზე,
მოვხედე, დეგინახე.
ერთი ქადა შევჭამე,
ერთი შენ შიგინახე.

65

გაველ ყანი დირეზე,
მოჩოჩდა'ნა ჩავარგო.
შენ სოფ ლამაზი გოგო
მე რა სოფ'ნა გავაგდო?

66

ინანმინდას ცხვარი ძოვს,
იმან რაფ'ნა მეფწველოს?
შენ გაღმით, მე – გამოღმით,
გულმა რავად მეფსვენოს?

67

გავიდე'ნა ტყიაში,
მევიტანო ზეხმელი.
ერთი გოგო დევნახე,
ტანსუქანი, პირხმელი.

68

ხელგაშლილაჲ გაშლილა,
სამა არ დაგიშლია.
გოგო, რავად გიხდება
სამა და ხელგაშლილაჲ!

69

ე დუნია, ლამაზო,
ტყვილია და იცოდე.
ე რა ზალუმი იყავ,
ერთ რამე შემიცოდე!

70

აკვანასი ფერდები,
კარეთისა გვერდები.
შენ გავლილ ალაგებზე
გევიარ, მომავონდები.

71

სახახვიას ფერდები,
საკუპრიას გვერდები.
ჩვენ რომ ერთ ხუიზე არ ვართ,
ჩვენ რა სოდ შევფერდებით?

72

ფოთინების ბუკები,
მოხვალ – ჩეგეხუტები,
ნახვალ – გეგეხუტები.

73

ართვინის ახალ გზაში
მე დეშილ ტაქსით მუალ.
არ იტირო, ლამაზო,
წავალ და ისევ მუალ.
ავაყუდე მესარი,
ჩემი სიტყვა ეს არი.

74

ფეხზე ჩევიცვი ფოთინი,
ოდნავ წამოდებული.
ამეზლამ დევიზინოთ
წელი ჩამოდებული.

75

ჯანჯირის ახალ გზაში
სამი თანე ვირაჟი;
იმგუარ დერდში ჩამაგდე,
ვერა ვნახე ილაჯი.

76

ვაკეთკენ მიმავალი
ქვაზე ფეხი წამოვკარ;
უკნესკენ მინავალი
ჩემ დარ თვალი წამოვკარ.

77

ღელე-ღელე ევიარე,
ტურები გამოვყარე;
გუზელებიც დევნახე,
დუქები ჩამოვყარე.

78

გევევარე-გამევევარე,
ზემოდან ჩამევევარე;
ვერ ვიპუე შენთანად,
ე დუნია მევევარე.

79

გაღმა სერში ნაზვი დგას,
ნაზვი შიგან წყალი დგას.
ჩემ კარზე რომ გეძარე,
ჰალა თვალელებში დგას.

80

ნაძვი ძირში წინვები,
დილაზე ნუ იწვები;
ადექ და გამომხედე,
ყოლდღე იგზე ვინვები!

81

გაღმა ფერდში ნაზვია,
რა ფენა აწვილია!
მოა, ჩემ გულში ჩამხედეთ,
რა ფენა დაწვილია.

82

ციყელიზირ კლდი ძირში
მივჯექ ერთ ნაძვი ძირში;
ჩემი ღარი დევნახე
გუშინდელ გერმელ ძილში.

83

აველ საბუზარაზე,
მიმევიარე, მოვბრუნდი.
არ იტირო, ლამაზო,
შენიდან გადავბრუნდი.

84

აველ სანიოვლი თავზე,
მივბრუნდი, მოვბრუნდები.

საცხა ლამაზ დეინახავ,
შენ იქ გადაბრუნდები.

85

მზემა მამადგა, დამცხა,
ევიარე, აველ თავზე,
მიმევიარე აილუბში,
შორედან დიგინახე,
მომაფრინდა თვალელებში.

86

ყალედან ჩამევიარე,
შენ კარზე გამევიარე.
შენ კარზე ქი გევიარე,
რატომ ვერ დიმიწახე?!

87

ყვავემან კვერცხი ჩამააგდო,
ჰამან ბუკზე მამაგდო.
შენითანაჲ ლამაზი
აქ რავაა'ნა გაგაგდო.

88

გაღმა ჯარი გავდენე
დაბალი და ქიანი;
ერთი გოგო შევყვარე
ლამაზი და თმიანი.

89

ჩაფულები დიმიცდა,
ოთუზ სექიზ ნუბარა.
ამეზლამ შენთან მუალ,
არ'და მიყო ღუბარა!

90
 ჭყლიყემოჲ, მევლუდემოჲ,
 შავ ტყეშია გელი ბუდე,
 მოდი, ქალო, ჩემეხუტე!

91
 ჭალა მოვთიბე, ჭალა,
 დამჩენოდა ნაპირი.

საყვარელო, რად გინდა,
 დამჟღარხარ და რას ტირი?

92
 მე რო ხალი მოვქსოე,
 ნახიშები ჩავყარე.
 ი შენი მექთუფები
 თლათ კარგი გადავყარე.



სოფ. ივეთი, 2005 წ.
 პროფესორები – მერი ცინცაძე, თინა შიოშვილი,
 მამია ფალავა და მალხაზ ჩონარაძე – ივეთელლებთან

საქორნილო ლექს-სიმღერები

1

საათი მევბი კლავზე,
აველ საზგირელაზე.
იქიდან გადმოგხედე,
გამოგარჩიე კარზე.

2

თაზე მივდოდი, თაზე,
აველ მალალ წყაროზე,
იქიდან გადმოგხედე,
გამოგარჩიე კარზე.

3

ღელე-ღელე ევიარე,
ღელეში ჩამევიარე.
მე შენ აღარდა მოგყვე,
მე შენიდან გევიარე!

4

აველ კოთელა სერზე,
გადავხედე მერე თას.
შენ ჩემი ნესიბი ხარ,
ჩავახედე მითხეთას.

5

მინდოფონის ძროხები
გავდენე, აღარ მოიდენ.
ამელამ სიტყვა მოგე,
თქვენი ჩვენსა არ მოიდენ!

6

სახლუკნედამ ტყიმალი,
ეგ ბაჯალა ვინ არი?
ეგ ბაჯალა ვისია?
არ ნამამყვება? რაჲ უნდა?

7

თაზე მივდოდი, თაზე,
ხელში ჩანთა მიჭირავს;
ათი წელიწადია,
შენზე თვალი მიჭირავს.

8

გალმით სერში ყვავია,
ყვავია თუ ყართალი?
შენი თხოვნა მნადია,
ტყვილია თუ მართალი?

9

გალმა სერში აკრიაო,
დასახლება მაკლიაო.
ლამაზი ხარ, გოგოჯან,
შენც გათხოვნა გაკლიაო.

10

კატარ შეხედე, კატარ,
ნაზარდი მუუცემია.
შენ სოჲ ლამაზი გოგო
ღმერთ ჩემთინ გუუჩენია.

11

– ე ლამაზი დუნია,
წყალი მასვი, მწყურია!
– წყალ გასვამ, შერბეთ – არა!
– მე შენ გითხოვ, სხვას – არა!

12

ე რა მე ბალი მინდა,
გრილოს წყალი მინდა.
შორედან რო მიყურეფ,
ჩემ ანას ზალი უნდა!

13

წამამყევ, ჯანო, წამამყევ,
არ წამამყვები? რა გინდა?
წამამყევ, ჯანო, წამამყევ,
არ წამამყვები? რა გინდა?
თორმეტ ალთუნ ეგილებ,
ლაილონ წინდებ ჩაგაცვამ.
თორმეტ ალთუნ ეგილებ,
ლაილონ წინდებ ჩაგაცვამ...

14

ელია, ავრუმ ელია,
ე რა წმინდა წელია!
სამი წელიწადია,
დასახლება მწადია.

15

მოყორილში წვიმა წვიმს,
დიობანში დარია.
სამი წელიწადია,
დასახლება მწადია.

16

გალმა სერში ქათამი
მოჰკაკანებს აქეთ.
ოთხი წელიწადია,
შენზე თვალი მჭერი.

17

შავ ფოშეთში ბალი მაქ,
გოგოვ, შენზე თვალი მაქ.
წიყვანეს, გემითხუეს,
რა ფისი იყბალი მაქ!

18

შავ ფოშეთში ბალი მაქ,
გოგოვ, შენზე თვალი მაქ.
შენ ანამა შემიტყვა,
რა ბეთი იყბალი გვაქ!

19

ვითხოუნა შიმშანი,
არ გიმხდე ფიმშანი!
გიმხდები ფიმშანი,
გიგხდები დუშმანი!

20

ვითხოუნა შიმშანი,
არ გიმხდე ფიმშანი!
შენაც მე თუ არ მომყევ,
გიგხდები დუშმანი!

21

გალმა სერში ქათამი
მუა და მოკაკანობს.

შენ ქი მე არ მომყვე,
გულში გამაკანკალებს.

22
ართვინის ახალ გზიდან
ფეშელი ტაქსი მუა.
შენ რო მე არ მომყვები,
ყიამეთი მაშინ მუა.

23
აველ საზგირელაზე,
ერთი დავაკიჟინე.
მე რომ შენ არ'ნა წამოგყვე,
აქ რალა დემეჟინე!

24
ცეცხლი ძირში რომ დავჯექ,
დავჯექ და ველარ გავთბი.
არ'ნა ვითხოუო, გითქვამს,
ეგ პასუხი რავად თქვი!

25
ე რა ფუხრად გევიზდი,
ლობიო შორვა დევისხი.
შენ რო მე არ მითხოუე,
შევალ ცეცხლში, დევიწვი!

26
კარდალაში უმი ზე,
კიდონ ამუელ თაზე.
შენ რო მე არ მომყვები,
დავჟდები მე წყევლაზე!

27
ავდექ, ჩაველ ახორში,
დავჯექ ზროხის წველაზე;
შენ რო მე არ მითხოუო,
დავჟდები მე წყევლაზე!

28
აველ გორი წვერაზე,
დავჯექ დაზი წერვაზე;
შენ ქი მე არ მომყვე,
დავჯექ შენთან წყევლაზე!

29
თაზე მიმყავს ორი ხბო,
იქეთ-აქეთ მექცევა.
მე შენ რო ვერ გითხოუო,
შავი დღე მემექცევა!

30
ქუაბიყელ გადმოღმაზე
ლომიენტ წისქვილია.
შენ ქი მე არ მითხოუო,
ლოცვა-კითხვა ცუდია!

31
ნაცარა თის ზემოდან
აჭახული შეშები.
შენ თუ მე არ მომყვები,
მიგიდინდეს ლეშები!

32
გალმა ფერდში თიკნები,
ვიცინებ და ვიქნები.

შენ რო მე არ ნემიყვან,
ვიტირებ და ვიქნები.

33

მე ლუქუსი ავანთე,
მატყლი'და ვაჩეჩიო.
შენ რომ მე არ მითხოვო,
ზმას'და გავათქლემიო!

34

ჩვენ კარიდან გევხედე,
ჭეჭლოს დაზმა კიდია.
ჭეჭლოს თუ არ მომცემენ,
ლოცვა-კითხვა ცუდია.

35

ჭეჭლოაო კანჭალა,
მივალ ქედი კარჭალას.
ჭეჭლოჲ რო მე არ მომცენ,
რა'ნა ვქნა ყანა-ჭალას?!

36

თაზე მივალ, თი გზაში,
შარაბი მაქ ჩანთაში.
თვალნაჭირი გიმითხუეს,
აღარა ვარ ჭკუაში!

37

ბარში მივდოდი, ბარში,
ერბო დამჩა მარანში.
ნათქვამსაც რომ ვერ ითხოვ,
დაბერდეს უნდა სახში.

250

38

ავაყუდე მესარი,
ჩვენი მღერა ეს არი.
ნათქვამსაც რომ ვერ ითხოვს,
საცოდავი ის არი!

39

ჩვენ კარიდან გავხედე,
ქარიშხალი მუაო.
ჭეჭლოს თუ არ მომცემენ,
ახლიშანი მუაო!

40

სახლუკნედამ მესარი,
ჩემი სიტყვა ეს არი.
ნათქვამსაც რომ ვერ ითხოვს,
დიდი დერდიც ის არი!

41

კუტალეთის წინედამ
დაჩიეთ წისქვილია.
ვინცხა ნათქვამ ვერ ითხოვს,
უეჯლო სიკვდილია!

42

ჭალა მოვთიბე, ჭალა,
დამჩენოდა ნაპირი.
გითხუე და არ მომყევ,
დამჟდარხარ და რას ტირი?!

43

ბაზგირეთ მინავალი
ფეხი წამოვკარ ქვაზე.

გითხუვე და არ ქენე,
იყავ, ირტყი ყაფაზე!

44
გალმა სერზე ტყიმალი
კონნალ-კონნალ კიღია.
შენ ქი მე მამყვები,
ზუქოდ გადაგკიღია.

45
გალმა სერში ტყიმალი
კონნალ-კონნალ კიღია.
იმ ბაჯალას უთხარი,
მე ნუ ჩამომკიღია!

46
ართვინი ახალ გზაზე
ფეშელი კამიონი.
ი ბაჯალა თუ გინდა,
დახარჯე მილიონი!

47
ბაზგირეთის უკნედან
ბათუმის ჰუდუღია.
ადექ, ნამომყევ, გოგოვ,
ბაზგირეთ დუგუნია!

48
ჩივისხეური ბალი
რა ლამაზათ მოსულა.
ი ჩემი საყვარელი
დუგუნში არ მოსულა!

49
ტყეში ჩაძრა კუკული,
რატომ ხარ გაბუკული?
მე და შენ რომ შევყრებით,
მაშინ'ნა ვქნათ დუგუნი.

50
სობაზე დავდგი გუგუმი,
დათვმა დეინყო ბუბუნი;
მე და შენ რო შევყრებით,
მაშინ'ნა ვქნათ დუგუნი.

51
გალმა სერში ხმელი ხე,
იქში კვერცხი დუუდიან.
გოდა მენა მითხოს,
ოქრუები უუღია.

52
უბედური მაითო აბლაჲ,
მეიყვანა თოფალი ფატყუჲ.
დილა-სალამ იქ იარა,
დეინიშნა დოდოფალი.
ნიშნად ბეჭედი მუუტანა,
ბეჭედ ქონდა ლურჯი თვალი...
– შე მუხსინევ, შე პირშავო,
რა უყავ ჩემი დოდოფალი?
– დილას ავდექ, შინ არ იყო,
მე რა ვიცი ი ზუნკალი!
– ტყუილ-ტყუილა ნულარ ფიცავ,
შე სომეხო, შე ფოშაო!
– ნუხელ დილამდე ვიტირე,

ლუთფოს კითხეთ ჩემი ჰალი...

– ფაიყარა, რალას ზიხარ
თბილ ოდაში, სობი ძირში!
ამ ზამთარმაც გეგიბჯინა
გოჩოლლებში გოგოები.
ზედმეტად ხარჯი წოუვიდენ
ერთი კოდი წმინდა პური.
დილას ადგნენ გოჩოლლებმა,
ვერ იშუეს ყიოს კვალი.
ერთმანეთში წეიბზგვანენ,
მოსაკლავია შაქროდს ქალი!
– შე მუხსინევ, შე პირშავო,
რა უყავი დოდოფალი?
ტყუილ-ტყუილა ნულარ ფიცავ,
შენ გახადე პეტრას ქალი!

53

ჩაფულები დემიფსდა,
ახლა ვინ'ნა ემილოს?
ამეზლამ'ნა გევიტყე,
კარი ვინ'ნა გემილოს?

54

– დოდოფალი მოხყავანო,
საჩუქვარი რა ხყავანო?
– მუნიანი თხა ხყავანო,
სიძე თოფალი ხყავანო.

55

– დოდოფალი მოყავანო,
საჩუქარი რა ყავანო?
– ფორდამელა თხა ყავანო,
ნეფე თოფალი ყავანო.

252

56

– დოდოფალი მოქყავან,
ნეფე თოფალი ქყავან.
– საჩუქარი რა ყავანო?
– ერთი თოფალი თხა გყავანო.

57

– დოდოფალი მოჰყავანო,
– საჩუქვარი რა ჰყავანო?
– ერთი თეთრი თხა ჰყავანო

58

– დოდოფალი მოყავანო,
– საჩუქარი რა ყავანო?
– დასაკლელი თხა ყავანო.

59

– დოდოფალი მოყავან,
საჩუქვარი რა ჰყავან?
– ერთი ქოლოდ თხა ჰყავან,
ნეფეც თოფალი ჰყავან.

60

ჰაჲ, დერელა, დერელა,
აინალი ფენჯერელა.
დოდოფალი მოყავან,
საჩუქარა რა ყავან?

61

მოლა, მოლა,
ფენგა გელსინო,
ფემეგი ვჭამოთ,

ყართოფი ვჭამოთ,
ყათმერი ვჭამოთ!

62

გამეფარე, ზალო, გამეფარე!
მამამთილი ბაბოა,
დედამთილი ანაა,
მაზლი ზმა არი,
მული და არი!

63

ძალი მოყავან ნაზედიერ,
სახლი დაგოს თოზედიერ,
დედამთილის უკანა სოზედიერ.

64

– დოდოფალო, მოდი,
სახლი დაგავე!
არ აათოზო,
დედამთილით პასუხი არა ქნა!

65

ვოსა, ვოსა, ვოდელია ნანა,
ხუთი ბაქლავა, ერთი ტოლმა,
ერთი ლივერიც მოიტანეთ!



სოფ. ზაქიეთი, 2005 წ.
 პროფესორები – მერი ცინცაძე და თინა შიოშვილი
 ზაქიეთელ მთქმელებთან (შააზიე აითეჟინი, აილაჲ მაზიჯი)

საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერები

1
დედამთილი – იისა,
მამამთილი – ბიისა,
შილი – შექერ-შხამისა,
მაზლი – ვარდი გულისა,
მული – მუხი კუნძისა.

2
გალმა სერში აკრი ხე,
ერთი თოკი დაგრიხე.
დედამთილი გიყვირებს,
ჰამან კინი მუუგრინე!

3
ღელე-ღელე ჩევიარე,
ვერ ავამსე გუგუმი;
დედამთილი გავაბღეზე,
არ მაჭამა ვახშამი.

4
ბოსტანშია ლობიო,
იმა უნდა ხაშარი.
გამოვსილ დედამთილმა
არ მომართუა ვახშამი.

5
ყანაში დავასევ ხაშარი,
დედამთილმა გამაბღეზა,
არ ვაჭამე ვახშამიო.

6
სახლ უკნედან მორია,
დედამთილი ღორია.

7
სახლუკნედან ბიბრები,
დამყდარან დედაბრები.
– ადექით, დედაბრებო,
გამოგზანეთ ბაჭლები!

8
წყალში მივა დიდი თევზი,
თავს აქანებს, კუდს – არაო.
ახლანდელი ქალიშვილი
სხვას უყურებს, ქმარს – არაო.

9
ე რავაჲ ბუქი მოვდა,
ყავარი'ნა ახადოს.
ვინცხა ჩემ კაც შეხედავ,
ღმერთმა ფელჯი გახადოს!

10
შამ შალახო, შალახო,
თეთრი კაბა აცვია.
მე შენი კაცი ვნახე,
ე რა ბლაცვი კაცია!

11

ეს აჯარა ღომია,
ჩიქინი ქმარი გყოლიაო.
ის გააგდე და მე მომყევ,
სირცხვილი ნუ გგონიაო!

12

შავი პირი, თეთრი კბილი,
საყვარელო, რატომ ტირი?
მე შენი კაცი დევნახე,
რა ყოფილა – მრეში ვირი!

13

ავდექ, გაველ ბახჩაში,
ვამლ ფურცელი გუუყრია.
სად წევიდა ჩემი ქალი?
სახლი-კარი დუუყრია!

14

გალმა სერში ყვავია,
ყვავია თუ ყორანი?
ჩემი ქალი გათხოვილა,
ტყუილია თუ მართალი?

15

ჭალაში'ნა გევიდე,
ჭბოები'ნა მუასხა.
ჩემ საყვარელ თვალი ცემს,
უზნები'ნა დავასხა.

16

შავ თხამა თიკანი ქნა,
ერთ კვირეზე გაზარდა.

მე შენ დედაზე ვბუცობ,
მაგ სოფ რა სოფ გაგზარდა?!

17

ბაძგირეთი ვის უქია,
მარიობის თვეში უბუქია.

18

ზექერია, ზექერია,
შენი ვამლი შექერია.

19

გოგოვ, გოგოვ, ფაციაო,
წითელი კაბა გაცვიაო.
ერთი გოგო დევნახე,
ბიჭმა წამოაქციაო.

20

ართვინი ახალ გზიდან
წითელ არაბით მივალ.
არ იტირო, ანაჯან,
წავალ და ისევ მოვალ.

21

ამ ბათუმის პარახოტი
ადესიდან ბრუნდებოდა.
ჩვენი მონაგები ფული
გოგოებში რიგდებოდა.

22

აველ კოთელა სერზე,
გადავხედე მერეთას;

მე რომ ბაბაა არა მყავს,
რაი'ნა ვქნა იმგვარი თას?!

23

სიმღერები მღერაში
ე რა მე ხმა ჩემეხრო.
ანა, რაზე გამზარდე,
აკვანშივე მეგეხრო!

24

ველში ავნიე შიში,
დავჰკარგე საქონელში.
იმდენი ქი იკითხე,
რა დახუალ სოხახეში!

25

ყელისერის ზემოდან
ჰარლი მივა, ჰარლი.
მე აქედან წევდე'ნა,
ვატირო'ნა ხალხი.

26

ჰაიდე, წევდეთ მექთებში,
ვანერიოთ დაზები.
მოდი, გუზელ, ვისამოთ,
ვასეიროთ ლამაზები!

27

ქერა, ქერა, ქერენჩა,
თაში ქალი დიმირჩა.
ვუთვალე, არ ჩამოვდა,
გზაში თვალი დიმირჩა.

256

28

მანონი შევაყენე,
ე რა მჯავე გამოდგა!
ბაჯალა მოარჯულე,
ანაა ჯაზი გამოდგა.

29

მანონი შევაყენე,
ე რა ჯავე გამოდგა!
ანაა რომ მუარჯულე,
ბაბაა გონჯი გამოდგა!

30

შამ შალახო, შალახო,
მოგლეჯილო ბალახო.
თეთრი კაბა გაცვია,
გოგოვ, არ გაატალახო!

31

შამ შალახო, შალახო,
მოგლეჯილო ბალახო.
მეგ ბაჯალა სა მიგყავს,
მეგენიო, გაგლახო!

32

ჰაიდე, წევდეთ ბათუმში,
იქ ვიყიდოთ შუშე, კინა.
იმ დავსილთან რატომ იყავ,
წელი-ფერდი აგატკინა!

33

ჰაიდე, წევდეთ ბათუმში,
იქ ვიყიდოთ შუშე-კინა.

იმ კაციდან მე რა მქონდა,
წელი-ფეხი ამატკინა!

34
ჰაადე, ნევდეთ ბათუმში,
იქ ვიყიდოთ შუშები-კინა.
იმ ქალის ერთათ რა მქონდა,
წელი-ფერდი ამატკინა!

35
ციხევ, მოგიკტეს ამშენებელი,
გარედან ქოშა მიმშენებელი!

36
ვევიარე: „– სა იყავ?“
ჩამევიარე: „– სა მიხვალ?“
არ ველოდი შენიდან,
უკანახან არ მიყავ?!

37
სახლუკნედან საშეშე,
მე შენზე'ნა გავლემდე.
დიგიქორდეს თვალები,
ტყვილ დუნიაში მომჩეჩე!

38
ხეზე აველ უფევოთ,
ვერ ჩამუელ უჯელოთ.
დეგიქორდეს თვალები,
ტყვილ დუნიაში მომჩეჩე!

39
სადგირელის უკნედან
მიბრუნდები, მობრუნდები.
საცხან ლამაზს დენახავ,
შენ იქ გადაბრუნდები.

40
დილას ნაველი ტყეში,
მევტანე მერულიო.
შენი ქმარიც დვენახე,
შალვარი აქ ბერულიო.

41
გალმა კუთხე კატარი,
ძირში ცეცხლი ენთობა.
ნუ მიმტყუნებ, ჩემო ტადავ,
ფუშში ცეცხლი მენთობა.

42
ვამე, ჩემო მიმინავო,
ნიინიი, ჰოორირამა!
ფაციავ, ჩემო შირინავ,
ნიინიი, ჰოორირამა!
მირალად რომ გამაგზავნე,
ნიინიი, ჰოორირამა!
მითხარ, როგორ ვიზინოვო?!
ნიინიი, ჰოორირამა!

43
ბეთონის სახლი აქვან,
შიგან ფეჯ ვერ შიადგამ.

მე ვისმეს არ ვუყურეფ,
ნუსხაფზე ჴელ დავადგამ.

44

მოფთ, მულეფო, დაჯექით,
სინში შიგან ტათლი მაქ.
მე თქვენ ანას ყოლდეფ ვსცემ,
კიდონ თქვენი ხათრი მაქ.

45

მე ლენჩბერ ვერ მივყვები,
დილაზე ჴარ ვერ დუუდეფ.
მეჰმური თელზე კაფა,
ჭლიკი ჭლიკზე გადავდეფ.

46

გევეარე ბანარ-ბანარ,
მეგენიე, გაგანარ.
მე რამე არ ვიცოდი,
აქში შენ მე ნამანარ.

47

ქათამი ჭრიახ – ჭრიახ,
მამალი ზერას მიაქ.
ერთი გოგოც დევნახე,
შალვარი ჴელით მიაქ.

48

საზგირელზე – პარეხი,
ქვაკიბეში – ღარეხი.
ჩვენ ეს სიმღერეხი ვთქვით,
ვაცინეთ ეხპაპეხი.

258

49

მოსაქცევი ვაკეზე
გუდუუძახე ხუბუები.
კალოზე გედევხდეფ,
სამობენ გოგოები.

50

თაზე მივდოდი, თაზე,
აველ კაპანთი ნყალზე.
პოლოტიკა არა მაქ
შენ შმორიან ქადაზე.

51

თაზე მივდოდი, თაზე,
აველ კაპანთი ნყალზე.
პოლოტიკა არა მაქ
შენ გაზდილ ბაჴალაზე.

52

ჭალა მოვთიბე, ჭალა,
დამრჩა ქენერში ნველა.
არ მინდა შენი თავი,
სიდან გემიხდი ბელა!

53

ხერტალი რომ გათალე,
რაზე აღარ მოხვენე?
ი ბაჴალა თუ გინდა,
ილოცე, ღმერთ ეხვენე!

54

უსტამისურ გზაში
ორი-სამი ვირაჯი.

რა სოდ სევდა იყო,
ვერ ვიპუე ილაჯი!

55

თაზე მივალ, თი გზაში,
შარაბი მაქ ჩანთაში.
გიყურეფ, გაბლაყუნეფ,
ველარ მოხვალ ჭკუაში!

56

ძივიანი ლაჩაგი
კონნალ-კონნალ კიდია;
ი შენი ჯაზი ანაა
მე ნუ ჩამომკიდია!

57

აილინდა ჩაფულაა
ჯანჯაა ნამოდებული.
დარნე დუშუ, ნი ერსინ?
ჯელი შამოდებული.

58

ერთი სიგარაა მომე
მალთეფის ფაქეთიდამ.
მე ნაზლი არ ვიცნობდი
ყაჰვერენგ ჩაქვეთიდამ.

59

ორი თანე ხოჯა მოვლენ,
გამბანებენ.
იმა უკან თაბუთში ჩამდებენ.
თაბუთი ქვეშ წასაღებაა

შენ ქი მოხვალ.

ნიმიყვანებენ, მეზერში ჩამდებენ;
მიწაა დასაყრელაა
შენ ქი მოხველ.

60

იკითხე, ემინე, იკითხე,
ბელქი ხოჯა გახდები!
მოვიდა რემაზანაა თვე,
თარავ გვალოცე!

61

ბათუმ იქით კახაბერი,
ჩემ ბაბოდან რა ხებერი?

62

ასკერიეს ქვაბები
აანი ჩვენ ბელელსაგებ;
ერთი თავლა მაქვანან
სიტელას აღირსავენ.

63

გაყორილის გვერდებში
ნუ გეიარ, გაგორდები!
წვერზემოდან წამოხველ,
ემჯამი დაბერდები!

64

ისთი სარი ნიკვაში
მარხილები მეელია;
მოგებული ფარები
ბოჯანოდ გამეილია.

65

ამ ყირმალ ეთელეზ
ფაბრიკები აკეთებს;
შენ სევდისგან ავად ხარ,
ვერვინ ვერ გაგაკეთებს!

66

გიყურე, გაბლაყუნე,
უკანახან არ მოჰყე.
დიგიქორდეს თვალები,
ათ ნელინად გატყუე!



სოფ. ჩაქველთა, 2005 წ.
პროფესორი მერი ცინცაძე და მთქმელი დილაგერ აქდეშირი

სასულიერო პოეზია

გურჯი ვაძვი

1. ახლა უნდა ვთქვათ გურჯიჯა ენით,
გამჩენელი დევჯეროთ სულით, გულით,
ვეხვეწნეთ გამჩენელს სულ ყოლა ენით.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
2. კითხვა და ლოცვა მოგვცა მან,
გვასწავლა თელი ჩვენ ფედამბერმან.
ეყურბანოს მას ცოლმა და ქმარმა,
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
3. ამ დუნაში ისე ბევრი'ნა ვიყოთ,
მამა-ძმის საქმე ჰემ'და ვიკითხოთ,
რაცხას რომ გვთხოვს, ხელი ვუსაქმოთ.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
4. ამ დუნაში ჩვენ მოსაფირი ვართ,
პანა ხან უკან მეზერში ნავალთ,
ღმერთის გამჩენელის უზურზე მოვალთ.
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
5. ეს ვახტი არის ახირზამანი,
გათავდა დუნაში კარგი ინსანი,
ენით იძახის, ვარ მუსლიმანი.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

6. ლოცვა და კითხვა დეიკარქა, წევდა,
ცოდვა და მისდა დუნაში წევდა,
ქალმა მაგ კაცის უმფოსი გახდა.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
7. ულოცავი ქალი და კაცი თუ არი,
ძალდი და ღორი მასზე კად არი,
დეხნრუკვის ჯეჰენემში მისი ხელი და გული.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
8. შეიკერავს, თურმე, თული ურუბას,
კიდონ აბარებს საბრლო მის ქმარს,
ასე არ იყოს, წამო, მოგცემ ფასს.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
9. ჰეზრეთი ფადიმე ამ დუნას მოვდა,
ის არის ჩვენი სულ ყველასი დედა,
თილას ურუბით იმ დუნას წევდა.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
10. ჰეზრეთი ფადიმე – დიდი სულთანი,
სულ თელი ქალი მისი ყურბანი,
ფელამბრის გოგო, სული და ჯანი.
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
11. ახლანდელ ქალებ რა ედერდებიან,
ნამეჰრამ კაცებ არ დეერიდებიან,
ქმარის უიზნოთ სოფლებში დარბიან.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
12. ვაჟს გეფონებენ, ბუკვ მაარიდებენ,
სიმღერის გამეერს თავ-პირ დეიჩეხვენ,

- მეფეებენ ცოდვას, სახლებში მოვლენ.
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
13. რაფერ ენყობიან ამ ტყვილ დუნდაში,
არ დარჩა დუქნებში ხასი ყუმაში,
დარჩებიან ტიტველი შავ მინის გულში.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
14. ეზარებიან ლოცვა და სუფთობა,
ზიბილია თავამდე მათი ურუბა,
იმ დუნდას გაყვება მისი გონჯობა.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
15. ვინცხა ამ დუნდას მლოცავი არი,
გეფლება მისთვინ ჯენნეთის კარი,
შეიყრებიან ლამაზათ ცოლი და ქმარი.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
16. სულ ყველას გვიცდის დიდი სიკტილი,
სულის მიცემა არ არის ტყვილი,
მოსწყდება ინსანს გულის კაკალი.
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
17. ეზრაველი მოვა იმ ავატყოფზე,
დაასობს ჩანგალს გულის კაკალზე,
დაასობს თვალებს მაშინ თავანზე.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
18. რათ გინდა დუნდაში კაჲ სმა და ჭამა,
ბავშვი გიტირის, დედა და მამა,

მაშინ'ნა გეიყარონ ქმარმა და ქალმა.
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

19. დეიკარქვის სინათლე, თვალიდან წავა,
ქაფირი შეფთანი ჰემ მაშინ მოვა,
ნესიბი თუ არ გაქ დასინის კითხვა.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
20. გეგონა სიკტილი ზალიან შორათა,
სავსე გაქ ქისა ჰერამ ფარითა,
ცოდვა-მადლი დევნახოთ იმ დუნის თვალითა.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
21. დეფლევა სული თუალში და პირში,
ერთ დღეს ვიქნებით მემრე იმ სახში,
მეორე დღეს გამუალთ ყედიმი კარში.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
22. გაყრა ძნელია ამ დუნდას დედა-მამაზე,
გულის საყვარელ ქოჩორა ბიჭზე,
გასკდება გული ჰამან იმ დროზე.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
23. მეიყრებიან ხალხი, ჯანას ილოცვენ,
ორ-სამჯელ კალოზე შემოგაყენებენ,
მერე მეზარში მიგალაგებენ.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
24. დაგჩება ამ დუნაში სახლი და კარი,
ფარა, საქონელი, რაცხა რომ არი,
მეზარში მოვა მუქერ-მექირი.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

25. წინ-წინ მოგკითხვენ ღმერთ გამჩენელ,
მემრე – მუხამედ, ჩვენ ფელამბერ,
დუნაში მოგებულ ჰელალ და ჰერამ.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
26. თუ წაგყვა მეზარში შენი იმანი,
მოქცილდება მაშინ ქორი შეფთანი,
გახდება მეზარი კად გულისანი.
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
27. ჰეზრეთი ყურანით მეზარში მოვა,
ლამაზ ენგილოს სურეთში შევა,
გაგვასინათლებს, არსათ არ წავა.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
28. თუ არ გაქ იმანი, ჩახვალ მეზარში,
დაგარტყმენ თოფუზს, წახვალ გეზაპში,
არ გაგაქცევენ, წეხვიდე კარში.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
29. არ იქნება დუნაში იმსოღ ლეზაბი,
გახდები მაშინ ცეცხლის ქებაბი,
არ მოვა შენთან შენი ბალნები.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
30. ილოცე, იკითხე, ღმერთი დეიჯერე,
ამ დუნაას ცხელი ცრემლით იტირე,
ჭკვაში მოდი, დუნაში კარგა დეფიქრე.
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

31. რამეთი კდარი სამღბუსებთან,
ყველა დღივ შენიდან მადლ ელიან,
მოკდები, მადლით მეზარში გელიან.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
32. მეფყრებთან მეზარში კდარი შვილები,
თუ გყავს იმ ღუნდას სები ბალნები;
რომ მიხვალ იმათთან, გულში ჩეეკრები.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
33. იმათვინ ამ ღუნდას დეიხრუკა გულმა,
გვარგოს იმ ღუნდას ღმერთ-გამჩენელმა,
მეზარი გიგიხდეს ჯენნეთის კოშკად!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
34. მოვლენ მელაიქები, მოგიკვარებენ,
ჯენნეთის კარებ ჰემ გიგილებენ,
აღარ გაქ შიში მუჟდას გიზამენ.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
35. არის ინსანზე ორ ადგილ შიში,
გეშინოდეს ღმერთიდან ამ ღუნდაში,
გადარჩი დერდიდან შენ იმ ღუნდაში.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
36. არ შეჭამ ჰერამს, ილოცებ ხუთჯერ,
არ შეძულდები დილა-სალამ მეზობელ,
შეიყვარებ მუჰამედს, ჩვენ ფეჟლამბერს.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
37. არ აწყენ დედას, მამას და ხოჯას,
ბითთუმ მუერიდები იმათ ბედვას,

ხიზმეთ თუ უზამ, შენ ეღებ დუვას.
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

38. დედ-მამას შენ თუ კარგა შეხედე,
ღმერთი, ფელამბერი რაზი გახადე,
თუ შამუყვირე, სა'ნა ნეხვიდე?
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
39. ილოცე, ინიეთლე, ქენი ჰაჯობა,
შეიბრალე ამ დუნდას ფუხარა ყველაჲ,
ბითუმ რომ შეხედავ, გახდები კაი.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
40. გული გეისუფთე ღმერთის ჯამეზე,
ნუ მეხასმები ჰემდა ხოჯაზე,
ფელამბერი ვექილია მუსლიმანებზე.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
41. ზექათი, სედეყე მიეცი ფუხარას ყველას,
დაურიგე ლამაზათ თალებეს და მოლლას,
კარქა შეხედე მუსაფირ ყველას!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
42. მადლი, ნასაქმი მოვა თქვენ ხელში,
დადგებით მაშინ მეშერის კარში,
მაშინ გექნება ბევრი თალაში.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
43. დიგიდებენ ცოდვა-მადლის დეფთრებ,
ენერება აქ რაცხა ისაქმე,
გამოაჩენენ სულ თელ დამალულ ცოდვეფ.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

44. ზოგ მისცემენ დეფთერ მარჯვენა ხელში,
იმას უსაქმია მადლი დუნაში,
ჰაზირია მისთვის დერი ჯენნეთში.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
45. ზოგ მისცემენ დეფთერ მარცხენა ხელში,
იმა უსაქმია ცოდვა ამ დუნაში,
ჰაზირია მისთვის დერი ჯენნემში.
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
46. ზოგი ჯეჰენნემს უყურებს, ტირის,
ზოგი ჯენნეთის ქოშკებზე იცინის,
სასწორი დადგმულია ცოდვის და მადლის.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
47. სახლის თახუმი ერთათ მეიყრებიან,
ზოგი შვილი და დედ-მამა ერთათ შეიყრებიან,
ებბედი ისინი ერთათ იქნებიან.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
48. დამწველ-დამხრუკველ ამეფყვანებენ,
ჯენნეთის ზებზებით ტან დაბანებენ,
მადლისდაგვარად ქოშკებზე ავლენ.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
49. ჯენნეთი იცოდე, რაფერი არი:
ერთ კაც ეყოლვის შვიდასი ჰური,
ტკბილათ ცხოვრება და სეფა არი.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
50. მაღალი არიან სელვი ფიდანზე,
ურუბა შეწყობილია მათ ლამაზ ტანზე,

ფერი ანათებს მზეზე და თვარეზე.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

51. იმ დუნის ქალი გალამაზდება,
შვიდასი ჰური დიდი იქნება,
ზალიან კარგია იქ საყვარლობა!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

52. ჯენნეთში ბეთი ზათი არ არი,
გალამაზდება, თუ არი აქ ნაჩარი,
ისტერ ქალი იყვეს, ისტერ ქმარი!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

53. ხანუმი'ნა იყვეს ამ დუნის ქალი,
ემსახურებიან შვიდასი ჰური,
ჩამოადგება ბუკზე ლამაზი ნური.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

54. არ არის ჯენნეთში დერდი და ტკივილი,
ჰემ არ იქნება ვინმეს სიკვდილი,
არ არის სიბერე, ყველაფ – ახალი.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

55. არ არის ლოცვა, არცა ნიეთლობა,
არ არის ჯენნეთში ჰემდა რიდება,
საყვარელია იქ ცოლ-ქმარობა!..
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

56. რაცა რომ არიან ხისიმ-მაყრაბა,
ჯენნეთის ქოშკებზე ერთათ მეფყრება,
ყოველთვის იქ არი ჰემ ჯუმბუშობა.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

57. ჯენნეთში არის ზეების ირმალი,
ერთ სუჯზე მოდის თაფლი და ძალი,
ალთუნი და შუშე არის იბრილი.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
58. ენა ვერ იტყვის ჯენნეთის საფას,
ხელი არ მეფხლება მიხდი, ამ დუნდას!
ჯენნეთი უნდა მეგერ სულ ყველას.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
59. ლოცვა არ გახსოვს სამია თუ ხუთი,
რაფერ'ნა მოგცეს ინსან ჯენნეთი?!
გახსონდეს ყოველთვინ ღმერთი გამჩენელი.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
60. ლოცვებზე'ნა გქონდეს კარგა ხულუსი,
ილოცე ერთჰალ, თუ გაქ გეჩმიში!
გულში'ნა გქონდეს ღმერთიღამ შიში.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
61. ირზი, ნამუსი თუ გაქ დუნდაზე,
ჯენნეთში შეხვალ, ეხვალ ქოშკებზე,
ნამუსიანათ'ნა იყვე ამ დუნდაზე.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
62. ირზი, ნამუსი თუ არ გაქ დუნდაში,
იმ დუნდას შეხვალ ღორის სურეთში,
გამორეზილდები მეშერის მედდანში.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
63. ნაჩარი თუ გაქ ენა და გული,
ნუ გეგეცევა სხვაზე თვალი,

იმ დუნას დეგებევა დიდი კვამლი!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

64. იცოდე იმ დუნას ამ დუნის ჰესაბი,
თავზე გადაგხდება თელი ღეზაბი!
შენ ამ დუნას მეფე ცოდვები.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

65. იცოდე ამ დუნას მადლი და კარგობა,
შენი ქეფია, თუ გინდა გონჯობა,
ბელქი იმ დუნის გაქ იგიტობა.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

66. შენ თუ არ იცი არაფჯა, თურქჩა,
შენ ხოშ გეფონე ვაზი გურჯიჯა!
ვერ იტყვი იმ დუნას, ვერ დევნახე ხოჯა.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

67. ახსი ყედისი თელი დავწერე,
რაცხა რომ გეფონე, თელი დეფჯერე,
ილოცე, იკითხე, ჰემდა ითმინე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

68. წერავი, კითხველი, დამყურებელი,
ღმერთო გოულე ჯენნეთის კარი!
გურჯიჯა ვაზი გათავდა თელი.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

69. ეს ვაზი აგზე დეღლია თელათ,
ათავდა აგზე ყველაქ ქელამათ,
ამ დადევნაზე მეღლეფ სელავათ.
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!

შელოცვა

სამკურნალო შელოცვები

1. გათვალულისა (თვალისა)

1.1.

აპარე პარესა,
ტაპიკი პანტისა.
გასკდეს ავი თვალისა!
შენი თვალი მაცემარსა,
თვალი უხმებოდა,
ხორცი უშრებოდა,
შენთან მშვიდობა და
კარგა ყოფნა!

1.2.

აღელისა, მალელისა,
თვალცემია ქალებისა,
ღარჭებისა, კაცებისა.
ცული ტარი ცულ არგია,
ჩემი კითხვა
ფეგნის ბაწალას არგია!

1.3.

აღელისა, მალელისა,
თვალი გეცა აღემისა!

2. მატავრისა

2.1.

– შე მატავრო, სა მიხვალ?
– ადამიენსა.
– ადამიენსა რა საქმე გაქ?
– ბილი საჭმელად,
ზვალი სახრელად.
– იმისი ანაჲ,
იმისი ბაბოჲ
გელია, დათვია!
არც მოგართვამს ბილსა,
არც მოგართვამს ზვალსა!
წევ მოქონდა შავი გველი,
ავსჭარი, დავსჭარი
შავტარიან დანით,
ჩავყარე დიდ კოჭობში,
ვადულე და ვაქაფქაფე,
გევტანე გაღმა სერზე,
მივეც ქარსა, ნიავსა.
ასეა, ასეა!
სულემანის ბეჭედეა!
ამინ!

3. სირსვილისა

3.1.

სირსვილად ხნევდა ყანასა,
 მიაყრიდა ქვიშასა.
 ჯარ აპეური განყვეტია,
 სირსვილას თავი წამონყვეტია!

4. შეშინებულისა

4.1.

აშინა, მაშინა,
 ღორმა, დათვმა შემაშინა.
 სად ნევდე, სად ნევდე,
 ცალი ხარი მიმელო,
 ენა-პირი შიმეკოჭა!..

5. თიისა (დელისა)

5.1.

იავ, თიავ, წარევ, კუხევ,
 დელი ელინდა,
 მელი მელინდა.
 თიის ქარი რას მელინდა?
 ქეთ-ქეთ ზაღლი ჩამორბოდა
 ფეწნითელი, ბაუჟი,
 შე ურჯულო დელის ქარო,
 უკბინე და გოუშვი,
 საყედიმოთ გოუშვი!
 რას დელევდი ცასავებ,
 რას ბრუნევდი ჯარსავებ!
 ედარე, დეიარე,
 დაალაგდი ქვასავეფ!

5.2.

შავი დელი,
 ნითელი დელი,
 თეთრი დელი,
 წყალი დელი.

სამეურნეო შელოცვები

1. ნისლისა

1.1.

ნისლო, წადი ეიყარე,
 ბზედ გამევდესო!
 ნისლო, ეიყარე, ბზევ, გამოდ!

ნისლო, ეიყარე, ბზევ გამოდ!
 ნისლო, ეიყარე, ბზევ, გამოდ!
 ცხვარ დიგიკლავ, ბზევ, გამოდ!
 შემცივდა, ბზევ, გამოდ!
 კალოზე ყორ დიგიკლავ,
 ბზევ, გამოდ, გამათბე!

1.2.
ნისლო, ნისლო, ეიყარე,
ღელე-ღელე შეფარე!
შენ ქალ ღარჭი ყოლია –
ერთი ქორი, ერთი თოფალი.
დროზე მიხვალ, მოგიჩვენებ,
შენი გოგო შენ დაგჩვენებ!

1.3.
ნისლო, ნისლო, ეიყარე,
ცხრა მზის თვალში გედეიყარე!

1.4.
ნისლო, ნისლო, ეიყარე,
ცხრა მთას იქით გედეიყარე!

1.5.
აქედან წადი, ნისლო!
მე კვერცხი არ მიჭამია.
აქედან წადი, ნისლო!
მე კვერცხი არ მიჭამია.
ვინცხამ ქი ჭამაო,
იქ წადიო,
იმასთან წადიო!
ქუდი გამოაქციეო,
ნისლი გავაქციეო.

1. 6.
ქუდი გამოვაქციე,
ნისლი გავაქციე.
ღმერთოჯან,
ნისლი გააქციე,

ეიყაროს,
ცხრა მთა იქით
გედეიყაროს!

1.7.
ქუდი გამოაქციე,
ნისლი გავაქციეო.

2. მზისა

2.1.
მზე, მზე, გამოდი!
ქატო-მარილ დაგიყრი,
ყორ დიგიკლავ!
თუ ვერ შეჭამე,
მეც დეგეშველები.

3. ნაზარისა (//ლაზარისა (ლაზარობისა)

3.1.
ა.
ნაზარ, ნაზარ, ნაგეზარ,
ნაზარ, ბურდა, ნაგეზარ!
ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი,
შეგვეწყინა მზე და მთვარე!
აამინ!

ბ.
ნაზარ, ნაზარ, ნაგეზარ,
ნაზარ, ბურდა, ნაგეზარ!

ღმერთო, მოგვე ბზე და თვარე,
შეგვეწყინა წვიმა-წყალი!
აამინ!

3.2

ა.
ნაზარ, ნაზარ, ნაგეზარ,
ნაზარ, ბურდა, ნეგეზარ!
კოვზი, კოვზი დალი,
თეფსი, თეფსი ფქვილ იშტა.
მოგვეწყინა ბზე და თვარე,
ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი!

ბ.
ნაზარ, ნაზარ, ნაგეზარ,
ნაზარ, ბურდა, ნეგეზარ!
კოვზი, კოვზი დალი,
თეფსი, თეფსი ფქვილ იშტა.
მოგვეწყინა წვიმა-წყალი,
ღმერთო, მოგვე ბზე და თვარე!

3.3.

ა.
ნაზარ, ნაზარ, ნაგეზარ,
– შემშირე ბაჯი, რად უნდა?
– ერთი საპანი ფქვილი უნდა,
ერთი კოვზი დალი უნდა.
შეგვეწყინა ბზე და თვარე,
ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი!

ბ.
ნაზარ, ნაზარ, ნაგეზარ,
– შემშირე ბაჯი, რად უნდა?

– ერთი საპანი ფქვილი უნდა,
ერთი კოვზი დალი უნდა.
შეგვეწყინა წვიმა წყალი,
ღმერთო, მოგვე ბზე და თვარე!

3.4.

ა.
ღმერთოჯან,
მეგვეწყინა მზე და მთვარე,
ღმერთმა მოგვცეს
წვიმა-წყალი!..

ბ.
ღმერთოჯან,
მეგვეწყინა წვიმა-წყალი,
ღმერთმა მოგვცეს
მზე და თვარე!..

4. ჭიანჭველისა

4.1.
ღარჭის არაში და ბაჯლის არაში
ვინცხა შევა, იმათი ცოდვა
შენ ყიაზე,
ეგერ, თუ ამ ყაფში შეხველ!
სინორზე ვინცხა ერჩოლება,
იმისი ცოდვაც შენ ყიაზე!

წყვილები

ა

- ანტრად გაქციოს!
- არ აღირსოს!
- არ აცოცხლოს!
- არ გაგახაროს!
- არ გაჭამოს!
- არ მოგიყვანოს!
- არ წიგიყვანოს, არ მიგიყვანოს!
- აღარ მიგიყვანოს!

ბ

- გაგაბეჩოს!
- გაგაღეჩოს!
- გამოვსილო!
- გამოვსილი შვილო, ნუ მომდევხარ უკნედან!
- გამოგიტყდეს ე კვალი!
- გელეხის ნესიბი გაგხადოს!
- გელეხმა შეგჭამონ!
- გელმა შეგჭამოს და მომარჩინოს!

დ

- დაგაქოროს!
- დათვი შვილი ხარ!
- დენიზში ჩაგაგდოს!
- დერდში ჩაგაგდოს!
- დიგიქორდეს თვალები!
- დღე დიგილიოს!

ე

– ერმანის შვილო!

ზ

– ზეირი – ზუხუმი გუუხდეს!

თ

– თავი ნამეგენწყვიტოს!

– თქვე მოსკოვიშვილებო!

ი

– იეჰუდის შვილო!

კ

– კაი დღე არ დაგანახვოს!

– კათოლიკი შვილო!

– კარი გამოზრას!

– კინი ამოგივარდა!

ლ

– ლეში მიგიდინდეს!

მ

– მატავრო, ჰა მიხვალ!

– მეზერზე დაგაყარე მინა!

– მემლექეთში არ ჩეგიყვანოს!

– მეხი დეგეცეს!

– მეხი დეგეცეს მაგ თავზე!

– მიგიდინდეს ლეშეზი!

– მინა დაგაყარე შენ!

– მოსვლა არ აღირსოს!

– მოსკოვიშვილო!

– მუდრეგო!

პ

– პირი მიგელოს!

რ

- რა ბელა იყავ ჩვენ თავზე, წამოგინყდეს ე კვალი! – მოხველ და ერთი დღე არ დაგვანახვე!
- რა ჩამომკიდებიხარ, მეზერზე დაგაყაროს მინა ღმერთმა!
- რუსიეში გადაგარბენიოს ღმერთმა, შე კათოლიკი შვილო!

ს

- საცხა გადაგფუნჩხოს!
- საცხა წახვალ, გადაგჩეხოს!
- საცხა წახვალ, გზა-კვალი არ გიგირჩიოს!
- სა ჯეჰენემში წახვალ?
- სიციელი დეგეცეს!
- სომეხის შვილო!

ფ

- ფელჯი გაგხადოს!
- ფუში გიგისკდეს!
- ფუშში ცეცხლი ჩიგივარდეს!

ღ

- ღმერთმა ანტრად გაქციოს!
- ღმერთმა არ აცოცხლოს!
- ღმერთმა არ აღირსოს!
- ღმერთმა არ აჭამოს!
- ღმერთმა არ გაგახაროს!
- ღმერთმა არ გაგზარდოს!
- ღმერთმა არ გაღირსოს!
- ღმერთმა არ გაღირსოს არაფერი!
- ღმერთმა არ მიგიყვანოს!
- ღმერთმა არ მოგიყვანოს მშვიდობით!

- ღმერთმა არაფერი არ გაღირსოს!
- ღმერთმა არემი გიყოს!
- ღმერთმა არ შეგაჭამოს!
- ღმერთმა არ წეგიყვანოს და არ მოგიყვანოს!
- ღმერთმა აქაურობაში არ გარონიოს!
- ღმერთმა აღარ ამოგიყვანოს!
- ღმერთმა აღარ მეიყვანოს!
- ღმერთმა ამ ღელეებიდან არ ამოგიყვანოს!
- ღმერთმა გააბჯინოს, ზიერი-ზუხუმი გუუხდეს ი კვერცხი!
- ღმერთმა გაგაბჯინოს!
- ღმერთმა გაგალეწოს!
- ღმერთმა გაგაპაიკოს!
- ღმერთმა გაგალეწოს, ლეჩებისაეფ გარონიოს!
- ღმერთმა გაგაქოროს!
- ღმერთმა გაგანყნაროს!
- ღმერთმა გაგცვიტოს!
- ღმერთმა გაგხეთქოს, ძროხავ!
- ღმერთმა გამჩენელმა აგაყეფოს!
- ღმერთმა გამჩენელმა გაგაძაღლოს!
- ღმერთმა, გელეებმა შეგჭამონ!
- ღმერთმა გკითხოს!
- ღმერთმა დაგაქოროს!
- ღმერთმა დაგფეხოს!
- ღმერთმა დენიზში ჩააგდოს, მეფულარჭოს!
- ღმერთმა დღე დიგილიოს!
- ღმერთმა ეგ ურუბა გაგხადოს და აქიდან გაგალენოს!
- ღმერთმა ერთი დღე არ დაგანახოს!
- ღმერთმა ზიერი-ზუხუმი არ დიგილიოს!
- ღმერთმა თავი წამოგინწყვიტოს!
- ღმერთმა იმ დუნიას წეგიყვანოს ჯეჰენემში და არ მოგიყვანოს!
- ღმერთმა იქავრი ღურბელი არ დაგანახვოს!
- ღმერთმა კაი დღე არ დაგანახვოს!

- ღმერთმა კარები მიგიზრას!
- ღმერთმა კაცის პირი არ დაგანახვოს!
- ღმერთის კარგი ყული არ ხარ, დერდში ჩავარდი!
- ღმერთმა ლეშები მიგიდინოს!
- ღმერთმა მემლექეთში არ ჩეგიყვანოს!
- ღმერთმა მოგკლას!
- ღმერთმა მოგკლას, გაგაბჯინოს!
- ღმერთმა მოგწყვიტოს!
- ღმერთმა მოსლა არ აღირსოს!
- ღმერთმა ნეხვები გაზელიოს!
- ღმერთმა რუსიე გადაგარონოს!
- ღმერთმა, საცხა წეხვალ, გადაგჩენოს!
- ღმერთმა სიმწარე მოგცეს!
- ღმერთმა ფელჯი გაგხადოს!
- ღმერთმა ფეხი დიგიკარგოს, მაიმუნებ დეემგვანო!
- ღმერთმა ქორი გაგხადოს!
- ღმერთმა შავი დილა გიგითენოს!
- ღმერთმა შენი ოჯახი გაანწყნაროს!
- ღმერთმა შენტანა შვილი არ მეიყვანოს!
- ღმერთმა ჩემზე ბეთარი გაგხადოს!
- ღმერთმა, ჩემმა გამჩენელმა, ერთი დღე არ დაანახვოს!
- ღმერთმა ჩენგე დიგიყაფანოს!
- ღმერთმა ცეცხლი ჩიგიკიდოს ფუშში!
- ღმერთმა ხეირობა არ მოგცეს!
- ღმერთმა წიგიყვანოს, არ მოგიყვანოს!
- ღმერთმა ჯანი აგაზრას!
- ღმერთმა ჯანი დაგაძროს!
- ღმერთმა ჯენემში წიგიყვანოს!

შ

- შავათ მეგექცეს!
- შავი დღე მეგექცეს!

- შავი წყალი მოგადგეს!
- შავ და უკულმა იარე!
- შავ და უკულმა ნაი!
- შავ და უკულმა ნადი, ღმერთმა აღარ მიგიყვანოს!
- შე ანტერო, გელეებმა გაგზლიზონ!
- შე ბათომიშვილო!
- შე გამოვსილო!
- შე მოსკოველო!
- შე რუსო!

ჩ

- ჩემზე მეტი ღმერთმა არაფერი არ დაგანახოს!

ხ

- ხუი წამეგინყვიტოს!
- ხელ-ფეხი გიგიეშილოს!

ჯ

- ჯინჯარი ამოვდეს შენ ოჯახში!

კ

- ჰარამი იყვეს, რაცხა გიჭამია!

დალოცვა

ა

- არა დერდი არ მოგცეს!
- ახლებმა იცოცხლეთ!

ბ

- ბევრი ჯანი მოგცეს!
- ბელადან, ყაზადან ღმერთმა შეგინახოს!
- ბაღვები მოგცეს ღმერთმა!

გ

- გაგახაროს!
- გამჩენმა ჯანი სალი მოგცეს!
- გზა-კვალი გიგირჩოს!
- გზა-კვალი გიგისნას!
- გულში რავარ გაგიარს, ისე მოგცეს ღმერთმა!

დ

- დიდი კაცი გაგზარდოს!
- დუშმანმაც თავითვინ იცოცხლოს!

ე

- ერთ ბალიშზე დაგაბეროს!

ო

- იმასაც (დუშმან) ინსნობა მიცეს!

პ

- კაა დლე მოგცეს!
- კაა ვიყვნეთ!

- კად ვიცოცხლოთ!
- კად იყავით!
- კარგათ იყავ!
- კარგობა მოგცენ!
- კარგ მურადს შეგყარონ!
- კიდევ გვეღირსოს ერთმანეთის დანახვა!
- კიდევ მეესწრა ამ დუნძას!¹

მ

- მამის ოჯახზე გაცოცხლოს ღმერთმა!
- მშვიდობით წადი!
- მშვიდობით წადი, მშვიდობით მოდი!
- მშვიდობით, გერმელობით იყავ!

ო

- ოჯახთან მშვიდობით მიგასხას!

ს

- საცხან ნახვალ გზა-კვალი გიგირჩიოს!
- სელამით ადი, სელამით ჩადი!
- სიმწარე არ მოგცეს!

ყ

- ყაზადან, ბელადან ღმერთმა მოგარჩინოს!
- ყაზადან, ბელადან შეგინახოს ღმერთმა!
- ყველა სიხარული შენ მოგცეს!
- ყველაე ემეე გიგიყოლავედეს!

ღ

- ღმერთის დუა შენ ზეიდან იყოს!
- ღმერთმა ანაე-ბაბაე მოგცეს!

¹ ასე დაილოცებიან, ხეხილი პირველად რომ მოისხამს და შეჭამენ.

- ღმერთმა არა დერდი არ მოგცენ!
- ღმერთმა არა სიმწარე არ დაგანახოს!
- ღმერთმა არა სიმწარე არ მოგცეს!
- ღმერთმა არაფრის დერდი არ მოგცეს!
- ღმერთმა ბევრათ მოგაგებინოს!
- ღმერთმა ბევრი გაცოცხლოს!
- ღმერთმა ბაღვები მოგცეს!
- ღმერთმა ბევრი მოგცეს!
- ღმერთმა ბევრი დღე მოგცეს!
- ღმერთმა ბევრი შვილები მოგცეს!
- ღმერთმა ბევრი ბაღვები მოგცენ!
- ღმერთმა გაგაკეთოს!
- ღმერთმა გაგაფრინოს!
- ღმერთმა გაგახაროს!
- ღმერთმა გაგახაროს, არა დერდი არ მოგცეს!
- ღმერთმა გაგზარდოს, შვილოჯან!
- ღმერთმა გამოიდეს ახიდან!
- ღმერთმა გამჩენმა შენს ეზოში სეტყვა არ მიეყვანოს!
- ღმერთმა გახაროს და გაცინოს!
- ღმერთმა გერმელობა მოგცეს!
- ღმერთმა გერმელი, საღი ჯანი მოგცეს!
- ღმერთმა გერმელობით ჩაგასხან!
- ღმერთმა გერმელობით ჩაცმა გედირსოს!
- ღმერთმა გერმელობით დაგაფრენიოს ახალი ურუბა!
- ღმერთმა გერმელად გამყოფოს!
- ღმერთმა გერმელად, მშვიდობით ჩემ შვილის უკან დაგაბეროს!
- ღმერთმა გზა-კვალი გიგირჩიოს!
- ღმერთმა გზა-კვალი გიგირჩიოს, საცხა ნახვალ!
- ღმერთმა გზიები გიგირჩიოს!
- ღმერთმა გირჩიოს გზა-კვალი!
- ღმერთმა, გულიდან რაც გაქ, ის მოგცეს!
- ღმერთმა დაგანახოს ანაჲ, ბაბაჲ, იმის ერთათ გაგზარდოს!

- ღმერთმა დაჰა ემე მოგცეს!
- ღმერთმა დერდი გეგიქარვოს!
- ღმერთმა დერდი არ მოგცეს!
- ღმერთმა დიდი კაცი გაგზარდოს!
- ღმერთმა დუშმანი არ მოგცეს!
- ღმერთმა დღით, ომრით გაგაძლოს!
- ღმერთმა ერთ ბალიშზე დაგაბეროს!
- ღმერთმა ერთათ გამცხოვრონ!
- ღმერთმა ერთ კლავზე დაგაბერონ!
- ღმერთმა ვინცხას ამარა არ გაგხადოს!
- ღმერთმა თეთრ სახალში დაგაბეროს!
- ღმერთმა თეთრ წვერში დაგაბეროს!
- ღმერთმა თეთრ მაზმაში დაგაბეროს და შავები აღარ ჩაგაცვას!
- ღმერთმა ი დუნააც მოგცეს, ე დუნააც!
- ღმერთმა იგიქაროს, რაცხა დერდი გაქ!
- ღმერთმა იმანი ჯენნეთი მიცეს!
- ღმერთმა ისლადი გაგხადოს!
- ღმერთმა კად ბალანა მოგცეს!
- ღმერთმა კად ბალვები მოგცეს!
- ღმერთმა კად დღიები მოგცეს!
- ღმერთმა კად გეჩმიში მოგცეს!
- ღმერთმა კად მურადი მოგცეს!
- ღმერთმა კად კაცი მოგცეს!
- ღმერთმა კად უბით დაგაბეროს!
- ღმერთმა კად ქალი მოგცეს!
- ღმერთმა კად შვილები მოგცეს!
- ღმერთმა კარგი მოგცეს დანი!
- ღმერთმა კარგობა მოგცეს!
- ღმერთმა კაცის პირი დაგანახოს!
- ღმერთმა ლამაზი თვალებით შეგხედოს!
- ღმერთმა ლამაზი ქალი მოგცეს!
- ღმერთმა ლამაზათ გაცოცხლოს!

- ღმერთმა ლამაზათ გაგაცვეთიოს!
- ღმერთმა მაგ სახში გერმელობა მოგცეს!
- ღმერთმა მაგ სახში დაგაბეროს!
- ღმერთმა მემლექეთში ჩეგიყვანოს!
- ღმერთმა მოგცეს!
- ღმერთმა მოგცეს ჯანი სალი!
- ღმერთმა მშვიდობით გარონიოს!
- ღმერთმა მშვიდობით, გერმელობით შენი შვილები შენ მოგცეს!
- ღმერთმა მშვიდობით მემლექეთში გედეგიყვანოს!
- ღმერთმა მშვიდობით მიგასხათ შინ!
- ღმერთმა მშვიდობით მიგიყვანოს!
- ღმერთმა მშვიდობით ჩაგასხან!
- ღმერთმა მშვიდობით ჩაგასხან ადგილზე!
- ღმერთმა მშვიდობით ჩიგიყვანოს!
- ღმერთმა მშვიდობით წეგიყვანოს!
- ღმერთმა მშვიდობით წიგიყვანოს, მშვიდობით მიგიყვანოს!
- ღმერთმა ომრი მოგცეს!
- ღმერთმა რავარცხა იცის, ისე გაგხადოს!
- ღმერთმა რაცხა გინდა, ის მოგცეს!
- ღმერთმა საყვარელი მოგცეს!
- ღმერთმა საცხან წეხვალ, კარგობა მოგცეს!
- ღმერთმა სახში მისვლა მშვიდობით გაღირსოს!
- ღმერთმა სახში მშვიდობით მიგიყვანოს!
- ღმერთმა სელამეთით მიგასხან!
- ღმერთმა სელამეთით იგიყვანოს, სელამეთით ჩიგიყვანოს!
- ღმერთმა სიმნარე არ დაგანახოს!
- ღმერთმა სიმნარე არ მოგცეს!
- ღმერთმა სულ ბევრი მოგცეს!
- ღმერთმა ფეხი არ წამოგაკრევიოს ქვაზე!
- ღმერთმა ქალი-კაცი ერთ ბალიშზე დაგაბერონ!
- ღმერთმა ყველა დერდიდან მოგარჩინოს!
- ღმერთმა შენ აგაშენოს!

- ღმერთმა შვილებით გაგახაროს!
- ღმერთმა შვილი დაგანახოს!
- ღმერთმა შვილი-კაცი მოგცეს, სიმწარე არ განახოს!
- ღმერთმა შვილები თავამდი მოგცეს!
- ღმერთმა შვიდობით მოგიყვანოს!
- ღმერთმა შინ ჩაგასხან!
- ღმერთმა ჩიტივით გარონიოს!
- ღმერთმა ჩიტივით გაფრინოს!
- ღმერთმა წყალსავენ ბევრი დღე მოგცეს!
- ღმერთმა ხეირ-სელამეთი მოგცენ!
- ღმერთმა ხელები აგიყვავოს!
- ღმერთმა ჯანი სალი მოგცეს!
- ღმერთმა ჯენნეთი იმანი მოგცეს!
- ღმერთმა ჯენნეთში ნიგიყვანოს!

შ

- შენ დღეში სიმწარე არ დეინახო!
- შენი გულისა მოგცეს ღმერთმა!

ხ

- ხას ქალ შეგყაროს!

ჯ

- ჯანი სალი მოგცეს!
- ჯენნეთი მოგცეს!

ანდაზები

1. ანაჲ ნახე, დაჲ ნახე, შვილი ნახე, მაღლიაო.
2. ანას შეხედე – ბაჯალა ითხუე, ქენერზე შეხედე – ეღდე.
3. ბერი ხარი რქიებ ქვემოთ დეიღებსო.
4. გონჯობიდან რამე არ გამჟაო.
5. გაზენგილებულა და ცხვირი გუუზდიო.
6. ეს თითები ანია, ვერ მეიჭრიო.
7. კაკლის ხეჭოდან გამოიდა, კაკლის ხეჭოს აღარ წონულობსო.
8. კაკლის ხეჭოდან გამოსულა და ჩვენი თავი არ მონონსო.
9. კახაბერი, მე არ შემეცყვია შენი ხებერიო.
10. კერას – ნახშირი, კედელს – ჩხირიო.
11. ლაზების ჭკუა შუა დღემდე ისაქმებს, იმას იქით – არაო.
12. მარტის ცხრაზე არ გახვიდე კარზე.
13. მეზობელ ქი დაჩხვერს, შენ ფუშზე ხელი'ნა დეიდვაო.
14. მოსლა შენი თქმით არი და წასლა შენი თქმით არ არიო, –
სტუმარს უთხრა მასპინძელმაო.
15. რძალს მული მუხი ესობაო.
16. სახელი იმ დუნდასაც გვინდაო.
17. სხვამ თაფლი ჭამოს და შენ ტიტვირები ილოკეო.
18. უდერდელი იმ დუნდას არიანო.
19. ქადა სერამდე, ფაფა შორამდეო.
20. ქართველი ან ბლაცყვია, ან – მოჭირებულიო.
21. შვიდი ვირი გავზარდე, ჩემი ჟუქი არ მემეხსნაო.
22. ჩხირი – კედელში, კენჭი – ყორეში.
23. ცხრა მერთელი გვიცდისო.
24. წყევლა წყევარისა არიო.
25. ხორცი არ იჭმება, ქონიც არ იჭმება, ინსნობა კააჲ.
26. ხოჯების ნათქვამი უნა ქნა და ნაქნარი არ ქნაო.

გამოსანები

1
ოქრო ქვრინავს,
დევე გვრინავს,
მოშდადერა
წყარო წიკავს.
(წისქვილი)

2
კუდმანგალად,
თავსავარცხალად.
თუ ვერ დაკვირდი, –
ვირმამალად.
(მამალი)

3
ჩიტი ჩახტა,
ჩაპარახტა!
(კლიტე)

მითები და ლეგენდები

1

– მარტო ჩვენი დაილის იქეთიდამ და ხემწრული დაილის უკნედამ ერთი ჩვენი რუ არი, იმის წინედამ თორმეტი ცალი თექი არი, სახლი ჩასადგამი ალაგები; ედა, ჩვენ ემეე გაგონილი გვაქ:

ჩხოკობიხან ახლა ღმერთისთუნ, ბატონისთუნ შეპირობია წასლიხან, ედა, ამოსლიხან ღიორო დავინახოო, ყურბანდი'და დავკლაო, შეპირებია. ავა ქი, ღმერთის თერეფიდამ ემეე არ დაფარებულა, ისევ ანთია. არ დაფარებულა და!.. ახლა ტილობა არ არი. მაშინ ტილობა ბევრი იყო. ამეფლო უბიდამ ტილი და

– აჰა ყურბანდიო!..

ღმერთსა ეწყინა და... აბა, ხომ ღმერთი თვალში თით არ გკრავს!.. წამოიდენ და მემრე, ზამთარში, წამოიდა ქარიშხალი, ერთი ბუქი და წამეფლო ისინი და ეეე, ღელეში ჩეიტანა და დაჰა შიშისგან დაილაში ველარ ევდენ და ისვენ დარჩა ფეგები.

2

ზათი ინსნებიდან არიან ჯაზები. იმათ კუდები აქვანო. შეფთანი ჩვენ დინში, მუსლიმნებში, არიან. თუ არ ილოცავ, შეფთნის გზაშიაო, იტყვიან; ქალები თავზე თუ არ იხურვენ, შეფთნის გზაშიაო, იტყვიან.

ჯინები ინსნებზე დეემგვანებიან. შეფთნებ ვერ დეინახავ.

3

ჩვენ რო ავტყდებოდით, დიდი ნენეე გვეტყოდა, ნულა ატყდებოთო, ჯაზები თავანში არიანო, ჩამოვლენო და მოგყლარჭვენო.

ფერი კაი ემეა, ჯაზი გლახაა. ფერი რო მარჯვენა კლავზე იქნებინო, შენ რო რაცხა კაის იქ, დანერენო და შენ რო ქვეყანას გამეიცლი, რო მოკდებო, დანერენო, „ეს კაი კაციო“; თუ გონჯი საქმე ქენი, მარცხენაზე დანერავს და იქ იტყვის, შედთანიაო.

მარჯვენა კლავზე კაი ფერია, მარცხენაზე – გლახა. ზოგი ამბობენ, ფერი ქალიაო, ზოგი ამბობენ, კაციო.

ჯაზი ქალია. ჯაზი რა სოფა, იცი? შამუა, გლახა კაც გაგხდის!..

4

ჯინები არი. რომ დეინახვენ, ყურან იკითხებენ, რაცხა არ დამმართონო.

ერთი კაცი წისქვილში დარჩენილა. შუალამეზე ჯინები მოსულან. დეინყეს სამა ჯინებმა... ჯინები ამობენ ქი, „ხუთშაბათი, ხუთშაბათი...“ მღერიან ჯინები. კაციც სამობს და იმასაც უთქვამს:

„– ხუთშაბათი, ხუთშაბათი, ხუთშაბათიო!..“

დაფანტვიხან უთქვიან ქი ჯინებსა...

„– აჲ ჩვენსავეფ სამობდა, ხუთშაბათი – ხუთშაბათიო“, – თქვა. ჩვენებურია, მოჲ, გავასწოროთო!“

გაასწორეს აჲ კაცი და დეფანტენ.

ჩამოვდა სოფელში. სოფლიერმა კაცმა კითხა:

– რაგვარ გასწორდი კუზიდანო?

– წისქვილში ვიყავ, ვისამეთ, „ხუთშაბათი – ხუთშაბათი“ ვთქვით... ჯინებმა გამასწორეს კუზიდანო, – უთხრა კაცმა.

წევდა აჲ მეორე კუზიანი კაცი წისქვილში. მოვდენ ჯინები შუალამეზე, დეინყეს სამა. ისენი „ხუთშაბათიო“, ამობენ, აჲ „ჯუშ-მაო“, იზახს.

დაფანტვიხან ჯინებმა თქვეს ქი:

– რაჲ ეღლუგი ვუყოთო ამას?

– მეორე კუზიც დავამატოთო!

მოვიდა ად კაცი სოფელში ორი კუზით...

ჯინები ინსნებ დეემგვანებიან, შედთნები – არა. ჩვენ მუსლი-
მანობაში შედთანი არ დეინახვის.

5

ტყის კაცი

ტყი კაცი, გელიკაცი, რავარც შენ დიელაპარიკები, ისიც დე-
გელაპარიკება. ამაღ იქით (აჩვენებს წელს – თ.შ.) – კაცი, იმაღ
ქვეშაღ ბალანი აქ. შენ ქვას გუუქნევ, ისაც გამოგიქნევს.

6

ურისაკლავი

ზველათ დიდი კაცი, მაღალი ყოფილა. ურისაკლავიდან ბაზ-
გირეთ ტბაში წყალ სვემდა. რომ მომკდარა, შვიდათ გუუჭრიან
და საფლავში ისე ჩუუდვიან. იმ კაც ური ერქვა.

7

ზულვართი

თამარას დრომდე ერთ ქალსა გოგო ჰყოლია გასათხოვი. ერთ
კაცსა მუუტაცია აი გოგო და მიყავს ცხენით. დედამის, ვინცბა-
თან ქი გეექცა, იმათი თავი არ ყვარებია და დანყევლა ისინი:

„– ღმერთმა ქვა გაგხადოსო!“

ისინი ზულვართის ტყეში ყოფილან და გაქვავებულან. სამი
ქვაა: ორი – დადე, ერთი – დოდოფალი.

ეს გოგო ჩაქველთადან ყოფილა.

იმიტომ ქვია ზულვართი.

8

დათვმა ბაჭალა მეიპარა. წუულია სოროში. იმას უკან თაფლ უზიდავს. მემრე იშტა იქ ბაღვები ყოლიან. კაცი სოფლიერი მოსულა, ესროლოს უნა დათვსა. ორი ტოტვი აღმა ასნია დათვმა, აღარ ესროლა. დათვი წასულა და კაც ქალი წამოუყვანია, ბაღვებიც წამოუყვანიან.

9

ლუყმან ექიმი

ლუყმან ექიმი ყოფილა, თეელი წამალი მოკდომისა უბოვნია და იშტე ხიდზე გავლიხან გუუფრენია ფურცლები და დიეკარქა ბევრი წამლები.

10

ნუხ ფეილამბერი

ღმერთმა უთხრა ნუხ ფეილამბერს, ის, მელაიქი გოუგზანა, უთხრა ქი:

– გეფსოს უნდა დუნა წყლით, დაანებე გემიო!

არ დეიჯერა...

თაგვმა გემი გახრიტა და... თაგვია, ბობოლი არი... იმან დაწყევლა, დაწყევლა ისა, რავა იტყვიან:

– შენ ჩასულ ალაგზე არავინ არ მადულონო, არ იხმარონ ისაო!

წყალი შევიდა და ბობოლმა კუდი ნოუსვა და დააბათლა, იმან დააბათლა. ახლა, ისაც რა არი, იცი? ზაფხულში ბობოლა ემეს დუშმანია, თაგვისა, თაგვს შეშქამს, ზამთრი თაგვი ემეს შეშქამს... ერთმანეთ...

არიან ასე... იმაზე არი – ეს ქითბებში არი და ხოჯებმა იციან
და მე იმდენი არ ვიცი.

11

ჩივისწევ, ნახევას ზემოთ, ძველათ დამ-დამებ უცოცხლიათ.
ინსანი ინსანი ქი ჭამს, იმას ეტყვიან დამ-დამ.

იგზე ქი, ქვიებში, გოლი ყოფილა, კარჩხალი ქვიებში შიგან;
ქომოდან ქი წყალი ამოდის და იქავენ იკარგვის. აქ გამოდის იმის
გრიალი.

ჩემი დიდი დედე იქიდან წყალ აწევდა და გზიებში აქცევდა
სოფელში ჩამოსლამდე და ყურალი წევდოდა და განვიმდებოდა
ჰამან.

12

ხორთლადი

ხორთლადი ქალიც არი და კაციც.

13

შველი

შველები გვეცოდებიან და არ ვკლავთ. თხას ვკლავთ, გელს,
დათვ, ღორს, გარეველ ქათმებ ვკლავთ.

თქმულება-გადმოცემა

1

საზვირელი

ბაზვირეთის დაშლი კაცმა მითხრა, იქავრი (საზვირელას მთა-ზე ნაპოვნი – რ. ხალვაში) ძვლიები თამარა დოდოფლის ყორუმის ძვლიები არიო. თამარა დოდოფალი იმი დუშმნებ მეეკლეს'ნა; და უთქვამს ქი:

– ენნინ მე'ნა მომკლათ, იმითანა ალაგ ჩამფლათ'ნა ქი, ვერ შემეყარენ ჩემ მეზარზე! მე ქი ჩამფლავთ, თქვენი თავი'ნა დეაჯოცოთ'ნა!

და ერთმანეთი დუუხოციან.

იმ ადგილზე ორი ოდა იყო. ერთანეში – ძვლიები, ერთანეში – ცარიელაჲ. იმ ემეში დანერილი ფიქლები ამოვდა. თამარა დოდოფალიც იქ ყოფილა.

2

უსტამისის ყალე თამარა დოდოფალმა გააკეთა. ქომოთ ჳევ-იდან ხელიდან ხელში უძლევიან ქვა, ისე ამუუტანიან.

3

აქავრი თამარას ყალეები არიან. ხევიდან დუუმნკრივებია კაცები, ხელიდან ხელში აძლევდენ ქვებ, ჩვენი ყალე ისე უუშენებია. ბაბოჲ ილაპარიკებდა.

4

ამობდენ ქი, ასკრები დუუგზელეზიან ქი, ჴელიდან ჴელზე ქვი-
ები ამუუტანიან ყალეზე ჴორულიდან თამარა დოდოფალი დროში.

ყალენინედან მეიჴანე არი; ქვიები დუუგზელეზიან და დუუკ-
ოჴიან. აქედანაც კარი აქ, იქიდანაც.

ყარსთანე ოდა იყო. ახლა ჩანოლილა. შავშეთ ყალე არია, იქ-
ამდე გადიოდა თუნელი.

5

სამნი ჴმანი ყოფილან; ორ ღარჴები ყოლია, ერთ – ბაჴალა. ეს
სამი ჴმა ქი არიან. ამათ, ემოს ვეტყვით, ახლა ამ ემოს ღარჴებმა
ორთავმა ამ ემოს ბაჴალაზე თვალი დეიჴირეს. ერთი თანე, მეგემ,
სეფილი გამოდგა, ვერ გაამჴლავნა. მეორე უჴანული გამოდგა, იმ-
ან გაამჴლავნა. რომელიცხამ ქი გაამჴლავნა, იმან ითხუა. რომე-
ლიცხამ ქი ვერ გაამჴლავნა, იმისი ანაჴ დადეთ გააგზანეს. ანამ ჴო-
რით ღარჴი დუგუნში წეიყვანა. იმანა თვალნაჴირი დეინახა, სიმნა-
რე გულზე მოხვდა, ავათ გახდა. ამა შვიდ წელინად ლოგინში ინვა,
არც დობტორმა, არც კითხვამა ვერ გააკეთა. ერთ დობტორმა მიხ-
და, ამას თვალი დუუჴირავს, იმით ავათ გამხდარაო. უთხრა ქი:

– ამისი თვალდაჴირული ბაჴალა, რაგვარცხა კი დოდოფლო-
ბაში შეკაზმული იყო, აანი შეკაზმული მეიყვანეთ, ამის ბალიშზე
დააჴდუმლეთ, ისე დეინახოს ქი, ჴანი მიცეს!

იმას შეკაზმებენ, მეიყვანენ, დააჴდუმლებენ. ავადმყოფსა
უბეში ჴელ ჩუუყოფს, ერთ ხელსაც ხელზე ნაავლებს... იმაზე ყუ-
რება-ყურებაში ჴან მიცემს.

6

მანატბა რაზე დუურქმევიან, იცი? რატონ და კაცი მანაჴ, ქალი
– ტბა. უთქვამენ ქი, მანა – ტბასა, კაცის მანა გუუშვი ტბაშიო...

7

სარიჩაირის ქვაკაცები

ჯოჯღევლების და ჩვენ ჰუდუდზე არიან ქვაკაცები, ორი თანე. იმ ალაგ ორთვალას ეძახიან, ებნევიან. ორი წყაროა...

8

ქილისები

ედა, მაგ ნათქვამ ადგილზე, ქილისებში, ათი წლის წინ მიწი ქვეშ შეეყარნენ ოდას, სამცხოვრ ადგილს და ზედანაჲ კორდი არ ეტყვებოდა, დამალული იყო. იყო შიგან კაცების ძვლები და ამანგრიეს ორთანე კაცმა – იყო სიძე-ყაინი. ათ წელიწად წინ ამოთხარეს მეგ ადგილი; მემრეც, ერთ წელიწად არ გეველო, დეიხოცნენ მეგის ამოჩინებული კაცები. იმ კაცებმა თოხებით მიწა ამოთხარეს, თავანი და ჭერები ამანგრიეს ბითთავათ; გამორინდა ოთხი ოთახი. ერთში იყო ინსნების ძვლები, ერთშიც ყოფილა ცარიელაჲ სკივრი; მეორე ოთახებიც ცარიელაჲ ყოფილა.

უჩუმალაჲ შესასვლელი ადგილი ქონებია მიწი ქვეშიდან. შორედან კლდეების არაში ვერ დაატყვებ ქი, ინსნის გაკეთებული თვალიაო; გეგონებოდა ის ადგილი დათვის სორე. იმ ადგილიდან წაძვრებოდი მიწი ქვეშა, იარდი თუნელში შიგან; ერთ ნახევარ კილომეტრეს იარდი მიწი შიგან, მიხვიდოდი ამ ადგილზე, ქილისაში, ეკლესიაში.

ახლა არი ამონგრეული ეგ ადგილი, დახარაბებული; ყორეს ქვები მიმოხნევი არის. მაგ ყორეს ქვებზე ჩაქურით გამოჭრილი ნანერი ყოფილა. ეს ეკლესია არის ქილისებისა და საზვირელის არაში.

მასვილსიტყვაობა

1

ბაზგირელი ცხვარ აზუებს. ცხვარ დაჩხვერს, გაგორდება. ავ-
ათ ეგონება, დაკლავს. ცხვარიც უკნედან კრავ დასვამს.

2

ერთ ბაზგირელ თაზე თხები, ბოტები ყავს შეყრილი ხალხამ-
ში. გელი მუა და ბოტ ტიტვირ მათამს. დილაზეც კაცი რუუხედ-
ავს, კიბილები უჩანს და

– ე ბოტი რაზე იცინისო?!

ბოტი იცინისო, ეს ეგონებიან. გელ მუუჭმიან, მეგემ.

3

ბაზგირელი ნისლიანში ცხვარ აზუებს. დათვი მუა და მეგერ
ცხვარი მიყავს. კაცი თვალ წამოკრავს, ეგონება, ვინცხა მაში-
ნებსო. ეტყვის ქი:

– გიცან, გიცან, ქომუბნელი ხარ! ჯამიკარში მოხვალ და შენ
დაგამტრევო!

დათვ ეტყვის! იმას თავის კაცი, ვინცხა გონია.

4

ერთი ჩვენ სოფელში, ბაზგირეთში, ნავიდა შავშეთიდან მას-
წავლებელი. კაცია; რადიო ეილო, ეიტანა ბაზგირეთში. ამან და-

აყაფანა რადიო. დეინავლევდა, რომ სიმღერა იმღერა, მომღერ-
ლები არ არიან.

სადილობას ებნევა ბაზგირელი:

– შავშათში რო ლამაზად მღერობდი, აქ რეიზა ჩეგისჩაო?!

5

ერთ კაც საზამთრო უუღია, შავშათიდან ამუუტანია ბაზგი-
რეთ; თავი დედასთვინ უთქმია ქი:

– მე ჭალაში უნდა ნევედე, მოვთიბონა, მოალ, დავჭრათ და
გვჭამოთო.

მოვიდა რო საზამთრო, საჭმელი, გუდუუყრია, ქერქეები შუ-
უნვამს და მუუტანია ბიჭისთვინ, ჭამეო. საზამთროს შიგანაჲ
გუდუუყრიან!..

6

ერთი ბერი გოდრით მივა გზაში. კამფონი დეენევა. შოფერი
დუუჟდუნებს იმას. ეტყვის ქი, გეემასხრება:

– გოდორი არ მეიხსნა ქი, ამეზე აამძიმებსო.

სხვა კაცი ეტყვის ქი:

– რაზე არ იხსნი სიცხეში? მეიხსენი და დადე ემეზეო!

– შოფერმა მითხრა ქი, არ აამძიმოს იმფოვო.

7

ძალის სადნობი

მაჭახლელ უყიღია ერბო ბაზგირეთში. ერბო ჩუუდვიან გუ-
დაში. იმ ალაგზე გასულა, „ძალი სადნობზე“, ჭვირთი ჩამუუღია,

ფიქალზე დუუდგმია, გახმესო. თვითონაც დუუზინია ეთამ ხან. გამუღღვიძავს, დალი აღარა. ცხენ შეეკითხა:

– შენ მიჭამე ერბო?

ცხენსაც ბუზები ეხვევიან, ისაც თავ აქანებს. მაჭებლელი ამეღღებს აარად და ცხენ მოკლავს.

8

მაჭახლის ჰალი

მაჭახლელებ დოდოფალი მიყავან. შინედან დალი ჩუუდევს ჭიბთან:

– ნეილე და შეეჭირდებო.

ღარჭის სახში რომ მივდენ, საჭმელში დალი ვერ ნახეს.

– ჩვენ გოგოს ჭიპში ჩუუდევითო, – და წამოაქციეს და კოვზე-ბით იქ ჩხრიკეს.

9

ემეს, მაჭახელში, ბორჩხას ორი კაცი ყოფილან. ზველად იარ-ალები წელში დადიან, ხალხ ფულ ართმევენ, ცხენებ იპარვენ, ძროხებ იპარვენ. ერთიდან ერთი მომკვდარა. გზაში მეზერია. მანქანა მოდის, ავსილი ხალხი არიან.

– მანქანა გააჩერეო!

– რაზე, ოსმან ემიავო?

– აქზე რომ მარხია, რამე უნდა უთხრაო.

გააჩერეს. მივდა, ხელში გარგანი აქ.

– ოო, მემედი, მემედი, რას იჯები მაქაო? ჩვენ რო ხარები დავ-პარეთო, მაქ ხებერი აქვან თუ არა? თუ ხებერი აქვანო, ერთ ხარი ფულ მე გედევხდი აქაო, ერთ ხარი ფულიც შენ გედეიხადეო! მე რო მოვკვდებო, მე არ დემიძახონ, შენ ხარის ფული გედეიხადე თუ არაო?

10

საცინარაჲ

კარჩხალიდან დაილისკენ ერთ კაც თაში ჭვირთი მიაქ ცხენით. კლდეში, ბანარზე გავლაში, ჭვირთი კედელ მოხდა და ცხენი დავარდა, ლელეში ჩავიდა, მოკუდა. კაცი ბანრიდან გადახედავს, ცხენ კბილები უჩანს; ეტყვის:

– იცინე, იცინე, თუ გიგიტეხნია სემერი, დაგაგლეჯ კბილებო! მომკტარ ცხენ ელაპარიკება!..

11

ლაზები

ორი ზმა ყანაში წევდენ და მარილი დათესეს. ამ ყანაში მარილი არ ამოვდა.

– ეს რაჲ გვიჭამსო?

წევდენ და დაცვეს. რამე ვერ ნახეს და ერთი კალაჲ მოვდა და ერთ ზმას აჯდება.

– ანღი ეს არღი, ჩვენ მარილ გვიჭამს და არ ამოვდა!

– რა ვქნათ?

– მოვკლათო, – თქვეს.

ეს კალაჲ შუბლზე მიაჟდა ერთანეს. მეორეს ებნევა ქი:

– აგ ზეა და მოკალიო!

ესრის და ზმას მოკლავს...

12

ნასრეთი ხოჯას მეზობლიდან თოკი უთხოვნია. მეზობელსაც უთქვამს ქი:

– თოკზე, ქერიო დაფენილი მაქო.

არ მუუცემია. უკან გამეღარა, წამოღდა, არაფერი არ უთხრა.

13

ხოჯა მისულა. თავი ცოლი, ბავშვები ჭამენ, სმენ. მანონი დარჩათ. ხოჯამ ზღვაში ჩაასხა. კითხეს:

– ხოჯავ, რა იჯები?

– მანონი'ნა შევაყენო, სულ ფულ ხო ვერ ვაძლევო? ბევრი მანონი მექნებაო.

14

ხოჯა მივა ქალაქში, ვირზე შეჯდა და მივა. ბავშვები დეეს-ხრიკენ:

– ხოჯა, სად მიხვალო?

იმასაც უთქვამს:

– ქალაქში მივალო, დუდუკი'ნა ვიყიდოო.

ერთმაც ფული მიცა:

– მეც მიყიდეო!

ათი-თერთმეტი ბავშვია, უთხრეს:

– ჩვენაც გვიყიდეო!

ამევიდა ხოჯამა ქალაქიდან სოფელში რომ, ვინცხამან ფული მიცა, ბავშვმან, იმას დუდუკი მიცა. მეორე ბავშვებმაც უთხრეს:

– ხოჯავ, ჩვენ არ ეგვიღე დუდუკიო?

იმანაც უთხრა:

– ვინცხა ფულ მომცემს, დუუფშტვენს დუდუკიო!..

15

ნასრეთინას ფეხსაცმელი ლამაზი უღლია ქალაქში. გენჯებ უნდათ, მოპარონ. არ იხდის, რო არ მოიპარონ გენჯებმაო. რომ არ იხდის ფეხიდან, წევდეს'ნა, ვაშლინა მოკრიფოს. ევდა ვაშლ-ზე ზეიდან და გეიხადა ფეხსაცმელი და ჩეიყარა უბეში.

გენჯებმაც ჩქარა მივიდენ იქზე და უთხრეს:

– ხოჯავო, ფეხჩასაცმელი უბეში რაზე ჩეიყარეო, დაბაყლი-
ანდებიო.

ხოჯამაც უთხრა:

– ბიჭებო, ზემოთაც გზა იქნება, ჩეცცვამ და წავალო.
არ უთქმია, რო თქვენ'ნა მომპაროთო, არ იწყინონო.

16

ხოჯა მივა, ერთ კაც ეტყვის რო, ერთი ქვაბი მჭირიაო. მეზო-
ბელმაც მიცა ქვაბი. ორი დღე უკან ქვაბი მუუტანა და შიგანაც
პანაჲ ქვაბი ჩადო. მუუტანა კაც:

– ღმერთმა ასე გიყოსო! – საქმე გიმირიგეო. შენმა ქვაბმაც
პანაჲ ქვაბი დასვაო.

მერე კილო მივდა კაცთან, კილო მიცა ქვაბი. თქვა:

– ვაო, მე ერთთანე ვაძლევეო, ამან ორითანე მეიტანაო!..

უმფო დიდი ქვაბი მიცა. აღარ მუუტანა.

– რა იქნა, ქვაბი რეიზა არ მეიტანე?

– შენი ქვაბი მოკდაო.

– რაო?! ქვაბი მოკდებოა?!

– შენ რო გითხარი, ქვაბმა იშვაო, დეიჯერეო, მოკდა რო გებ-
ნევი, რეიზა არ დეიჯერეო?!

17

აქ ერთი სოფელია, ახალდაბას ეტყვიან. მაქედამ გოგო დო-
უქორნილებიან. კაცთან მისლამდი აშინეს:

– რა'ნა გეშეველოს, რა სოფ'ნა გოუზლოვო!

როდც რომ კაცი მასთან იმ საქმეზე რომ მივდა, გახედა, რომ
სხვა ქალების ნათქვამურაჲ არ იყო, იამა.

ფეცი მოსაბრუნებლათ რომ მივდა, უთხრა ქალებ:
– იმდენი მაშინეთ... რომ მუბარეგმა ისე გერმელათ გაცურდა
და ნევდაო...

18

ერთი ლაზისა ზროხა ავათ გამჭდარა. ჰაქიმთან წაყუანისთვინ
გამოუყუანია ახორიდამ და მიჰყავს. მეზობლის კარზე მისულა.
შიგანას დოუზახნია:

– რა დეგემართა, სად მიქყავს მეგ ზროხაო.

– ავათ არი, ჰექიმთან მიმყავსო.

– ჰექიმი რა არი, მე იმაზე კარგად მივხთები, რა სჭირსო. მა-
აბრუნე, ჩამოე ეზოშიო!

მისულა ზროხასთან ახლა ეს მეზობელი. პირი ოუფჩინებია
ზროხისთვინ.

– შენაც კუდიდამ ასნიე და მაქედამ გამომიხედე, მხედავ თუ
არაო, – უთქუამს ზროხის პატრონისთვინ.

იმას უთქმია:

– აქედამ ვერ გხედავო.

მაშინ უთქუამს:

– ნენწული გადაბმულა, დაკოჭილა და იმიტომ ვერ მხედავო.
ზროხა ახლავენ დეეკლას'ნაო!

ასე მიმხდარა ზროხის ავადეელობასა.

საბავშვო ფოლკლორი

1. სააკვნო

ნანინად, ნანინად,
დეიძინოს კაკანაში!
დეიძინე, შვილო, დეიძინე!
ჩემი შვილი კაცი გახდეს!
ნანინად, ნანინად...

2. სალალობო


ახლანდელი ღარჭები
ტყვილდებიან მარკებზეო;
თავისი ანად-ბაბად
ატყვილებენ ფორკებზეო.

3. საბავშვო

- ამას (მთქმელი აჩვენებს ცერა თითს) უთქვამს ქი:
- აიდე, პური ჭვამოთო!
- ამას (აჩვენებს საჩვენებელ თითს) უთქვამს ქი:
- რად გვაქ, რად ჭვამოთო?
- ამასაც (აჩვენებს შუა თითს) უთქვამს ქი:
- ღმერთსა რაცხა მუუცემია, ის ჭვამოთო!

- ამასაც (აჩვენებს არათითს) უთქვამს ქი:
- ევლოთ და ჭვამოთო.
- ამასაც (აჩვენებს ნეკა თითს) უთქვამს ქი:
- მევპაროთ და ჭვამოთო.

და ეს იმაზე პატარაა დარჩენილა, მოპარვა ქი გულში შამოუდ-
ვია.



სოფ. ხევწრული, 2005 წ.
მთქმელები – გამზე თანრივერდი და ეპლინა თურანი

ნაწილი მეხამე
გენიგონები
და
პროგრესი

შრომის ლექს-სიმღერები

1. თოხნური

1. 1. მთქმელი ნიგარ ორალი, 45 წლის, მცხოვრები სოფ. ხევ-ნრულში (ჩაღლიანი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 9 აგვისტოს სოფ. ხევნრულში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 472.

2. წველისა

2. 1. მთქმელი ემინე გენჩი, 72 წლის, მცხოვრები სოფ. ჩიხის-ხევის (დანიქლი) ერთ-ერთ უბანში – კოკბერეთში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 4 აგვისტოს კოკბერეთში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 472.

2. 2. მთქმელი აიშე იღმაზი (მოლოღლი), 45 წლის, მცხოვრები სოფ. ზიოსში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2005 წლის 25 ივლისს სოფ. ზიოსში.

მთქმელის განმარტება: „– ზროხას ასე ეტყევი წველის დროს, დუუყვავებ, კარგა მოინველის“.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 472.

2. 3. მთქმელი ჰუნქერ ქაია, 76 წლის, მცხოვრები სოფ. მაჩხატეთში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 8 აგვისტოს, სოფ. მაჩხატეთში.

მთქმელის განმარტება: “– ასე ვეტყოდით და ჩამოყრიდა. ხბოსთვინაც შეინახევდა. ბითამ არ მოგვცემდა”.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 472.

2. 4. მთქმელი სალიე გუნეში, 50 წლის, მცხოვრები სოფ. ზენაგარაში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 6 აგვისტოს სოფ. ზენაგარაში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 472.

ვარიანტი:

ჩამოყარე, ნენოჯან,
ჩამოყარე, ნენოჯან!...

მთქმელი გულჰან ბალირი, 60 წლის, მცხოვრები სოფ. დაბაში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2005 წლის 28 ივლისს სოფ. დაბაში.

მთქმელის განმარტება: „– ძროხას ეუბნებთან წველისას“.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 505.

3. თიბვისა

3. 1. მთქმელი გულსარე დუზგუნი (ჯივანაშვილი), 38 წლის, მცხოვრები სოფ. ბაზგირეთში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2005 წლის 24 ივლისს სოფ. ბაზგირეთში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 472.

პატრიოტული ლირიკა

1. მთქმელი იუსუფ გუნერი, 12 წლის. ცხოვრობს და სწავლობს დაბა შავშათში. სტუმრად იყო დედამისთან ერთად სოფ. უსტამისის დაილაში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 1 აგვისტოს სოფ. უსტამისში დაილაში.

მთქმელს ეს სიმღერა დედისგან უსწავლია, შეასრულა სიმღერით.
დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 472.

ვარიანტი:

ღელე გაღმაა
ჩვენი სახლები,
მოკდნენ ზველები,
დარჩნენ ახლები.
ლამაზო ქალო,
რატომ არ ტირი?
თეთრო მამალო,
რატომ არ ყივი?

მთქმელი ერენ თორუნი (გამეშიძე), 12 წლის, მცხოვრები სოფ. ბაზგირეთში. ჩაინერა რამაზ ხალვაშმა 2005 წლის 24 ივლისს სოფ. ბაზგირეთში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 506.

2. მთქმელი ჰუნქერ ქაია, 76 წლის, მცხოვრები სოფ. მაჩხატეთში (აეშილჯი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 8 აგვისტოს სოფ. მაჩხატეთში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 472.

ვარიანტები:

ა

რა მაღალი ყოფილა
ატიანის სერები!
ახლა ჩვენ'ნა ვიმღეროთ,
გურჯიჯა სიმღერები!

მთქმელი სევგიე თემური (სვარიზაშვილი), 36 წლის, მცხოვრები სოფ. ბაზგირეთში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2005 წლის 24 ივლისს სოფ. ბაზგირეთში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 506.

ბ

გალმა სერში გელები,
მიმოდევან ზერები.
ახალათ'და დევიწყო
გურჯიჯა სიმღერები.

მთქმელი ბაჰალი ოზიშილი (ჯენიგლი), მცხოვრები სოფ. ხობლევში. ჩაინერა შუშანა ფუტკარაძემ 1989 წელს.

დაბ.: შ. ფუტკარაძე, 1993.:221. თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 506.

გ

რა მაღალი ყოფილა
ატიანის სერები!
ახლა მე'ნა ვიმღერო
ქართველი სიმღერები.

მთქმელი ქემალ ქამეშიძე, 20 წლის, ქ. რიზეს შავი ზღვის ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი. წარმოშობით იმერხეველია, სოფ. ბაზგირეთიდან. ჩაინერა თ. შიოშვილმა 1989 წლის 2 ივლისს ქ. რიზეში.

3. მთქმელი სარე ბულბული (თეთრაძე), 70 წლის, მცხოვრები სოფ. ბაზგირეთში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2005 წლის 24 ივლისს სოფ. ბაზგირეთში. მთქმელმა ეს სტრიქონები მოგვიღებესა ექსპედიციის წევრებს.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 472.

4. მთქმელი ჯაფერ თორუნი (გამეშიძე), 38 წლის, მცხოვრები სოფ. ბაზგირეთში. ჩაინერა რამაზ ხალვაშმა 2005 წლის 24 ივლისს სოფ. ბაზგირეთში.

დაბ.: რ. ხალვაში, იმერხეული ფოლკლორი (სოფელი ბაზგირეთი); – რსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის “კრებული“, ტ. V, ბათ., 2007, გვ. 311; თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში “შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 472.

5. მთქმელი ნიგარ ორალი, 45 წლის, მცხოვრები სოფ. ხევნრულში (ჩაღლიანი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 9 აგვისტოს სოფ. ხევნრულში (ჩაღლიანი).

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 472.

ვარიანტები:

ა

დაბა და დევიეთი,
ზემოდან – ზაქიეთი,
ორი დღე აღარ ვარ,
მომსურდა ბაზგირეთი!

მთქმელი ალი ილდიზი, 24 წლის, ცხოვრობს ქ. იზმითში. ნარ-
მოშობით ბაზგირელია. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 3
აგვისტოს სოფ. ბაზგირეთში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში
„შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 506.

ბ

ზემოდან – ჩაქვიეთი,
ქვემოდან – ბელტიეთი.
ორი დღე აღარ ვართ,
მოგვსურდა ბაზგირეთი!

მთქმელი გულსარე დუზგუნი (ჯივანაშვილი), 38 წლის,
მცხოვრები სოფ. ბაზგირეთში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2005
წლის 24 ივლისს სოფ. ბაზგირეთში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში
„შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 506-507.

გ

ორი დღე არ ავალ,
მომსურდა ბაზგირეთი!

მთქმელი ზულფეთ გუნეში, 80 წლის, მცხოვრები სოფ. ჯვარ-
რისხევში (თუთლიქოჟ). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2005 წლის 6
აგვისტოს სოფ. ჯვარისხევში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში
„შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 507.

დ

ქომოდან – ზაქიეთი,
ზემოდან – ბაზგირეთი.
ორი დღე არა ვარ,
მომსურდა ბაზგირეთი!

მთქმელი შაჰზენე ბილგინი, 64 წლის, მცხოვრები სოფ. უსტამისში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 1 აგვისტოს სოფ. უსტამისში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 507.

2

დაბა და დევიეთი,
ზემოდან ზაქიეთი.
ორი თვეა, აღარ ვარ და
მომსურდა ბაზგირეთი!

მთქმელი აჰმედ ჩეთინი (ცხვარიძე), 55 წლის. მცხოვრები ქ. ინეგოლში. წარმოშობით იმერხეველია, სოფ. ბაზგირეთიდან. აჰმედი „გარმონჯია“, უკრავს და მღერის იმერხეულ ხალხურ სიმღერებს. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 7 ივლისს სოფ. ჰაირიეში (ბურსას რეგიონი).

3

დაბა და დევიეთი,
ზემოდან ზაქიეთი.
ორი დღეა აღარ ვარ და
მომსურდა ბაზგირეთი!

მთქმელი ესმა ვჯი, 50 წლის, მცხოვრები ბურსას პროვინციის ქარაჯაბეის რაიონის სოფ. ბოლაზაში. ძირითადად ცხოვრობენ იმერხეველები; ისინი 1975 წელს გადმოსახლებულან ბაზგირეთიდან, ხევწრულიდან, ჩიხორიდან, ბრილაგარიდან, უსტამისიდან, ზაქიეთიდან, სვირევიდან, ფარნუქიდან. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 15 ივლისს სოფ. ბოლაზაში.

6. მთქმელი სონერ მოსიძე, 40 წლის, მცხოვრები სოფ. აგარას უბანში – ვარდიქში (ვარდიეთში). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 8 აგვისტოს ვარდიეთში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 472.

7. მთქმელი ნიგარ ორალი, 45 წლის, მცხოვრები სოფ. ხევწრულში (ჩალლიანი). ჩაინერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 9 აგვისტოს სოფ. ხევწრულში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 472.

8. მთქმელი იუსუფ ჩელიქი (ცხვარიძე), 18 წლის, მცხოვრები სოფ. ბაზგირეთში. ჩაინერა რამაზ ხალვაშმა 2005 წლის 24 ივლისს სოფ. ბაზგირეთში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 472.



სოფ. ივეთი, 2005 წ.
 პროფესორი თინა შიოშვილი და მთქმელი ღურსუნ სანჯერი

სატრფიალო კოეფიია

1. მთქმელი სუმან გუმში (იბიშოლლი), 57 წლის, მცხოვრები სოფ. უბეში. ჩაინერა თ. შიოშვილმა 2005 წლის 28 ივლისს სოფ. უბეში. მთქმელი სიმღერით ასრულებდა.

დაბ.: თ. შიოშვილი, იმერხეული ფოლკლორი. – გაზ. „აჭარა“, №206 (22.468), 2 ნომბერი, 2005; თ. შიოშვილი, იმერხეული ფოლკლორი. – ჟ. „ჭოროხი“, №11, ბათუმი, 2005, გვ. 104; მ. ფა-ღავა, შავშური ჩანანერები. – ჟ. „ლიტერატურული აჭარა“, №1, ბათუმი 2008, გვ. 82; თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 482.

ვარიანტები:

ა

ღელეში ორი ჯვალი,
ის ვერ იმიტანია.
შენ ქი სხვათან დიგინახო,
ის ვერ გიმიტანია.

მთქმელი სურმელ ილდიზი, 65 წლის, მცხოვრები სოფ. იფხრეველში. ჩაინერა თ. შიოშვილმა 2005 წლის 1 აგვისტოს სოფ. იფხრეველში.

დაბ.: თ. შიოშვილი, საცოლის დაკვლევა-შერჩევის ლექს-სიმღერები იმერხეულ ფოლკლორში. – რსუ შრომები, ტ. XIII, ბათუმი 2009, გვ. 204-205; თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 516.

ბ

ღელეში ქი ჯვალა,
ის ვერ იმიტანია.
შენ ქი სხვას უყურებ,
ის ვერ გიმიტანია.

მთქმელი შაჰზენე ბილგინი, 64 წლის, მცხოვრები სოფ. უსტა-მისში. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წლის 1 აგვისტოს სოფ. უსტამისში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 516.

გ

ღელეში ორი ჯვალი,
ის ვერ იმიტანია.
შენ რომ სხვას უყურები,
ის ვერ გიმიტანია.

მთქმელი თანერ (თანო) იშეკი (მჭედლიძე), 29 წლის, ცხოვრობს და საქმიანობს ქ. იზმითში. წარმოშობით ბაზგირეთელია. ზაფხულობით სტუმრობს მშობლიურ სოფელს. თანო თავადაც წერს ლექსებს. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წლის 3 აგვისტოს სოფ. ბაზგირეთში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 516.

დ

ღელეში ორი ჯვალა,
ეჰლოჯან!
ის ვერ ემიტანია,
ეჰლოჯან!
შენ კი სხვას უყურები,
ის ვერ გემიტანია,
ეჰლოჯან!

მთქმელი ოზგენ ჩელიქი, 19 წლის, მცხოვრები სოფ. უბეში.
ჩაინერა რ. ხალვაშმა 2005 წლის 28 ივლისს სოფ. უბეში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში
„შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 517.

2

ღლეში რუმ ჯვალაია,
ის ვერ იმიტანია.
შენ რომ ჩემსას უყურებ,
ის ვერ გიმიტანია.

მთქმელი ქაზიმ ერდემი (მოლოღლი), 40 წლის, მცხოვრები
სოფ. უსტამისში. ჩაინერა რ. ხალვაშმა 2005 წლის 31 ივლისს
სოფ. უსტამისში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში
„შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 517.

3

ღელეში ორი ჯუალი,
ის ვერ ემიტანია.
შენ ქი სხუას ეყურები,
ის ვერ გემიტანია.

მთქმელი ბინიე ოზიშილი (ჯენიგლი), 35 წლის, მცხოვრე-
ბი სოფ. ხობლევში. გამოთხოვილია სოფ. აგარიდან. ჩაინერა შ.
ფუტკარაძემ 1989 წელს.

დაბ.: შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993,
გვ. 221; თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში
„შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 517.

2. მთქმელი მესუთ ქოჯა, 18 წლის, მცხოვრები სოფ. აგარაში.
ჩაინერა თ. შიოშვილმა 2009 წლის 6 აგვისტოს სოფ. აგარაში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში
„შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 482.

ვარიანტები:

ა

გალმა სერში თიკნები,
ვეჯლები და ვიქნებო.
შენ ქი მე არ მომყვები,
ბექარ ვიარ, ვიქნებო.

მთქმელი ჯემალ ჩელიქი, მცხოვრები სოფ. ბრილში. ჩაინერა თ. შიოშვილმა 2009 წლის 6 აგვისტოს სოფ. ბრილში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 517.

ბ

გალმა ფერდში თიკნები,
მე გამოლმით ვიქნები.
შენ თუ მე მომატყვილეფ,
გიმღერეფ და ვიქნები.

მთქმელი ჰუსეინ დუმანი (კულულიენთი), მცხოვრები სოფ. უბეში. ჩაინერა შ. ფუტყარაძემ 1989 წელს.

დაბ.: შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი 1993, გვ. 288; თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 517.

3. მთქმელი თანერ (თანო) იშექი (მჭედლიძე), 29 წლის, ცხოვრობს და საქმიანობს ქ. იზმითში. წარმოშობით ბაზგირეთელია. ზაფხულობით სტუმრობს მშობლიურ სოფელს. თანო თავადაც წერს ლექსებს. ჩაინერა თ. შიოშვილმა 2009 წლის 3 აგვისტოს სოფ. ბაზგირეთში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 482.

ვარიანტი:

გამეშეთის უკნედან
ლარებში ვერ ახტები.
მე რომ შენ დიგინახავ,
ათი წლისა გავხდები.

მთქმელი თანერ (თანო) იშექი (მჭედლიძე), 29 წლის, ცხოვრობს და საქმიანობს ქ. იზმითში. ნარმოშობით ბაზგირეთელია. ზაფხულობით სტუმრობს მშობლიურ სოფელს. თანო თავადაც წერს ლექსებს. ჩაინერა თ. შიოშვილმა 2009 წლის 3 აგვისტოს სოფ. ბაზგირეთში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 518.

4. მთქმელი აიჰან სეჩერი (გენჩაროღლი), 28 წლის, მცხოვრები სოფ. ბაზგირეთში. ჩაინერა თ. შიოშვილმა 2005 წლის 24 ივლისს სოფ. ბაზგირეთში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 482.

ვარიანტი:

გაველ ყანი დარეზე,
გადი-გამოფ, მიყურე,
ერა ზალუმი იყავ,
დღისით – ღამით მატირე!

მთქმელი ალი ილდიზი, 24 წლის, ცხოვრობს ქ. იზმითში. ნარმოშობით ბაზგირეთელია, ზაფხულობით სტუმრობს მშობლიურ სოფელს. ჩაინერა თ. შიოშვილმა 2009 წლის 3 აგვისტოს სოფ. ბაზგირეთში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 518.

5. მთქმელი თანერ (თანო) იშექი (მჭედლიძე), 29 წლის, ცხოვრობს და საქმიანობს ქ. იზმითში. წარმოშობით ბაზგირეთელია. ზაფხულობით სტუმრობს მშობლიურ სოფელს. თანო თავადაც წერს ლექსებს. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წლის 3 აგვისტოს სოფ. ბაზგირეთში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 482.

ვარიანტები:

ა

გაველ კურტუკლი სერზე,
დავჯდე'ნა წითელ ქვაზე.
მოდ, ერთად ვიაროთ
ჯანჯირში კლავი კლავზე!

მთქმელი ზულიეჰა მეიდანის (ყარამამედოვლი), 27 წლის, მცხოვრები სოფ. ბაზგირეთში. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წლის 24 ივლისს სოფ. ბაზგირეთში.

დაბ.: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 518.

ბ

გაველ მახეთე სერზე,
დავჯდე'ნა სველ ქვაზე.
მოდ, ერთათ ვიაროთ
ბათუმში კლავი კლავზე.

მთქმელი თანერ (თანო) იშექი (მჭედლიძე), 29 წლის, ცხოვრობს და საქმიანობს ქ. იზმითში. წარმოშობით ბაზგირეთელია. ზაფხულობით სტუმრობს მშობლიურ სოფელს. თანო თავადაც წერს ლექსებს. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წლის 3 აგვისტოს სოფ. ბაზგირეთში.

